F 428 P119/N10146


# კვირის პალიტრა

ყოველთვის ჩვენი კვირის პალიტრა მკითხველისათვის

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 18 (263) ◆ 1-7 მაისი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




## ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

...იხარებს და იშვებს ცა და დედამიწა, ანგელოზთა დასი და კაცთა ნათესავი, სამყარო ხილული თუ უხილავი.

...სიცოცხლე მეფობს, რამეთუ უჭკნობ ნეტარებას მივემთხვიენით. გვ.3

*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლედან*

## ჭკუას მოვუხმოთ, ყველაფერი ოხრად არ დაგვრჩეს...

– საქართველო ისეთ ზღვარს მიუახლოვდა, რომ თუ ხალხმა იფეთქა, ხელისუფალთ ეს სასახლეებიც, მანქანებიც, ფულიც და შვილებიც შეიძლება ოხრად დარჩეთ... ეს არ არის მოწოდება, ეს გაფრთხილებაა...

– 4-5 წლის წინ ვინ გაბედავდა იმაზე საუბარს, რუსეთ-ბელორუსის კავშირს შევუერთდეთო...

გვ.5 *ივლიანე ხაინდრავა*

## ყველაზე გავლენიანი პიროვნება (პრეზიდენტის შემდეგ) — ზურაბ ჟვანია გვ.27

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

## თბილისის ბაზრობებიდან ბიუჯეტი თვეში 60 თეთრით „მდიდრდება"...

საბურთალოს ბაზარმა მოგების გადასახადის სახით, ერთი თვის მანძილზე (60 თეთრი), გლდანის ბაზრობამ (50 თეთრი), დიდუბის ბაზრობამ (60 თეთრი) შესწირეს ბიუჯეტს... ნუთუ ასეთი გულუბრყვილოა საგადასახადო სამსახური? გვ.17

## თქვენთვის განკუთვნილი სააღდგომო საჩუქრის კურთხევა



ნუ იჩქარებთ გაზეთის ჩამოგდებას ურნაში - პასკის შეძენას! შანდლით, თუ სხვაგვარად შეიძინეთ...

## სამხედრო თემაზე

### „ტყვეობიდან" დაბრუნება...



ბუქარესტში ქართული დელეგაციის წევრების მიერ გულმოდგინედ და სიფრთხილით შეფუთული იარაღის ნიმუშები ჭუჭყიან ყუთებში უთავბოლოდ ეყარა... რუსებს ქართულ ჭურვში — „კოდორშიც" ჩაუყვიათ ცხვირი... დიდი ბატალიების შემდეგ ქართულმა იარაღის ნიმუშებმა შინ ჩამოაღწია. გვ.9

## თბილისი... 30 აპრილი, დღის 3 საათი...



დედაქალაქის დედაქუჩაზე, ქაშუეთის ტაძრის ზარების გუგუნში ქვეყნის პრეზიდენტი ღვთისა და ერის წინაშე დებს ერთგულების ფიცს... გვ.2

## ვინ „მუშაობს" პოლიტიკოსების თავებზე



ზურაბ ჟვანიას, პრეზიდენტის მსგავსად, შინ აკითხავენ...

ელენე თევდორაძე ამას თავადაც ახერხებს....

ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ რამდენიმე ვარიანტი შეაჯერა...

მედეა მეზვრიშვილი ამჯერად 7 ლარიანს ხმარობს...

სპეცრაზმის ბიჭებს თავად ბატონმა თემურმა ასწავლა... გვ.20

## „მალე ჩვენს დედაქალაქს თბილისი აღარ ერქმევა!"

ვახტანგ გორგასალმა თბილისი იერუსალიმის „შემსგავსებულად" ააგო — თბილისს თავისი სიონი, გეთსამანია, ბეთლემი, თაბორის მთა ჰქონდა...

ახლა რა ხდება აბანოთუბანში! გვ.4

## თბილისში საიდუმლო ინფორმაცია ჩამოიტანეს:

ვერსია

„ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. კონტაქტი შედგა. ეჭვები გავუფანტე. ამჟამად დროებით ჩეჩნეთში გადავედი. ოქტომბრის პირველ რიცხვებში ალბათ შატილში გამოვჩნდები. დამატებით ცნობებს მოგაწვდი. ჩემ გარდა ბანდაში კიდევ ორი ქართველია — ყაზბეგელი და დუშელი". გვ.10

## „ოთხი მოვკალი და კიდევ ორი დამრჩა მოსაკლავი..." გვ.6

დედის ყვირილზე პატარა ეკამ ტირილი მორთო... ბავშვს მუცელში დანა ჩასცხო... მერე დედას მივარდა, გულმკერდის არეში დანა რამდენჯერმე ჩაარტყა.... ალეკოს კარებთან ჩაუსაფრდა და თავში ნაჯახი ჩაარტყა, დაჭრილი საწოლზე დააგდო და... აჩეხა...

## ზამთარში პალტოიანი მკვდარი გინახავთ?



— თავს კარგად იქ ვგრძნობ, სადაც ვხვდები, რომ საჭირო ვარ...

— მიწა მიყვარს ძალიან... არ არსებობს არაფერი ღმერთის შექმნილი, რისი სიყვარულიც არ შეიძლება. გვ.20

## რას ერჩოდნენ ბარამიძეს თუ მაჭავარიანი მაინც დეპუტატია

ყოველგვარი სკანდალის, ხმაურის, ნერვების წყვეტის გარეშე მიხეილ მაჭავარიანი დეპუტატიც გახლავთ და მინისტრიც! გვ.7


ფირმა „ბერმუხა"

ბრტყელი სახურავების, სარდაფების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50



ALLIGATOR
EXCALIBUR
APS
MAGNUM

დისტანციური სიგნალიზაციის, შუშების ამწევის მონტაჟი

შეღავათიან ფასად

გარანტია 1-5 წლამდე

მის: ვაჟა-ფშაველას 37

☎: 899-50-31-52


## საკვირაო



ტელეკინოგიდი 1-7 მაისი

გვ. 14-15

Неделя
КОММАНДОС
ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ
ТЕЛОХРАНИТЕЛЬ
За РУБЕЖОМ
МОСКОВСКИЕ НОВОСТИ
Newsweek
FOCUS
общая газета
DER SPIEGEL
КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА
АиФ
stern
СЕГОДНЯ
КЛЮКВА
ИЗВЕСТИЯ
ТРУД
СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО
АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ
Иностранец
LE FIGARO magazine
PARIS MATCH
ТВ ПАРК
ЛИЦА
ОГОНЁК
daily
le nouvel Observateur
ИТОГИ

## თქვენს გაზეთში იერუსალიმის წმიდა სანთელი დევს!

## აღდგომა და... ინაუგურაცია

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, არჩეული პრეზიდენტი არჩევნების შემდგომ მესამე კვირას დებს ფიცს ერისა და ქვეყნის წინაშე.

ჯერ იყო და, 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, ქართველი ერისთვის ტრაგიკულ დღეს, 9 აპრილს დაემთხვა; ხოლო თავად პრეზიდენტის ინაუგურაციის დღე კი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, რამაც გარკვეული მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში, მაგრამ ასეა თუ ისე, 30 აპრილს, აღდგომის დღეს, საგულდაგულოდ გადაკეტილ რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ, პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალი მაინც ჩატარდა.

ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოს ხელისუფლებისა და უცხოური დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მასმედია და ინტელიგენცია.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, ბატონმა ავთანდილ დემეტრაშვილმა, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა მნიშვნელოვანი მომენტებით დატვირთული XX საუკუნის ბოლო ათწლეული, ღვთისა და ერის წინაშე ფიცის დასადებად ტრიბუნასთან, რომელზეც ბიბლია იდო, მიიწვია საქართველოს პრეზიდენტი.

ფიცის დადების შემდეგ მისმა უწმიდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია -მ მიულოცა პრეზიდენტს და ქვეყნის სიბრძნით მართვა უსურვა.

შემდეგ სიტყვით კვლავ პრეზიდენტი წარდგა, რომელმაც განვლილი პერიოდის ანგარიში ჩააბარა საქართველოს მოსახლეობას. სამომავლო პრობლემებზე საუბრისას კი ხაზგასმით აღნიშნა ხელფასებისა და პენსიების გაუცემლობის პრობლემა და აქვე ბრძანა, — „გაძლევთ პრეზიდენტის სიტყვას, რომ ეს მდგომარეობა ყველაზე ოპტიმალურ, პრაქტიკულად შესაძლებელ ვადებში გამოსწორდება“ (აქ რატომღაც ხველება აუტყდა და ყელის ჩასაწმენდად წყლის მოსმა დასჭირდა). პრეზიდენტმა იმის პირობაც მოგვცა, რომ მნიშვნელოვნად შეამცირებს ზღვარს მდიდრებსა და ღარიბებს შორის.

„ჩვენ არა ძველი, არამედ ახალი შევარდნაძე, ახალი პრეზიდენტი გვჭირდება, უფრო მტკიცე, უფრო მკაცრი, უფრო სამართლიანი, რომელიც ჩაუყრის საფუძველს ჩვენი ქვეყნის გამთლიანებას, გაძლიერებას, სახალხო კეთილდღეობას. აი, ამ ტიპის ახალ პრეზიდენტობას გპირდებით“, — განაცხადა ბოლოს ფიცდადებულმა პრეზიდენტმა. ამის შემდეგ, საქართველოს შეიარაღებული ძალების აღლუმი გაიმართა და ინაუგურაციის ოფიციალური ნაწილიც დასრულდა (ისე, ამ ენისმოსატეხ „ინაუგურაციას“ იქვე, ხალხში, სახელდახელოდ ვიღაცამ „ინაგურიაცია“ შეარქვა).

ცერემონიალის შემდეგ პრეზიდენტი და მისი უწმიდესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია  მცხეთას გაემგზავრნენ, სადაც სვეტიცხოვლის ტაძარში ინაუგურაციისადმი მიძღვნილი საზეიმო პარაკლისი გაიმართა.

## ღვთის რწმენითა და ქველმოქმედებით...

„მე ვილოცებ შენი მკვლელის სულისთვის, რომ შენ საზრუნავი არ გქონდეს, შვილო!“ — შვილმკვლელი დედის ამ სულისშემძვრელმა ნათქვამმა მძიმედ გადაუარა საპატრიარქოში შეკრებილთ. აგერ უკვე 10 წელია, რაც აღდგომის წინა დღეს, შვილმკვდარი დედები იკრიბებიან საპატრიარქოში და პატრიარქს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს ულოცავენ. ღვთის რწმენითა და უპოვართათვის ქველმოქმედებით ზრუნავენ დედები თავიანთი შვილების სულებზე. დიდმა უბედურებამ აზიარა ისინი ეკლესიას და სიკვდილ-სიცოცხლის ჭეშმარიტი არსის გაგებაში დაეხმარა.

მათ დიდი მადლობა გადაუხადეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს თანადგომისთვის და აღნიშნეს, რომ ჩვენმა ერთობამ ბევრი გამწარებული დედა გადაარჩინა თვითმკვლელობას.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე, სიონის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შვილმკვდარ დედათა მიერ მირთმეული შესამოსლით წარდგა — „ეს იყოს თქვენი შვილების სულების მოსახსენებლად“, — განუცხადა პატრიარქმა დედებს.

## პრეზიდენტი საკადრო „რევოლუციას“ არ მოაწყობს?

პრეზიდენტს დანაპირები საკადრო „რევოლუცია“ არ განუხორციელებია და მისი თქმით, არც აპირებს ამის გაკეთებას. იგი უფრო სტრუქტურულ რეორგანიზაციაზე ფიქრობს! ანუ მოსალოდნელია, რომ შევარდნაძე რამდენიმე უკვე აშკარად კომპრომეტირებული და კორუფციაში ჩაძირული მინისტრის „გაშვებით“ შემოიფარგლება.

საბაჟო სამსახურის გამოთავისუფლებულ ადგილზე კი პრეზიდენტმა ეროვნული უშიშროების საბჭოს თანამშრომელი, იურისტი კობა ნარჩემაშვილი დანიშნა. სხვათა შორის, ეს ის ნარჩემაშვილია, რომელსაც მორალური ხმებით, პრეზიდენტი ყბადაღებული და დღემდე ცაში გამოკიდებული ანტიკორუფციული კომისიის ხელმძღვანელად უპირებდა გამწესებას! საგულისხმოა, რომ ე.წ. ანტიკორუფციული სამსახურის შექმნაზე საუბარი ბოლო დროს მინელდა და ბოლოს სრულიად შეწყდა კიდეც! საინტერესოა — რატომ?!

## სავალუტო ფონდი გვსაყვედურობს

ყაზახეთში გამართული მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დღეებში პრეზიდენტმა შევარდნაძემ ინტენსიური მოლაპარაკებები გამართა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებთან და მათგან არცთუ სასიამოვნო შენიშვნების მოსმენა მოუხდა საქართველოში მძვინვარე საბიუჯეტო კრიზისის გამო. შევარდნაძეს არაორაზროვნად მიანიშნეს, რომ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამები საქართველოში მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგრძელდება, თუ საქართველოს მთავრობა მოქმედების ეფექტურ გეგმას შეიმუშავებს და გამოასწორებს საბიუჯეტო სფეროში არსებულ დარღვევებს... შევარდნაძეს შეჰპირდნენ, მორიგი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი საქართველოში ჩატარდებაო!

## რუსებს 25 წლით სურთ საქართველოში დარჩენა

რევაზ ადამიას განცხადებით, მოსკოვში რუსულ მხარესთან გამართული მოლაპარაკებისას, რუსებმა ოფიციალურად აღიარეს და დაადასტურეს შესაბამის ოქმში, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზები არ უნდა არსებობდეს! მაგრამ მიუხედავად სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილებისა, ახლო მომავალში რუსეთი არ აპირებს საქართველოდან ყველა ბაზის გატანას, მაშინ, როცა გუდაუთისა და ვაზიანის ბაზების გაყვანაზე პრინციპული გადაწყვეტილება მიღებულია, მოსკოვი კატეგორიულად მოითხოვს ქართული მხარისაგან, რომ ბათუმისა და ახალქალაქის ბაზები საქართველოში დარჩნენ კიდევ... 25 წლით!

ქართულმა მხარემ ამ მოთხოვნაზე რუსებს ცივი უარი სტკიცა!

## აკრძალულია ყველგან — „საქართველოს გარდა“

ვაზიანის რკინიგზის სადგურში პიროლიზებული მასალით სავსე ცისტერნების შემადგენლობის შემოსვლამ დიდი აურზაური გამოიწვია ბენზინის ბიზნესის ბოსებში. საქმე ის არის, რომ პიროლიზებული ნედლეულით საქართველოში დიდი ხანია ფალსიფიცირებულ ბენზინს ამზადებენ, რომლის წვის შედეგად გამოყოფილი აირი სპობს და ანადგურებს ადამიანის ორგანიზმს, გარემოს და ეს მაშინ, როცა საერთაშორისო კონვენციით მსგავსი ბენზინის წარმოება აკრძალულია ყველგან, რა თქმა უნდა, „საქართველოს გარდა“, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობაც ითვალისწინებს მსგავს აკრძალვებს! ბენზინის პატიოსანმა იმპორტიორებმა საპროტესტო განცხადება გააკეთეს აღნიშნულთან დაკავშირებით, მაგრამ არავინ იცის, შედეგად რა მოჰყვება ამ განცხადებას, რადგან გაირკვა, რომ პიროლიზებული ნედლეული საქართველოში გამუდმებით შემოაქვთ, გამკითხავი კი არავინაა!

## პოლიტიკური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლა?!

„იტერას“ მიერ საქართველოსთვის გაზის შეწყვეტამ მორიგი საგაზო ციებ-ცხელება გამოიწვია თბილისსა და რუსთავში. მოსკოვს დაუყოვნებლივ მიაშურეს ვანო ჩხარტიშვილმა და დავით მირცხულავამ, რათა ერთხელ და „სამუდამოდ“ გაარკვიონ „იტერასადმი“ საქართველოს 70 მილიონი დოლარის დავალიანების საქმე. არადა, „უცნაური“ ის არის, რომ ვაჟა ლორთქიფანიძესა და სხვა ხელისუფალთ არაერთხელ საჯაროდ განუცხადებიათ, რომ „იტერასთან“ ყველაფერი გარკვეული და მოგვარებულიაო(!). თუ ეს ასეა, მაშინ აშკარაა, რომ რუსები გაზის განუწყვეტელი შეწყვეტა-მოწოდებით ფსიქოლოგიურ და იქნებ პოლიტიკურ ზეწოლასაც ახდენენ ქართულ მხარეზე, რა თქმა უნდა, გარკვეული მიზნების მისაღწევად... მიზანი კი ბოლო დრომდე ერთი ჰქონდათ — თბილგაზის ხელში ჩაგდება!

გაზის შეწყვეტამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო რუსთავის ცემენტის ქარხანაც, რომელმაც შეწყვიტა ფუნქციონირება, 750-მდე თანამშრომელი კი უხელფასო შვებულებაში გასვლის საშიში პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდა.

..დაბოლოს, მოსკოვში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, საქართველო თუ უახლოეს დღეებში გადაიხდის 10 მილიონ დოლარს, „იტერა“ განაახლებს გაზის მოწოდებას!

**(ბლექ სი პრესი)** საქართველოს სამთავრობო დელეგაციის წევრებმა აღიარეს, რომ ქართულმა მხარემ არ შეასრულა ვალდებულებები მიმდინარე მოწოდებების ანაზღაურებაზე და გასული წლების დავალიანების დაფარვაზე. ქართულმა მხარემ იკისრა ვალდებულება 2000 წლის 5 მაისამდე ნაწილობრივ დაფაროს თავისი დავალიანება და დარჩენილი დავალიანების დაფარვის გრაფიკი წარმოადგინოს.

## გუბერნატორს მცირე დაჟეჟილობა აქვს

27 აპრილს, ღამით, თერჯოლასთან, იმერეთის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი ავტოკატასტროფაში მოჰყვა. მისი სამსახურის ავტომანქანა გაზ-31 ბეტონის ბოძს შეასკდა. მძღოლმა თავის ქალის დაზიანება მიიღო, შაშიაშვილმა კი მცირე დაჟეჟილობა. გუბერნატორის თქმით, „იგი ღმერთმა გადაარჩინა და მომავალშიც ღმერთის იმედი აქვს...“ მძღოლის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

## იელოველებმა მსხვერპლშეწირვის ესტაფეტა აიტაცეს

იელოველი ქართველი გოგონას ლია ჯანქანიძის მიერ ამას წინათ ჩადენილი მსხვერპლშეწირვის „ესტაფეტა“ აიტაცა მისმა გორელმა თანამოქალაქე 21 წლის ბიჭმაც, რომელიც ავტოკატასტროფის შემდეგ საჭიროებს სისხლის გადასხმას, პაციენტი კი ყოყმანობს... მას თავს დასტრიალებენ და „უვლიან“ იელოველები, რომლებსაც 21 წლის მამუკა სულიერ და-ძმებს უწოდებს. დაშავებულს მძიმე მოტეხილობა აქვს და საჭიროებს ოპერაციას, სისხლის გადასხმაზე გადაწყვეტილების მიღებას კი იგი, ჯერჯერობით, „ასაიდუმლოებს“, თუმცა აშკარაა, რომ ლია ჯანქანიძის სიკვდილმა მასზე ერთგვარი გავლენა იქონია და ექიმები არ გამორიცხავენ, რომ პაციენტი შეიძლება დაითანხმონ სისხლის გადასხმაზე... ამასობაში კი იელოველებმა თბილისში ჩამოიყვანეს საკუთარი „ექსპერტები“, რომლებმაც აქეთ დაადანაშაულეს ქართველი ექიმები ჯანქანიძის სიკვდილში, რომლებმაც თურმე შეგნებულად არ გადაუსხეს სისხლის ალტერნატიული საშუალებები იელოვას მოწმეს. მეტიც, ჯანქანიძის დედა უკვე... კომპენსაციასაც ითხოვს.

## დასხივებული ჯარისკაცების სიცოცხლე საფრთხეშია

ორი წლის წინ ლილოს სამხედრო ბაზაზე დასხივებულ ქართველ ჯარისკაცთა სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია! ჯარისკაცებს, რომელთა არსებობა ბოლო დრომდე აღარავის ახსოვდა, დარღვეული აქვთ გენეტიკური კოდი, რაც უნაყოფობას იწვევს! მაგრამ ამას ვინღა ჩივის, როცა უკვე მათი სიცოცხლეა კითხვის ნიშნის ქვეშ! ამ ჯარისკაცთა უმრავლესობა ლეიკემითაა დაავადებული, ხელისუფლება კი მათ... 45 ლარ პენსიაზე ამყოფებს. საფრანგეთსა და გერმანიაში მკურნალობისას ჯარისკაცებს მხოლოდ დიაგნოზი დაუსვეს და სხივური დამწვრობის პირველადი დახმარების კურსი ჩაუტარეს. ერთ-ერთი ჯარისკაცი, გოდერძი ჩახუნაშვილი დღემდე საფრანგეთშია უმძიმეს მდგომარეობაში და არც ერთი იქაური კლინიკა აღარ იღებს მისი მკურნალობისათვის აუცილებელ ხარჯებს საკუთარ თავზე... არადა, მოსკოვის ბიოფიზიკის ინსტიტუტის სპეციალისტების დასკვნით, ლილოს სასწავლო ცენტრის ყოფილ ჯარისკაცებს მკურნალობა მრავალი წლის მანძილზე ესაჭიროებათ. მიკროქირურგიული ჩარევების გარდა, წელიწადში ორჯერ აუცილებელია სპეციალური სამკურნალო კურსის ჩატარებაც, რაც ათეულათასობით დოლარს მოითხოვს, მისი გადამხდელი კი საქართველოს ხელისუფლებაში, რა თქმა უნდა, არავინაა...

## ცუდ დღეში — ყველა თვალსაზრისით!

გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ფირმა „ყაზბეგი-კასტელიზე“ 1996-1999 წლებში უკანონოდ გავრცელებული საბაჟო შეღავათების ფაქტზე! პროკურატურის განცხადებით, „ყაზბეგი-კასტელი“ მთელი სამი წლის მანძილზე უკანონოდ სარგებლობდა შეღავათებით პარლამენტის მიერ მიღებული კანონით „უცხოური ინვესტიციების შესახებ“, რომლის მიხედვითაც იმპორტზე გადასახადს არ იხდიდა. გასულ წელს კი თოფაძე ორ სასამართლო პროცესზე დამარცხდა და ბიუჯეტის სასარგებლოდ 3 მილიონ 600 ათას ლარამდე თანხის გადახდა დაეკისრა! თოფაძე ამ თანხის გადახდას არ აპირებს და იშველიებს იმავე კანონის მე-11 მუხლს, სადაც წერია, რომ გადასახადისაგან უკანონოდ გათავისუფლების შემთხვევაში პასუხი უნდა აგოს ჩინოვნიკმა და არა მეწარმემ! თოფაძე ამტკიცებს, რომ ამ შეღავათებით სარგებლობის უფლება სახელმწიფო უწყებებმა, ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის სამინისტროებმა მისცეს და, შესაბამისად, ზარალი მათვე უნდა აანაზღაურონ. ამასთან, თოფაძის მტკიცებითვე, სასამართლო დასკვნაში წერია, რომ აღნიშნულ დარღვევაში დამნაშავეა საბაჟოც, მაგრამ მაინც „ყაზბეგი-კასტელის“ აჯარიმებს... თოფაძის ამ არგუმენტებს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია გენპროკურატურაზე, რომლის განცხადებითაც, „ყაზბეგის“ შეფმა სახელმწიფოს უნდა გადაუხადოს გადასახადები, თუმცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მხოლოდ ის თანამდებობის პირები მიეცემიან, რომლებმაც ამ შეღავათებით სარგებლობის უფლება მისცეს თოფაძეს! პროკურატურამ უკვე დაჰკითხა ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის სამინისტროების მაღალი თანამდებობის პირები, საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჯგერენაია და ის ნოტარიუსი, რომელმაც „ყაზბეგი-კასტელის“ დოკუმენტაცია გააფორმა. სულ ეჭვმიტანილია 20-მდე თანამდებობის პირი და ჩინოვნიკი და კულუარებში სავსებით ლოგიკურად სვამენ შეკითხვას: არ იცოდა თოფაძემ, რაზე მიდიოდა, როცა შეღავათებს უკანონებდნენ? ამასთან, ისიც ფაქტია, რომ ეჭვმიტანილი ჩინოვნიკებიც ლუდი „ყაზბეგის“ სიყვარულის გამო არ მისცემდნენ საგადასახადო შეღავათს მსხვილ გადამხდელ თოფაძეს!

## კანონისაგან სახელიღაა დარჩენილი

სანამ პრეზიდენტი ყაზახეთში მართავდა შეხვედრებს, პარლამენტში ერთმანეთს შეასკდნენ უმრავლესობისა და ხელისუფლების წარმომადგენლები. უმრავლესობის სხდომაზე რეზო შავიშვილმა კონტროლის პალატის მიერ მოპოვებული საბიუჯეტო დარღვევების დოკუმენტები წარმოადგინა და თან რჩევა მისცა უმრავლესობას, რომ უნდობლობა გამოუცხადონ ხელისუფლებას(!). ამის შემდეგ დაიწყო „ომი“ რეფორმატორებსა და მთავრობის წევრებს შორის და მართალია პარლამენტარმა „მოქალაქეებმა“ ბევრი იყვირეს და იხმაურეს ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედებების გამო, ისიც თქვეს, რომ ქვეყანას მთავრობა არა ჰყავსო, მაგრამ საბოლოოდ მისთვის „უნდობლობის“ გამოცხადებისაგან თავი შეიკავეს(!)... არადა, თუ შავიშვილის განცხადებას დავეყრდნობით, რომლის თანახმად 1999 წლის ბიუჯეტის კანონის 22 მუხლიდან 16 არ არის შესრულებული, ანუ კანონისაგან მხოლოდ სახელიღაა დარჩენილი, აშკარა შეიქნება, რომ საქართველოს მთავრობის ადგილი არის არა სახელმწიფო კანცელარიაში, არამედ „სხვაგან“... მით უმეტეს, რომ იგივე კონტროლის პალატა ბიუჯეტში არსებულ 300 მილიონიანი გარღვევის მიზეზად ასახელებს სწორედ ხელისუფლების კორუმპირებულობას...

## ქართველი ბიზნესმენის მკვლელობა

მოსკოვში საკუთარ სახლთან ერთი გასროლით მოკლეს 50 წლის ცნობილი ქართველი ბიზნესმენი, ბერეზოვსკის პარტნიორი და პუტინის საარჩევნო შტაბის წევრი — დავით დვალი! მოსკოვის მილიციის ვერსიით, ქილერი დვალის ნაცნობი იყო, რადგან დვალმა ის სალაპარაკოდ ახლოს მიუშვა. დავით დვალი დახურული სააქციო საზოგადოება „მდმ ტრანსსერვისის“ დამფუძნებელი გახლდათ. იგი ოთხი სხვადასხვა მანქანით სარგებლობდა და მაქსიმალურად იცავდა უსაფრთხოებას, თუმცა პირადი მცველი არასოდეს ჰყოლია. „ფორდით“, „აუდით“ და „ვოლგით“ გადაადგილების შემდეგ, იგი ავტოფარეხიდან თავის სადარბაზომდე „ნივით“ მიდიოდა, რომელსაც ეზოშივე ტოვებდა. დაღუპვის დღესაც ანალოგიური მარშრუტით მივიდა შინ, სადაც სადარბაზოში უკვე ელოდებოდა დაქირავებული მკვლელი! „საქმის გაკეთების“ შემდეგ ქილერი ველოსიპედით გაეცალა იქაურობას...

## რუსეთის მასმედიის მორიგი დეზინფორმაცია

რუსეთის მასმედიამ მორიგი პატაკი მიართვა საზოგადოებას რუსეთ-საქართველოს საინფორმაციო ომის „ფრონტიდან“, კერძოდ, სიამაყით აუწყეს, რომ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ჩამოაგდეს ვერტმფრენი, რომლითაც საქართველოში ჩეჩენი ბოევიკები გადაჰყავდათო, „დამამტკიცებელი დოკუმენტებიც“ წარმოადგინეს — შატილში ნამსხვრევებად ქცეული ვერტმფრენის ნაშთები... სინამდვილეში კი გაირკვა, რომ ეს ვერტმფრენი ჯერ კიდევ 1993 წელს ჩამოვარდნილა შატილის მიდამოებში. მგზავრები ჩეჩნები ყოფილან, ვერტმფრენიც მათი ყოფილა და შატილში ყველის ბიზნესის საქმეზე მიეშურებოდნენ, მაგრამ ვიწრო ხეობაში ვერტმფრენის ფრთა მთას გამოსდებია და დამსხვრეულა. კატასტროფის შედეგად არავინ დაღუპულა და შატილელ ექიმებს ნაკერებდადებული დაშავებული ჩეჩნები მშვიდობიანად გაუსტუმრებიათ — ყველის საქმეზე!

შატილში კი რუსეთის ავიაცია კვლავაც არღვევს და არღვევს ჩვენი საჰაეროს სივრცის საზღვრებს...

## არძინბა გახარებულიცაა და გულიც სწყდება

**(გეა)** აფხაზეთის „პრეზიდენტმა“ ვლადისლავ არძინბამ აფხაზეთის ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ რუსეთის ჯარების გაყვანა გუდაუთის ბაზიდან შესანიშნავი საჩუქარი იქნება აფხაზური არმიისათვის, რომელიც ამ ბაზას დაიკავებს. არძინბამ მზადყოფნა გამოთქვა, გააფორმოს რუსეთთან ხელშეკრულება „აფხაზეთში რუსეთის ბაზების მუდმივი დისლოცირების“ თაობაზე და გულისტკივილით აღნიშნა, რომ „აფხაზეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანა კავკასიიდან რუსეთის გაქცევას“ ემსგავსება.

## სიბერეს დავამარცხებთ?!

ამერიკელმა მეცნიერებმა ადამიანის ორგანიზმის ზოგიერთ უჯრედში დაბერების პროცესების შეჩერების შესაძლებლობას მიაკვლიეს. აღმოჩენა შემთხვევით გაკეთდა კლონირების ახალი მეთოდის შემუშავებისას. კლონირება ძროხებზე გაკეთდა და მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ კლონირებულ ცხოველებს სრულიად ახალგაზრდა ქსოვილები განუვითარდათ. შედეგად, ერთი საცდელი ძროხა იცოცხლებს... 200 წელიწადს! იგივე ცდა მალე ადამიანზეც ჩატარდება და მოელიან, რომ შედეგიც ანალოგიური იქნება. ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 150 წელს მიაღწევს. მეცნიერები იმასაც გვპირდებიან, რომ 150 წლის ადამიანს იმუნური სისტემა ისეთივე ექნება, როგორიც 16-17 წლის ახალგაზრდებს! შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეცნიერებამ უკვე დაამარცხა სიბერე?! ღმერთმა ქნას.

## ჯერ კიდევ გვაქვს დრო!

კალიფორნიის უნივერსიტეტში მეცნიერებმა კომპიუტერის საშუალებით გამოთვალეს... დედამიწის აღსასრულის დრო. ამ გაანგარიშებით, ჩვენი პლანეტა ცივ და უსიცოცხლო სხეულად ზუსტად 3 მილიარდი წლის შემდეგ იქცევა! ეს ასტრონომიული რიცხვი კომპიუტერმა ოთხი მილიარდი ვარსკვლავის მოძრაობის შედეგად გამოთვალა. ასე რომ, კარგა ხანს შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ...

# საალდგომო ეპისტოლე უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა



მკვიდრთა საქართველოისათა და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მყოფთა მეთა და ასულთა ღვთისათა – ყოველთა ღვთივკურთხეულთა ივერთა:

„იყავნ თქუენ თანა მადლი, წყალობა და მშვიდობა ღმრთისა მიერ მამისა და უფლისა მიერ იესო ქრისტესა მისა მამისა ჭეშმარიტებით და სიყვარულით “ (2 იოანე 1,3).

ქრისტესმიერ საყვარელნო ძმანო და დანო,

## ქრისტე აღსდგა!

აღდგა ერთობა ღმერთთან, და გაიხსნა კარი მარადიული სიხარულისა.

## ქრისტე აღსდგა!

იხარებს და იშვებს ცა და დედამიწა, ანგელოზთა დასი
და კაცთა ნათესავი, სამყარო ხილული და უხილავი.

## ქრისტე აღსდგა!

სიცოცხლე მეფობს, რამეთუ უჭკნობ ნეტარებას მივემთხვიენით.
მოვედით და შევსვათ წყარო უხრწნელებისა, ვიხმიოთ ჰური საზეპურო, ტრაპეზი – სამეუფო.

მთელი სამყარო თაყვანსა სცემს ღვთის დიდებასა და მოწყალებას, რამეთუ დაიხსნა ბჭენი ჯოჯოხეთისანი, დაითრგუნა სიკვდილი და ჩვენც წმიდა პავლე მოციქულთან ერთად ვხმობთ: „სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევა□ შენი“ (1 კორ. 15,55 ).

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს დაუტევნელი გრძნობა ვახაროთ დედას უფლისას და ანგელოზის მსგავსად, რომელმაც პირველმა მიულოცა მას მაცხოვრის აღდგომა, ჩვენც ვუგალობოთ: „განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალიმ, დღეს დიდება უფლისა შენ ზედა გამობრწყინდა, განსცხრებოდე და იხარებდ სიონ და აწ შენცა იშვებდი, ღვთისმშობელო, აღდგომასა ძისა შენისასა“. ამ დღეს მისი გახსენება განსაკუთრებულად გვმართებს, რადგან წილხვედრნი ვართ ყოვლადწმიდა მარიამისა და მისი მეოხებით გავხდით ღირსნი ქრისტეს ნათლისა.

მაგრამ მოდით გავიხსენოთ ის დრო, როდესაც ეს დიდი სასწაული მოხდა.

დიდი პარასკევი; უფლის ვნების დღე; ავაზაკთა გვერდით ჯვარზე გაკრული აღესრულა მაცხოვარი; უნუგეშოდ შთენილი, სასოება მიხდილი, დამცირებული მოციქულნი და ახლობელნი უფლისა დაბნეულობას მოეცვა. მათი მდგომარეობა მართლაც ამის საფუძველს იძლეოდა, რადგან დაკარგეს არა მარტო მოძღვარი, არამედ მათ თვალწინ ეწამა ღმერთი. ამასთან იესო ქრისტე გასცა თორმეტ უახლოეს მოწაფეთაგან ერთ[-ერთმა.

არას მქონეთ, უბირთ და გამოუცდელთ რისი იმედი უნდა ჰქონოდათ? თუნდ ექადაგათ, ვინ რას დაუჯერებდა?

მაშ, როგორ მოხდა რომ ამ უბრალო მეთევზეებმა სძლიეს მთელ წარმართულ სამყ\აროს, დაამარცხეს მეფეები და მათი ჯარები, დაიპყრეს მსოფლიო?

- ამაშია ღვთის განგებულების დიადი საიდუმლოება, ამაშია ძალა და ძლიერება სულიწმიდისა, უძლურთა მკურნალისა და ნაკლულევანთა აღმავსებელისა. ეს ძალა ჯვარცმიდან ორმოცდამეათე დღეს მიენიჭათ მოციქულებს და უფლის მადლით მათ მართლაც რომ განაცვიფრეს გარშემომყოფნიც და მსოფლიოს მრავალი ქვეყანაც.

რატომ გამოირჩია ისინი უფალმა; რით დაიმსახურეს მათ ღვთის ასეთი წყალობა?

უპირველეს ყოვლისა , გულის განსაკუთრებული სიწმინდითა და სულის სიწ\რფელით, თავმდაბლობითა და შრომისმოყვარეობით. ამიტომაც იქცნენ ისინი სასურველ ჭურჭლად უფლისა და დაიტიეს მათზე უხვად გარდამომავალი მადლი სულისა წმიდისა.

დღეს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს რომ ვუყურებთ, ჩანს, რომ ხალხის ნაწილი დაბნეულია და გულგატეხილობა დაუფლებიათ. გადაუჭრელი საკითხები მართლაც ბევრია: კორუფცია, დაუსაქმებელი მოსახლეობა, ნარკომანია, ქურდობა, სოციალურად დაუცველი ფენის გამრავლება და სხვა.

ზოგიერთნი აქედან გამოსავალს მხოლოდ უცხოურ დახმარებასა და კრედიტებში ხედავენ, რაც არასწორია, რადგან უშრომელად მიღებული თანხა ბარაქას ვერ გამოიღებს. დახმარება, ინვესტიციები, კრედიტები საჭიროა, მაგრამ მთავარი არ არის. მთავარია ჩვენ თვითონ დავიწყოთ შრომა და ვიზრუნოთ იმაზე, რათა ღირსნი გავხდეთ უფლის წყალობისა, რომ იესო ქრისტეს იმედმიხდილ, დაუძლურებულ მოწაფეთა მსგავსად აღგვადგინოს, განგვაცხოველოს და განგვაბრწყინვოს უფლის მადლმა და ძალამ.

ყველამ ვიცით\, რომ ჩვენმა ქვეყანამ დემოკრატიის გზით განვითარების პრინციპი აირჩია და ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯებიც გადადგა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას არა აქვს გაცნობიერებული, რომ ცხოვრების ეს წესი უცხო ქვეყნების ყოფის ბრმა მიბაძვას არ ნიშნავს, რომ სინამდვილეში ყველა ქვეყანას საკუთარი დემოკრატიული წყობა უნდა ჰქონდეს დაფუძნებული ეროვნულ ტრადიციებზე, კულტურაზე, აზროვნებაზე... ბუნება თვითონ იძლევა მაგალითს მრავალფეროვნებისას. არ არსებობს ერთნაირი ფოთოლიც კი, რომ არაფერი ვთქვათ ადამიანზე და მის ფსიქიკაზე; ხოლო სახელმწიფოში, სადაც მექნიკურად იმეორებენ სხვათა ნააზრევს, სხვათა ფორმულებს, ვიღებთ უსულო, დაშტამპულ, სიცოცხლის უნარდაკარგულ საზოგადოებას, რომელიც აუცილებლად განვითარების დეგრადაციული გზისთვისაა განწირული. ეს აქსიომაა.

დღეს საქართველოში აქცენტი ე. წ. „კანონის უზენაესობაზე “ კეთდება, ამიტომაც როგორ კანონებსაც მიიღებს სახელმწიფო, ეს განაპირობებს ქვეყანაში მიმდინარე არა მარტო ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს, არამედ ხალხის სულიერ მდგომარეობასაც.

დემოკრატიული წყობის ერთ-ერთი მთავარი დადებითი მხარე სწორედ ისაა, რომ ასეთ ქვეყნებში განსაკუთრებულად უფრთხილდებიან სხვის ღირსებას, თავისთავადობას, და ქმნიან პირობებს ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობების სრული გამოვლენისათვის. ჩვენთან კი ზოგიერთნი სწორედ დემოკრატიის სახელით უპირისპირდებიან იმას, რაც განაპირობებს ერის ინდივიდუალობასა და თვითმყოფადობას, უპირისპირდებიან ჩვენს ტრადიციებსა და კულტურას და გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ცდილობენ ქვეყანას გადაუჭრან ის მაცოცხლებელი ფესვები, რომელიც ასაზრდოვებს ჩვენს ერს და განაპირობებს მის წინსვლას.

რატომ ხდება ასე?

ხელისუფალთა სიბრძნე უპირველეს\ ყოვლისა იმაშია, რომ შეძლონ შეინარჩუნონ საზოგადოების სიჯანსაღე, რაც ღირებულებების სწორად შეფასებას, სწორ აზროვნებას და სახელმწიფოს განვითარების სწორ ორიენტაციას გულისხმობს.

ერთადერთი ძალა, რომელმაც კაცობრიობას განვითარებას სწორი გეზი შეიძლება მისცეს, არის ღვთის აღიარება, როგორც სამყაროს შემოქმედისა და ყოველივეს განმსაზღვრელისა. დღეს ამის აუცილებლობას ადრე ღმერთისადმი მტრულად განწყობილი მეცნიერებიც კი აღარ უარყოფენ.

აი, რას წერს ამერიკელი ცნობილი ფსიქოლოგი უილიამ ჯემსი: „თანდათან ურწმუნო ადამიანად ვიქეც და აღარ მივმართავდი უფალს ბავშვობაში ნასწავლი ვედრებით; თუმცა რომ დავუკვირდი ჩემს წარსულს, აღმოვაჩინე, თურმე მასთან ხშირად მქონია ლოცვის მსგავსი ურთიერთობა. იგი იყო ჩემთან, თუ მე ვიყავი მასთან, არ ვიცი, მაგრამ ჩემი ცხოვრების კრიტიკულ მომენტებში ის მამხნევებდა და სიცოცხლის ძალით მავსებდა, რომ კვლავ შემეგრძნო მისი იდუმალი მყოფობა. მე მას აღვიქვამდი, როგორც დაუშრეტელ წყაროს სიცოცხლისა, სამართლიანობისა, ძლიერებისა, ინსტიქტურად მივმართავდი ძალების დაშრეტისას და იგი მუდამ მევლინებოდა მხსნელად. ახლა კი ნათლად შევიგრძენი და მივხვდი, რომ უფლისკენ მიმავალი ბილიკის დაკარგვას არაფერი სიკეთე არ მოუტანია ჩემთვის“.

ეს სიტყვები შეიძლება მთელი ეპოქის აღსარებად აღვიქვათ.

მეცნიერებაც და რელიგიაც ორი საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას.

ამ აზრს უძველესი დროიდან ავითარებდა ქრისტეს ეკლესია, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ იგივეს იმეორებს თანამედროვე მეცნიერებაც, რომელიც გარკვეული წლების მანძილზე თითქოს დაუპირისპირდა რელიგიას. თუმცა ეს იყო დროებითი მოვლენა და ამ ეტაპმა, მადლობა ღმერთს, უკვე განვლო.

ევროპისაგან ძალიან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, მაგრამ ვიმეორებ, არ უნდა დავკარგოთ ის ჩვენი ტრადიციული, რაც ჭეშმარიტად ღირებულია და ამასთან მათთვისაც მისაბაძია და დასაფასებელი. ჩვენთან მთავარია ეკონომიური პ[რობლემების მოგვარება, თორემ მოსახლეობაში ღვთისადმი სწრაფვა და სიყვარული გულწრფელია და დიდი, ოღონ მას სწორი მიმართულება უნდა მიეცეს.

ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ქვეყანაში არსებული კანონები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ღვთისაგან დადგენილ კანონებს, სხვა შემთხვევაში სახელმწიფო, როგორი განვითარებულიც არ უნდა იყოს იგი ეკონომიურად, აუცილებლად დიდი სულიერი პრობლემების წინაშე დადგება, რადგან ცხოვრების ასეთი წესი ნაყოფია თავისი თავის აბსოლუტიზაციისაკენ მიმართული, ყველაფრის ლეგიტიმიზაციის მოსურნე გონებისა, რომლისთვისაც აღარაფერია წმიდა და რომელიც თავის თავს გაუცნობიერებლად, ძირფესვიანათ თვითონვე სპობს. თუ გადარჩენა გვინდა, მიწიერი პრობლემების მოგვარების სურვილის გარდა, უნდა ვიზრუნოთ იმაზეც, რომ მოსახლეობას არ დავაკარგვინოთ სასუფეველისაკენ მიმავალი გზა და სხვათა შეცდომები აღარ გავიმეოროთ.

ახლა ჩვენს ქვეყანაში ღმერთის არსებობაზე და რელიგიის აუცილებლობაზე ყველა ლაპარაკობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასევე ბევრს ლაპარაკობენ აღმსარებლობის თავისუფლებაზე. რა თქმა უნდა, ყველას აქვს უფლება, სწამდეს ის, რაც მას ჭეშმარიტებად მიაჩნია. რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა არასწორია, მაგრამ ყოვლადგაუგებარია ზოგიერთ იდეოლოგთა მცდელობა იმისა, რომ ნებისმიერი რელიგია, სექტა თუ სხვა და სხვა მიმდინარეობანი ერთ სიბრტყეზე დააყენონ და ხალხს მათი თავისუფალი არჩევის შესაძლებლობა შესთავაზონ.

რა გამოდის, რომ თურმე არსებობს 10-100-1000 ჭეშმარიტება? არადა საშუალოზე დაბალი განვითარების ადამიანმაც კი იცის, რომ ჭეშმარიტება ერთია.

მაინც რის საფუძველზე ქადაგებენ დღეს ზოგიერთნი რელიგიურ პლურალიზმს?

როგორც ჩანს, ისინი იმქვეყნიურ სიცოცხლეზე არც ფიქრობენ და არც სწამთ იგი, თორემ ასე როგორ გაიმეტებდნენ თავის თავსაც და ხალხსაც მრწამსის ნაირფეროვანი არჩევანისთვის? ეს ხომ მარადიული სიკვდილისათვის მათ განწირვას ნიშნავს?! ხოლო თუ არ სჯერათ სულის უკვდავება, რელიგიაზე რატომღა ლაპარაკობენ? ნუთუ იმიტომ, რომ რწმენა საზოგადოების მართვის ერთ-ერთ საშუალებად წარმოუდგენიათ, თვითონ კი სულით ათეისტები არიან და ხალხს განზრახ აბნევენ?

ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს სექტების დამღუპველი მოქმედების შესახებ და იმის თაობაზეც, რომ თუ სახელმწიფომ დროულად არ მიიღო გადამჭრელი ზომები, ხვალ უკვე ძალიან გვიან იქნება. შედეგი კი ჯერ არ სჩანს.

დღეს, მაგალითად, ე. წ. იეღოველებზე ტელევიზიაც და პრესაც ალაპარაკდა და შეშფოთებას გამოთქვამენ, რადგან უკვე ათეულობით შემთხვევაა იმისა, რომ სისხლის გადასხმაზე უარის თქმის გამო ამ სექტის მიმდევარნი გარდაიცვალნენ.

რა თქმა უნდა, ეს მეტად სამწუხარო ფაქტია და არც შეიძლება, რომ იგი საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი არ გახდეს, მაგრამ იგივე იეღოველთა სექტა, რომ აყალიბებს ქვეყნის და სახელმწიფოს ინტერესების მოწინააღმდეგეთა მთელ არმიას, ეს საგანგაშო არ არის? რომ ათასობით ადამიანი ფაქტიურად სულიერად მკვდარია, როგორც საქართველოს სახელმწიფოს ინტერესების დამცველი (აღარაფერს ვამბობთ ქრისტიანებისადმი მათ დამოკიდებულებაზე) და მათი რიცხვი ხვალ უფრო მეტი იქნება, ეს არ არის საშიშროება ჩვენი პატარა სამშობლოსათვის, რომელსაც გარშემო ამდენი ქვეყანა ესაზღვრება?

სამწუხაროა, რომ ასეთ უარყოფით ძალას ჩვენს საზოგადოებაში ქომაგები გამოუჩნდა, რომელნიც ვითომც დემოკრატიისა და თავისუფლების სახელით მოქმედებენ. საინტერესოა, თვითონ რა აღმსარებლობისა არიან ისინი?

რჯულთშემწყნარებლობის გამოვლენა მორწმუნე ადამიანისაგან კარგია, როდესაც იგი რწმენის სისავსიდან და უმაღლესი ზნეობრივი ძალის გაცნობიერებიდან მომდინარეობს , ხოლო რჯულთშემწყნარებლობა მრწამსის არმქონე ადამიანისა კიდევ ერთი დასტურია მისი ულმრთოებისა.

თუ ჩემთვის სულერთია ქრისტიანობა, იუდაიზმი, წარმართობა, ესა თუ ის სექტა... მაშინ, როგორ არ ვიქნები შემწყანრებელი ამა თუ იმ რწმენის მიმართ, მაგრამ რაში იქნება ღირსება ჩემი შემწყნარებლობისა? !

„რელიგიური ინდიფერენტიზმი“, - წერს ვლადიმერ სოლოვიოვი - სრული უგულველყოფაა გულის სითბოსი და სულიერობისა. ეს არის ზნეობრივი გაყინვის წერტილი, სიცივე სულიერი სიკვდილისა. ხოლო თუ უმაღლესი იდეალისადმი საზოგადოების გულგრილობისას თავს იჩენს მათი მკვეთრი ლტოლვა მდაბალი ინტერესებისა და მატერიალური კეთილდღეობისადმი, ნათელია, რომ ჩვენს წინაშეა სოციალური გახრწნის პროცესი (სოლოვიოვი ტ. IV, გვ. 138). სავალალოა, რომ საქართველოს მოსახლეობა ასეთი საშიშროების ზღვარზე დგას.

უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ გამოგვისხნა მარადიული სიკვდილის წყვდიადისაგან. გამოგვისყიდა, განგვამართლა, და შეგვირიგდა გოლგოთის სამსხვერპლოზე, მაგრამ როგორც გამოსყიდვა, ისე განმართლებაც და შერიგებაც ჩვენს მონაპოვრად უნდა იქცეს. ეს კი მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენით არის შესაძლებელი. რწმენით, რომელიც ფაქტიურად როგორც საჩუქარი ისე მივიღეთ უფლისაგან; ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში ვკითხულობთ: „ მადლით ხართ გადარჩენილები რწმენის მეშვეობით, და ეს თქვენგან კი არ არის, არამედ ღვთის ნიჭია“ ( 2,8).

ზოგიერთს იქნებ ჰგონია, რომ მოციქულთა და წმიდა მამათა მიერ დადგენილი ქრისტიანული ღირებულებანი დროის შესაბამისად უნდა იცვლებოდეს. ასეთი ადამიანები სულიერობაში საერთოდ ვერ ერკვევიან და სარწმუნოებას მეცნიერულ -ტექნიკური პროგრესის მსგავსად განიხილავენ. მათ არ ესმით, რომ მართლმადიდებლობა ეს არის ქრისტეს ეკლესია დედამიწაზე. ქრისტეს ეკლესია კი არის სულიწმიდის მადლით განახლებული სიცოცხლე ქრისტესთან და ქრისტეში.

ქრისტიანობაში სწორედ სათავეები უნდა ეძებოს ჭეშმარიტების პოვნის მსურველმა, იმ წყაროს უნდა მიაგნოს, რომელიც პირველქმნილი მადლით ავსებს მის მიმღებთ და შეურყვნელად იცავს მაცხოვრის სწავლებას.

მადლობა ღმერთს, ჩვენი ქვეყანა უკვე 2000 წელია ამ წყაროსაა დაწაფებული და უხვად საზრდოობს მისი მაცოცხლებელი ძალით. საქართველოს ეკლესია იცავდა და იცავს უძველესი, მოციქულთაგან ბოძებული, ერთიანი, განუყოფელი ქრისტეს ეკლესიის ტრადიციას.

განა ეს არ უნდა გვიხაროდეს და გვეამაყებოდეს. განა შეიძლება ღვთისაგან ბოძებული ამ წყალობის ვერ დანახვა ან უგულვებელყოფა?

დიახ, ჭეშმარიტება ერთია და მას ვერ უმეტოქევებს სხვა ნახევრადჭეშმარიტებანი. ეს არ არის ამპარტავნება და სხვათა ზემოდან ყურება, რადგან ჭეშმარიტება დამსახურებისამებრ არ მოიპოვება, არამედ იგი ერს ღვთისაგან ეძლევა

ქრისტიანობა ჯვრისმტვირთველობაა - ამასთან ვერტიკალური ხაზი მიანიშნებს ჩვენს მსახურებას და ერთგულებას უფლისადმი, ხოლო ჰორიზონტალური - მოყვასისადმი.

თუ ქრისტიანის ცხოვრება ჯვარს არ ქმნის, იგი არ ცხოვრობს სწორად.

ადამიანმა მადლობით უნდა მიიღოს ის ტვირთი, რისი ტარებაც ამქვეყნად უწევს, სანაცვლოდ კი ღირსი გახდება მარადიული ნეტარებისა. გახსოვდეთ, უფალი იმაზე დიდ ჯვარს არ მოგცემთ, რისი აწევაც თქვენ არ ძალგიძთ, ოღონდ ნუ მიენდობით მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ უფლის სასოება არ დაკარგოთ ყველაზე მძიმე წუთებშიც და მაშინაც, როცა სიხარულით იქნებით სავსე.

მე მინდა ერთი მაგალითი მოვიყვანო ჩვენი დღევანდელი ცხოვრებიდან. თქვენ იცით, ბოლო დროს ახალგაზრდების სიკვდილიანობა გახშირდა; დაახლოებით 10-12 წლის წინ კი ეს დიდი იშვიათობა იყო; და, აი, მაშინ, ერთ მეტად სათნო, სიყვარულით სავსე ოჯახში უდიდესი უბედურება დატრიალდა: ღამით, როდესაც მშობლები სახლში არ იყვნენ მათი შვილები - 14 წლის ვაჟი და 8 წლის გოგონა დაძინებულები გაზით მოიწამლნენ და აღესრულნენ.

უნაპირო მწუხარებით ელოდნენ დედ-მამა დაკრძალვის დღეს. თურმე ცოლ=-ქმარს ერთმანეთთან მოელაპარაკებინათ, შვილებს რომ დაასაფლავებდნენ თვითონაც თავი უნდა მოეკლათ.

დაკრძალვამდე ორი დღით ადრე საპატრიარქოში მოვიდა მათი ახლობელი რამოდენიმე ადამიანი და მთხოვეს, დამელოცა გარდაცვლილი ბავშვები და მათი სასოწარკვეთილი მშობლები.

ჩვენ, მართლაც, მივედით ამ ოჯახში, რომელსაც საერთოდ არ ვიცნობდით და ძალისაებრ ჩვენისა ნუგეში ვეცით. მოხდა სასწაული, თითქოს მაშინვე სულიწმიდის მადლით აღივსო ორივე და მათი გული რწმენამ გაათბო.

ღმერთმა არ დაკარგა მათი სიკეთე, მათი სიყვარული, ერთგულება და, აი, ასეთი ჯვარი მისცა: უმძიმესი ტრაგედიით მიიყვანა ისინი დიდ რწმენამდე, რომელმაც სრულიად გარდაქმნა მათი აზროვნება.

ცოლ-ქმარში ისე განმტკიცდა რწმენა, რომ ცხოვრების მიზნად მხოლოდ ღვთის დიდება და მოყვასის მსახურება აირჩიეს. მათ თავის გარშემო გააერთიანეს შვილგარდაცვლილი სხვა ოჯახები და მათი ტკივილისა და მწუხარების ნუგეშად იქცნენ. დღეს ასეთ ოჯახთა რიცხვი 400 -მდეა, ისინი ყოველ შაბათ-კვირას დადიან ტაძარში, სპეციალურ წირვებს აყენებენ გარდაცვლილი შვილებისათვის, ხშირად ეზიარებიან, ეხმარებიან გაჭირვებულ ხალხს, ხელმოკლე მონასტრებს, ცდილობენ ქრისტიანულად იცხოვრონ და უფლის რწმენა განამტკიცონ სხვა ადამიანებშიც.

ჭეშმარიტად დიდ არს უფალი და საკვირველ არიან საქმენი მისნი.

მაგრამ აუცილებელი არ არის მაინც და მაინც დიდი მწუხარება შეხვდეს ადამიანს, რომ დაფიქრდეს და პასუხი გასცეს ისეთ აუცილებელ კითხვებზე, როგორიცაა: რაში მდგომარეობს სიცოცხლის აზრი?, რისთვისაა თითოეული ჩვენგანი გაჩენილი, რა არის სინამდვილეში სიკეთე და რა ბოროტება?...

შევთხოვ ღმერთს, მოგვცეს გული წმიდა და გონიერი, მოგვცეს სიწრფელე სულისა, რომ შევძლოთ, დავინახოთ ჭეშმარიტების გზა როგორც საკუთარი სულის, ისე ქვეყნის გადასარჩენად.

ასეთია ეკლესიური ხედვა ჩვენს ქვეყანაში დღეს მიმდინარე ზოგიერთი პროცესისა. ჩვენ იმედით ვუყურებთ მომავალს და გვჯერა, რომ საქართველო გაუძლებს დროის გამოცდას, თავის სიტყვას იტყვის და ღირსეულ ადგილს დაიკავებს მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოთა შორის.

აღდგომილი ქრისტეს ნათელი განაბრწყინვებს მის ეკლესიას და სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვის სიხარული სრულიად აღავსებს მას. ჩვენს შორის უხილავად იმყოფება აღდგომილი მაცხოვარი და ჩვენც, ჩვენი ეკლესიური ცხოვრებით იდუმალად ვერთიანდებით მასში.

გუშინ შენთანა ერთად დავიფალით, უფალო, და დღეს შენთან ერთად აღვდგებით და ძლევის საგალობელს გიგალობთ ზეცის თანაზიარნი.

დღესასწაულთა დღესასწაული ფართოდ აღებს მორწმუნეთა გულის კარს, და ჩვენც, არამიწიერი სიხარულით აღვსილნი, ყველას გულითადად გილოცავთ ბრწინვალე აღდგომას - ზეიმთა ზეიმს.

ქრისტე აღსდგა!

ჭეშმარიტად აღსდგა!

**ილია II**
**სრულიად საქართველოს**
**კათოლიკოს-პატრიარქი**
**აღდგომა ქრისტესი**
**თბილისი, 30 (17) აპრილი, 2000 წელი**

# „მალე ჩვენს დედაქალაქს თბილისი აღარ ერქმევა!"

## რა შედეგი ექნება უკანონო მშენებლობებს?

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ისტორიული ნაწილი (ძველი თბილისი) სახელმწიფოს მიერ დაცულ ზონად გამოცხადდა, ამასთან, მიღებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ახალი კანონი, დედაქალაქის ეს ნაწილი მაინც საფრთხის წინაშე დგას. სახლების უმრავლესობა დაზიანებულია, მიმდინარეობს მათი მიზანმიმართული ნგრევა და, რაც ყველაზე სავალალოა, უკანა პლანზე გადადის ძველი თბილისის არქიტექტურული ანსამბლისა და თბილისისათვის ტრადიციული ქრისტიანული სიმბოლიკების შენარჩუნება. რას გულისხმობს ეს?

საქართველოს საპატრიარქოსთან მოქმედი საეკლესიო ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეკანოზი **ბესარიონ მენაბდე** (პროფესიით არქიტექტორი) გვიამბობს:

— ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი ძველი თბილისის შესახებ იუწყება, — როდესაც ვახტანგ გორგასალმა საქართველოს დედაქალაქი მცხეთიდან თბილისს გადმოიტანა, მის მშენებლობას საფუძვლად დაუდო სულიერი და ფიზიკური ორიენტირები. ეს ორიენტირები ეკლესია-მონასტრებია, რომლებიც მეფე ვახტანგ გორგასალმა იერუსალიმის „შემსგავსებულად" აგო. კერძოდ, ააშენა სიონი — იერუსალიმის სიონის მსგავსად; მეტეხის ღვთისმშობლის, შობის ტაძარი — გეთსამანიის მსგავსად; ზემო ბეთლემი — ბეთლემის მსგავსად და ჯვრის მამა — (სიონის პირდაპირ) გოლგოთის მსგავსად. სწორედ ეს 4 ეკლესია იქცა ქალაქის განვითარების სულიერ და ფიზიკურ საწყისად. ამის შემდეგ აშენდა მრავალი სხვა ეკლესია-მონასტერი და ქალაქის გაშენების იდეაც გეგმაზომიერად განვითარდა მათ ირგვლივ. ეს ტენდენცია ქალაქის მშენებლობაში ბოლო პერიოდამდე გაგრძელდა. რა ხდება დღეს? დღეს სრული უკუპროცესი მიმდინარეობს... გარდა იმისა, რომ ირღვევა ისტორიული ქალაქის სტრუქტურა, იცვლება აგრეთვე ისტორიული დედაქალაქის დამოკიდებულება სულიერი ორიენტირებისადმი. ავიღოთ აბანოთუბანი. აქ აშენდა შვიდსართულიანი უზარმაზარი ნაგებობა; მან მთლიანად დაარღვია ძველი თბილისის მასშტაბი, სტრუქტურა და, რაც მთავარია, ალიმართა თაბორის მთის წინ, რომელიც ნარიყალასა და მეტეხის თხემთან ერთად თბილისის ნიშანსვეტს წარმოადგენს და გადაფარა იგი. რას ვგულისხმობ გადაფარვაში? პრიმიტიული იქნება გაგება, თუ ჩვენ მხოლოდ ფიზიკურ გადაფარვას ვიგულისხმებთ. აქ ლაპარაკია სულიერ გადაფარვაზე. ფაქტობრივად, თაბორის მთის წინ „მიკროთაბორის მთა" გაჩნდა და შეიცვალა დამოკიდებულება ამ ნიშანსვეტის მიმართ.

ასეთივე განუკითხაობაა დარეჯან დედოფლის სასახლის, ფერისცვალების მონასტრის მიმდებარედ. იქ აშენდა ხუთსართულიანი სასტუმრო, რომლის ფანჯრებიც მონასტრის ეზოში იჭრება. ეს გაუგონარი მკრეხელობაა.

რა ხდება ერთ-ერთ ისტორიულ, გრიშაშვილის ქუჩაზე? აქ, ქალაქის სკვერში, სადაც ისტორიული გალავნის ნაშთი და 300 არაგველის მემორიალია, საშუალო სკოლასა და მოსწავლეთა სახლს შორის აშენდა ხუთსართულიანი სასტუმრო, რაც დაუშვებელი იყო. განსაკუთრებით საგანგაშოდ მიგვაჩნია პროექტი, რომლის თანახმადაც მოსწავლეთა სახლი გასხვისდა და უნდა დაეშენოს ოთხი სართული. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, მივიღებთ შვიდსართულიან ნაგებობას, რომელიც მთლიანად გადაფარავს მის უკან მდგარ წმინდა ნიკოლოზის ტაძარს და დაუკარგავს მას ამ უბნის სულიერი და ფიზიკური დომინანტის როლს. ჩვენ ჩვენი დედაქალაქის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ გარემოს ვხებით. მოსწავლეთა სახლის ამგვარი რეკონსტრუქცია კი ძველ



უბანს ეკლესიასთან ერთად საბოლოოდ მოამწყვდევს მდარე ნაგებობების მიღმა. გალავნის ნაშთი და 300 არაგველის მემორიალი კი ისტორიიდან უაზროდ მოწყვეტილი აღმოჩნდება.

არ შეიძლება მხედველობაში არ იქნეს მიღებული ასე მომრავლებული მშენებლობების ფუნქციური დატვირთვა. შენდება, ძირითადად, სასტუმროები, კაზინოები და რესტორნები. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში უკვე რამდენიმე წელია ფუნქციონირებს საეკლესიო ხელოვნების სკოლა. ჩვენ თხოვნით მივმართეთ ქალაქის სამმართველოს უფროსს (იმ პერიოდში ზაზა მარუაშვილს), რათა ეს შენობა ეკლესიისთვის გადმოეცათ, მაგრამ უარი მივიღეთ და მიზეზად დასახელდა ის, რომ შენობა განათლების სამინისტროს ეკუთვნოდა. დღეს კი შენობა კერძო პირს მიჰყიდეს.

ჩვენი გულისტკივილი თბილისის ისტორიული ბირთვის რღვევაა. ფაქტობრივად, ცოტა ხანში ძველი თბილისი აღარ გვექნება და ქალაქსაც ალბათ სახელი „თბილისი" აღარ ერქმევა..."

მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ მშენებლობაზე, რომელიც დღესაც მიმდინარეობს აბანოთუბანში. „კვირის პალიტრამ" გამოიძია, თუ რამდენად კანონიერია ძირძველ თბილისურ უბანში ისეთი მასშტაბური მშენებლობა, როგორიც სასტუმრო „თბილისია".

აბანოთუბანში სასტუმრო „თბილისის" მშენებლობა 1996 წელს დაიწყო და 1999 წლამდე მისი სამი პროექტი განიხილეს. პირველი პროექტით დაშვებული იყო სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. თუმცა, პირველმა მეპატრონემ, შპს „მთამ" გაყიდა აღნიშნული შენობა.

მეორე მეპატრონე შპს „ძველი თბილისი" არ დაჰყაბულდა დასაშვებ ზღვარს და გადაწყვიტა, გაეზარდა მასშტაბები. მან ორჯერ წარადგინა სახეშეცვლილი პროექტი ქალაქპროექტში. პირველი პროექტი ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა დ. ახვლედიანმა 1998 წელს დაამტკიცა. ამ პროექტით შენობა ხუთსართულიანი უნდა ყოფილიყო, მეექვსე მანსარდული სართულით. პროექტის განხორციელებაზე ხელს აწერს აგრეთვე კრწანისის რაიონის გამგებელი ი. როსტომაშვილი. უკვე მშენებლობის პროცესში, კერძო ინვესტორმა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ კიდევ ერთი სართული არ აწყენდა, ქალაქპროექტში წარადგინა კორექტირებული პროექტი: 6 სართულს პლუს 1 მანსარდული სართული. საინტერესო ფაქტი: ბოლო (ე.ი. მესამე) პროექტის განხილვა სამი თვით გაჭიანურდა. ამის მიზეზი იყო მოსახლეობისა და მშენებლობის გვერდით მდებარე ბანკის საჩივრები. თუმცა ინვესტორმა მოსარჩლე მხარეები როგორღაც დააშოშმინა და... საბოლოოდ, მეორედაც მიიღო უკვე კორექტირებულ პროექტზე დ. ახვლედიანის ხელმოწერა.

ერთი შეხედვით, „ძველი თბილისის" დირექტორს მერაბ შუკაკიძეს მშენებლობაზე მიღებული აქვს დ. ახვლედიანის მიერ ხელმოწერილი პროექტი, მაგრამ შენობის ბოლო 4 სართული ფაქტობრივად უკანონოა, რადგან მისი მშენებლობა შეუთანხმებელია ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოსთან.

— ჩვენ თანხმობა გავეცით სამსართულიანი შენობის მშენებლობაზე, — აცხადებს ძეგლთა დაცვის სამეცნიერო მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე ლ. მეძმარიაშვილი, — როდესაც მშენებლობა სამსართულიან ზღვარს ასცდა, განგაში ავტეხეთ და რადგან აშენებული შენობის დანგრევის პრეროგატივა ჩვენ არ გვეკუთვნოდა, პროექტის ავტორს ო. ნახუცრიშვილს დაევალა, ჩვენთვის წარმოედგინა კორექტირებული პროექტი, თანაც ამით უნებართვოდ აგებული შენობის მოცულობის, მასშტაბისა და კომპოზიციის მოწესრიგების გზები გამოიკვეთებოდა. მაგრამ ამის შემდეგ არანაირი პროექტი ძეგლთა დაცვის სამმართველოში არავის უნახავს.

არქიტექტორმა ო. ნახუცრიშვილმა „კვირის პალიტრას" უსაყვედურა პროექტის მიმართ ასეთი მკაცრი მიდგომის გამო და თავი იმით იმართლა, რომ დასრულებული შენობის თითოეული სართული სხვადასხვაფრად შეიღებება და სრულ ჰარმონიაში ჩაჯდება ძველი თბილისის არქიტექტურულ ქსოვილშიო. გარდა ამისა, მან მაგალითად ეიფელის კოშკი მოიყვანა და გვითხრა, თავის დროზე მასაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, მერე კი პარიზის სიმბოლოდ იქცაო. ასეთი შედარებით ცოტა არ იყოს „შეცბუნებულებმა" ბატონ ლერი მეძმარიაშვილს მივმართეთ, რომელსაც ორაზროვნად ჩაეღიმა და „დაგვამშვიდა", ეს ის შემთხვევა ნამდვილად არ არისო.

მიუხედავად აშკარა წინააღმდეგობებისა, საბოლოო პროექტის საექსპერტო დასკვნაში ექსპერტი ი. მასხარაშვილი პროფესიულ ლოიალობას იჩენს, როცა ამტკიცებს პრობლემის გადაჭრის ორ ვარიანტს. არსებული ხუთსართულიანი ნაგებობის დაშლასა და ახალი პროექტის წარდგენას და მეორე — უკვე არსებული შენობის მისადაგებას გარემოს არქიტექტურული სტილისათვის.

ინვესტორი, რა თქმა უნდა, პირველ ვერსიას არაფრით დაეთანხმა. პრობლემის გადაჭრის მეორე გზა კი, სასტუმროს მეპატრონესთან სიტყვიერი შეთანხმების მიუხედავად, არ შესრულდა.

რაც შეეხება დ. ახვლედიანს (სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ, თანამდებობიდან გადადგომაზე განცხადება დაწერა). მას აღნიშნული შენობა ძველი თბილისის არქიტექტურული სტილის სრულ შესატყვისად მიაჩნია. ბ-ნი დავით ახვლედიანი არ იზიარებს აზრს, რომ „იუნესკო" რაიმე წინააღმდეგობას წააწყდება მის მიერ ხელმოწერილი ამ პროექტის გამო.

მკითხველს განვუმარტავთ რა როლი ეკისრება „იუნესკოს" მთელ ამ ამბავში:

„იკომის"-ის (ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო) საქართველოს ეროვნული კომიტეტის ინიციატივით, ძველი თბილისის ისტორიული არეალი წარდგა ნომინაციაში „იუნესკო"-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად. „იუნესკო"-ს სიაში მოხვედრილი ძეგლი პრივილეგირებულია და იგი პირველ რიგში ხდება იმ ქვეყნის მზრუნველობის საგანი, რომელმაც წარადგინა ეს ძეგლი, ხოლო შემდეგ მსოფლიოს ყურადღებისა და პასუხისმგებლობის ობიექტი. ჩვენი ექსპერტების აზრით, არსებობს საშიშროება, რომ „იუნესკო"-ს მიერ საქართველოში წარმოგზავნილი ექსპერტი წინააღმდეგობას წააწყდება და უთუოდ გაჩნდება ჩვენთვის პრობლემატური კითხვა: თუ ძეგლი ქვეყნისათვის იმ ღირებულებისაა, რომ იგი შეყვანილ იქნეს „იუნესკო"-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში (რის შემდეგაც შესაძლებელია ფინანსური დახმარების გაწევა), მაშინ რატომ არა აქვს ამ ძეგლს ისტორიული ქალაქისათვის შესაბამისი მოვლა-პატრონობა და განვითარების გეგმა. ასეთი კითხვა ნამდვილად გაჩნდება, რადგან ძეგლის სიაში შეყვანით „იუნესკო" აღმოჩნდება ძირითადი პრობლემის წინაშე, ეს პრობლემა კი ისტორიული ქალაქის არქიტექტურულ ქსოვილში შემოჭრილი შეუსაბამო შენობა-ნაგებობებია...

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია „იუნესკო"-ს ექსპერტების მიერ ძველი თბილისი, როგორც ღირსშესანიშნავი ძეგლი, მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში არ იქნეს შეყვანილი. ამ შემთხვევაში კი არ გამოიყოფა გრანტი ძველი თბილისის აღდგენა-რეკონსტრუქციისა და მისი განვითარების კონსტრუქციული გეგმის შემუშავებისათვის.

გრანტი — გრანტად, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ასეთი ზერელე და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად თბილისი თავის ისტორიულ არქიტექტურულ სახესთან ერთად სულიერ სახესაც დაკარგავს.

*ეკა ესებუა*

# მაინცდამაინც სისხლის ღვრამდე უნდა მივიდეს საქმე?!

## შეიძლება ვეძისში დიდი შეხლა-შემოხლა მოხდეს

არადა, ვეძისელები უკან დახევას არ აპირებენ, მით უმეტეს, როცა იციან, რომ კარგ საქმეს აკეთებენ. ქვეყნის პრეზიდენტსაც მიმართეს თხოვნით და ქალაქის მერსაც, მაგრამ ერთმანეთზე წაბმულ საპარლამენტოდ თუ საპრეზიდენტოდ ატეხილ საარჩევნო ორომტრიალში გართული ხელისუფალნი, ჯერჯერობით, არ გამოხმაურებიან მათ თხოვნას. არ გეგონოთ, ვინმე რაიმე განსაკუთრებულს ითხოვდეს... თუმცა მკითხველმა რომ არ თქვას, რა სისხლის ღვრა, ვინ ვეძისელები ან პრეზიდენტი და ქალაქის მერი რა შუაშიაო, ამიტომ სჯობს, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

დღევანდელმა გაუკუღმართებულმა ყოფამ დასაბამი მისცა ეროვნული ცნობიერების რღვევას, რომლის მთავარი ძარღვი ჩვენი სარწმუნოება და ტრადიციები იყო ყოველთვის. ამ ღირებულებების უკანა პლანზე გადაწევას კი ზნეობის დაქვეითება მოჰყვა, რამაც მძიმე დაღი დაასვა ჩვენს ახალგაზრდობას. თუმცა, როგორც ეტყობა, შინაგანი პროტესტის მუხტი არ გამქრალა ქართველ კაცში და იგი სხვადასხვა შესაძლებლობითა თუ ფორმით მაინც იჩენს ხოლმე ხანდახან თავს.

ერთ-ერთ ასეთ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ალბათ ის, რომ ექვსიოდე წლის წინ, თბილისში, ვეძისის რამდენიმე უბნელმა ვეძისის გორაზე სალოცავი ნიში აგო თავისი ხელით, გაალამაზა და ხატებით მორთო (სხვათა შორის, ამ ნიშის მშენებლობასთან ერთი საინტერესო ფაქტია დაკავშირებული: უბნელ ბიჭებს ნიშის შესალესად ერთი აზერბაიჯანელი, სახელად სარდალა ამოუყვანიათ, რომელიც ცალ ხელს იდაყვში ვერ შლიდა თურმე. ლესვას რომ



მშენებარე ეკლესიის მაკეტი

მორჩენილა, მოულოდნელად ხელი თავისუფლად გაუშლია. კინაღამ გაგიჟებულა სიხარულით. მერე მის ნათესავებს ცხვარიც შეუწირავთ ამ ქრისტიანული სალოცავისთვის. ახლა ბიჭები ხუმრობენ, უნდა მოვინათლოთ სარდალაო).

ნიშის აგებას თავისთავად მოჰყვა იმჟამად არაოფიციალურ სანაგვედ ქცეული ტერიტორიის დასუფთავება. ნელ-ნელა იმატა აქაურობის კეთილმოწყობის სურვილმა, ახალი იდეებიც გაჩნდა და საქმეში სულითა და გულით ჩაებნენ ვეძისელები. საფუძველი ჩაეყარა ერთ სასიამოვნო ტრადიციას, რომლის მსგავსი თბილისის სხვა უბნებს ჯერჯერობით არ გააჩნია, დაწესდა დღესასწაული — ვეძისობა, რომელიც აგერ უკვე ოთხი წელია, ყოველი ოქტომბრის პირველ კვირა დღეს იმართება. ვეძისობის ყველაზე ამაღლებულ და საინტერესო ნაწილს წარმოადგენს ქართული ტრადიციული მარულა. რაიონებიდანაც კი ჩამოდიან ცნობილი მხედრები მარულაში მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ საქმე მარტო დღესასწაული და გართობა არ არის; უკვე ჩამოყალიბდა საერო საზოგადოება „გარჯა", ვისი თაოსნობითაც უკვე დაიწყო ვეძისის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობა, რომლის საძირკველიც ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა დანიელმა აკურთხა.

ყველაფერი, რაც აქ კეთდება — დაწყებული მშენებლობითა და დამთავრებული გაწმენდა-განაშენიანებით, ვეძისელების ხელით და უბნის მცხოვრებთა შემოწირულობებით ხორციელდება. მათ არასდროს მიუმართავთ ქალაქის ხელმძღვანელობისთვის — ხედავთ, რა კეთილშობილურ საქმეს ვაკეთებთ და ხელი გაგვიმართეთო. პრეზიდენტსა და ქალაქის მერს სთხოვდნენ, — არ მიეყიდათ ეს ტერიტორია კერძო პირებისთვის, დაეტოვებინათ მერიის საკუთრებაში, ხოლო მის მოვლა-პატრონობას საზოგადოება „გარჯა" კისრულობდა.

როგორც ამ საზოგადოების მესვეურებმა ჩვენთან საუბარში განაცხადეს, მას შემდეგ, რაც ეს ტერიტორია ნაგვისგან გაწმინდეს, მისასვლელი გზა მოაწესრიგეს და იქაურობა რაღაცას დაამსგავსეს, ამ ტერიტორიის სააგარაკო ნაკვეთებად გაყიდვის (ისე, როგორც ყველაფერი იყიდება ჩვენს ქვეყანაში) სურვილიც გაჩნდა. ადგილი მართლაც დიდებულია, თანაც თითქმის შიგ ქალაქშია და რომელი ფულიანი კაცი იტყვის უარს მის ხელში ჩასაგდებად. ეს თავისთავად, ცუდი სულაც არ არის, მით უმეტეს, თუ ამით ქვეყნის ბიუჯეტიც იხეირებს. თუმცა ვეჭვობ, მარტო გასაცოდავებული ბიუჯეტის ცოდვით რომ იწვოდნენ ზოგიერთები.

განა ღირს ამ 160.000 ლარის (რომელიც ამ ტერიტორიის გაყიდვით შეემატება საქართველოს ბიუჯეტს) გულისთვის თბილისის თუნდაც ერთი უბნის მოსახლეობის საზოგადოებრივად სასიკეთო ინიციატივის ჩაკვლა? იქნებ სწორედ ამ კითხვაზე უჭირს პასუხის გაცემა ხელისუფლებას და იმიტომ დუმს ვეძისელების წერილის საპასუხოდ (ისე, პასუხის გაცემა რომ არ უჭირს ჩვენს ხელისუფლებას, როცა სჭირდება, „ნდობის ტელეფონის" მაგალითზეც დავრწმუნდით)?

თუმცა, ჯერჯერობით მაინცდამაინც მკაცრად ნუ შევაფასებთ — იქნებ მართლაც ვერ გააღწია ჩინოვნიკურ ლაბირინთებში ვეძისელების ხმამ და ვერ მისწვდა ადრესატებს. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ პუბლიკაციის შემდეგ ბატონი ვანო ზოდელავა დაინტერესდება ამ პრობლემით და მიღებულ გადაწყვეტილებას ჩვენც გვამცნობს.

თუმცა, როგორც ვეძისელებმა გვითხრეს, 6 თვის წინ საბურთალოს რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბატონმა რეზო ადამიამ, პირადად ჩააყენა საქმის კურსში ქალაქის მერი, რომელიც გარკვეულ კომპრომისზე წასვლასაც დაჰპირებია.

აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ როგორც ამ უბნის ახალგაზრდები აცხადებენ, რის ფასადაც არ უნდა დაუჯდეთ, ამ ტერიტორიაზე სახლს არავის ააშენებინებენ და დასახული მიზნის მისაღწევად უკვე აღარაფერს დაერიდებიან.

*მამუკა გიორგაძე*

გუდვილკომი GOODWILLCOM

GWC

საერთაშორისო ტელეკომუნიკაცია

8-14...

აშშ, კანადა
8-14-1...
0,50 ლარი

რუსეთი
8-14-7...
0,40 ლარი

24 საათის განმავლობაში

ფასები შეიცავს დღგ-ს

მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას №41
ტელ: (995-32)25-65-65; 536-625; ფაქსი: (995-32) 25-65-65

# „თუ ამოხეთქა ხელისუფლებისადმი ხალხში წლობით დაგროვილმა ბოღმამ...“



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, რომელსაც ჩვენი კონსტიტუციის წყალობით, დაემთხვა ახლად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციაც, ედუარდ შევარდნაძემ საპრეზიდენტო ფიცი დადო ღვთის, ქვეყნისა და ერის წინაშე და უკვე სრული უფლებამოსილებით აღჭურვილი შეუდგა თავისი ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერის უკანასკნელი ხუთწლიანი პერიოდის ალმართს... ღმერთმა ხელი მოუმართოს ქვეყნისა და ხალხის სასიკეთო მოღვაწეობაში; თუმცა, ამთავითვე არც იმისი უთქმელობა შეიძლება, რომ მეორე საპრეზიდენტო ვადით მოღვაწეობას უკიდურესად მძიმე და საშიში შინაპოლიტიკური ვითარების ფონზე იწყებს, უფრო სწორად, აგრძელებს...

დიახ, ინაუგურაციის დასრულებისთანავე, ყველა თვალსაზრისით გაკოტრებული და თავლაფდასხმული აღმასრულებელი ხელისუფლება გადამდგარია, რომლის „წყალობითაც“ საქართველო, როგორც სახელმწიფო, გაკოტრების პირზეა მისული (სხვა საქმეა, თავად რამდენად შეიგრძნობენ ამ საყოველთაო შერცხვენას...) და დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დგება ახალი ხელისუფლების დაკომპლექტების საკითხი, რაც აგერ უკვე რამდენი კვირაა, ათასგვარი მითქმამოთქმისა და მკითხაობის საგნად არის ქცეული! არადა, თითქოს სადავო ალარაფერი უნდა იყოს, რადგან იმავე მმართველი ძალის ლიდერებისა და პრეზიდენტისგანაც ყურები გვაქვს გამოჭედილი — ხელისუფლება კორუფციაშია ჩამხრჩვალიო, ხოლო ინაუგურაციის წინ მათგან ისიც გავიგონეთ — ქვეყანას ხელისუფლება არ ჰყავსო! სასურველი იყო, ეს ადრე ეთქვათ და ემოქმედათ... მაგრამ ამ ფონზეც კი კვლავაც დამაფიქრებელია პრეზიდენტის პოზიცია, რომლის თქმითვე, „ხელისუფლების ძირითადი ბირთვი შეინარჩუნებს პოსტებს(!)“ და იქმნება არათუ პარადოქსული, არამედ ჩვენი საზოგადოების ისევ აბუჩად ამგდები ვითარება: პრეზიდენტი არათუ ღირსად არ მიგვიჩნევს, გაგვაცნოს მომავალი მთავრობის სავარაუდო შემადგენლობა, არამედ ამთავითვე გვისპობს იმ მცირე იმედსაც კი, რასაც მომავალი ხელისუფლების საქმიანობას ვუკავშირებთ, იმედს, რომ ბოლოს და ბოლოს, ქვეყანაში რაღაც უკეთესობისკენ შეიცვლება! ამასთან, პრეზიდენტის მიერ „გასაიდუმლოებანას“ თამაში იმის თაობაზე, თუ ვინ დაიკავებს საკვანძო პოსტებს ხელისუფლებაში, რაც ფაქტობრივად, აგონიაში ამყოფებს ერთი მხრივ ჟვანია-სააკაშვილის რეფორმატორთა გუნდს, მეორე მხრივ კი, ლორთქიფანიძისას, დამეთანხმებით, არათუ შეურაცხმყოფელია მათთვისაც, არამედ სასაცილო მდგომარეობაში აგდებს მათ საზოგადოების თვალში... თუ რატომ, ამის გაანალიზებას შევეცდები რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერთან, **ივლიანე ხაინდრავასთან** ერთად.

— საქართველოში შევარდნაძის მეორედ მოსვლის პერიოდიდანვე ცხადი შეიქნა, რომ სწორედ საკადრო პოლიტიკაა მისი მოღვაწეობის ყველაზე სუსტი მხარე. იმის გამო, რომ შევარდნაძემ ვერ მოძებნა საკუთარ თავში რეზერვი, ამ მიმართულებით ვერ ჩამოიყალიბა ახალი აზროვნება (ამ ტერმინის მოშველიება ძალიან უყვარს პრეზიდენტს), გამუდმებით ჩიხში იმყოფება ქვეყანა! ის ადამიანები, რომლებიც შევარდნაძემ აირჩია, ვერ ამართლებდნენ და დღესაც ვერ ამართლებენ. შეიქმნა მანკიერი წრე. მიზეზთა მიზეზი კი შექმნილი ვითარებისა, გახლავთ ის, რომ შევარდნაძეს მიაჩნდა, რომ გადამწყვეტი და უმნიშვნელოვანესია მისი ხელისუფლებაში ყოფნის საკითხი, შესაბამისად, ცდილობდა, ხელისუფლებაში დაესვა ის ადამიანები, რომლებიც ნაკლებად შეუქმნიდნენ პოლიტიკურ პრობლემებს. სამაგიეროდ, მზად იყო, თვალი დაეხუჭა ამ ადამიანების უმსგავსო, დანაშაულებრივ საქციელზე — კორუფციაზე, მექრთამეობაზე, ხაზინის ქურდობაზე და ა.შ. ის ვარაუდობდა, რომ დადგებოდა დრო, როდესაც შეძლებდა ამ ადამიანთა თავიდან მოშორებას, მაგრამ მოხდა პირიქით. პირდაპირ ვთქვათ: მას აღარც ასაკი უწყობს ხელს, აღარც ნებისყოფა და შინაგანი ძალა, რომელიც თითქმის ამოწურული აქვს. შესაბამისად, თავად შეიქნა მძევალი იმ სისტემისა, რომლის შექმნას ხელი თვითონვე შეუწყო და გარკვეულწილად, საზოგადოებამაც, რომელმაც კვლავ ერთ კაცს აჰკიდა ქვეყნის მთელი ტვირთი. შედეგად კი მიიღო სავსებით უვარგისი ხელისუფლება ყველა დონეზე, იქნება ეს აღმასრულებელი, საკანონმდებლო თუ უფრო დაბალ რგოლებში...

შევარდნაძე არ წარმოადგენს იმ პოლიტიკოსს, რომელიც თავის შემდეგ ტოვებს რაღაც სკოლას, მრავალფეროვან კადრებს, შესაბამისად, არჩევნის შესაძლებლობას... მივიღეთ ისეთი შედეგი, რომ მის გარშემო არ აღიზარდნენ კადრები, არ შეიქმნა სივრცე, საიდანაც შეიძლება წინა პლანზე წამოეწიათ, ერთი მხრივ, ნიჭიერი და, მეორე მხრივ, სუფთა, არაკორუმპირებული ადამიანები... დღევანდელი საკადრო, საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი გახლავთ ჩვენი სახელმწიფოებრიობის კრიზისი, ვინაიდან თვითონ მმართველი პარტიის აღიარებით, ქვეყანა დგას სრული საფინანსო-ეკონომიკური კრახის ზღურბლზე; მე კი ვფიქრობ, რომ დღეს, გუშინდელი მონაცემებით, სრული კატასტროფაა საბიუჯეტო სფეროში. აპრილში აკრეფილია დაგეგმილი შემოსავლების ნახევარი, არ შესრულდა იანვარ-თებერვალ-მარტის გეგმა, დავალიანება მხოლოდ პენსიებზე 100 მილიონ ლარს აღწევს, ხელფასებისა — 250 მილიონს და რაც ყველაზე დიდი უბედურებაა, არ ჩანს შესაძლებლობა ამ გარღვევის ამოსავსებად, რადგან თუკი რაიმეს მოპარვა შეიძლებოდა ქვეყანაში, უკვე ყველაფერი მოპარულია, ქონება გადანაწილებულია და უცხოური ინვესტიციებიც აღარ შემოდის. გასული წლის დეკემბრიდან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს შეწყვეტილი აქვთ ყოველგვარი ურთიერთობა საქართველოსთან და ვერც გავამტყუნებ, რადგან წლების მანძილზე მათ მიერ გამოყოფილი კრედიტები მიდიოდა ქართველ ჩინოვნიკთა ჯიბეში და არ ხმარდებოდა ქვეყნის ფეხზე დადგომას!

— **ბოლო დროს იმედის ნატამალი გაჩნდა, რომ ხელისუფლება თვისებრივად გადახალისდებოდა, სისტემა შეიცვლებოდა, მაგრამ პრეზიდენტის განცხადებამ, რომ ის შეინარჩუნებს ხელისუფლებაში „ძირითად ბირთვს“, ცივი წყალი გადაასხა საზოგადოებას.**

— მთავარი უბედურება ის არის, რომ შევარდნაძის სახელისუფლებო ტექნოლოგიის შემყურე მმართველი ძალის წარმომადგენლებმა, ეტყობა, გადაწყვიტეს, რომ მთავარია იყო ხელისუფლებაში და ნებისმიერი მექანიზმით გაიხანგრძლივო იქ ყოფნის დრო. ჩინოვნიკთა დიდი უმრავლესობა თავის თანამდებობას ამ სახელმწიფო იერარქიაში განიხილავს, როგორც ფულის შოვნის შესანიშნავ შესაძლებლობას და, სხვათა შორის, არ არის გასაკვირი, თუ საბიუჯეტო შემოსავლების თვალსაზრისით, აპრილის თვე იქნება უმძიმესი. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ იგრძნო რა საფრთხე იმისა, რომ შეიძლება ხვალიდან აღარ დარჩნენ თანამდებობებზე, აპრილის თვე და მისი ბოლო კვირა მაქსიმალურად გამოიყენეს, რათა ცარიელი ჯიბეებით არ წასულიყვნენ შინ...

— **ნათქვამი მით უფრო ნიშანდობლივია, რომ იმავე მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, ერგნეთის საბაჟოზე არსებული განუკითხაობის შედეგად ყოველდღიურად... 2–3 მილიონი ლარის კონტრაბანდა შემოდის და, შესაბამისად, ბიუჯეტიც უზარმაზარ დანაკლისს განიცდის...**

— დიახ, აგერ სამი თვეა გვესმის: ერგნეთი-ერგნეთი! ბოლოს და ბოლოს, რა გახდა ეს ერგნეთი საქართველოს შუაგულში, რომ არ შეიძლებოდეს მისი გაკონტროლება?! რაღა თქმა უნდა, აქ საქმე გვაქვს არა უშუალოდ ერგნეთთან ან სხვა საბაჟო პუნქტთან, არამედ მართლაც რომ სრულიად დამპალ სისტემასთან. ამიტომ მართებულია დღეს ლაპარაკი სისტემის ცვლილებებზე, მაგრამ ამ ცვლილებების განხორციელება არ შეიძლება დაევალოს იმავე ხალხს, რომლებმაც ქვეყანა კატასტროფის პირას მიიყვანა! ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, ასევე სრულიად კატასტროფული იყო 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგები. როდესაც ოთხწლიანი წარუმატებელი მმართველობის შემდეგ პარტია უფრო მეტ ადგილს მიიღებს პარლამენტში, ვიდრე ჰქონდა, ნიშნავს იმას, რომ ხალხმა, ფაქტობრივად, ინდულგენცია მისცა მოქკავშირს მის ნამოქმედარზე გასული ოთხი წლის მანძილზე და პრაქტიკულად ისიც მიანიშნა, „მიდით, ასე გააგრძელეთო!“ ისინიც წარმატებით აგრძელებენ თავიანთ დანაშაულებრივ საქმიანობას... მაგრამ მოსალოდნელი კატასტროფის სუნს უკვე გრძნობენ და შედეგად სახეზე გვაქვს ის, რომ მმართველი ძალის დაჯგუფებები ცდილობენ, ერთმანეთს გადააბრალონ შექმნილი ვითარება. თავის დროზე მოქკავშირის ე.წ. რეფორმატორთა ჯგუფი არცთუ უსამართლოდ აღიქმებოდა, როგორც გარკვეული იმედი იმ თვალსაზრისით, რომ ქვეყანაში განხორციელდებოდა რეფორმები, მაგრამ ამ ახალგაზრდულმა გუნდმაც, ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, ისეთი ნაბიჯები გადადგა, რომ დაკარგა ნდობაც, პატივისცემაც, მხარდაჭერაც, ანუ დასაშვებზე მეტ კომპრომისზე წავიდა...

— **კომპრომისზე წავიდნენ და მიდიან აღმასრულებელი ხელისუფლების და, უწინარესად, პრეზიდენტის წინაშე...**

— რასაკვირველია. ვფიქრობ, მათთვის საბედისწერო აღმოჩნდა ორი წლის წინანდელი მოვლენა, როცა დღის წესრიგში დადგა მთავრობის შეცვლის საკითხი და ნიკო ლეკიშვილის გადადგომას მიჰყვა მთელი მთავრობა. რეფორმატორთა გუნდი ვალდებული იყო, მაშინვე გადაედგა მკვეთრი ნაბიჯი და კატეგორიულად დაესვა საკითხი: ან მოხდება სისტემური, საკადრო და კარდინალური ცვლილებები ხელისუფლებაში, ან ჩვენ წავალთ, გადავდგებითო! გამბედაობა არ ეყოთ! აი, სწორედ მაშინ პრინციპულობით და თვით ხელისუფლების დათმობის ფასადაც კი, მათ შეეძლოთ სამომავლო პოლიტიკური პოზიციები განემტკიცებინათ, ანუ გასულიყვნენ ბინძური თამაშიდან, მაგრამ შეინარჩუნებდნენ ავტორიტეტს და ორიენტირიც გახდებოდნენ საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალებისთვის, რომლებიც მზად იქნებოდნენ მათთან სათანამშრომლოდ! ეს შანსი ხელიდან გაუშვეს. დღეს კი მათაც აღარ ენდობიან!

— **ანუ მათი გუნდის თუ გუნდის წევრების სავარაუდო მოსვლა აღმასრულებელ ხელისუფლებაში შეგვიძლია მივიჩნიოთ „ნაკლებ ბოროტებად“ იმასთან შედარებით, რაც იყო მთავრობაში და რაც შეიძლება მოხდეს „ახალი“ მთავრობის ფორმირების შემდეგ...**

— რა თქმა უნდა. ეჭვიც არ მეპარება, რომ, ვთქვათ, პერსონალურად მიშა სააკაშვილი არ არის ხაზინის ქურდი, გია ბარამიძე და რეზო ადამია წესიერი კაცები არიან, მაგრამ, არსებითად, ისინი ისე ჩაეფლნენ ამ ჭაობში, რომ ვერ ვხედავ მათთვის გამოსავალს. ვფიქრობ, ამ გუნდის ხელმძღვანელი ზურაბ ჟვანიაც გრძნობს, ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ისე შორს შეტოპა, რომ, ფაქტობრივად, დღეს ისე მოქცევა, როგორც ორი წლის წინ შეიძლებოდა, მისთვის საერთოდ პოლიტიკიდან წასვლის ტოლფასია. მანაც დაკარგა ნდობა და მის სახელსაც აღარ უკავშირებენ იმედებს. ამიტომ მასაც სხვა აღარაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ ჩაებღაუჭოს ხელისუფლებას, შეეცადოს დამნაშავედ წარმოაჩინოს სხვები და ა.შ.

— **ესე იგი, მათ სურთ, დამნაშავეებად წარმოაჩინონ აღმასრულებელ ხელისუფლებაში, პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვაში მყოფი თავიანთი თანაპარტიელები... რაც არ უნდა მალონ, მმართველ ძალაში დაპირისპირება აშკარაა...**

— დიახ და საქმე აბსურდამდეა მისული, რადგან მმართველი პარტია ცდილობს, ერთდროულად შეითავსოს უმრავლესობისა და ოპოზიციის ფუნქციები პარლამენტში. იმავე სააკაშვილისა და ბარამიძის გამოსვლები გახლავთ წმინდა წყლის ოპოზიციური გამოსვლები და ეს მაშინ, როცა ორივე წამყვანი ფიგურაა მმართველ პარტიაში. აი, ეს ფანტასმაგორიული ვითარებაც გამოწვეული 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგებით, როცა საქართველოს ამომრჩეველმა არჩევანი გააკეთა ცუდსა და უარესს შორის და საბოლოოდ აირჩია — ორივე! ფაქტობრივად, დღეს არ არსებობს საპარლამენტო ოპოზიცია, დღეს პარლამენტში არ გაისმის კრიტიკული და პატიოსანი ხმა! რა თქმა უნდა, სასურველი ნაბიჯია მთავრობის ტოტალური შეცვლა, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ იმავე ჟვანია-სააკაშვილის გუნდს არ ყოფნის არც ადამიანური და არც ინტელექტუალური რეზერვები, რათა მთლიანად დააკომპლექტოს აღმასრულებელი ხელისუფლება, ისევე როგორც, ისეთ მრავალრიცხოვან ორგანიზაციას, როგორიც მთელი მოქალაქეთა კავშირია, არ ჰყოფნის არც ადამიანური, ინტელექტუალური და რაც მთავარია, პატიოსნების რეზერვები საამისოდ! ამიტომ შეიძლება ვინმეს ექსტრავაგანტურ იდეად მოეჩვენოს ჩემი ნათქვამი, მაგრამ თუკი რაიმე მართლა გამოიყვანს ქვეყანას ამ კატასტროფიდან, გახლავთ ეროვნული ხსნის მთავრობის ჩამოყალიბება, რაც მსგავს ექსტრემალურ ვითარებაში ზოგიერთ ქვეყანაში გაუკეთებიათ კიდეც. არ ვიცი, მემარჯვენე მიმართულებისა იქნება ეს მთავრობა (თუ, რა თქმა უნდა, შეიქმნა) თუ მემარცხენესი, მაგრამ იმ აბსურდს, რაც ხელისუფლებაში გვაქვს, ნამდვილად რომ ემჯობინება, არც მეეჭვება! ჩვენ მართლა კატასტროფის წინაშე ვდგავართ და საჭიროა არაორდინარული ნაბიჯების გადადგმა...

— **კვლავ პრეზიდენტის საკადრო პოლიტიკას შევეხოთ. რას იტყოდით სახელმწიფო კანცელარიის ჩინოვნიკის, ყოფილი გამომძიებლის საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ, ხომ არ აღიქმება ეს როგორც „შენელებული მოქმედების ნაღმი“ შემოსავლების სამინისტროს შეფის წინააღმდეგ?**

— შევარდნაძის პრაქტიკიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ერთადერთი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელსაც ის მეტ-ნაკლებად ენდობა, არის შინაგან საქმეთა სამინისტრო. გავიხსენოთ, სალარიძის დანიშვნა ჯერ საგადასახადო სამსახურის უფროსად, შემდეგ მართლაც ფანტასტიკური გადაწყვეტილება, როცა იგივე სალარიძე, საბჭოთა მილიციის ყოფილი გენერალი, ომბუდსმენად დანიშნა და ა.შ. ამასთან, უბედურებაა, რომ სულ გვესმის ლაპარაკი რაღაც გუნდზე და ეს გუნდიც არა და არ იქმნება. კი მაგრამ, თუ აკისრებ მიშა მაჭავარიანს ამ უწყების ხელმძღვანელობას, მაშინ მიეცი უფლება ბოლომდე, რომ თვითონ დააკომპლექტოს სამინისტრო და ამუშაოს ის ადამიანები, ვისაც ენდობა; ხოლო, როცა „გვერდიდან“ ჩაუსვამ სრულიად უცხო სხეულს, ჩემთვის სრულიად გაუგებარია ამ გზით სიარული.

— **ხელისუფალნი, რომლებსაც განგებამ არგუნა დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს მშენებლობაში მონაწილეობა, ფაქტობრივად, ანგრევენ და დაანგრიეს კიდეც ქვეყანა. ამიტომ დავსვათ კითხვა: ვინ არიან ეს ადამიანები — ქურდები, თავზეხელაღებული მაფიოზები, ქვეყნის მტრები თუ ვინ?**

— დაბალი რანგის ჩინოვნიკებს, თუნდაც ქუჩაში მდგარ პოლიციელებს და ავტოინსპექტორებს თანავუგრძნობ კიდეც, რადგან ქრონიკული უხელფასობით გაწამებულთ სხვა გზა აღარა აქვთ, ანუ სახელმწიფო პირდაპირ ეუბნება, — მიხედე შენს თავს და ბოროტად გამოიყენე შენი მუნდირი ფულის საშოვნელადო! შორსა ვარ იმ აზრისგან, რომ აბსოლუტურად ყველა ქართველი ჩინოვნიკი ჩამოყალიბებული მექრთამე და მაფიოზია, მაგრამ მათ, უბრალოდ, სისტემამ უბიძგა დანაშაულებრივი ქმედებისკენ. მაგრამ, როდესაც სახელისუფლო პირამიდის თავში ავდივართ, იქ, რა თქმა უნდა, უსინდისობა, სიბინძურე და უწმინდურებაა გამეფებული. დიახ, მაღალი რანგის მოხელე უნდა აშენებდეს სახელმწიფოს, უქმნიდეს მომავალს ქვეყანასაც, საკუთარ თავსაც და შთამომავლობასაც. არ მესმის ბევრი მათგანისა, — რახან თანამდებობა მომცეს, სახლს ავიშენებ, შვილს უცხოეთში ვასწავლი, უცხოეთის ბანკშიც შევინახავ კაპიტალს და მომავალიც უზრუნველყოფილი მექნებაო! მაგრამ საქართველო ისეთ ზღვარს მიუახლოვდა, რომ თუ ხალხმა იფეთქა, ეს სასახლეებიც, მანქანებიც, ფულიც და შვილებიც შეიძლება ოხრად დარჩეთ. ეს იქნება ისეთი გაბოროტებული გამოსვლები, რომ ხელისუფალთ ჩემი და თქვენი ჯიბიდან მოპარული ფულით ნაშენებ სასახლეებს გაუნადგურებენ! მე არა ვარ რევოლუციებისა და სოციალური აფეთქებების მომხრე, მაგრამ ნუ გაუკვირდებათ, თუ ეს ასე მოხდება! ნათქვამი არავითარ შემთხვევაში არ არის მოწოდება, ეს არის გარკვეულწილად — გაფრთხილება იმ ადამიანებისა, ვინც თავის თანამოქალაქეებს ძარცვავს და აღატაკებს, ეს გაუმაძღარი, უსინდისო ადამიანები თავს ძალასაც არ ატანენ, დაფიქრდნენ ასეთი საქციელის შესაძლო სავალალო შედეგებზე, არა მხოლოდ ქვეყნისთვის, რომელიც მათ ფეხებზე ჰკიდიათ, არამედ საკუთარი თავისთვისაც.

— **და ასევე არაფრად ენაღვლებათ მათ მიერვე აფიშირებული ქვეყნის პროდასავლური კურსიც, რომლისგან, თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება მხოლოდ სახელიღა დარჩეს...**

— აშკარაა, რომ დასავლეთსაც უკვე ყელში ამოუვიდა ის უტიფრობა და უსინდისობა, რასაც საქართველოს ხელისუფლებაში აქვს ადგილი. ვფიქრობ, დასავლეთში ძალიან გვიან დაფიქრდნენ ამაზე და უკვე აშკარა საფრთხე დაემუქრა იმ მცირე მონაპოვრებს, რაც პროდასავლურმა კურსმა მოგვიტანა. მაგრამ თუ ამოხეთქა ხელისუფლებისადმი ხალხში წლობით დაგროვილმა ბოღმამ, ეს ბოლოს წალეკავს ამ კურსსაც, ხელისუფლებასაც და საგარეო პოლიტიკაში მიღწეულ წარმატებებსაც. ჩვენი საშინაო პოლიტიკა თავისი არსით იმდენად ანტიდასავლურია, რომ მან შეიძლება დაანგრიოს და მართლაც სახელიღა დატოვოს ამ მონაპოვრებისაგან. 4-5 წლის წინ ვინ გაბედავდა საუბარს იმაზე, რომ რუსეთ-ბელორუსიის კავშირს შევუერთდეთო, დღეს კი ეს ხმები საქართველოში გაისმის, რაც პირდაპირი შედეგია ჩვენი საშინაო პოლიტიკის ტოტალური კრახისა. კარგი პრეზიდენტი მაშინ ხარ, როცა საგარეო და საშინაო პოლიტიკას აბალანსებ. ვფიქრობ, მავნებლური იყო ვანო ზოდელავას განცხადება, — შევარდნაძე მესამე ვადითაც უნდა იყოს ამ პოსტზეო. არსებობს ცივილიზებული პრაქტიკა: პრეზიდენტი იქნება თუ პრემიერი, თანამდებობის დატოვების შემდეგ მიდის აქტიური პოლიტიკიდან! ასეა დასავლეთში და ასე უნდა გაკეთდეს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, მაგრამ, როცა შევარდნაძეს ასეთ აზრებს აწვდიან, ისიც, ალბათ, ფიქრობს: ახლა თუ ვერ მოვასწარი, რაღაცას მერე გავაკეთებო! ამიტომ ჩვენს საზოგადოებას, ხელისუფლებას და საკუთრივ პრეზიდენტს ნათლად უნდა ჰქონდეთ ჩამოყალიბებული აზრი: ეს 5 წელი არის ბოლო ვადა და თუ მათ ქვეყანა წინ წაიყვანეს, შესაბამისად იქნება შეფასებული მათი საქმიანობა, ხოლო თუ ასეთ მდგომარეობაში დარჩა ქვეყანა, ესეც შესაბამისად შეფასდება...

— **გმადლობთ.**

***ზურაბ მჭედლიშვილი***



# „ზვიადი ბებიაჩემმა მოკლა...“

გასული წლის 11 დეკემბერს, სიღნაღის რაიონის დაბა წნორში პოლიციის თანამშრომელმა ნოდარ აბულაშვილმა დაუმორჩილებლობის საბაბით გამოიყენა ცეცხლსასროლი იარაღი და სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა იმავე რაიონის სოფელ ქვემო ბოდბეს მცხოვრებ 19 წლის ზვიად ბალაშვილს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ამ გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ადამიანთა უფლებების დაცვის ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს, ადვოკატ **ლია მუხაშავრიას**:

— პროფესიონალ ადვოკატთა გაერთიანებიდან სამი ადვოკატი ვართ ჩართული ამ საქმეში და ვაცხადებთ, რომ ძიება ტენდენციური და მიკერძოებულია. აქედან გამომდინარე, შესაძლოა რამდენიმე ვარაუდი გამოითქვას: მკვლელ პოლიციელს ხელს აფარებს უწყება, თანამშრომლის მუნდირის „ღირსების“ დაცვის მიზნით, ან აბულაშვილს ჰყავს ისეთი მფარველი, რომ მისი წყალობით ის დღემდე დაკავებული არ არის, ანდა აბულაშვილმა და მისმა ახლობლებმა პროკურატურაში ქრთამის სახით დიდი თანხა გადაიხადეს... ამის თქმის საბაბს ის გვაძლევს, რომ პროკურატურა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა ბრალდებული გარეთ დატოვოს. კანონით, როდესაც ადამიანს ერთხელ წაუყენებენ ბრალს და 48 საათში სასამართლო არ გასცემს ბრძანებას, ან თუ ეს ბრძანება წაყენებული იყო და გაუქმდა, მაშინ იმავე ბრალდების წაყენება იმავე საქმეზე აღარ შეიძლება. ბრალდება წაყენებული იყო 105-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე), ჩვენ თავიდანვე ვფიქრობდით, რომ ეს იყო 104-ე მუხლით ჩადენილი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში. ეს კვალიფიკაცია სავსებით შეესაბამება მომხდარს იმიტომ, რომ პოლიციელმა სამი გასროლა განახორციელა: ეს ხდება ხალხმრავალ ადგილას და შეიძლებოდა ნებისმიერს მოხვედროდა ტყვია. მას შემდეგ, რაც საოლქო სასამართლოში გაუქმდა დაპატიმრების ბრძანება, კახეთის რეგიონულ პროკურატურას შეეძლო, შენობაშივე ისევ დაეპატიმრებინა ბრალდებული, წაეყენებინა ბრალდება უკვე 104-ე მუხლით და გაეგრძელებინა ძიება, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს. გამომძიებელი ჯანიაშვილი იმასაც კი აცხადებს, რომ 104-ე მუხლის შესაბამის დანაშაულს აბულაშვილის მიერ ჩადენილ ქმედებაში ვერ ხედავს. გამოძიებას გათავისუფლების შემდეგ მის დასაპატიმრებლად არაფერი გაუკეთებია.

ამჟამად დავწერეთ განცხადება გენერალური პროკურორის სახელზე, რათა კახეთის სამხარეო პროკურატურას ჩამოერთვას საქმე და გამოძიება ბაბილაშვილის უწყებამ დაიქვემდებაროს. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ.

მოკლულის მამას მართლმსაჯულების არანაირი იმედი არა აქვს. არ არის გამორიცხული, რომ მან თვითონ იძიოს შური, რადგან მისი შვილის მკვლელი დღემდე დაუსჯელია. თუ ასეთი ფაქტი მოხდა, ყველაფერში პროკურატურა და გამოძიება იქნება დამნაშავე — აცხადებს ლია მუხაშავრია.

ახლა კი იმ ტრაგედიის შესახებ, რომელიც მრავალი ადამიანის თვალწინ მოხდა, მაგრამ როგორც „კვირის პალიტრას“ ბალაშვილების ოჯახმა განუცხადა, ისე არიან ამ ამბის მხილველები პოლიციისგან დაშინებულები, რომ მოწმედ გამოსვლაზე უარს აცხადებენ.

დაბა წნორში, ალმაშენებლის გამზირს ვიწრო ქუჩა კვეთს, რომელიც სამხედრო „გარადოკის“ ნასახლარებთან მიგიყვანთ. ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში, რომელიც ანტისანიტარიის ბუდედ ქცეულა, ცხოვრობს ოჯახი. ოჯახის ყველა წევრს ბებიას, შვილს, შვილიშვილს და შვილთაშვილს სხვადასხვა გვარი აქვს. ბებია მოხუცდა, შვილთაშვილი ჩვილია, ხოლო დანარჩენი ქალბატონები თავს სხეულით ირჩენენ. მამაკაცებს სისტემატურად თუ არა, შეძლებისდაგვარად ხშირად იცვლიან. სწორედ ასე მოხვდა მათ ოჯახში ორი წლის წინ — ზვიად ბალაშვილიც.

„კვირის პალიტრა“ შეხვდა ამ დანაშაულში ერთ-ერთ მთავარ ეჭვმიტანილს და ესაუბრა:

**ნანა თანდილაშვილი**: 13 წლის გააუპატიურეს, იმის შემდეგ ასე ვცხოვრობ (იგი ახლა 18 წლისაა). ფული და საჭმელი რომ არ ვიშოვო, ბებია მეჩხუბება, ცემით არ მცემს, მაგრამ ისეთ სიტყვებს მეძახის, მოსმენა არ მინდა. ზვიადი ორი წლის წინ ჩემმა ბიძაშვილმა გამაცნო. თავიდანვე მომეწონა და სხვას აღარავის ვხვდებოდი. ბებიაჩემს არ უყვარდა, ხშირად სახლშიც არ უშვებდა, იმიტომ, რომ ფული არ ჰქონდა და ვერც ვერაფერს მაძლევდა. ჩხუბობდა, — ნორმალური ნახე ვინმეო, მაგრამ მე ზვიადი მიყვარდა... ნათქვამი ბებიამაც დაგვიდასტურა და დასძინა, — მაგისთვის კარგი მინდოდა და იმიტომო.

ნანას დას, 15 წლის თამუნას, უკვე 6 თვის შვილიც ჰყოლია. (როგორც გავიგეთ, ბავშვი რამდენიმე თვის წინ შიმშილით გარდაცვლილა).

**ნანა თანდილაშვილი**: ჩვენს მეზობლად ცხოვრობს ერთი ბიჭი — გია ჰქვია. გია ბებიაჩემს ძალიან მოსწონდა. ზვიადთან შეხვედრას ვერიდებოდი, რადგან მამამისმა შემომითვალა: არ მიიღო, თორემ არ ვიცი, რას გიზამო. მეშინოდა და ისევ გიასთან დავიწყე სიარული. იმ ღამესაც გია იყო ჩემთან, თანაც ბებიაჩემმაც არ შემოუშვა ზვიადი სახლში. 11 დეკემბერს, დილით, ზვიადი ისევ მოვიდა ძმაკაცთან ერთად. თვითონ მანქანიდან არ გადმოსულა, მისი ძმაკაცი დათო მელაპარაკებოდა, როცა ჩემმა ნათესავმა ბავშვმა ქუჩა აირბინა და სადღაც გაიქცა. ხუთი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ ნოდარის მანქანა მოვიდა. ზვიადმა მანქანის კარი მიიხურა და გაქცევა სცადა. სროლაც გაისმა (ნანა ატირდა). ბებიაჩემს ის ბავშვი რომ არ გაეგზავნა ნოდართან, არაფერიც არ მოხდებოდა. — ზიზღნარევი თვალებით გახედა ბებიამისს და თქვა: — ზვიადი ბებიაჩემმა მოკლაო. როგორც მეზობლები აცხადებენ, სიღნაღის რაიონის დაბა წნორის პოლიციის ქვეგანყოფილების ოფიცერი ნოდარ აბულაშვილი 8 წლის ბავშვის ნათქვამზე — ბებომ, ისინი მოვიდნენო! — ისეთი ოპერატიულობით მოვარდა, თითქოს ძებნილთა ან ყაჩაღთა დასაკავებლად იხმობდნენ. ამდენად ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ იყო აბულაშვილი ასეთი მობილიზებული? მისი ასეთი საქციელით ხმა გავრცელდა, ნოდარიც ნანასთან დადიოდაო, მაგრამ ამ საკითხზე ნანამ კომენტარისაგან თავი შეიკავა და თქვა, პოლიციაში ყველაფერს ვიტყვიო. ძიებისას გაირკვა, რომ თურმე ნანამ წერა-კითხვა „არ იცოდა“. შეხვედრისას კი ნანამ თავისი დღიური წაგვაკითხა, რომელიც ზვიადს ეძღვნებოდა.

ნოდარ აბულაშვილის სატელევიზიო აღსარება ზვიად ბალაშვილის დანაშაულზე მეტყველებდა. მოკლული არ დაემორჩილა პოლიციის თანამშრომლის ბრძანებას (რომელსაც, სხვათა შორის, არ ეცვა პოლიციელის მუნდირი და არც მანქანა ყოფილა პოლიციისა), არ გააჩერა მანქანა, დაძრული მანქანიდან ხელით დაითრია და მის სიცოცხლეს შეუქმნა საფრთხე, რის გამოც იძულებული გახდა გამოეყენებინა იარაღი. გავრცელდა ხმა, თითქოს ზვიად ბალაშვილი იყო ძებნილი, რაც კატეგორიულად უარყო სიღნაღის რაიონის პროკურორმა ბეჟან კრაწაშვილმა.

ექსპერტიზის დასკვნამ მთლიანად გამორიცხა პოლიციელის ხელის ჩაყოლების ან დათრევის ფაქტი, რადგან მძღოლის მხარეს საქარე მინა აღმოჩნდა ქმედითუუნარო და მანქანაში საერთოდ არ არსებობდა მინის მამოძრავებელი სახელური. ასე რომ, იძულებითი სროლის ვერსია ექსპერტიზამ გამორიცხა. განზრახ მკვლელობის დასადასტურებლად საჭირო მინის ნამსხვრევები კი საქმის მასალებში არ აღმოჩნდა (მინას დასამუქებელი პლასტიკატი ჰქონდა აკრული და იგი ვერ დაიმსხვრეოდა).

ნანა თანდილაშვილის შემოწმება ვენერიულ დაავადებაზე (სიღნაღის) პროკურატურამ უსახსრობის გამო ვერ შეძლო.

თავიდანვე ლაფსუსებით მიმდინარე ძიებამ მოკლულის მამა პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემდე მიიყვანა. თვით ქალბატონი ელენე თევდორაძე ადგილზე გაეცნო აღნიშნულ საქმეს, მაგრამ იგი ალავიძემ ძიებაზე ზეწოლაში დაადანაშაულა.

**ვაჟა ბალაშვილი** (მოკლულის მამა): ვხედავ, რომ მკვლელს ძლიერი მფარველები ჰყავს და სწორედ ამიტომ აფარებენ ხელს, რაც მაფიქრებინებს, რომ სიმართლის გარკვევის და დამნაშავის დასჯის ალბათობა ნაკლებია. ჯერჯერობით მივმართავ პარლამენტს, ადამიანთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს, ჟურნალისტებს, რათა დამეხმარონ სიმართლის გარკვევაში და მკვლელმა დამსახურებული სასჯელი მიიღოს. ასეთი რამ გაგონილა სადმე, რომ ამდენი ადამიანის თანდასწრებით დღისით, ცენტრალურ ქუჩაზე მოხდეს მკვლელობა, მოკვდეს 19 წლის ბიჭი, მკვლელი კი დაკავებულიც არ იყოს და თავისუფლად დადიოდეს?!

ჯერჯერობით, სამართლის ძიების ეს გზა აქვს არჩეული ზვიად ბალაშვილის მამას. შემდეგ რას აპირებს, არ დაუკონკრეტებია. ასეთ სერიოზულ დანაშაულთან არასერიოზული და ზერელე დამოკიდებულება ხშირად უფრო სავალალო შედეგებით მთავრდება. უარესის მოლოდინში მეტი სიფრთხილე მართებთ კანონდამცველებს.

***ნელი ცქიტიშვილი***
***ეკა ფეიქრიშვილი***

# „გვინდოდა დანით იხე აეჭუწათ, როგორც თავად ჩვენი შვილები აჭუწა“

დღეს უკვე „თამამად“ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საშინელი, სადისტური მკვლელობები მარტო ამერიკულ მძაფრსიუჟეტიან ფილმებში არ გვხვდება. ბოლო ორი წლის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, სადისტური და სერიული მკვლელობების მხრივ, საქართველოს მსოფლიოში პირველობაზე პრეტენზიის გამოთქმაც კი შეუძლია.

რუსთაველი მანიაკის, შემდეგ კი თბილისელი რუსუდან თბილელის მიერ ჩადენილ სერიულ მკვლელობებს გასულ კვირაში 24 წლის სოსო ჯამბულაშვილმა სულ რაღაც რამდენიმე საათში გაუსწრო — ერთ დღეში სამი ადამიანი, მათ შორის 5 წლის გოგონა, სადისტურად გამოასალმა სიცოცხლეს.

მკვლელმა ესეც არ იკმარა და შინ მისულმა თურმე ცოლს გამოუცხადა, — ოთხი მოვკალი და ორი კიდევ დამრჩა მოსაკლავიო.

ამ სატანური განზრახვის განხორციელება სოსო ჯამბულაშვილს არ დასცალდა. დანაშაულიდან მესამე დღეს მშობლიურმა სოფელმა ლინჩის წესით გაასამართლა და კოცონზე დაწვა მისი ცხედარი, რადგან დამნაშავემ დაასწრო და თავი მოიკლა.

ამის გამო, როგორც გამომძიებლები ფიქრობენ, შესაძლოა, ახალგაზრდა ოჯახის ამოხოცვის მიზეზი ვერასოდეს დადგინდეს.



ქეთინო გოგინაშვილი და ალეკო ჯავახიშვილი

სამართალდამცავები ტრაგედიის ფინალმაც ჩააფიქრა. როგორ მოიქცნენ: ლინჩის წესით გასამართლების ინიციატორები დასაჯონ თუ არა?

## რა მოხდა 15 აპრილს?

სიყვარულის დღეს ჩადენილი მკვლელობის ამჟამინდელი ვერსია ასეთია: 2000 წლის 15 აპრილს, ვაზისუბნის მ/რ-ნის მე-16 კორპუსში მცხოვრებ ალეკო ჯავახიშვილისა და ქეთინო გოგინაშვილის ოჯახში სტუმრად იმყოფებოდა მათივე თანაკლასელი სოსო ჯამბულაშვილი.

24 წლის ალეკო ჯავახიშვილი წარმოშობით სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანიდან იყო. დამთავრებული ჰქონდა უმაღლესი სასწავლებელი, მუშაობდა ქალაქის პოლიციაში, თანამშრომლის პირად მძღოლად. მისი მეუღლე ქეთინო გოგინაშვილი დიასახლისი იყო.

სოსო ჯამბულაშვილი გახლდათ 24 წლის, სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის მკვიდრი, უმუშევარი, ცოლშვილიანი. ადრე ნასამართლევი ხულიგნობის ბრალდებით, თუმცა პირობით გათავისუფლებული.

იმ დღეს, დილით, სოსო და ალეკო სახლიდან ერთად გავიდნენ, შინ ქეთინო და მისი გოგონა, 5 წლის ეკა დარჩნენ. ცოტა ხანში მათთან სოსო მარტო მიბრუნდა. როგორც ვარაუდობენ, ის ნასვამი უნდა ყოფილიყო, რადგან ერთ-ერთი ხანმოკლე საუბრის შემდეგ სტუმარმა ქეთინოსთან ინტიმური კავშირის დამყარება მოინდომა. სასტიკი უარი მიიღო და ქალის გაუპატიურება სცადა.

დედის ყვირილმა და კივილმა პატარა ეკა ძალიან შეაშინა და ტირილი მორთო. გაღიზიანებულმა სოსომ ბავშვს დანა ჩასცხო მუცელში. გოგონა იქვე გარდაიცვალა.

თავზარდაცემული დედა მკვლელს მივარდა, პასუხად კი ჯამბულაშვილმა მას მუცლისა და გულმკერდის არეში დანა რამდენჯერმე ჩაარტყა.

ყოველივე ამის შემდეგ, მკვლელი ალეკოს კარებთან ჩაუსაფრდა და თავში ნაჯახი ჩაარტყა, დაჭრილი სასტუმრო ოთახში გაათრია, საწოლზე დააგდო და დანით აჩეხა. მერე მოკლულს ჯიბიდან ტაბელური იარაღი და მობილური ტელეფონი ამოაცალა. .

ამასობაში ბინის კარი ქეთინოს ნათესავმა სტუდენტმა — ზაქრო გოგინაშვილმა გააღო. ის ჯავახიშვილებთან დროებით ცხოვრობდა და ბინის გასაღებიც ჰქონდა.

მკვლელმა მას თავში ნაჯახის ტარი ჩაარტყა და ალეკოს პისტოლეტიდან თავის არეში ორი ტყვიაც დაახალა. ჯამბულაშვილმა ისიც მკვდრად მიიჩნია და იქაურობა დატოვა.

მკვლელობის ამბავი მხოლოდ მეორე დღეს გაიგეს.

უშიშროების აკადემიის კურსანტი, 22 წლის ზაქრო გოგინაშვილი გადარჩა. სამი გარდაცვლილი და მძიმედ დაჭრილი ზაქრო ჯავახიშვილების ბინაში შემთხვევით მისულმა ნათესავმა აღმოაჩინა.

გარდაცვლილთა სხეულებზე ექსპერტიზა მეორე დღესვე ჩატარდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის, მჟავანაძის მტკიცებით, ქეთინო გოგინაშვილი გაუპატიურებული არ აღმოჩნდა, თუმცა გვამზე მრავალმხრივი დაჟეჟილობები და ბასრი იარაღით მიყენებული არაერთი სასიკვდილო ჭრილობა დაფიქსირდა.

5 წლის ეკა ჯავახიშვილს კი მსგავსი ჭრილობის გარდა, მუცელში გაზეთებიც ჰქონდა ჩატენილი(?!), ზაქრო გოგინაშვილი კი ყურში და კისრის არეშია ტყვიით დაჭრილი. ექიმების თქმით, დაჭრილის მდგომარეობა კვლავ მძიმეა და მისი დაკითხვა ჯერჯერობით შეუძლებელია.

მათივე თქმით, ზაქრო გოგინაშვილის ნალაპარაკევს ერთი თვის მანძილზე იურიდიული ძალა არ ექნება.

### მეზობლების ჩვენებები:

იმ დღეს მკვლელი ჯავახიშვილების სახლში სამმა მეზობელმა შეამჩნია. ერთ-ერთმა მათგანმა იგი კორპუსიდან გამოსული დაინახა.

მე-8 სართულზე მცხოვრები მეზობელი: „მთელი ღამე ოხვრისა და გმინვის ხმა მესმოდა ზემოდან. რას ვიფიქრებდი, ვინმე დაჭრილი თუ იყო? მანამდე საეჭვო არაფერი გამიგია“.

მკვლელი ნახა ჯავახიშვილების კარის მეზობელმა:

„ქეთინოს დამ დაურეკა ტელეფონზე. დაბადების დღე ჰქონია და მთხოვა, უთხარი, რომ ველოდები, ან იქნებ ტელეფონთან მოვიდესო. ჯავახიშვილებს ტელეფონი არ ჰქონდათ და ჩემგან რეკავდნენ ხოლმე. როცა გავედი, კარი მათმა მეგობარმა ბიჭმა გამიღო. შესახედავად ვიცნობდი, მათთან ხშირად დადიოდა. მითხრა, — ქეთინო გასულია და მოგვიანებით დაბრუნდებაო.

ცოტა ხნის შემდეგ ქეთინოს ისევ დაურეკეს. დასაძახებლად კვლავ გავედი. კარები, თუმცა ნახევრად, ისევ იმ ბიჭმა გამიღო. ქეთინო ჯერ კიდევ არ მოსულა, შენ ნუღარ შეწუხდები, მე თვითონ გადავცემ სათქმელსო.

მაშინ დაახლოებით 2 საათი იქნებოდა. ბინიდან საეჭვო არაფერი გამიგონია. ამ დროს ლოჯიაში ვიყავი და მეზობლის ბავშვებთან ერთად ტელევიზორს ვუყურებდი.“

მკვლელობა, რომელიც სავარაუდოდ, დღის 2 საათზე უნდა მომხდარიყო, ერთ-ერთი ვერსიით, სიყვარულს უკავშირდება. ამ ვერსიას, სხვათა შორის, ნაწილობრივ გამოძიებაც იზიარებს.

სიყვარულის ვერსია, ჯერჯერობით, მართლდება. ძირითადი მოტივი მკვლელობისა, ალბათ სწორედ ეს იყო, რადგან მკვლელს ჯავახიშვილების ბინიდან არაფერი წაუღია. ფული ისედაც ცოტა ჰქონდათ, მაგრამ ისიც ხელუხლებელი იყო.

ჯამბულაშვილმა მხოლოდ იარაღი და ტელეფონი გაიტაცა. ამ ვერსიის თანახმად, სოსოს ქეთინო ბავშვობაში შეუყვარდა.. თუმცა, მეგობრებსა და ნაცნობებში გრძნობებს თითქმის არ ამჟღავნებდა. განსაკუთრებით თავშეკავებულად მას შემდეგ იქცეოდა, რაც ქეთინო და ალეკო შეუღლდნენ, ოღონდ ყოველნაირად ცდილობდა, ახლო ურთიერთობა შეენარჩუნებინა ამ ოჯახთან.

ვაზისუბნის მე-16 კორპუსის მობინადრენი თითქმის ერთხმად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ახალგაზრდა, სახელად სოსო, საკმაოდ ხშირად დადიოდა ჯავახიშვილების ოჯახში და მათთან რამდენიმე დღით რჩებოდა კიდეც.

თავად ქეთინო გოგინაშვილის ნათესავებმა „სიყვარულის ვერსიას“ აბსურდული უწოდეს — ეს ვიღაცის მიერ არის შეთხზული. მსგავსი რამ ქეთინოს ჩვენთვის არასოდეს უთქვამსო.

რამდენიმე დღის წინ მკვლელობაზე აღძრული საქმე გამოსაძიებლად ქალაქის პროკურატურას გადაეცა. გამომძიებელი მერაბ გოგლიძე, მიუხედავად საქმის გახსნისა და მკვლელის სიკვდილისა, ვერსიების გამხელისაგან თავს იკავებს.

მკვლელი კიდევ ორი ადამიანის მოკვლას გეგმავდა.

პოლიცია მკვლელს თბილისში ეძებდა. მკვლელობიდან მესამე დღეს სოსო ჯამბულაშვილი სოფ. ნუკრიანში გამოჩნდა. იგი მეზობლის ეზოში მდგარ ფარდულში იმალებოდა. როგორც გამოძიებისათვის გახდა ცნობილი, ჯამბულაშვილს იმ დღეს მეხუთე ადამიანის მკვლელობა ჰქონდა განზრახული. თუმცა, სოფლის მკვიდრთა თქმით, ის ორ პიროვნებაზე აპირებდა შურისძიებას.

გავრცელებული ხმებით, მორიგი მსხვერპლი სწორედ ის მეზობელი უნდა ყოფილიყო, ვის ეზოშიც ჯამბულაშვილი იმალებოდა. მკვლელის ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ აღსრულდა. სოფლელების მიერ ალყაშემორტყმულ ფარდულში ჯამბულაშვილმა გატაცებული იარაღით თავი მოიკლა.

### კიდევ ერთი ცოდვა

ჯავახიშვილების ოჯახის მუხანათურად ამოხოცვით აღშფოთებულმა ნუკრიანელებმა მეზობელს სადისტური მკვლელობა არც თვითმკვლელობის შემდეგ აპატიეს და მისი ცხედარი კოცონზე დაწვეს. იქ მყოფ პოლიციელთა თქმით, მათ ხალხს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

მუხანათურ მკვლელობას უფრო მუხანათური ფინალი მოჰყვა. თავდაპირველად საზოგადოებამ ეს ფაქტი სამართლიან განაჩენად შეაფასა, თუმცა მოგვიანებით მასში ამაზრზენი, არაქრისტიანული და არაადამიანური ქმედება დაინახა.

**ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა:** — აქ საქმე გვაქვს არა ადამიანის, ანუ პიროვნების ფსიქიკასთან, არამედ ბრბოსთან. ლინჩის წესით გასამართლების პროცესში მონაწილე — არც ერთი სულიერი ადამიანი, ინდივიდი არ არის, ამ დროს მოქმედებს ბრბო. ადამიანი პასუხისმგებლობას იხსნის და მისი მოქმედება მას კი არა, არამედ ბრბოს ეკუთვნის, მის ქმედებას და გადაწყვეტილებას ეთანხმება.

სოფელ ნუკრიანში მომხდარი ფაქტის კომენტირება ჩვენ ქალაქ თბილისის შს სამმართველოს უფროსს **უშანგი მგელაძესაც** ვთხოვეთ:

— ამგვარი მოვლენა, ძველი რომაული წესით დამნაშავის გასამართლება, განსჯისას ყოველთვის დიდ სირთულეებს აწყდებოდა. ყოველი შემთხვევისათვის, ამ სახით მკვლელის გასამართლება გაუმართლებელია და ასეთი ქმედება კანონის შესაბამისად პასუხისგებას მოითხოვს.

**— მომხდარი ფაქტის გამო სისხლის სამართლის საქმე უკვე აღიძრა. როგორ ფიქრობთ, გამოვლინების შემთხვევაში, დასჯიან თუ არა ინიციატორებს და რა სასჯელით?**

— ეს სამართლის თეორიაში ურთულესი შემთხვევაა. მართალია, სოსო ჯამბულაშვილმა თავი მოიკლა, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ის უმალვე არ გარდაცვლილა. იმ შემთხვევაში, თუ ის დაწვამდე სიცოცხლისუნარიანი იყო, მაშინ საქმე მკვლელობასთან გვაქვს, რაც კანონის თანახმად დასჯადია; ხოლო თუ ჯამბულაშვილი იმ დროსთვის უკვე გარდაცვლილი გახლდათ, მაშინ ადგილი ჰქონია გვამის განადგურებას, ანუ კრემაციას, რასაც კანონი დასჯადად არ მიიჩნევს.

სამწუხაროდ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლებელია იმისი დადგენა, სიცოცხლისუნარიანი იყო თუ არა ჯამბულაშვილი.

**— იქ მყოფ პოლიციელთა ქმედებას როგორ შეაფასებთ? იყვნენ თუ არა ვალდებულნი ხალხისთვის ხელი შეეშალათ?**

— ვალდებულნი იყვნენ, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ მათ მასას წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. რამდენადაც მე ვიცი, პოლიციამ დროზე ვერ შეიტყო და როცა მოვიდნენ, გვამი უკვე დამწვარი იყო.

სხვათა შორის, სანამ ეს მოხდებოდა, წინა ღამით, ტელევიზიით სიღნაღის პოლიციის უფროსის მოადგილე გამოვიდა და თქვა, რომ ლინჩის წესი, ვის მიმართაც არ უნდა იყოს იგი განხორციელებული, ყველა შემთხვევაში დასჯადიაო.

P.S. დაღუპულთა ნათესავებს მკვლელის ლინჩის წესით გასამართლებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. თუმცა ესეც დასძინეს: გვინდოდა, უფრო სასტიკად ეწამებინათ, ნაკუწ-ნაკუწ აეჩეხათ ისე, როგორც თვითონ მოექცა ჩვენს შვილებსო.

ხოლო ერთ-ერთმა ნუკრიანელმა, ვინც ზემოხსენებულ „სასამართლოში“ მიიღო მონაწილეობა, ისიც გვითხრა, სიღნაღის პოლიცია ამ პროცესს თავიდან ბოლომდე ესწრებოდაო.

***ემა ჯაფარიძე***

# „ჭვანიას ხელქვეითი არასოდეს ვიქნები“

პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ცვლილებებს სახელმწიფო სტრუქტურებშიც უნდა ველოდოთ. ორ კვირაში პრეზიდენტი მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობას წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. სავარაუდოა, რომ ზოგი მინისტრი პოსტს შეინარჩუნებს, ზოგს რეფორმების ბოლომდე მიყვანას აცლიან, ზოგს კი არაფერი უშველის — მათი ბედი გადაწყვეტილია. ამ „სამინისტრო“ ციებ-ცხელების ფონზე ტრადიციონალისტთა ლიდერი აკაკი ასათიანი საკონსტიტუციო ცვლილებების მოთხოვნით გამოდის და პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღებას ითხოვს. ასათაინი თავის განცხადებას სერიოზულ სარჩულს უდებს — ქვეყნის ინტერესებისათვის ასე სჯობსო, მაგრამ ედპ-ს ლიდერს „ასათიანისა არ სჯერა“, ირინა სარიშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღების მოთხოვნის მიღმა ჟვანია-ასათაინის საერთო ინტერსებს ხედავს და აცხადებს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე სახელმწიფო მინისტრს ასათიანის დახმარებით ურტყამს. ბოლო დროს ჟვანია-ლორთქიფანიძის დაპირისპირებაზე არაერთხელ ითქვა. მათ რომ შეხმატკბილებული დუეტი არ აქვთ, ყველამ იცის, მაგრამ ასათიანის მოთხოვნამ ლორთქიფანიძეს სერიოზული საფრთხე შეუქმნა. ჟვანია სათავისოდ ცდილობს, მაგრამ მას შევარდნაძის ფიგურა უქმნის უხერხულობას, რომლის კეთილგანწყობითაც ლორთქიფანიძე სარგებლობს. შევარდნაძე ლორთქიფანიძეს ენდობა, გარდა ამისა ამ სიტუაციაში სახელმწიფო მინისტრსა და პრეზიდენტს საერთო ინტერესები აქვთ. პრეზიდენტს ხელს არ აძლევს უფლებების შეზღუდვა, ლორთქიფანიძეს კი პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღება, რომლის ხელში ჩასაგდებადაც იღვწის (კულუარული ინფორმაციით) პარლამენტის თავმჯდომარე. სიტუაციაში გარკვევა „კვირის პალიტრამ“ საკონსტიტუციო ცვლილების განხორციელების ინიციატორისგან, **აკაკი ასათიანისგან** დაიწყო.



**— ბატონო აკაკი, რა მიზეზით ითხოვთ პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღებას?**

— მართვის ამ სისტემამ არ გაამართლა და ამას ყველანი ვგრძნობთ საკუთარ თავზე. თვითონ პრეზიდენტიც უკმაყოფილოა აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაობით. მინისტრები პასუხს აგებენ ერთი კაცის — პრეზიდენტის წინაშე და საყვედურებს მარტივი პასუხით იშორებენ — ჩვენ ერთი უფროსი გვყავს — პრეზიდენტიო. ამიტომ პრეზიდენტი რომ გავათავისუფლოთ ზედმეტი პასუხისმგებლობისაგან და მეტი ინიციატივის საშუალება მივცეთ მინისტრებს, უნდა შეიქმნას მინისტრთა კაბინეტი. საქართველოს უნდა ჰყავდეს პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ორმაგი პასუხისმგებლობა ექნება პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.

**— თქვენ აცხადებთ, რომ პრეზიდენტი უკმაყოფილოა აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაობით, მაგრამ ის ნაკლებად დაინტერესებული ჩანს პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღებით. მან ამის მიზეზიც დაასახელა, ეს საკონსტიტუციო ცვლილება არ მოესწრებაო.**

— კი, მას არ სურს ეს ცვლილება და ჩააგდებს კიდეც ამ საკითხს თუ ძალიან მოინდომებს, მაგრამ ამით თავს უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენებს, იმიტომ, რომ სანაცვლოდ არაფერს კონსტრუქციულს არ გვთავაზობს. რასაც აცხადებს საკუთარ საგანგებო უფლებამოსილებაზე, ეს მაპატიოს მან და, არასერიოზულია. რაც შეეხება იმ არგუმენტს, რომ არ მოესწრებაო, ჩვენ გვინახავს საკითხები, რომლებიც ნახევარ საათში გასულა, როცა ამის სურვილი ყოფილა.

**— პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღებით შევარდნაძის უფლებები იკვეცება, ის ეცდება, რომ შეინარჩუნოს ამჟამინდელი მდგომარეობა.**

— არ ვმალავ, რომ ასე იქნება. პარლამენტის თავმჯდომარეს ვთხოვე მოეცა ჩემთვის 15-20 წუთი პარლამენტში გამოსასვლელად, რათა ჩემი მოსაზრება დამესაბუთებინა. ამაში ჟვანიამ მხარი დამიჭირა. პრეზიდენტს ჩემზე ნაკლები გამოცდილება ნამდვილად არ აქვს, გამოვიდეს და დაამტკიცოს, რატომ არ უნდა შეეკვეცოს უფლებები. თუ მას უფლებები შეეკვეცება, ეს მის სასარგებლოდ იქნება. მას შორდება წვრილმანი პასუხისმგებლობა ყოველდღიური საქმეების გამო, სამაგიეროდ ის თავისუფლდება სტრატეგიული მუშაობისთვის.

**— გამოდის, რომ პრეზიდენტი და პარლამენტი დაპირისპირებულები არიან. ამბობენ, რომ ჟვანია უფლებების გაფართოებისთვის იბრძვის და პრემიერ-მინისტრობას უმიზნებს.**

— ვერაფერს გეტყვით, რა ხდება მოქალაქეთა კავშირის სამზარეულოში. მაგრამ რაღაც მაინც იკვეთება. ბიუროს სხდომაზეც საკმაოდ უკმეხი საუბარი იყო პრეზიდენტსა და უმრავლესობის წარმომადგენლებს შორის, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ისინი ერთი გუნდის წევრები არიან. ამიტომ ან უნდა გაიყონ, ან ერთად უნდა აგონ პასუხი. მმართველ პარტიაში ზოგს ესმის, რომ ეს პასუხისმგებლობა შეიძლება მძიმე იყოს და ვითარების გამოსწორებას ცდილობს, ვილაც კი თვლის, რომ მთავარია იყოს პრეზიდენტი.

**— და ამ საკითხში მოხდა თქვენი და ჟვანიას ინტერსების თანხვედრა?**

— შეიძლება... ვთვლი, რომ ჟვანიას პოზიცია უფრო პროგრესულია. თანხვედრა კი რაში გამოიხატება? ის უბრალოდ საქმის კურსში ჩავაყენე, რომ პარლამენტში მინდოდა გამოსვლა. საჯაროდ მას არ გამოუხატავს თავისი პოზიცია. ნიკო ლეკიშვილმა კი თქვა, რომ ეთანხმება ჩემს პოზიციას.

**— ალბათ გაიგებდით კულუარულ ჭორს, ჟვანია პრემიერ-მინისტრობისთვის ემზადებოდა და აკაკი ასათიანსაც კარგ ადგილს ჰპირდებაო.**

— იმედი მაქვს, რომ არ გჯერათ ამ სისულელეებისა. მე შევარდნაძის ხელქვეითად არ დავდექი (ამხელა ფიგურის), ზურაბი ძალიან კარგი კაცია, მაგრამ სხვა თუ არაფერი, ჩემზე ახალგაზრდაა და მისი ხელქვეითი ნამდვილად ვერ ვიქნები. შორს რომ არ არის ეს საქმე... გამოჩნდება.

**— პარლამენტის თავმჯდომარეობა რატომ არ გხიბლავთ?**

— ერთსა და იმავე ადგილზე ორჯერ არ უნდა მიხვიდე. თანაც ეს ძალზე უინტერესო და მოსაწყენი საქმეა.

**— თქვენი ინიციატივა ხომ არ არის სამომავლოდ გათვლილი სტრატეგია, ხომ არ გექნებათ ამბიცია პრემიერ-მინისტრობაზე.**

— ამას არც ვმალავ. თუ ჩემი პარტია მოიგებს არჩევნებს და ეყოლება უმრავლესობა, ნამდვილად მექნება ამბიცია პრემიერ-მინისტრის პოსტზე. ვთვლი, რომ ეს უფრო სწორია, ვიდრე პრეზიდენტობისთვის ბრძოლა. ჟვანიაზე ამბობენ, მეორე კაციაო, ჩემზეც ამასვე ამბობდნენ. არ არის ეს სწორი, პარლამენტის თავმჯდომარე არ არის მეორე პირი და ბრალდება რაღაცები. ამ დროს ერთი კაცის დანიშვნაც არ შეუძლია. პრემიერ-მინისტრობა კი ძალზე მომხიბვლელია ასეთ ფონზე. სამომავლოდ შესაძლოა, რომელიმე პარტიასთან შევქმნა კოალიცია და ვიბრძოლო პრემიერ-მინისტრობისთვის.

**— ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ თქვენი ფრაქცია უცებ მოქკავშირის შემადგენლობაში აღმოჩნდეს.**

— ეს ყველაზე ძნელი წარმოსადგენია. ჩვენ სხვა რამ გვწამს და გვჯერა, მათ სხვა.

ამ საკითხებთან დაკავშირებით **ვახტანგ ხმალაძეს** გავესაუბრეთ:

— ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, სახელმწიფო მმართველობის როგორი მოდელი იქნება არჩეული, როგორ მინისტრთა კაბინეტზე იქნება საუბარი. აქ ვლაპარაკობთ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. ერთ შემთხვევაში ეს მოდელი შეიძლება იყოს ძალიან კარგი, მეორე შემთხვევაში კი — ცუდი. ამის მაგალითია რუსული მოდელი, სადაც არის განუსაზღვრელად დიდი ძალაუფლების მქონე პრეზიდენტი, რომელსაც ფაქტობრივად, არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც განტევების ვაცის როლი აკისრია და არის ორი უფლის მონა (პრეზიდენტის და პარლამენტის), აგრეთვე არსებობს პარლამენტი, რომელიც არის დემოკრატიის შირმა. ეს არის ყოვლად უვარგისი, ავტორიტარული სახელმწიფო მოდელი.

**— ჩვენს სახელმწიფო სტრუქტურას როგორ შეაფასებთ?**

— ჩვენთან ხელისუფლება მკაფიოდ არის განაწილებული. კანონის მიხედვით ხელისუფლების გადაფარვები, ფაქტობრივად, არ არის. თუმცა ჩვენმა პარლამენტმა გააკეთა გამონაკლისი და პრეზიდენტს მიანიჭა ისეთი უფლება, რისი მინიჭების უფლებაც არ ჰქონდა. არის ხელისუფლების დანაწილების ზოგადი პრინციპი, რომლის თანახმად თუ ხელისუფლების რომელიმე განშტოებას აქვს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებები, არ შეიძლება ეს უფლება სხვას გადასცეს. არსებობს მეორე პრინციპიც — კონტროლისა და გაწონასწორების პრინციპი. ხელისუფლების სამი განშტოება ერთმანეთს აკონტროლებს, რათა ერთიმეორის ძალაუფლება გააწონასწორონ. საშიშია ხელისუფლების ერთ ხელში თავმოყრა იმიტომ, რომ მმართველი შეიძლება კარგიც იყოს და ცუდიც. არსებობს ასეთი გამონათქვამი — „ხელისუფლება რყვნის ადამიანსო“. როცა ჩემს ხელში განუზომელი ძალაუფლებაა, ერთ დღეს შემიძლია გავრეკო და მოუკრეფავში გადავიდე. ვინ გაბედავს და მეტყვის, რომ სწორი არ ვიყავი. ამიტომ ჩვენ უნდა ავილოთ ნებისმიერი მოდელი, მაგრამ ეს მოდელი ზემოხსენებულ პრინციებს უნდა აკმაყოფილებდეს.

კლასიკურ პარლამენტურ სახელმწიფოში აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად მინისტრთა კაბინეტის ხელშია. პრეზიდენტი მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურია. ფრანგულ მოდელში აღმასრულებელი უფლებამოსილებანი გადანაწილებულია პრეზიდენტსა და მინისტრთა კაბინეტს შორის. მეტი უფლება აქვს მინისტრთა კაბინეტს, ცოტა — პრეზიდენტს. ჩვენ თუ გადავალთ მინისტრთა კაბინეტის მოდელზე, პრეზიდენტის ხელში არსებული მთელი ხელისუფლება უნდა გადანაწილდეს პრეზიდენტსა და მინისტრთა კაბინეტს შორის.

**— როგორ ფიქრობთ, არის თუ არა დაპირისპირება და კომპრომატის ძებნა პრეზიდენტსა და მოქკავშირის საპარლამენტო ლიდერებს შორის.**

— შეიძლება ასეც არის, მაგრამ არ მინდა ჭორების დონეზე ვიმსჯელო. მაგრამ როცა პარლამენტის უმრავლესობა და პრეზიდენტი ერთი გუნდის წევრები არიან, გინდ ყოფილა მინისტრთა კაბინეტი, გინდ არა. მათ შორის პრობლემა არ უნდა არსებობდეს. მაგრამ თუ პრობლემა მაინც არსებობს, ე.ი. მმართველ პარტიაში, კერძოდ კი, პრეზიდენტსა და მმართველ პარტიას შორის არის დაპირისპირება. თუ ისინი ერთმანეთში ვერ რიგდებიან, უნდა დაშორდნენ ისე, რომ თავიანთი შიგა პრობლემა არ მოახვიონ თავს ქვეყანას. მინისტრთა კაბინეტის შემოღება მხოლოდ იმიტომ, რომ ერქვას მინისტრთა კაბინეტი და არ იყოს ისეთი, როგორიც უნდა იყოს, იქნება დანაშაული.



– ერთ დღეს შეიძლება გავრეკო და მოუკრეფავში გადავიდე...

**— რამდენადაც ვიცი, თქვენ პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღების მომხრე ხართ და ჟვანიას უჭერთ მხარს.**

— არა, ასე ნუ ვიტყვით. პრემიერ-მინისტრის პოსტი თავისთავად კარგიც შეიძლება იყოს და ცუდიც. გააჩნია, როგორი მოდელი იქნება შემოღებული — კარგის მომხრე ვარ, ცუდისა — არა. პირობითად თქვენ ასე დაყავით, რომ არსებობს ჟვანიას და შევარდნაძის გუნდი. თუ ჟვანიას გუნდის მიზანია იმის გაკეთება, რაც სწორად მიმაჩნია, მაშინ კარგია, თუ ძალაუფლება ამ გუნდის ხელში გადავა. მაგრამ თუ შევარდნაძე აპირებს სწორის გაკეთებას, მაშინ ჟვანიას გუნდის ხელში არ უნდა გადავიდეს ძალაუფლება. სახელმწიფო მანქანა სწორად უნდა იყოს მოწყობილი. ის არ უნდა იყოს მორგებული არც შევარდნაძეზე და არც ჟვანიაზე.

**— ათი წლის წინ ერთი პარტიის შიგნით მომხდარმა განხეთქილებამ ქვეყანას სავალალო შედეგი მოუტანა. ხომ არ არსებობს ანალოგიური საშიშროება.**

— ძნელია პროგნოზირება როგორ განვითარდება პროცესები, მაგრამ 10 წლის მანძილზე ისეთი გარიგებები ვნახე გინდათ პიროვნებებს, გნებავთ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს, გნებავთ ჩვენთან მოქმედ პოლიტიკურ ძალებსა და ქვეყნის გარეთ მოქმედ ძალებს შორის, რომ არაფერი გამიკვირდება.

**P.S.** „ტრადიციონალისტთა“ 14 ხმა საკონსტიტუციო ცვლილების განხორციელებას არ ჰყოფნის. ამ საკითხის პარლამენტში დაყენებისთვის მინიმუმ 118 ხმაა საჭირო. საპარლამენტო უმცირესობა ასათიანს უჭერს მხარს, სავარაუდოა, რომ ფრაქცია „აფხაზეთსა“ და ზოგიერთ მაჟორიტარსაც მათ მომხრეებად ვიხილავთ. როგორც ჩანს, „ტრადიციონალისტთა“ წინადადებამ ჟვანიას გარდა ლეკიშვილიც მოხიბლა და ასათიანს თანადგომას შეჰპირდა. ასე რომ, სრულიად შესაძლებელია, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტი საქართველოსთვის რეალობად იქცეს, რომლის ერთ-ერთ პრეტენდენტად სახელმწიფო მინისტრს ვაჟა ლორთქიფანიძესაც მოიაზრებენ.

*იზო რეკაძე*

# რას ერჩოდნენ ბარამიძეს, თუ მაჭავარიანი მაინც დეპუტატია...

საქართველოს კონსტიტუციაში შავით თეთრზე წერია, რომ არ შეიძლება დეპუტატმა სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა დაიკავოს. ამ კონსტიტუციურ მუხლს კინაღამ შეეწირა გია ბარამიძის კარიერა. საზოგადოებას კარგად ახსოვს ის აჟიოტაჟი, რაც ამ ახალგაზრდა პარლამენტარის მოთხოვნას მოჰყვა, როცა მან შემოსავლების მინისტრობის პარალელურად დეპუტატობის შენარჩუნება მოითხოვა. მაშინ ყველაზე დიდი ქოქოლა ბარამიძეს სწორედ მისმა თანაგუნდელებმა დააყარეს. ერთი ადამიანის გამო კონსტიტუციაში ცვლილებები არ მოხდება! — ასეთი იყო უმრავლესობის პოზიცია. ბარამიძემ მინისტრობაზე უარი განაცხადა. უმრავლესობამ მისი კანდიდატურა მიხეილ მაჭავარიანით შეცვალა.

ის, რისთვისაც თანაგუნდელებმა გია ბარამიძე დატუქსეს, მიხეილ მაჭავარიანისთვის სულაც არ აღმოჩნდა მიუღწეველი. ყოველგვარი სკანდალის, ხმაურის, ნერვების წყვეტის გარეშე და კონსტიტუციის დარღვევით მიხეილ მაჭავარიანი დეპუტატიც გახლავთ და მინისტრიც. რატომ არღვევს კონსტიტუციას მიხეილ მაჭავარიანი და რატომ დუმს ამაზე უმრავლესობა?

დღევანდელი გადასახედიდანაც **გია ბარამიძეს** მიაჩნია, რომ მაშინ ის მართალი იყო.

**— თქვენს მიერ მინისტრობის პარალელურად დეპუტატობის მოთხოვნამ თავის დროზე დიდი აურზაური გამოიწვია მმართველ პარტიაში, თუმცა, რასაც თქვენ ითხოვდით, მიხეილ მაჭავარიანმა სრულიად უპრობლემოდ მიიღო...**

— დიახ. მაშინ ამაზე ატყდა ყველაზე დიდი ხმაური, თუმცა ეს არ იყო ჩემი ყველაზე პრინციპული მოთხოვნა და არც ახირება.

**— მაგრამ ეს იყო კონსტიტუციის დარღვევა და ეს ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირა კიდეც თქვენმა პარტიამ. ეხლა ეს აღარ არის კონსტიტუცის დარღვევა?**

— გამოსვლები ჩემს წინააღმდეგ ნამდვილად არაკორექტული იყო, რადგანაც მე არავითარი დარღვევა არ მომითხოვია. საუბარი იყო საკონსტიტუციო ცვლილებაზე და პრეზიდენტმაც განაცხადა, რომ ეს ცვლილება შესაძლებელი იყო. მე არც მაშინ მიფიქრია და არც ეხლა მგონია, რომ ვინმე ბარამიძისთვის კონსტიტუციას შეცვლის. ამაზე (საკონსტიტუციო ცვლილებებზე) 1995 წლიდან მიდიოდა საუბარი და ეს არ იყო ახალი თემა. უბრალოდ, მაშინ ამაზე გამახვილდა ყურადღება.

**— რატომ გამახვილდა ამაზე ყურადღება თქვენს შემთხვევაში, მიხეილ მაჭავარიანი ხომ საერთოდ კონსტიტუციის დარღვევით არის მინისტრი-დეპუტატი, მაგრამ არავინ ხმას არ იღებს.**

— მიმაჩნია, რომ ყურადღება არასწორად გამახვილდა და არასწორი კომენტარები გაკეთდა.

**— რატომ?**

— შეიძლება ჩემი მოთხოვნა მოულოდნელი იყო ჩემი კოლეგებისთვის...

**— მაშინ რომ თქვენი მოთხოვნა დაკმაყოფილებულიყო, დღეს მინისტრი იქნებოდით?**

— თუ გახსოვთ, ეს მოხდა კენჭისყრამდე ხუთი წუთით ადრე. ფაქტობრივად დათანხმებული ვიყავი, მაგრამ როდესაც გაირკვა, რომ შეუძლებელი იყო ჩემი პირობის შესრულება, ეს იყო ბოლო წვეთი. თანაც მე რომ დეპუტატობას არ დავტოვებდი, წინასწარ განვაცხადე. ჩემს მეგობრებთან შევთანხმდით კიდეც ამ საკითხზე.

**— თუკი ამგვარი შეთანხმება იყო, მაშინ რატომღა აქციეს ეს თემა სკანდალად?**

— იცით მენტალიტეტია ასეთი — ხალხი ერთს ლაპარაკობს და მეორეს აკეთებს, ამიტომ მათაც იფიქრეს, კი თქვა, მაგრამ სხვანაირად მოიქცევაო.

**— ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ თქვენ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდეთ უმრავლესობა.**



— ზურას ამაში არ ვეთანხმები. მიმაჩნია, რომ დაუმსახურებლად გამაკრიტიკეს. მე მართალი აღმოვჩნდი. მინისტრი გახდა ჩემზე უკეთესი კანდიდატი, მისი პირობები დაკმაყოფილდა. საბოლოო ჯამში ყველაფერი კარგად დამთავრდა. იმედი მაქვს, რომ კონსტიტუციაში შეიტანენ ცვლილებას, რომელსაც მე მოვითხოვდი. მართალია, უმრავლესობა ჯერჯერობით საკუთარ პოზიციას არ გამოხატავს, მაგრამ მინისტრთა კაბინეტის შემოღების საკითხს ჩვენ მხარს ვუჭერთ.



მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, გიორგი ბარამიძეს მაინც გაუჭირდა დაეკონკრეტებინა, თუ რატომ იქცა მისი მოთხოვნა სკანდალად. მაშინ, როცა აგერ უკვე 4 თვეა, დარღვეულია კონსტიტუცია და დეპუტატი მიხეილ მაჭავარიანი მინისტრია. საპროცედურო კომიტეტში აგვიხსნეს, იმისათვის, რომ დეპუტატმა უფლებამოსილება მოიხსნას, პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე უნდა დაწეროს განცხადება, რომელიც შემდეგ გადაეგზავნება საპროცედურო კომიტეტს. კომიტეტი შეისწავლის განცხადების ნამდვილობასა და მისი დაწერის მიზეზს, შემდეგ წარუდგენს ბიუროს და ბოლოს ეს საკითხი გადის პლენარულ სხდომაზე და ეყრება კენჭი. მიხეილ მაჭავარიანთან დაკავშირება ამ საკითხის დასაზუსტებლად ვერ მოხერხდა. მის პრესსამსახურიდან გვაცნობეს, რომ მაჭავარიანმა განცხადება უფლებამოსილების მოხსნის შესახებ 24 დეკემბერს (მისი დამტკიცების დღესვე) დაწერა. როგორც ხათუნა ხოფერიამ გვითხრა, მიხეილ მაჭავარიანის განცხადება საპროცედურო კომიტეტში შესულია, მაგრამ მისი ბიუროსთვის წარდგენა აქამდე არ მოხერხდა. მისი თქმით, ამის მიზეზი ისაა, რომ ახალი მოწვევის პარლამენტმა მიხეილ მაჭავარიანის გარდა კიდევ რამდენიმე დეპუტატის უფლებამოსილების (ასლან აბაშიძის, თამაზ ნადარეიშვილისა და ლონდერ ცაავას) მოხსნის საკითხი უნდა განიხილოს. ასლან აბაშიძის მოთხოვნით, ეს პროცედურა დაჩქარდა.

ხათუნა ხოფერიამ განაცხადა, რომ მიხეილ მაჭავარიანისა და დანარჩენი ორი დეპუტატის საკითხი უახლოეს მომავალში წარედგინება ბიუროს და პლენარულ სხდომაზეც გავა. ამბობენ, რომ მოქკავშირმა მაჭავარიანის დეპუტატობის საკითხი გააჯანჯლა (უნდა აღინიშნოს, რომ ამის საშუალებას იძლევა კანონიც, რომელშიც უფლებამოსილების მოხსნის საკითხის განხილვის ზუსტი ვადები მითითებული არ არის). ვარაუდობენ, რომ უმრავლესობა პრეზიდენტის სამთავრობო ცვლილებებს დაელოდება. მიხეილ მაჭავარიანმა უკვე განაცხადა, რომ თუ მთავრობა გუნდური პრინციპით არ დაკომპლექტდა, თანამდებობაზე მის დარჩენას აზრი არ ექნება. მაშინ იგი კვლავ დეპუტატად დაუბრუნდება პარლამენტსა და მშობლიურ პარტიას. როგორც ამბობენ, მსგავსი ნაბიჯებით მოქკავშირი შეეცდება საკუთარი პასუხისმგებლობა მინიმუმამდე დაიყვანოს და ის მთლიანად პრეზიდენტს დააკისროს.

*ეკა ჯანაშია*

# „ფილიპ მორისმა“ განათლების სამინისტრო მოატყუა?!

შესაძლოა, სულ მალე საზოგადოების მიმართ შენიღბულ აგრესიაში დაადანაშაულონ თამბაქოს მწარმოებელი კომპანიები — „ფილიპ მორისი“ და „ბრიტანულ-ამერიკული თამბაქო“, რომელთაც საუკეთესო ბაზარი აქვთ პოსტსაბჭოურ სივრცეში და მათ შორის საქართველოშიც. სარწმუნო ცნობებით, უკანასკნელ ხანებში მათი პირველი სამიზნე გახდა სასკოლო ტიპის სასწავლო დაწესებულებები, სადაც, ვითომდა ჯანსაღ თაობებზე ზრუნვის მიზნით, შედიან. სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარადაა. ამას მოწმობს „ფილიპ მორისის“ წარმომადგენლის, მაირონ ჯონსონის განცხადება: ძალიან „შემაშფოთებელია მოზარდებში მწეველთა რაოდენობის კლება. სასწრაფოდ მოსაფიქრებელია მათი თამბაქოს ბაზარზე მოზიდვის მექანიზმი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდაუვალია კრიტიკული სიტუაცია“. საქართველოს თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ბატონმა **გელა კოზეშავიძემ** ამის შესახებ გვითხრა:

— ეს განცხადება განმსაზღვრელია ყველა თამბაქოს მწარმოებელი კომპანიის სტრატეგიული მიმართულებისთვის. ისინი, ბოლო დროს მსოფლიოში გაჩაღებული ანტინიკოტინური გამოსვლების მიუხედავად, ბაზრის შესანარჩუნებელ ახალ-ახალ მეთოდებს იგონებენ, აფინანსებენ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც იმიჯს აუმაღლებს მათ სახელმწიფოსა და საზოგადოების თვალში. სიგარეტის მწარმოებელი კომპანიები თვითონვე გამოდიან ანტინიკოტინური ლოზუნგებით, რაც ალოგიკურია. როგორ შეიძლება „ფილიპ მორისმა“ და „ბრიტანულ-ამერიკულმა თამბაქომ“ სიგარეტის მოწევის წინააღმდეგ გაილაშქრონ? საზოგადოება, რომელიც მათ ვერაგულ პოლიტიკას ვერ აცნობიერებს, ანკესზე ეგება და ჰგონია, რომ თამბაქოს მწარმოებლებს ჰუმანური მიზნები ამოძრავებთ არასრულწლოვანთა მიმართ და ზოგჯერ დათმობებზეც კი მიდიან ამ კომპანიებთან.

**— საქართველოში როგორ გამოიხატება სიგარეტის მწარმოებელი კომპანიების აგრესია?**

— რა პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, „ფილიპ მორისისა“ და „ამერიკულ-ბრიტანულ თამბაქოს“ უძლიერეს დასაყრდენს საქართველოში განათლების სამინისტრო წარმოადგენს. მინისტრის მხარდაჭერით, ისინი შედიან სასწავლო დაწესებულებებში. დაიწყეს თბილისიდან და გადაინაცვლეს ქუთაისში, სადაც განათლების სამმართველოში შემოგვჩივლეს, რომ შეწუხებული არიან თამბაქოს კომპანიებისაგან და გვთხოვეს, ამის შესახებ განათლების მინისტრისათვის მოგვეხსენებინა. მაგრამ, სამწუხაროდ, მინისტრთან შესახვედრად სულ მცირე საქმისთვისაც კი, თვეობით ლოდინია საჭირო. განათლების თავკაცი თამბაქოს კომპანიების პროგრამებს განიხილავს და ჩვენსას გვერდზე დებს. 20 მარტს გაგზავნილ წერილზე პასუხი ჯერაც არ მიგვიღია. არადა „ფილიპ მორისი“ და „ბრიტანულ-ამერიკული თამბაქო“ საქმიანობას განაგრძობს. მიჰყავთ ბავშვები სპორტულ ლაშქრობებზე, აწყობენ სპორტულ ღონისძიებებს, ცდილობენ დარბაზებისა და მოედნების აღდგენას და მინიმალური თანხების ხარჯზე იკეთებენ საუკეთესო რეკლამას. ერთი შეხედვით, ყოველივე ამაში ცუდი თითქოს არაფერია, მაგრამ ეს არის ნიღაბი. ამიტომ თამბაქოს კომპანიებს უნდა აეკრძალოს სკოლაში შესვლა, რაც გამომდინარეობს „თამბაქოს კონტროლის სფეროში ჩარჩო-კონვენციის“ შემმუშავებელი ჯგუფის რეკომენდაციებიდან და რომლის მონაწილეც არის საქართველო. კონვენციის პრინციპების შესაბამისად, უნდა აიკრძალოს თამბაქოს ნებისმიერი პროდუქციის პირდაპირი და არაპირდაპირი რეკლამა და მათ მიერ ნებისმიერი სახის კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების სპონსორობა. ჩვენი განათლების სამინისტროს ქმედება ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს და ასევე საქართველოს პრეზიდენტის „ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების სახელმწიფო პროგრამას“.



**— პრეზიდენტმა სულ ახლახან რეკლამა გაუკეთა სიგარეტს, რომელიც საქართველოში უნდა აწარმოონ. რა აზრის ბრძანდებით ამაზე?**

— სამწუხაროდ, პრეზიდენტი სიგარეტის ფაბრიკების პრეზენტაციით არის დაკავებული. რამდენადაც ვიცი, ახალ პროდუქციას ჰქვია „პირველი“ და ვიმედოვნებთ, ბატონი ედუარდ შევარდნაძის მხრიდან ამგვარი რეკლამა პირველი და უკანასკნელი იქნება (სხვათა შორის, რეკლამის კანონის თანახმად, აკრძალულია საეთერო დროში სიგარეტის შესახებ ყოველგვარი რეკლამის გაწევა; ნებისმიერ სხვა ქვეყანაში პრეზიდენტი ამისათვის უზარმაზარი თანხით დაჯარიმდებოდა). მან შესანიშნავად იცის ევროსაბჭოსა და მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილებები იმის შესახებ, რომ ნებისმიერმა სახელმწიფომ პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით უარი უნდა თქვას თამბაქოს მწარმოებელი კომპანიებისათვის ყოველგვარ მხარდაჭერასა და ინვესტიციების მიცემაზე. მან დაუშვა შეცდომა, მაგრამ ჩვენ, როგორც ახლად არჩეულს, მივუტევებთ. შესაძლოა, ამგვარი ნაბიჯი იმ მოსაზრებითაც გადადგა, რომ სიგარეტის რეალიზაციის შედეგად ბიუჯეტს მნიშვნელოვანი თანხები შეემატებოდა. მაგრამ ეს თავის მოტყუებაა. მას, ვისაც ევალება თამბაქოს წარმოების და რეალიცაზიის შედეგად ზარალისა და მოგების დათვლა, ამის თაობაზე სწორი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს პრეზიდენტს. თამბაქოს ინდუსტრია ამერიკაში განვითარდა და მათ იქიდან დევნიან. კალიფორნიის შტატში მწეველთა 1%-ით შემცირებამ შტატს 3 მლნ დოლარის მოგება მოუტანა. ნებისმიერ ავადმყოფს თუ დაუდგინდება რაიმე დაავადების გამომწვევ მიზეზად სიგარეტის მოწევის მავნე ჩვევა, თამბაქოს კომპანია იძულებული გახდება, გადაუხადოს უზარმაზარი კომპენსაცია. უკრაინამ 60 მლნ დოლარი გადაახდევინა ოთხ ამერიკულ კომპანიას. ბუნებრივია, ამის შემდეგ ისინი სხვაგან ეცდებიან ბაზრის განმტკიცებას და ჩვენმა სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ზარალი კვამლის სახით, რომელიც ჩვენს ორგანიზმს ანადგურებს; სიგარეტის ბიზნესით არ უნდა მოხდეს უზარმაზარი თანხების უცხოეთში გადინება. თამბაქოს კომპანიები ავტომატით არ შემოვლენ, სიგარეტით შემოდიან, ამიტომ არის მათი აგრესია ძნელადშესამჩნევი და ჩვენი საზოგადოების ჯანმრთელობის გაუარესების ხარჯზე მილიონები გააქვთ საქართველოდან. მათი პოლიტიკის გააზრება და შეზღუდვა უნდა მოხდეს თუნდაც რეკლამის შესახებ კანონით, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, დილეტანტების მიერ არის შექმნილი და სრულ საფუძველს მაძლევს, ვიფიქრო, რომ ამ კანონს საფუძვლად უდევს თუნდაც თამბაქოს კომპანიებთან გარიგება. ამ მიზნით ბევრ ქვეყანაში ხდება ჩინოვნიკების მოქრთამვა. როგორც კი დავიწყეთ ბრძოლა თამბაქოს რეკლამების წინააღმდეგ და განათლების სამინისტროს ვთხოვეთ, თანადგომა გაეწია ჩვენთვის, თამბაქოს კომპანიების წარმომადგენლებმა სხვადასხვა გარიგება შემოგვთავაზეს. თუკი დავთანხმდებოდით, მაშინ უარის თქმა მოგვიწევდა თამბაქოს კომპანიების საწინააღმდეგო აქციებზე და მათ ვერც ჩვენი ქვეყნისთვის კომპენსაციების გადახდას მოვთხოვდით, რომელიც მნიშვნელოვან თანხას წარმოადგენს.

**— როგორ ფიქრობთ, ამ თანხებს „მჭამელი“ ხომ არ გამოუჩნდება?**

— ეს სახელმწიფოს პრობლემაა. ფულის შეჭმა არა მარტო ამ შემთხვევაში, არამედ საერთოდ არ შეიძლება. მგონი, ამისკენ მივისწრაფით კიდეც და იმედია, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა მოდურ ფრაზად არ დარჩება. თუ დღეს თამბაქოს საწინააღმდეგო ღონისძიებებს არ მივმართეთ, ხვალ მძიმე შედეგებს მივიღებთ. ბრძოლა სკოლიდან უნდა დაიწყოს. აიკრძალოს სასწავლებლებში კომპანიების შესვლა — ანტისარეკლამო ბუკლეტებში მოცემულია მათი ლოგოები, ხოლო ინფორმატორები აფიშირებას უკეთებენ აქციის ორგანიზატორებს (შემდეგ ისინი საგანგებო კონფერენციებს მართავენ), რაც არაპირდაპირი რეკლამის კლასიკური მაგალითია. ასეთი აქციები მოზარდს უყალიბებს გარკვეულ ორიენტაციას ამა თუ იმ ფირმის თამბაქოს მიმართ. ეს ფსიქოლოგების მიერ დადასტურებული ფაქტია.

თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციებზე განმარტება ვთხოვეთ განათლების მინისტრს **ალეკო კარტოზიას:**

— ნამდვილად გვქონდა შეთანხმება „ფილიპ მორისთან“ და „ბრიტანულ-ამერიკულ თამბაქოსთან“ იმის თაობაზე, რომ შესულიყვნენ სკოლებში და მათივე ანტისარეკლამო კომპანია ეწარმოებინათ, თუნდაც სემინარების სახით. ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით სკოლებში ტარდება ნარკომანიისა და შიდსის საწინააღმდეგო აქციები და ამიტომ დავთანხმდით სიგარეტის მოწევის საწინააღმდეგო კამპანიასაც. ბუნებრივია, ჩვენც გაგვიჩნდა კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ ეწეოდნენ ეს კომპანიები თავიანთი საქმიანობის საწინააღმდეგო ღონისძიებებს. მათ მოგვიგეს: არ გვსურს, მოზარდმა ადრეულ ასაკში დაიწყოს სიგარეტის მოწევაო. თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის მომართვის შემდეგ აღნიშნულ კომპანიებს ავუკრძალეთ საქმიანობის გაგრძელება. ამიერიდანაც გავითვალისწინებთ მითითებებს და ვითანამშრომლებთ თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრთან. მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს მთავარი მიზეზი, რამაც გადაგვაწყვეტინა თამბაქოს კომპანიებთან შეთანხმებების დადება. ისინი აფინანსებენ სასწავლო ობიექტების აღდგენას და, თუკი რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაცია ან ფირმა რამენაირად დაეხმარება სკოლას და განათლების სისტემას, ჩვენ ყველანაირად შევუწყობთ ხელს. მოგეხსენებათ, როგორ მწირია ბიუჯეტი. შეიძლება შეცდომა ჩვენი მხრიდანაც გაუთვალისწინებლად დავუშვით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სკოლებში თამბაქოს რეკლამის გაკეთება გვინდოდეს.

ცხადია, ყველა პრობლემა მხარეთა თანხმობით უნდა გადაწყდეს. როდესაც საქმე მომავალი თაობების ჯანმრთელობას ეხება, იქ მთავრობაც და საზოგადოებაც ერთსულოვანი უნდა იყოს. საჭიროების შემთხვევაში პასუხი უნდა მოეთხოვოს ყველა იმ პირს თუ ორგანიზაციას, რომელიც თავისი ქმედებით და მდგომარეობის გამოყენებით საფრთხეს უქმნის მოზარდი თაობების ჯანმრთელობას და მათ სწორ სოციალურ ორიენტაციას. თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის მიერ წამოწყებული ბრძოლა ალბათ დროულია, მაგრამ თუკი იგი მარტო აღმოჩნდება, საკითხავია, რამდენად თანასწორი იქნება ბრძოლა სიგარეტის მწარმოებელ კომპანიებთან და ხომ არ დაემსგავსება ეს ყოველივე, ბრძოლას ქარის წისქვილებთან.

***ეკა ლომიძე***

# ისევ სჭირდება შევარდნაძეს ჯაბა და მისი „ბიჭები“?!

პოლიტპატიმრები, რომლებსაც ბრალი მკვლელობაში არ ედებოდათ, ოჯახებს დაუბრუნდნენ. პროკურატურას კი საპყრობილეში დარჩენილი პოლიტპატიმრების, მათ შორის ქობალიას, გელბახიანის, დოკვაძის, ასანიძის და სხვების საქმეთა გადასინჯვა დაევალა. ციხის კედლები დატოვა მხედრიონელთა ნაწილმა და მათმა „მამა-მარჩენალმა“ ჯაბა იოსელიანმაც. მართალია, ციხის საავადმყოფოში მოშიმშილეთა მოთხოვნები მხედრიონელთა გათავისუფლებას არ შეეხებოდა, მაგრამ პრეზიდენტმა შეწყალების თუ მოწყალების თვალით მათაც გადახედა და ნანატრი თავისუფლება უბოძა. გაჩნდა ეჭვი, რომელსაც მავანნი სრულიად საფუძვლიან ეჭვად მიიჩნევენ — ჯაბა და მისი „ბიჭები“ კვლავ საჭირონი ხომ არ შეიქნენ შევარდნაძისთვის, ანუ ციხიდან გამოშვებულ ზვიადისტებში რაიმე საფრთხეს ხომ არ ხედავს უმაღლესი ხელისუფალი?

დღევანდელ არაპროგნოზირებად ვითარებაში წინასწარ რამის თქმა ძნელია, მაგრამ... როგორც ამბობენ, მხედრიონელები სამალარიჩო პურმარილებს იხდიან და „მხედრიონის“ მკვდრეთით აღდგომის სადღეგრძელოს სვამენ(?!).

ამ საკითხებთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ფრაქცია „XX საუკუნის“ დეპუტატს **ჯემალ გამახარიას**.

**— ბატონო ჯემალ, პოლიტპატიმრები უკმაყოფილონი არიან, ვინაიდან მათი მოთხოვნა ყველა პოლიტიკური პატიმრის უპირობოდ გათავისუფლების შესახებ არ შესრულდა.**

— ამით მხოლოდ პოლიტპატიმრები კი არა, ჩვენც უკმაყოფილონი ვართ. საქართველოში არ უნდა იყოს არც ერთი პოლიტპატიმარი და პოლიტიკური დევნილი. ყველა ემიგრანტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, უშიშრად დაბრუნდეს თავის ქვეყანაში. პროკურატურამ 10 ივლისამდე უნდა გადაწყვიტოს მათი საკითხი და თუ ვინმეს ჰგონია, რომ აქ ფულს გააკეთებს ან რაღაცას იმაიმუნებს, ძალიან ცდება!

**— რა მაიმუნობაზე და ფულის კეთებაზეა საუბარი?**

— რამდენიმე დღის წინ უშიშროებამ დააკავა ხობის რაიონის ყოფილი პრეფექტი, ნუგზარ ლატარია, რომლის მიმართაც საქმე იყო აღძრული იმავე მოტივით, რა მოტივითაც სასჯელს იხდიდნენ აწ უკვე გათავისუფლებული პოლიტპატიმრები. წესით, საქმე უნდა შეწყვეტილიყო, მაგრამ, როგორც ეტყობა, ზოგიერთი უსინდისო მოხელე ხელის მოთბობას ცდილობს, მაგრამ ნურას უკაცრავად.

**— აკაკი ელიავას და მის რაზმს თუ შეეხება დადგენილებით გათვალისწინებული დათმობები?**

— რა თქმა უნდა, შეეხებათ. წესით, მათ მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე უნდა შეწყდეს. გარდა ამისა, უნდა მოხდეს 9 თებერვლის ტერაქტში მონაწილეთა საქმეების განხილვაც.

**— ციხიდან გამოსული პოლიტპატიმრები კვლავ არსებულ ხელისუფლებასთან შეურიგებლობის ლოზუნგებით გამოდიან. მათგან რაიმეს პროვოცირებას ხომ არ უნდა ველოდეთ?**

— ჩვენი მიზანია და, ვფიქრობ, მივაღწევთ კიდეც, რომ დამხობილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და მხარდამჭერებმა რაღაც გარკვეული პასუხისმგებლობა ავიღოთ, რათა საქმე კვლავ იარაღზე არ მიდგეს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის დროშით.

**— „ზვიადისტებთან“ ერთად მხედრიონელთა ერთი ნაწილიც გაათავისუფლეს. ესეც თქვენი ინიციატივა იყო?**

— არა, ეს თვითონ შევარდნაძის ინიციატივით მოხდა. კი ბატონო, გამოუშვან. ჩვენ ამის საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი გვაქვს. ესენი არიან საცოდავი ადამიანები, რომლებიც მოატყუეს, გამოიყენეს, უმრავლესობა ამოხოცეს, ხოლო დიდი ნაწილი ციხეში ჩაყარეს. თუ მაინცდამაინც ვინმეს დასჯა უნდათ, ისინი დასაჯონ, ვინც ყველაფერ ამას ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ორგანიზება გაუკეთა.

**— ვის გულისხმობთ?**

— ვის და მთავარ ორგანიზატორებს, დღეს ხელისუფლებაში რომ არიან მოკალათებულნი. თქვენ რა გგონიათ, მართლა ჯაბა იოსელიანმა, თენგიზ სიგუამ და თენგიზ კიტოვანმა მოახდინეს გადატრიალება? ისინი ამ საქმის მხოლოდ ჭანჭიკები არიან. მთავარი ორგანიზატორი სულ ცოტა ხნის წინ „ერთხმად ავირჩიეთ“, ხოლო ვინც უბრალოდ გამოიყენეს, ისინი დღეს ან ციხეში სხედან, ან შეწყალებით გამოუშვეს, ან კიდევ უკვე ისტორიის სანაგვეზე მოისროლეს.

**— ექვობენ, რომ ზვიადისტებთან ერთად მხედრიონელთა გათავისუფლებას პოლიტიკური ქვენა მიზნები უდევს საფუძვლად — შესაძლოა, შევარდნაძეს კიდევ დასჭირდეს „მხედრიონი“.**

— სიმართლე გითხრათ, არ მსურდა ამაზე საუბარი, მაგრამ რადგან მკითხეთ, უნდა გიპასუხოთ — სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ეს შემთხვევით არ მომხდარა და არც მთლად კეთილი ნების გამოხატულება ყოფილა. საერთოდ, ბატონი შევარდნაძის, როგორც ხელმძღვანელის, მუშაობის სტილი არის წინააღმდეგობების ჩამოგდება ყველგან — საკუთარ გუნდშიც კი. ხომ ხედავთ, როგორ არიან წაკიდებული მთავრობა და მისი თანაპარტიელები პარლამენტში. კანცელარიაშიც ყველა ერთმანეთთან არის დაპირისპირებული. სხვაგვარად მას ცხოვრება, მოღვაწეობა და ძალაუფლების შენარჩუნება არ შეუძლია. ამიტომ ვფიქრობ, მხედრიონელები გაათავისუფლა სწორედ იმ ძალის დასაბალანსებლად და გასანეიტრალებლად, რომელიც პოლიტპატიმრების სახით ციხიდან გამოვიდა. მოსალოდნელია, ეს ძალა მძლავრ პოლიტიკურ მოძრაობად ჩამოყალიბდეს და აღარ მისცეს 31 ოქტომბრის და 9 აპრილის მსგავსი არჩევნების ჩატარების უფლება. აი, სწორედ ამის შიში აქვს შევარდნაძეს და თადარიგს იჭერს. დამხობილი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან იარაღის აღებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, მაგრამ მეშინია, რომ თუკი მხედრიონი ვერ გაიცნობიერებს იმ საშიშროებას, რაც ამ გათავისუფლებაში შეიძლება იყოს ჩადებული, ქვეყნისთვის სავალალო შედეგები მოჰყვება. იმასაც ვფიქრობ, ხომ არა აქვს შევარდნაძეს დაგეგმილი ძალიან დიდი ქაოსი ამ ნიადაგზე, რათა შემდგომ ე.წ. ინტელიგენციამ დაუჩოქოს და მისი მესამე ვადით არჩევა მოითხოვოს? ასე რომ, მეშინია, ეროვნული თანხმობის მიზნით მიღებული ეს დოკუმენტი არ გადაიქცეს ეროვნული უთანხმოების გაღრმავების დოკუმენტად. ეს ძალიან სერიოზული საკითხია და რადგანაც მალაპარაკეთ, მინდა ყველას მივმართო — ანკესზე ნუ წამოეგებით!

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# „პოლიციისთვის სენსაციური იქნებოდა ცოლი რომ ყოფილიყო გატაცების ორგანიზატორი“

ამ ბოლო დროს ყველას პირზე აკერია 14 აპრილს 25 წლის თეა კვარაცხელიას გატაცების ამბავი. გამტაცებლებმა მის ქმარს — 32 წლის ზურა კიკალიშვილს 5.000 დოლარი მოსთხოვეს და სამდღიანი „ვაჭრობის“ შემდეგ 1.500 დოლარს დაჰყაბულდნენ. 17 აპრილს, გამოსასყიდის გადაცემამდე, შეხვედრის ადგილზე პოლიციელებმა აიყვანეს ერთ-ერთი გამომძალველი მერაბ (მიკი) რაშოიანი და გატაცებული. პოლიციის განცხადებით, თეა კვარაცხელია გამტაცებლებთან შეთანხმებული იყო და მეტიც, ეს ყველაფერი მისი გეგმით განხორციელდა. პოლიციის მტკიცებით, თეა კვარაცხელიას და ერთ-ერთ გამტაცებელს, 19 წლის ისლამ დერბოევს ერთმანეთი უყვარდათ. თეას ხშირად სცემდა ქმარი და მანაც შური ამგვარად იძია, თუმცა, თავად თეა კვარაცხელიას მოვუსმინოთ.

**— საიდან იცნობდით დერბოევს?**

— დაახლოებით ერთი წლის წინ ჩვენ — მე და ჩემმა ქმარმა ვარკეთილის V მიკრორაიონში გავხსენით მაღაზია, სადაც პარფიუმერიის სექციაში 2-3 თვის მანძილზე ვმუშაობდი. მაღაზიაში იმუბნელი ბიჭები ხშირად შემოდიოდნენ — მათ შორის ისლამ დერბოევიც. ის ყოველთვის ცდილობდა, მიეპყრო ჩემი ყურადღება. თანდათან ხალხი გავიცანი და მომდიოდა ხმები, რომ თითქოს ისლამს ვუყვარდი, მაგრამ ამისთვის ყურადღება არასოდეს მიმიქცევია.

საუბარში თეას მეუღლე, **ზურა კიკალიშვილი** ჩაერთო:

— ისლამი ჯერ ჩემთან ეძებდა კონტაქტს, მერე დამიძმობილდა. როცა ვმეგობრობდით, რუსთავშიც ჩამოდიოდა და ჩემს ანანოს და ქრისტინას (შვილები) ეთამაშებოდა. შემდეგში ჩვენი ურთიერთობა, გარკვეულწილად, დაიძაბა, რადგან მას ნისიად მიჰქონდა საქონელი და ხანდახან ფულის მოტანას არც ფიქრობდა.

**— თეა, როგორი პიროვნება იყო დერბოევი და საერთოდ, როგორ იქცეოდა?**

— ისლამი თითქოს „შავი გაგების“ ბიჭი იყო, მაგრამ საკმაოდ უცნაურად იქცეოდა, ცდილობდა, მაღაზიის „კურირებას“ და „მფარველობას“. სიყვარულზე არასოდეს გვისაუბრია, მაგრამ ყოველთვის ლანდივით უკან დამდევდა.

**— რა მოხდა 14 აპრილს, როგორ შეხვდით მას?**

— იმ დღეს, საღამოს, დაახლოებით 8 საათის შემდეგ, დამირეკა და მთხოვა, ჩამოდი, სალაპარაკო მაქვსო. თავიდან ვიუარე, მაგრამ მითხრა, სახლში ამოვალო. ვიფიქრე, ჩემს ქმარსა და მას შორის ჩხუბი მოხდებოდა და შეხვედრაზე დავთანხმდი. ავიღე ნაგვის ვედრო და გავედი. იქვე, სახლთან იდგა ტაქსით, მივესალმე, მან მანქანაში ჩაჯდომა მიბრძანა. მოვერიდე მეზობლების ყურადღების მიქცევას და ამიტომ მანქანაში ჩავჯექი.

**— დაგემუქრათ თუ თქვენი ნებით ჩაჯექით მანქანაში?**

— არა, მუქარა არ ყოფილა. როგორც ვთქვი, ყურადღების მიქცევა არ მინდოდა. მერე მძღოლს უთხრა, წადი, ყველაფერს გზაში ავუხსნითო. უცებ სიყვარულზე დამიწყო ლაპარაკი. ეს მოულოდნელი და სრულიად წარმოუდგენელი იყო ჩემთვის. ვეუბნებოდი, ქმარ-შვილი მყავს-მეთქი. მერე თავისი ნათესავის, მიკი (მერაბ) რაშოიანის ოჯახში მიმიყვანა და წარმადგინა, ეს ჩემი მომავალი მეუღლეაო. თითქოს მოჯადოებულ წრეში აღმოვჩნდი, გავოგნდი და ვეღარაფერი ვთქვი. მერე გამიყვანა ცალკე ოთახში და მითხრა, სასწრაფოდ მჭირდება 2.000, მინიმუმ 1.500 დოლარი, თუ ამ თანხას შენი საშუალებით ვერ ამოვიღებ, შანტაჟს მოგიწყობო.

**— რას გულისხმობდა?**

— ასე მითხრა, ვარკეთილში ყველამ იცის, რომ მიყვარხარ. სანამ ფულს არ მომიტანენ, არ გაგიშვებ და სახლში რომ დაბრუნდები, ვის რას დაუმტკიცებო. იმ ლაწირაკისგან ასეთ რამეს არ ველოდი, მაგრამ როცა საქმე ჩემს ოჯახს, ჩემს სახელს შეეხო, ფულს აღარ ვდარდობდი.

**(გაგრძელება იხ. გვ. 12)**

# დაბრუნება... ნახევარი წლის შემდეგ

## ანუ ქართული იარაღის საოცარი თავგადასავალი ევროპასა და რუსეთში

28 აპრილის საღამოს, „კვირის პალიტრა“, როგორც მასმედიის ერთადერთი წარმომადგენელი, დაესწრო რუსეთის „ტყვეობიდან“, ბოლოს და ბოლოს, გამოხსნილი ქართული საექსპონატო იარაღებიანი ყუთების გახსნასა და მათ დათვალიერებას.

ეს, გარკვეულწილად, სიმბოლურიც იყო, რადგან ზუსტად ექვსი თვის წინ, ბუქარესტში, სწორედ „კვირის პალიტრის“ სამხედრო მიმომხილველის თვალწინ, ყუთებში ჩაეწყო და თბილისში დასაბრუნებლად გამზადდა საექსპონატო ნიმუშები, თუმცა...

ჩვენს მკითხველს მოკლედ შევახსენებთ ამ მართლაც გასაოცარი თუ დეტექტიური ისტორიის პერიპეტიებს.

გასულ, 1999 წლის 26-30 ოქტომბერს რუმინეთის დედაქალაქში ბუქარესტში გაიხსნა პირვე-


ПРАВИТЕЛЬСТВО РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ

РАСПОРЯЖЕНИЕ

от 28 марта 2000 г. № 458-р

г.Москва

Принять предложение ГТК России, согласованное с Минобороны России, ФСБ России, ФПС России и ФСВТ России, о разовом транзите воздушным транспортом без посадок на территории Российской Федерации с проведением пограничного, таможенного и иных видов контроля предметов вооружения и военного снаряжения, принадлежащих Грузии, по перечню согласно приложению.

Председатель Правительства Российской Федерации — В.Путин

ლი საერთაშორისო სამხედრო გამოფენა EXPOMIL-99, რომელზეც ასევე პირველად იყო წარმოდგენილი ქართული წარმოების შეიარაღებისა და სხვა დანიშნულების ნიმუშები.

ბუქარესტში ქართული შეიარაღების ნიმუშებიანი ხუთი საშუალო ზომის ყუთი თბილისი-სტამბოლი-ბუქარესტის მარშრუტით ქართული ოფიციალური დელეგაციის 6 კაციანმა (მათ შორის „კვირის პალიტრის“ სამხედრო მიმომხილველიც შედიოდა) ჯგუფმა დიდი პრობლემების გარეშე ჩაიტანა.

უშუალოდ გამოფენაზე ქართული იარაღის ექსპოზიციამ საკმაოდ დიდი მოწონება დაიმსახურა. დადგა დრო დელეგაციის უკან, თბილისში დასაბრუნებლად, მაგრამ რუმინულმა ტვირთების გადაზიდვების ფირმამ „რომტრანსმა“ უარი განაცხადა ჩვენი ტვირთის ბუქარესტი-სტამბოლი-თბილისის მარშრუტით დაბრუნებაზე, იმ მოტივით, რომ თურქულ მხარესთან საქმიანი ურთიერთობა არ ჰქონდა.

რა უნდა ექნათ ქართული დელეგაციის წევრებს? იძულებულნი შეიქნენ, დათანხმებულიყვნენ „რომტრანსის“ შემოთავაზებულ მარშრუტს: რუმინეთი-შვეიცარია-საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ ეს გზა უფრო ძვირი, ათას დოლარზე მეტი ჯდებოდა.

ქართული დელეგაციის წევრები თბილისში მშვიდობიანად ჩამოვიდნენ და მთელ საქართველოს აცნობეს, რომ ჩვენც შეგვძლებია ისეთი იარაღის შექმნა და წარმოება, რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანას დააინტერესებს.

გადის შეპირებული ორი კვირა, მაგრამ „რომტრანსის“ გამოგზავნილი ქართული ტვირთი არ ჩანს...

და მოულოდნელად, როგორც მეხის გავარ-


ქართული დელეგაციის მიერ სათუთად შეფუთულ საექსპონატო ნიმუშებს რუსმა მებაჟეებმა ტალახიანი ჩექმებით გადაუარეს...

დნა, გაისმის — მოსკოვის აეროპორტში, რუსეთის საბაჟომ დააკავა ინგლისიდან წამოსული ქართული იარაღის პარტია, რომელიც თურმე ჩეჩნების შესაიარაღებლად იყო განკუთვნილიო.

არადა, ჩეჩნეთში ომი ახალი დაწყებულია. მოსკოვში საცხოვრებელი სახლები ფეთქდება... რუსეთის ოფიციალურ თუ დამოუკიდებელ მასმედიას და ტელევიზიას საუკეთესო საშუალება მიეცათ, ახალი საინფორმაციო „დარტყმები“ მიეყენებინათ ჩვენი ქვეყნისთვის — რუსები ჩეჩენ ბანდიტებთან ბრძოლებში სისხლს ღვრიან, უმადურმა ქართველებმა კი არ იკმარეს თავიანთი საზღვრებიდან იარაღის მიწოდება ჩეჩნებისთვის და ახლა შემოვლითი გზით, ინგლისიდან, თავად რუსეთის გავლით მოინდომესო!

რუსეთის მასმედიისა და სპეცსამსახურების ფანტაზიამ იმ დონეს მიაღწია, რომ ერთ-ერთ ყუთში ჩაწყობილი თბილისის საავიაციო ქარხნის წარმოებული Су-25 მოიერიშე თვითმფრინავების საჩვენებელი ხის მაკეტები მრისხანე იარაღად მონათლეს — თურმე ისინი „სტინგერებით“ შეიარაღებული ჩეჩნების სავარჯიშოდ იყო გათვლილიო!

მაინც საიდან აღმოჩნდა ქართული იარაღის საგამოფენო ნიმუშები მოსკოვის აეროპორტში?

„რომტრანსის“ მიერ შვეიცარიაში გაგზავნილი ქართული ტვირთი, როგორც ისინი თავად აცხადებენ, არ ჩაეტია თბილისისკენ გამოფრენილი სამგზავრო თვითმფრინავის ბარგის ნაკვეთურში. აქედან ჩვენი ტვირთი დიდ ბრიტანეთში გადააგზავნეს(?!). იქ კი იმის ნაცვლად, რომ ერთი აეროპორტიდან მეორეში გადაეტანათ (საიდანაც სრულდება ავიარეისები თბილისის მიმართულებით), მოსკოვში გადააფრინეს.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ქართული იარაღის ტვირთის შემდეგი მარშრუტი მოსკოვიდან ჯერ შუა


„საიდუმლოს“ გასაგებად რუსებმა „კოდორი“ ნაწილ-ნაწილ დაშალეს

აზიისკენ გრძელდებოდა და მხოლოდ შემდეგ თუ ჩამოვიდოდა თბილისში.

„შერემეტიევოს“ აეროპორტში რუსმა მებაჟეებმა და განსაკუთრებით სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა დეტალურად შეისწავლეს ქართული ტვირთი, რასაც 28 აპრილს უკვე თბილისში გახსნილი ყუთებიც ადასტურებდა. გაჭუჭყიანებულ ყუთებში იარაღის ნიმუშები უთავბოლოდ იყო ჩაყრილი (არადა, რა გულმოდგინედ და სიფრთხილით შეფუთეს თითოეული ნიმუში ქართული დელეგაციის წევრებმა ბუქარესტში).

იარაღისა და აღჭურვილობის რამდენიმე ნიმუშს ეტყობოდა, რომ რუსმა სპეციალისტებმა მათი შესწავლა მოინდომეს, განსაკუთრებით კი იმათი, რომლებიც მათთვის უცხო იყო.

ასეთები კი შპს „თორიტექსის“ ჯავშანჟილეტები და გამნაღმველის კოსტიუმი იყო (სხვათა შორის, ამ ნაკეთობების ერთ-ერთმა ავტორმა, გენერალური შტაბის სტრატეგიული დაგეგმარებისა და სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების მთავარი სამმართველოს უფროსმა, პოლკოვნიკმა გოგი თავაძემ და თბილისის სახელმწიფო საავიაციო გაერთიანების მთავარმა ინჟინერმა გოჩა გოგუაძემ უზარმაზარი ენერგია დახარჯეს, რათა ქართული იარაღის ნიმუშები ნახევარი წლის შემდეგ მაინც დაბრუნებოდა პატრონს).

როგორც ჩანს, რუსებს ქართულ ჭურვში „კოდორშიც“ ჩაუყვიათ ცხვირი. „კოდორი“ წმინდა ეროვნული იარაღია, მას ყუმბარსატყორცნიდან 100-150 მ-ის სიშორეზე ისვრიან და მტრის ქვეითთა წინააღმდეგ გამოიყენება. „კოდორმა“ უკვე მოასწრო საბრძოლო გამოცდილების მიღება 1998 წლის მაისის გალის მოვლენების დროს და ეტყობა რუსებს მისი ახლოს „გაცნობა“ ეწადათ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მკითხველს არ უნდა დარჩეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ რუსებმა ტვირთის დაკავებით რაიმე დიდი საიდუმლო მოგვპარეს. ქართული იარაღის საგამოფენო ექსპონატები გასაყიდად არის განსაზღვრული, ამიტომაც შეიძლება ითქვას, მოსკოვმა პატარა რეკლამაც კი გაუკეთა ამით ქართულ იარაღს.

ტვირთის საქართველოში დაბრუნებას პირადად რუსეთის მთავრობის თავმჯდომარის, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის პუტინის ბრძანებულება დასჭირდა. ისე, სიმართლე რომ ითქვას, რუსი მებაჟეები თავიანთი ქვეყნის კანონების ფარგლებში მოქმედებდნენ და „რომტრანსის“ მიერ არასწორი მარშრუტით გაგზავნილი, არადეკლარირებული, სამხედრო დანიშნულების იარაღის დაკავების სრული უფლებაც ჰქონდათ. თუმცა მოსკოვმა ამას პროპაგანდისტული ნაბიჯიც მიამატა, რაც უკვე სხვა განზომილებაში გადადის. ამასთან, რუსმა მებაჟეებმა უკან დაბრუნებულ ტვირთს არ აახლეს ის პროტოკოლი, რის საფუძველზეც ჩვენი ტვირთი დაკავებული ჰქონდათ.

სხვათა შორის, „რომტრანსმა“ აღიარა თავისი დანაშაული და თბილისის საავიაციო ქარხანას, როგორც რუმინეთის გამოფენაზე ქართული ექსპოზიციის გამგზავრების მთავარ სპონსორს, უკან გადმოურიცხა ის 1073 აშშ დოლარი, რაც ქართულმა დელეგაციამ ბუქარესტში გადაიხადა ტვირთის საქართველოში დასაბრუნებლად.

ასე დამთავრდა ნახევარწლიანი ეპოპეა ქართული იარაღის ნიმუშებისა, რომლებმაც მთელი ევროპა და რუსეთი გამოიარეს სამშობლოში დაბრუნებამდე.

# „გაგიჟებული“ რაკეტები ადამიანებს ერჩიან!

## შესაძლოა ამ რაკეტებს თავგზა ამერიკელებმა აუბნიეს...

ბოლო ათი დღის მანძილზე მართლაც უცნაური ამბები მოხდა.

ვინ იფიქრებდა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გასროლილი რამდენიმე რაკეტის დამიზნების სისტემა მოსახლეობას და მგზავრებს დაემუქრებოდა?

თანაც საკვირველი ის არის, რომ სამ სხვადასხვა — „მიწა-მიწა“, „მიწა-საზღვაო ხომალდი“ და „მიწა-ჰაერი“ კლასის რაკეტები ერთდროულად „გაგიჟდნენ“.

ჯერ იყო და, უკრაინის დედაქალაქ კიევის გარეუბანში, ბროვარახში, ცხრასართულიანი სახლის ბოლო სართულზე მოულოდნელად გაისმა გამანადგურებელი აფეთქების ხმა.

უკრაინის სპეცსამსახურებმა თავიდანვე ეჭვი მიიტანეს ტერორისტებზე, რადგან ამ საცხ-

**ჩვენი დოსიე:** სახმელეთო ჯარების ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსის 9К79-1 „ТОЧКА-У“-ს რაკეტა 2 ტ-ს იწონის და 120 კმ-ზე მიფრინავს. რაკეტაზე აყენებენ 480 კგ წონის ფუგასურ ქობინს.



ოვრებელი სახლის პირველ სართულზე უშიშროების რაიონული განყოფილების შტაბი იყო. თუმცა, აფეთქების ადგილის მონახულების შემდეგ გაოცებულნი დარჩნენ — რვა სართულის ჩაყოლებაზე კორპუსს თითქმის 5 მ დიამეტრის ხვრელი ჩასდევდა. აფეთქების ასეთ კვალს ვერც ერთი ნაღმი თუ ასაფეთქებელი ნივთიერება ვერ დატოვებდა.

შემთხვევის ადგილის უფრო დაწვრილებით შესწავლისას კი აღმოჩნდა, რომ საცხოვრებელი სახლი „მიწა-მიწა“ კლასის ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტის „ТОЧКА-У“-ს სამიზნე გამხდარიყო.

არადა მანამდე უკრაინელმა სამხედროებმა მართალია, აღიარეს, რომ სწორედ იმ მომენტისთვის ამგვარი რაკეტა გაუშვეს გონჩაროვის პოლიგონიდან, მაგრამ ამტკიცებდნენ, — რაკეტამ იქვე, 30 კმ-ში მყოფი სამიზნე დააზიანაო.

გონჩაროვის პოლიგონიდან დაზარალებულ საცხოვრებელ სახლამდე 130 კმ-ია, ხოლო ამ ტიპის რაკეტის ფრენის მაქსიმალური მანძილი 120 კმ-ს არ აღემატება. ამ გარემოებამ სამხედროებს საფუძველი მისცა, 4 დღე „ვირზე მსხდარიყვნენ“ — ეგ ჩვენი რაკეტა არ იყოო!

ბოლოს და ბოლოს, უკრაინელი სამხედროები იძულებულნი შეიქნენ, ეღიარებინათ, რომ მათ მიერ პოლიგონზე გაშვებულმა რაკეტამ ჰაერში მოულოდნელად იცვალა მიმართულება და ფრენის თავისებური რეკორდიც კი დაამყარა — მისი კონსტრუქტორების გასაოცრად, 10 კმ-ით შორს გაფრინდა.

თუმცა, „რეკორდი“ სახლის სამი მაცხოვრებლისთვის საბედისწერო გამოდგა. არიან დაჭრილებიც. თითოეულ მათგანს უკრაინის ხელისუფლებამ საკომპენსაციოდ 2 ათასი გრივნა (400 აშშ დოლარი) გამოუყო.

მსხვერპლი და დაჭრილები ბევრად მეტი იქნებოდა, რომ არა ორი გარემოება — შუადღისას კიევში მშვენიერი ამინდი იდგა და სახლის მობინადრეთა უმრავლესობა გარეთ სეირნობდა, ბავშვები ეზოში თამაშობდნენ. გარდა ამისა, თვითონ რაკეტა სასწავლო ტიპისა იყო და არც 480 კგ-იანი ფუგასური ქობინი ჰქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საცხოვრებელი სახლიდან არაფერი დარჩებოდა (ამგვარი რაკეტების ძალა თავის თავზე გროზნოს მცხოვრებლებმაც გამოსცადეს. თუ რა სავალალო დღეშია დღეს გროზნო, ბევრ ჩვენს მკითხველს ტელევიზიით ექნება ნანახი).

უკრაინელებმა ვერ მოასწრეს ერთი უბედურების ბოლომდე გააზრება, რომ 24 აპრილს რაკეტა მოხვდა უკრაინულ სატვირთო-სამგზავრო გემს შავ ზღვაში.

იმ დღეს რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა მორიგი სამხედრო-საზღვაო სწავლება დაიწყო. ზღვაში რუსეთის სიამაყე — შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანი, 1164-ე პროექტის სარაკეტო კრეისერი „მოსკოვი“ გავიდა.

როგორც დღეს რუსი მეზღვაურები ირწმუნებიან, მათ წინასწარ, რამდენიმე დღით ადრე გააფრთხილეს ყველა გემი, რომ ევპატორიასთან, დონუზლავის საზღვაო რაიონში, რაკეტებს გაისროდნენ.

ორშაბათს, შუადღისას, მათ „მოსკოვიდან“ თურმე ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა გაუშვიათ, რასაც ცოტა ხანში სამაშველო სიგნალი SOS-ი მოჰყვა. უკრაინული გემი „ვერეშჩაგინო“ რადიოეთერში თავზარდამცემ ტექსტს გადასცემდა — „გემის კორპუსს რაკეტა მოხვდა. მყავს დაჭრილები. მიშველეთ!“

საბედნიეროდ, ეს ინციდენტი უმსხვერპლოდ დამთავრდა. რუსეთის მხარემ, პირიქით, იქით დასდო ბრალი „ვერეშჩაგინოს“ კაპიტანს, — აკრძალულ ზონაში შეცურდიო.

ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ზემოთ ნახსენებში, საკმაოდ ბევრი გაუგებრობა და უზუსტობაა — მართალია, მოსკოვი ამტკიცებს, „ვერეშჩაგინოს“ „მოსკოვიდან“ გაშვებული რაკეტა მოხვდაო, მაგრამ, როგორც ირკვევა, უკრაინულ გემს სანაპიროდან ნასროლი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა „ПРОГРЕСС“-ი შეეჯახა.

საბედნიეროდ, ეს ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტაც სასწავლო ტიპისა იყო. მან მხოლოდ გახვრიტა გემის კორპუსი და არ აფეთქებულა, რადგან არ გააჩნდა ასაფეთქებელნივთიერებიანი ქობინი.

შეცდომების სერიალი ამით არ დამთავრებულა. ამ საოცარმა ფენომენმა ყაზახეთისკენ გადაინაცვლა.

აქაც სარაკეტო თავდასხმის „ინიციატორად“ კვლავ რუსეთი იქცა.

რუსეთის სამხედრო-საჰაერო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების ერთობლივი წვრთნების დროს აშულუკის პოლიგონიდან რუსმა სამხედროებმა „СТРИЖ-3“-ი ტიპის საჰაერო სამიზნე გაუშვეს, რომელიც გამანადგურებელ-გზაგადამჭრელ თვითმფრინავებს ვარჯიშის მიზნით უნდა ჩამოეგდოთ.

ჰაერში „СТРИЖ-3“-მა მოულოდნელად წინასწარ დაპროგრამებული ფრენის მარშრუტი იცვალა და 17 კმ-ის სიმაღლეზე ავიდა. სანამ მართვის პუნქტზე მიხვდებოდნენ, რომ

**ჩვენი დოსიე:** თვითმავალი სანაპირო სარაკეტო კომპლექსი „РЕДУТ“-ი „ПРОГРЕСС“-ის ერთი რაკეტითაა აღჭურვილი და მას მაქსიმალურ, 270 კმ-ზე ისვრის.



საჰაერო სამიზნე დაუმორჩილებელი შეიქნა და საგანგებო რადიოსიგნალით თვითლიკვიდაციას გაუკეთებდნენ, რაკეტა უკვე 22 კმ-ის სიმაღლეზე აიჭრა. აფეთქების შემდეგ საჰაერო სამიზნის უკანა, ძრავების ნაწილი ისევ პოლიგონის ტერიტორიაზე დაეცა, ხოლო მისი ქობინი გასცდა არა მარტო პოლიგონის, არამედ რუსეთის ფედერაციის საზღვრებსაც (აშულუკის პოლიგონი ყაზახეთს ემიჯნება) და ყაზახური სოფლის, პრიმორიეს თავზე აფეთქდა.

სხვათა შორის, ყაზახებს რუსულ რაკეტებში არ „უმართლებთ“ — შარშან ყაზახეთის თავზე ორი რუსული კოსმოსური რაკეტა „პროტონი“ აფეთქდა.

რაკეტების კატასტროფების სამივე შემთხვევაში გასაოცარი კანონზომიერებაა — სამივე რაკეტის დამიზნებების მოწყობილობები დღის

**ჩვენი დოსიე:** საჰაერო სამიზნე „СТРИЖ-3“ მოწინააღმდეგის რაკეტების საიმიტაციოდ და საკუთარი ПВО-ს სავარჯიშოდ იხმარება. იგი შეიარაღებიდან მოხსნილი, ძველი საზენიტო რაკეტების С-25-ის ბაზაზეა შექმნილი და 1965 წლიდან გამოიყენება, როგორც საჰაერო სამიზნე. დღემდე 11 ათასამდე ასეთი რაკეტა იქნა გაშვებული.



ერთსა და იმავე მონაკვეთში, დაახლოებით სამი საათისთვის გამოდიოდა მწყობრიდან.

დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტები არ გამორიცხავენ ერთ, არც ისე ფანტასტიკურ მტკიცებას — ვიღაც საგანგებოდ, დისტანციურად „აგიჟებდა“ ამ რაკეტებს.

საქმე ის გახლავთ, რომ ეს სამივე რაკეტა 60-70-იან წლებშია შექმნილი და მაშინდელი, ამჟამად ძალზე მოძველებული რადიოელექტრონული აპარატურითაა აღჭურვილი. თანამედროვე დასავლური ტექნოლოგია კი იძლევა იმის საშუალებას, რომ უშუალოდ კოსმოსიდან გადაცემული მაღალსიხშირიანი რადიოელექტრონული ტალღების გამოსხივებით მწყობრიდან იქნეს გამოყვანილი რაკეტებისა და თვითმფრინავების მართვის ხელსაწყოები.

არადა სამხედრო დანიშნულების ამერიკული დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები ყოფილი საბჭოთა კავშირის თავზე დღის სწორედ სამი საათისთვის „გადადიან“. იქნებ, პენტაგონმა, „წაივარჯიშა“ დიდი გამოცდის წინ?!

თუკი ეს მოსაზრება სწორია და პენტაგონს უკვე აქვს ამ სიშორეზე მოქმედი იარაღი, რომელიც მოწინააღმდეგის ყველა რადიოელექტრონულ მოწყობილობას დისტანციურად „გააგიჟებს“, მაშინ უახლოეს ხანში მსოფლიოში ბევრი რამ შეიცვლება.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# გახმაურებული მკვლელობის საქმის გახსნას ძიება აჭიანურებს?!


დათო ჯორბენაძე


ზაზა როინიშვილი

1991 წლის 19 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან მოკლეს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტები ზაზა როინიშვილი და დავით ჯორბენაძე. დანაშაული დღის 3 საათზე, ათობით ადამიანის თვალწინ მოხდა და მოწმეებმა, რომელთაც მკვლელობის სცენა მეტად ახლო მანძილიდან იხილეს, პირველივე დაკითხვაზე უყოყმანოდ დაადეს ხელი ერთ ადამიანს.

ერთი შეხედვით, ყველაფერი იმთავითვე ნათელი იყო — ეჭვმიტანილის ვინაობაც, დანაშაულის მოტივიც, გამოყენებული იარაღის სახეობაც... მიუხედავად ამისა, 9 წელი გავიდა და საქმის გამოძიება რატომღაც დღემდე არ დასრულებულა.

მოწმეთა განცხადებით, მკვლელობამდე ორი დღით ადრე ჯორბენაძეს კონფლიქტი მოსვლია მისთვის უცნობ რამდენიმე ახალგაზრდასთან, რომლებიც ცივი იარაღის მუქარით თითქოს მისთვის ტყავის, ძვირადღირებული ქურთუკის გახდას ცდილობდნენ. უცნობთა შორის ყოფილა ვინმე ზურაბ ლომაძეც. ჯორბენაძეს როგორღაც მოუხერხებია მოძალადეთაგან თავის დაღწევა და ინციდენტიც ამით ამოწურულა.

ორი დღის შემდეგ ჭავჭავაძის გამზირზე ჯორბენაძესა და მის ჯგუფელებს კვლავ შეხვედრიან იგივე პირები. ამტყდარა შეხლა-შემოხლა, რომლის დროსაც დავით ჯორბენაძე და მისი უახლოესი მეგობარი ზაზა როინიშვილი დანით დაჭრეს. თვითმხილველთა მტკიცებით, ორივე სტუდენტს ჭრილობები ზემოთ ხსენებულმა ლომაძემ მიაყენა, რის შემდგომაც, ეს უკანასკნელი, ვარაზისხევის მიმართულებით გაქცეულა და მდევართაგან თავი დაუღწევია. ჯორბენაძე და როინიშვილი რამდენიმე წუთის შემდეგ გარდაიცვალნენ.

ვაკის რაიონის სასამართლომ, ხულიგნობისა და ძარცვის ბრალდებით, ლომაძის სამი მეგობარი — ბედოიძე, მარდალეიშვილი და ჩხუტიაშვილი მალევე გაასამართლა, თუმცა 1992 წელს ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ კიტოვანის ცნობილი ამნისტიის შედეგად, მათ საპატიმროს თავი დააღწიეს. რაც შეეხება მკვლელობაში ეჭვმიტანილ ლომაძეს, პოლიციის ინფორმაციით, მან საზღვარგარეთ მოახერხა გაქცევა, თუმცა, როგორც ამბობენ, უცხოეთიდან არაერთხელ ჩამოსულა საქართველოში.

როგორც დაზარალებული მხარე ამტკიცებს, დღემდე გრძელდება აქტიური ზეწოლა იმ მოწმეებზე, რომლებიც სტუდენტთა მკვლელობაში ლომაძეს სდებენ ბრალს. იგივე წყაროს ცნობით, ფიზიკური ანგარიშსწორების შიშით მოწმეთა დიდმა ნაწილმა გადათქვა პირველი ჩვენება, რა თქმა უნდა, ეჭვმიტანილის სასარგებლოდ და აი, სულ ახლახან, საქმე საკმაოდ მოულოდნელად განვითარდა — მკვლელობიდან 9 წლის შემდეგ, ზურაბ ლომაძე უცხოეთიდან დაბრუნდა და სამართალდამცავ ორგანოებს საკუთარი ნებით ჩაბარდა.

ამით თითქოს ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, მაგრამ... ძიება თავიდან დაიწყო. მიზეზი? ლომაძე თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს, მკვლელობის თაობაზე ამბობს, აფექტში ვიყავი, არაფერი მახსოვსო და თან განმარტებას იძლევა, პროკურატურას საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად ჩავბარდიო.

გამომძიებელთა კითხვაზე, თუკი დარწმუნებული იყო თავის უდანაშაულობაში, რატომ აქამდე არ ჩაბარდა სამართალდამცავებს, ეჭვმიტანილის ადვოკატი ასე პასუხობს: „უნივერსიტეტთან მომხდარი ინციდენტის დროს ლომაძე აფექტში იყო, მაგრამ როცა გონს მოვიდა, გაახსენდა რამდენიმე წლის წინ თბილისის ერთ-ერთ სასამართლოში განხილული სასამართლო პროცესი, სადაც პატიმრების მიმართ გამოყენებული ალმაშფოთებელი ძალადობის ფაქტს იხილავდნენ. ლომაძეც დაშინდა, ჩემზეც იგივე მეთოდები არ გამოიყენონო და აბა, რაღას გამოცხადდებოდა პოლიციაში. ცოტა ხნის წინ მან შეიტყო, საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრების ამბავი, წაიკითხა ადამიანის უფლებათა დაცვის თაობაზე გამართული ღონისძიებების მასალები და იმ იმედით, რომ მის მიმართ ფიზიკურ ძალას აღარ იხმარენ, დაბრუნდა საქართველოში“...

ამჟამად მდგომარეობა ასეთია: ეჭვმიტანილი დაპატიმრებულია, ყაჩაღობის ბრალდება მოუხსნეს. მისი ადვოკატი დარწმუნებულია, რომ კლიენტის სიმართლე მალე დამტკიცდება და ლომაძე ოჯახს დაუბრუნდება.

ჩვენ უფლება არ გვაქვს ვამტკიცოთ, მკვლელია თუ არა ზურაბ ლომაძე, მაგრამ ალბათ იმის უფლება მაინც გვაქვს, ეჭვი და გაკვირვება გამოვთქვათ ქართველ სამართალდამცავთა მუშაობის თაობაზე. თავად განსაჯეთ: ჯერ კიდევ 1991 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყებოდა, გამოძიებამ საქმეზე ყველა საგამოძიებო მოქმედება ამოწურა, დასრულებულია მოწმეთა დაკითხვა და დადგენილია ჭეშმარიტებაო. დღეს კი, იგივე სტრუქტურა და იგივე გამომძიებელი ძიებას თავიდან იწყებს.

დრო გადის. ეჭვმიტანილიც, დაზარალებული მხარეც და საზოგადოებაც კითხვაზე საბოლოო პასუხის გაცემას, ჯერჯერობით, ამაოდ ელის.

# ოპერაცია — „ლიკვიდაცია!“

**ომის შემდგომ პერიოდში, 1945–1947 წლებში, მძარცველების, დეზერტირებისა და მკვლელების ბანდებმა საქართველო ლამის ერთიანად წალეკა. მათი მხრიდან ძარცვა–გლეჯასა და აოხრებას, ფაქტობრივად, ვერც ერთი კუთხე ვერ გადაურჩა. მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. ხელისუფლებას სასწრაფოდ უნდა მიეღო გადამჭრელი ზომები და ნებისმიერი მეთოდით აელაგმა ბანდების თარეში.**

განსაკუთრებით მძიმე ვითარება იყო ყაზბეგის, თელავის, ახმეტის, ზესტაფონისა და ლანჩხუთის რაიონებში. კრიმინალური დაჯგუფებები იქ იმდენად ძლიერი და გათავხედებული იყვნენ, რომ არავის და არაფერს ერიდებოდნენ. ბედაურებზე ამხედრებული და კბილებამდე შეიარაღებული ყაჩაღები დღისით-მზისით თავისუფლად დანავარდობდნენ რაიონულ ცენტრებში და ადგილობრივ მოსახლეობას თავზარს სცემდნენ.

თავისი სისასტიკითა და თავხედობით გამორჩეულნი იყვნენ მოუხელთებელი ჩრდილოკავკასიელი დამნაშავენი, რომლებიც ძირითადად საქართველოს ტერიტორიაზე, საზღვრისპირა ქალაქებსა თუ სოფლებში მოქმედებდნენ. თუშეთისა და ყაზბეგის მოსახლეობას ალბათ დღემდე ახსოვს ვინმე მუსა რაბადან-გაჯიევის სახელი. დაღესტნელი რეციდივისტი, თავის თოთხმეტკაციან ბანდასთან ერთად, რომელშიც რამდენიმე ქართველიც შედიოდა, თითქმის ყოველდღე ახალ-ახალ დანაშაულს სჩადიოდა. მათ ანგარიშზე იყო არაერთი მკვლელობის, საქონლის გატაცებისა და ძალადობის ფაქტი. მრავალი მცდელობის მიუხედავად, რაზმის განადგურება ვერაფრით ხერხდებოდა — ბანდიტები ერთ ადგილას არასოდეს ჩერდებოდნენ, მუდმივად იცვლიდნენ სამოქმედო უბნებს და მუდამ იოლად აღწევდნენ თავს სამართალდამცავებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ გრიგოლ კარანაძის ბრძანების საფუძველზე, მილიციაში ჩამოყალიბდა სპეციალური ჯგუფი, რომელსაც რაბადან-გაჯიევისა და მის ხელქვეითთა წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებათა დაგეგმვა-განხორციელება დაევალა. შსს-ში გამართულ გასაიდუმლოებულ თათბირზე მუსას რაზმში მილიციის თანამშრომლის შეგზავნა გადაწყვიტეს. აგენტს ბანდიტთა ნდობა უნდა მოეპოვებინა და მწყემსების საშუალებით შესაბამისი ინფორმაციები გადმოეგზავნა. ამ ურთულესი ოპერაციისთვის შეირჩა მილიციის კაპიტანი შალვა ჩქარეული, მამით ქართველი და დედით ავარიელი ახალგაზრდა კაცი, რომელიც თავისუფლად საუბრობდა რამდენიმე ჩრდილოკავკასიურ დიალექტზე.

აგენტისთვის ასეთი ლეგენდა შემუშავდა: ბანდიტებისთვის იგი უნდა ყოფილიყო 1943 წელს საბჭოთა არმიის რიგებიდან გამოქცეული დეზერტირი, ერთი ხანობა სვანეთისა და ლეჩხუმის მთებს რომ აფარებდა თავს, მაგრამ იქაური ჩეკისტების დევნის გამო, იძულებული გახდა თუშეთში გადმოსულიყო. ჩქარეულს, რომელიც რაბადან-გაჯიევის რაზმში საკუთარი გვარ-სახელით უნდა წარდგენილიყო, სამინისტროში დეტალურად გააცნეს სვანეთში მოთარეშე ბანდიტთა თავკაცების ბიოგრაფიები თუ ფოტოსურათები და მისი ლეგენდა შსს-ს ფოტოლაბორატორიაში მეტად ოსტატურად დამზადებული ფოტომონტაჟითაც გაამაგრეს — ფოტოზე აღბეჭდილი იყო ცნობილი სვანი ყაჩაღი ბაქარ ლიპარტელიანი, გვერდს კი მას შალვა ჩქარეული უმშვენებდა. სურათის უკანა პლანზე რამდენიმე წითელარმიელის გვამი მოჩანდა... ჩეკისტთა ვარაუდით, ამ ფოტოს დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ბანდიტებზე, რომელთაც ჩქარეული განუმარტავდა, მე და ლიპარტელიანმა წითლები დავხოცეთ და შემდეგ მათ ფონზე სამახსოვრო სურათი გადავიღეთო.

ჩქარეული თბილისში გახლდათ დაბადებული, ბავშვობა დედულეთში, დაღესტანში ჰქონდა გატარებული, ომის დროს კი, „ენკავედე“-ს სპეციალურ ბატალიონში მსახურობდა და თითქმის გამორიცხული იყო მუსას ბანდის წევრებისთვის ცნობილი ყოფილიყო.

შსს-ში ჩქარეულს სასწრაფოდ გაუკეთეს მკლავზე სვირინგი, გამოაწყვეს შესაფერის ტანსაცმელში, გადასცეს გვარიანი თანხა, ორი „ნაგანი“ და ასეთი მასკარადით მინისტრს წარუდგინეს. როგორც ჩანს, კარანაძე კმაყოფილი დარჩა კაპიტნის ლეგენდითა და გარეგნობით და მეორე დღესვე თუშეთს გაამგზავრეს.

ომალომდე აგენტს სამი ჩეკისტი მიაცილებდა. ისინი ომალოშივე დარჩნენ, ჩქარეული კი ფეხით ბორბალოს მთის მიმართულებით გაეშურა. ეს იყო 1945 წლის 17 აგვისტო, სექტემბრის 22-ში კი, თბილისში საიდუმლო ინფორმაცია ჩამოიტანეს: „ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. კონტაქტი შედგა. ეჭვები გავუფანტე. ამჟამად დროებით ჩეჩნეთში გადავედი. ოქტომბრის პირველ რიცხვებში, ალბათ, შატილის მახლობლად გამოვჩნდები. დამატებით ცნობებს იმავე გზით მოგაწვდით“.

საარქივო მასალებში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ რა ვითარებაში მოხდა მილიციის აგენტის გაწევრება კაცისმკვლელთა ბანდაში, თუმცა, როგორც ჩანს, ასეთი გაწევრება შემდგარა და რაბადან-გაჯიევის დაჯგუფებას კიდევ ერთი „თავზეხელაღებული ყაჩაღი“ შეჰმატებია.

შსს-ში შემოსული მეორე, ამჯერად შედარებით ვრცელი ინფორმაცია 29 სექტემბრით თარიღდება: „საქართველოს საზღვარი 26 სექტემბერს გადმოვკვეთე, სოფელ ფარსმასთან. მუსა კარგად მეპყრობა, მის მშობლიურ ენაზე ვსაუბრობთ. ასე მითხრა, შენი ერთი მოგვარე ჩემი ბიძაშვილის ძმადნაფიცი იყოო. ის ბიჭი ახმეტაში მოუკლავთ. ბანდაში ამჟამად თოთხმეტნი ვართ. ჩემ გარდა აქ კიდევ ორი ქართველია — ყაზბეგელი მარსაგიშვილი და დუშელი ვანო წიკლაური, რომელიც 1933-39 წლებში როსტოვში იხდიდა სასჯელს და მუსასაც იმ დროიდან იცნობს. მარსაგიშვილი პატიოსანი კაცი ჩანს, ვერაფრით გავიგე, რატომ არის აქ. მუსას მოადგილეებად ინგუში რუსლანი და ოსი ზაურ იმაევი ითვლებიან. ორივე ადამიანთა მკვლელობისთვის იძებნება. ჩემი აქ ყოფნის დროს ორჯერ დაეცნენ მეცხვარეებს და უამრავი სანოვაგე წაართვეს. მათი ლაპარაკიდან შევიტყვე, რომ მალე ხევსურეთში გადავალთ. ვიღაც „ბაბაიზე“ საუბრობენ, შატილთან უნდა შევხვდეთ და ფულს გადმოგვცემსო. თქვენთან კავშირის დამყარება მიჭირს, მაგრამ ისევ იმავე გზით გაცნობებთ ყოველივეს.“

2 ოქტომბერი: „მუსამ და იმაევმა ორი მოხევე მეჯოგე დაატყვევეს. რაბადან-გაჯიევმა მათი დახვრეტა მიბრძანა, მაგრამ ვუთხარი, ქართველს ვერ ვესვრი-მეთქი. აბა, ის წითელარმიელები როგორ დახოცეო? ვუპასუხე, რომ სხვა გზა არ მქონდა და თან პირველად მათ გაგვიხსნეს-მეთქი ცეცხლი. თითქოს დამიჯერა, მაგრამ მაინც განაწყენდა, ვაჟკაცი მეგონეო. ის მოხევეები თავისი ხელით დახვრიტა და არც დამამარხვინა, მგლებმა დაგლიჯონო. ისევ იმ „ბაბაის“ ველოდებით. მუსა ნერვიულობს, მეხუთე დღეა მეცხვარეების ქოხში ვზივართ. ცეცხლს არ გვანთებინებს, რომ შორიდან არ შეგვამჩნიონ. გთხოვთ, დააჩქაროთ ბანდიტთა შეპყრობის ღონისძიებები. შატილიდან დაახლოებით 7 კილომეტრში ვართ. ადგილობრივებს უთუოდ ეცოდინებათ ჩვენი ადგილსამყოფელი და მათგან შეიტყობთ ყოველივეს. თუ „ბაბაი“ დროზე არ გამოჩნდა, ალბათ, კიდევ რამდენიმე დღე ვიცხოვრებთ აქ. ვეცდები, 6-ში დილით სოფელში გამიშვან, პურისა და არყის საყიდლად. თუ ამ დღეს ოპერაციის ჩატარებას გადაწყვეტთ, შუადღისთვის მოდით და გაითვალისწინეთ, რომ მახლობელ გორაკებზე მუსას მუდმივად ჰყავს ორი მოდარაჯე ჩასაფრებული. როგორც რუსლანმა აგვიხსნა, საშიშროების შემთხვევაში, ისინი სროლას ატეხენ და დანარჩენები ღელის გაყოლებით უნდა გავიქცეთ, დავიფანტოთ და მოგვიანებით ბორბალოს მთაზე შევიკრიბოთ“.

6 ოქტომბერს, გამთენიისას, შატილს შსს-ს სპეცდანიშნულების ქვეითთა ბატალიონი მიუახლოვდა. ავტომატებით შეიარაღებული ჩეკისტები ოთხ რაზმად გაიყვნენ და სხვადასხვა გზით ბანდის სავარაუდო თავშესაფრისკენ გაემართნენ.

შემორჩენილია ოპერაციის ერთ-ერთი მონაწილის, ვინმე ალექსეი კრივონოსოვის ჩანაწერები, სადაც მილიციის რიგითი დეტალურად აღწერს იმ დღის მოვლენებს: „ ... დაახლოებით 11 საათზე, ვიწრო მდინარე გადავლახეთ და ალაგ-ალაგ დათოვლილ მთაზე ავძვერით. მზვერავებმა ბინოკლით დაათვალიერეს არემარე და გვაუწყეს, რომ ჩვენი პოზიციიდან 800-1.000 მეტრში შენიშნეს ფიცრული ნაგებობა, რომლის გარშემოც შეიარაღებული პირები მოძრაობდნენ. იერიში ოთხი მხრიდან, ერთდროულად უნდა დაწყებულიყო. სიგნალი ჩვენი რაზმის ორი გასროლილი მაშხალა იქნებოდა.

ცოტა ხანს შევისვენეთ, დავნაყრდით, საჭმელს 200-200 გრამი სპირტიც დავაყოლეთ, იარაღი კიდევ ერთხელ შევამოწმეთ და მეთაურმა საბოლოო ინსტრუქტაჟი ჩაგვიტარა.

მაშხალების გასროლის შემდეგ გვევალებოდა განივი ფრონტით შეგვეტია მოწინააღმდეგისათვის, რომელიც ჩვენ ქვევით იმყოფებოდა. ხელჩართულ ბრძოლაზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადავსულიყავით. გვეკრძალებოდა ფიცრულთან ახლოს, 30-40 მეტრში მისვლაც. თუ ბანდიტები დაგვნებდებოდნენ, მათთვის ხელი არ უნდა გვეხლო, ყველა სხვა შემთხვევაში კი ბოროტმოქმედთა ლიკვიდაცია გვიბრძანეს. განსაკუთრებული ყურადღება მდინარის გასწვრივ მდებარე ხეობას მიაქციეთო, განაცხადა მეთაურმა. აგენტურული ინფორმაციით, დამნაშავეები სწორედ ამ მხარეს შეეცდებოდნენ გაქცევას.

ზუსტად 11 საათსა და 25 წუთზე მეთაურმა მაშხალები ჰაერში ისროლა და წინ დავიძარით. რამდენიმე წამში საიდანღაც შაშხანის გასროლის ხმა გავიგე. მერე კარგა ხანს სიჩუმე იყო. ნაწვიმარზე სიარული გვიჭირდა, დაღმართში წამდაუწუმ ძირს ვეცემოდით, მაგრამ მაინც საკმაოდ ჩქარა ვუახლოვდებოდით ქოხს.

ორასიოდე მეტრის გავლის შემდეგ უკვე მშვენივრად ვხედავდით მოწინააღმდეგეს. დაბნეულები ჯერ აქეთ-იქით აწყდებოდნენ, მერე ყველა ერთად მდინარისკენ გაიქცა, მაგრამ შეგვნიშნეს და ისევ უკან, ფიცრულისკენ დაიხიეს. მალე ჩვენ სხვა რაზმებსაც მოვკარი თვალი. თამამად მოდიოდნენ იერიშზე და კანტიკუნტად ისროდნენ.

რაც უფრო ვიწროვდებოდა ალყა, მით უფრო მეტი გასროლის ხმა მესმოდა. მივუახლოვდით ბორცვს, ბანდიტთა ტყვიებისაგან რომ გვიცავდა და მიწაზე გავწექით. ბოროტმოქმედთა დიდი ნაწილი ქოხში გამაგრდა, სამი თუ ოთხი კაცი ნაგებობის წინ გათხრილ ორმოში ჩახტა და ავტომატი დაგვიშინა.


საქართველოს შსს-ს სპეცდანიშნულების ერთ-ერთი რაზმი, რომელიც, ზოგიერთი წყაროს ცნობით, 1945 წელს შატილთან განხორციელებულ ოპერაციაში მონაწილეობდა.

გეგმის მიხედვით, სროლა დროებით შევწყვიტეთ და ჩვენმა მეთაურმა ხმამაღლა დაიყვირა, თქვენ ალყაში ხართ მოქცეული, წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ აქვს და დაგვნებდით, საბჭოთა მთავრობა დანებებულებს ჰპატიობსო. საპასუხოდ იმწამსვე რამდენიმე ავტომატის ჯერი წამოვიდა და რიგითი გაგნიძე მძიმედ დაიჭრა. სანიტარმა მას პირველი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა, ჩვენ კი გრიგალისებრი ცეცხლი გავხსენით და ფიცრულს სულ ბოლი ვადინეთ.

სროლა ოდნავ რომ ჩაცხრა, ვიღაცის ყვირილი შემომესმა, აღარ ისროლოთ, გნებდებითო. ჩვენებიც შეჩერდნენ და ამ დროს ქოხიდან წელს ზევით შიშველი მამაკაცი გამოვიდა. ხელები ზემოთ აღემართა და ღრიალებდა, ნუ მომკლავთ, გნებდებითო. ვაცალეთ მოახლოება, მერე ხელბორკილი დავადეთ და მიწაზე დავსვით. დანებებულს ხელიდან სისხლი სდიოდა. სანიტარმა მას ჭრილობა გადაუხვია და თავისი „ბუშლატიც“ მოახურა.

ხუთიოდე წუთი სრული სიწყნარე იყო. შემდეგ თითოეულ მოიერიშე ჯგუფს ორ-ორი კაცი გამოეყო და დიდი სიფრთხილით მიუახლოვდა ქოხს. „ყველანი მკვდრები არიან“ — დაიძახა ერთ-ერთმა ჩეკისტმა და მეც მაშინვე მივედი ფიცრულთან.

შიგნით სამი კაცის სისხლში ამოსვრილი გვამი ეგდო, გარეთაც კიდევ სამის. იქვე ეყარა მათი იარაღიც: ავტომატები, შაშხანები, ტყვიამფრქვევი. ჩვენი ოფიცრები ამბობდნენ, მაგათი ატამანი — მუსა აქ არ არისო და მეტად უკმაყოფილონი იყვნენ ამის გამო. გვამები საკაცეებზე დავასვენეთ და შატილში დავბრუნდით.“

ოპერაციის შედეგად ლიკვიდირებულ იქნა ექვსი ბანდიტი, სამიც ტყვედ ჩავარდა (ორი მათგანი, ეტყობა, გორაკებზე განლაგებული მოდარაჯე იყო), მაგრამ სად გაქრნენ დანარჩენები? მილიცია საგონებელში ჩავარდა. შალვა ჩქარეულის განმარტებით (რომელიც პროდუქტების ამოტანის მიზნით ყაჩაღებმა მართლაც გაუშვეს შატილში), 1945 წლის 6 ოქტომბრის დილას, რაზმი სრული შემადგენლობით იყო, მაგრამ ჩეკისტთა შემოტევის დაწყების წინ, რაბადან-გაჯიევი, მისი მოადგილე რუსლანი და კიდევ ორი კაცი სადღაც აორთქლებულიყო.

ცნობები მილიციის კაპიტნის, შალვა ჩქარეულის შესახებ შემორჩენილი არ არის. რა ბედი ეწია მამაც ჩეკისტს, მარტოდმარტომ რომ შეაღწია თავზეხელაღებულ მკვლელთა დაჯგუფებაში, უცნობია. არ არის გამორიცხული, რომ ბანდის ლიდერების გაუჩინარების გამო, ის ხელმძღვანელობამ დასაჯა...

არც ის არის ცნობილი, რა მოუვიდათ დატყვევებულ ბანდიტებს. ისინი, ალბათ, ბანდიტობის მუხლით გაასამართლეს და სავარაუდოდ, ყველანი დახვრიტეს.

და კიდევ ერთი. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერანი ოფიცერი დიმიტრი სიხარულიძე იხსენებს: „1947 წელს, ახმეტის რაიონში მილიციის სპეციალურმა რაზმმა გაანადგურა ოთხკაციანი ბანდა, რომლის წევრებიც ჩრდილოკავკასიელები იყვნენ. დახოცილთა შორის ჩეკისტებმა ამოიცნეს ცნობილი რეციდივისტი მუსა რაბადან-გაჯიევი. ის ჩვენი ორგანოების მიერ 1937 წლიდან იძებნებოდა.“

*გვერდი მოამზადა მიხეილ ჩერქეზიამ*

# ცხოვრებისეული კურიოზები



გურიაში მცხოვრებ ბებიაჩემს მენისკის ოპერაცია აქვს გაკეთებული. როცა ეს უბედური შემთხვევა მოუვიდა, სასწრაფოდ თბილისში ჩამოიყვანეს. ახალგაზრდა, კახელი ექიმი ეკითხება:

— აბა, დაწვრილებით მომიყევით, რა და როგორ მოხდა?

ბებიამაც დაიწყო:

— კარიაში მოჭვას ვიჭერდი, გამიშპა პწკალა, გავადინე ჟღერთა, კვირისტავით ვეძგერე დედომიწას.

ექიმმა ვერაფერი გაიგო და კვლავ გაამეორებინა.

მანაც, რა თქმა უნდა, იგივე გაიმეორა, თანაც გამწარებული კიოდა, — რაა აქ გაუგებარიო. მერე ექიმმა იყვირა:

— იქნებ ვინმემ გადამითარგმნოთ, რას ამბობს ეს ქალი!

უთარგმნეს:

— საქათმეში კრუხს ვიჭერდი, გამიცურდა კიბე, მოვადინე ზღართანი და მუხლისთავით დავეხეთქე დედამიწას.

ატყდა სიცილი... ბებია დარჩა გაკვირვებული.

***გიორგი ცეცხლაძე, ოზურგეთი, შემოქმედი***

## ქუთაისში ასე ხდება

მთავარი ინსპექტორი ზურა აბზიანიძე პოსტზე დგას — თავის „სასტავით“.

„ვასმიორკებით“ მოდის სალათისფერი „ჟიგული“. რაღა თქმა უნდა, გააჩერეს.

საჭესთან „გაგლეჯილი მთვრალი“, მისი ბიძაშვილი, ჯემალია ჯიმშელეიშვილი ზის.



— ჩამოდი ახლა შენ დაბლა, აქანა! — იუკადრისა ინსპექტორმა. — მარცხვენ აქანა შენ, თანამშრომლების წინაშე.

— აა! — ამოიოხრა მძღოლმა.

— ააა, კი არა, ჩამოდი, ჩამოდი მა მაშინიდან!

— რავა, დასალევად მეპაიჟებით, ზურიკია, ბიჯო, ამ შვადღეზე? რა დროს დალევაა, ბიჯო?!

— გადმოდი, რომ გეუბნები, თვარა დოვუძახებ მილიციას (ნათესავის დამნახავს სულ დაავიწყდა, რომ თვითონ იყო „მილიცია“).

— რა დავაშავე, უმფროსო, ახლა? — ალუღლუღდა ჯემალია...

— რა და, მთვრალი ხარ, ჩამოდი მაშინიდან, რომ გეუბნები მე შენ! (ძალად გაიმკაცრა ხმა ინსპექტორმა), წადი ფეხით სახლში!

— შე უპატრონო, ფეხით სიარული რო შემეძძლლოსსს... მაშინაში რრრავა ჩაავჯდებოდდდი?

ინსპექტორებმა ერთხმად გადაიხარხარეს.

***მურმან მერკვილიშვილი***

## გამარჯობათ თქვენი...

ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკნარში ტრაქტორისტად მუშაობდა კაპიტონ სირაძე.

ერთ დილას, სოფლის კანტორაში შეკრებილ ხალხს, ფანჯრიდან კაპიტოს დანახვისას, აწ გარდაცვლილმა რეზო გოგუაძემ უთხრა, — ეგერ კაპიტო მოდის და გამარჯობაზე არავინ უპასუხოს, ვნახოთ ერთი, რას იზამსო.

შემოვიდა კაპიტო. ოთახში ოცამდე კაცი ზის.



— გამარჯობა თქვენი!

— ...

— არ გეყურებათ?! გამარჯობა-თქვა! რა სიკვტილი გეტაკათ?!

ისევ არავინ იღებს ხმას და კაპიტოსკენ არც კი იყურებიან.

— წასულარიენ სახლში, აგენის დედაც... — ხმამაღლა გამოაცხადა კაპიტომ და კარი გაიხურა.

***რომა, ჩოხატაური***

## დილას ოქრო ხარ, სტუმარო...

ერთხელ, მამას მეგობრები თბილისიდან ბათუმში მიდიოდნენ, გზად ოზურგეთში ვალიდა ბებიას შეუარეს.

ბებოს ძალიან გაუხარდა მამიკოს მეგობრების სტუმრობა — ცოტა ხანს მაცალეთო, და სულ მალე მშვენიერი სუფრა გაუშალა სტუმრებს. წავიდა სმა-ჭამა.



ქეიფი მეორე, მესამე დღესაც გაგრძელდა. ეზოში შესულ სტუმრებს სულ დაავიწყდათ ბათუმი. შეწუხდა ვალიდა ბებო — დასაკლავი აღარ დარჩა არაფერი, მეოთხე დღეს ერთმა სტუმარმა სიმღერაც წამოიწყო: „ვაი, ველარ ვხედავ მზეს“...

... ჭიშკარს ხომ ხედავ, ნენა, ჭიშკარს! — ბრაზმორეული ღიმილით ხელი ჭიშკრისაკენ გაიშვირა ვალიდა ბებომ.

***ლაშა ბასილია, IV კლასი, თბილისი***

## გამარჯობათ, მკვდრებო!

ერთი მეზობელი მყავს, სახელად ვალოდა. ერთხელაც ეს ჩემი მეზობელი მეზობელ სოფელში წავიდა ალალი ბიძის დასაფლავებაზე. ტრადიციისამებრ, სამარესთან გაიშალა მცირე სუფრა და მიცვალებულის შესანდობარი შესვეს. ვალოდას, ცოტა არ იყოს, ნამეტანი მოუვიდა დალევა, ყველასგან შეუმჩნევლად სასაფლაოს ერთ კუთხეში მიწვა და მიიძინა. მალე სასაფლაო ჭირისუფლებისაგან დაიცალა, ისე, რომ ვალოდა არავის გახსენებია.

სასაფლაოს მახლობლად წყაროა, სადაც იმ დღეს სოფლელი ბიჭები ქეიფობდნენ. უკვე კარგად შებინდებული იყო, რომ დაიშალნენ და სახლებში წავიდნენ, რა თქმა უნდა, სასაფლაოს გავლით. ერთმა კარგად შეზარხოშებულმა ბიჭმა სასაფლაოსთან გავლისას დაიძახა:



— ჰეე, გამარჯობათ, მკვდრებო!

ბიჭების ყაყანზე გამოღვიძებულმა ვალოდამ პასუხი არ დააყოვნა:

— ეჰე, ჰეე!.. გაგიმარჯოთ, ცოცხლებო!

დაფეთებული ბიჭები ისე გარბოდნენ და ისე მივიდნენ სოფლამდე, სულ ზურგზე ირტყამდნენ ფეხებს.

***კობა ხატისაშვილი, საგარეჯო***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



სვანი ეზოდან ამოვიდა და დედას ამცნო, — ბაზარში ხანძარი გაჩენილაო.

— რომელ ბაზარში გაჩნდა ხანძარი? — ჰკითხა დედამ.

— არ ვიცი, რომელში, მაგრამ ეზოში ქალები ლაპარაკობდნენ, ბაზარში ყველაფერს ცეცხლი უკიდიაო.

***გაგა გოცაძე***

სვანეთში ასფალტს დააგებენ. სვანები დაიჩივლებენ, — ჩვენ სადღა ვიაროთო.

***ირაკლი უთურგაიძე***



მიხოს ძმა მოუკვდა, მაგრამ პანაშვიდზე არა და არ შედის.

მივიდნენ მეზობლები და ეუბნებიან:

— ასე როგორ შეიძლება, მიდი ერთი-ორი სიტყვა უთხარი... ბოლოს და ბოლოს, შენი ძმაა.

მიხო ძლივს შევიდა ოთახში, მივიდა ცხედართან და ძმას უთხრა:

— ჰა, ვირო, დაირტყი ახალი ტუფლები?

***არისტო მერკვილაძე***





მეგრელი დაიჭირეს ხულიგნობისთვის და 50 როზგის დარტყმა მიუსაჯეს.

— ჩახადეთ შარვალი და აღასრულეთ განაჩენი! — ბრძანა მოსამართლემ.

— ბატონო, შარვალს ნუ ჩამხდით და 150 დამარტყით...

— ჩახადეთ!

ჩახადეს შარვალი, შიგნით აცვია თეთრი საცვალი შავი არშიით.

— რას ნიშნავს ეს? — იკითხა მოსამართლემ.

— ბერიას ვგლოვობ, პატონი, არალეგალურად... — მიუგო მეგრელმა.

***უშანგი, თბილისი***



მაღაზიაში ქალი შევიდა ცოცხის საყიდლად, გასინჯა თითქმის ყველა ცოცხი, მერე გამყიდველს მოატანინა საწყობიდან მთელი შეკვრა, კიდევ ერთხელ თავიდან გადასინჯა. თითქმის ორი საათი გავიდა ამ სინჯვა-სინჯვაში. გამყიდველი სიმწრისგან ოფლად დაიღვარა.

როგორც იქნა, ეშველა, ამოარჩია და ხელი დაადო ცოცხს:

— აი, ესა!

— ქალბატონო, შეგიხვიოთ თუ ასევე გაფრინდებით?..

***ჯილდა გორდაძე***

სვანი მიდის ექიმთან. თავში დიდი ლურსმანი აქვს ნახევრამდე ჩარჭობილი. ამომიღეთო, — ექიმს სთხოვს.

— ოცი ლარი!

— არა მაქვს მაგდენი.

— მაშინ ათ ლარად ბოლომდე ჩაგაჭედებ, არაფერი შეგეტყობა.

სვანმა ხუთლარიანი დაუგდო და უთხრა:

— გადალუნე, მაგის დედაც ვატირე!

***რომა, ჩოხატაური***



***ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე***

# - რატომ გაიმეტეს ასეთი მწერლები?

***რამდენიმე დღის წინ რედაქციაში დარეკა ქალბატონმა ნიტა ტაბიძემ, რომელმაც გვითხრა, — „კვირის პალიტრის“ №16-ში გამოქვეყნებულ ჩემს ინტერვიუში გაიპარა უზუსტობა — თითქოსდა ტიციან ტაბიძეს სერგო კლდიაშვილი და სიმონ ჩიქოვანი ურჩევდნენ, რომ დაღუპულ პაოლოზე ყალბი ჩვენება მიეცა, რათა თვითონ გადარჩენილიყო. ეს ფაქტი სინამდვილეს არ შეესაბამება, და ვწუხვარ, რომ მკითხველი შეცდომაში იქნა შეყვანილი. მინდა აღვნიშნო, რომ ჩემსა და ჟურნალისტის საუბარში გაპარული უზუსტობა გაუგებრობის შედეგია, რომელსაც ვერავის დავაბრალებ.***

სიცოცხლის ბოლოს განსაკუთრებით მოეძალა მეგობრების მონატრება. ჩინდაკარგული საწერკალამს ითხოვდა და ათრთოლებული ხელით გამოჰყავდა ასოები. სუფთა ფურცელი უმალ ივსებოდა ნაწერით. ათასგზის დაწერილი ორი სიტყვა „პაოლო-ტიციანი“ ღაღადებდა იმ სატკივარზე, რაც მწერალს სულს უფორიაქებდა. ის უდროოდ დაკარგულ მეგობრებზე წუხდა.



სერგო კლდიაშვილის ოჯახს მწერლის რამდენიმე ჩანაწერიღა შემორჩა (არქივის ძირითადი ნაწილი მწერალმა ლიტერატურის მუზეუმს გადასცა). „მე მთხოვეს მოგონება (პაოლოსა და ტიციანზე), მაგრამ ძნელია ჩემთვის რომელიმე დღეზე შევჩერდე. ძნელია იმიტომ, რომ ვერც ერთი დღე მათ არმოსაგონებლად ვერ გამიმეტნია. ვარჩევ და ვერ ამირჩევია. Все они так солнечны... მისი (პაოლოს) გასვლა ხალხში, მისი ყოველი წუთი სიცოცხლისა, სადღესასწაულო იყო. Ему даже очень помешало то, что он был таким солнечным. Именно их популярность, именно то, что они были всеми признанными поэтами, погубила их“.

მწერლის ჩანაწერებს ინტერესით ვფურცლავ, ნაწილის ამოკითხვა მიჭირს. სერგო კლდიაშვილის ქალიშვილი, ქ-ნი მელიტა მეხმარება, თან თავის ბავშვობას იხსენებს: „ცისფერყანწელებს მამა ჯერ კიდევ ქუთაისში დაუახლოვდა. თბილისში, ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან. დასხდებოდნენ სუფრასთან. ქართული პური, მწვანილი, ყველი და ღვინო ჰქონდათ. მამას მეგობრები მთვრალები არასოდეს მინახავს... კარგ გუნებაზე იყვნენ. გათენებამდე ლაპარაკობდნენ პოეზიაზე, ლიტერატურაზე... ის არაჩვეულებრივად განათლებული თაობა იყო...“

თითქოს ჩვენს საუბარს გამოეხმაურაო, მწერლის კიდევ ერთ საინტერესო ჩანაწერს ვპოულობთ:

„ტიციანი შესანიშნავი თამადა იყო. თუ სუფრასთან ტიციანი იჯდა, თამადად აუცილებლად მას ავირჩევდით. სმა იცოდა, ბევრის დალევა შეეძლო, უყვარდა სიტყვის თქმა და ყოველთვის საინტერესო იყო მისი სადღეგრძელოები. ღვინის არმსმელ კაცსაც აღაფრთოვანებდა სასმელად. ტიციანი პირდაპირ მღვდელმსახურობდა სუფრაზე. ტიციანის სიმთვრალე იმაში გამოიხატებოდა, რომ გრძნობა გაუსწრებდა სიტყვას. ასეთ დროს ხანდახან ლაპარაკობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, გადაუბმელად, ხმააწევით, მაგრამ... მუდამ პოეტური სურნელება ჰქონდა მის სიტყვას. ტიციანს დიდი გული ჰქონდა...“

**— იქნებ თქვენთვის მაინც უთქვამს რაიმე ბ-ნ სერგოს მეგობრების დაღუპვის მიზეზებზე, რატომ გაიმეტეს ასეთი ცნობილი მწერლები...**

— მიზეზი რად უნდოდათ... ბერიას, შესაძლოა, თვალში არ მოსდიოდა ვინმე, ან პირადი წყენა ჰქონდა. ის თუ ვინმეს ჩააცივდებოდა, საშველს არ მისცემდა, — მპასუხობს ქ-ნი მელიტა და მამის კიდევ ერთ ჩანაწერს მიჩვენებს.

„პაოლო იაშვილის უკანასკნელი დღე. 1937 წელი. ის დღე უნდა გავიხსენო. საღამოა. მწერალთა კავშირში არცთუ ბევრნი ვართ. კრებას უძღვება კავშირის თავმჯდომარე დემეტრაძე. აკაკი ბელიაშვილის საქმე უნდა გაირკვეს. ბელიაშვილს ბრალდება, რომ სადღაც ცუდად უხსენებია სტალინი. ბელიაშვილი შეშფოთებულია. თავმჯდომარემ მოსთხოვა, აღიაროს დანაშაული. ბრალდებული კატეგორიულად უარყოფს. კითხულობს — ვინ თქვაო. მხოლოდ ბელიაშვილის ხმა ისმის. აკაკი გამწარებული ცდილობს, თავი დაიხსნას. მეორე თუ მესამე რიგში გვერდიგვერდ ვსხედვართ პაოლო იაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი და მე. პაოლო ჩუმი ხმით სთხოვს სიგარეტს ქუთათელს. ქუთათელმა მიაწოდა და ეუბნება: — როდემდე უნდა იყო ჩემს ხარჯზეო. პაოლო არაფერს ეუბნება, თითქოს მშვიდად აბოლებს. ბელიაშვილი ისევ და ისევ უარყოფს ბრალდებას, მაგრამ თავმჯდომარე არ ეშვება და ისევ კატეგორიულად მოითხოვს აღიაროს, რა თქვა სტალინზე. ისევ და ისევ ნერვიულად ისმის ბელიაშვილის ხმა... აკაკი ერთსა და იმავეს მოითხოვს, — უთხრან იმ პიროვნების შესახებ, ვინც მასზე ეს თქვა. პაოლო ადგა, კარებს მიაშურა.

— აღიარე, — მოითხოვს დემეტრაძე.

— რა ვაღიარო, — ხმას უმატებს ბელიაშვილი, — არაფერი მითქვამს და რა ვქნა? ჭორი ვთქვა ჩემს თავზე?! — ისევ სიჩუმეა. ასე გავიდა რამდენიმე წუთი. უეცრად თოფის სროლის ხმა ისმის. ვინ გაისროლა, რა მოხდა? ორიოდე წუთი და ქალის კივილი გაისმა. მხოლოდ ერთი კაცი, არ მინდა, მისი ვინაობა დავასახელო, ადგა და გაიქრა გასასვლელისაკენ. ქალის კივილი შეწყდა. დარბაზში წამოხტნენ, მაგრამ გარეთ არავინ გასულა. რამდენიმე წუთში ის ახალგაზრდა, რომელიც დარბაზიდან გავიდა, შემოდის და ყვირის, — თავი მოიკლა, პაოლომ თავი მოიკლა!.. დარბაზიდან გავიჭერით. მეორე სართულზე, კედელთან საშინელება დავინახეთ. კედელთან ადამიანი იყო ჩამხობილი. საიდანღაც მემანქანეების ტირილი ისმოდა. პაოლოს თავის ქალის უკანა ნაწილი იატაკზე ეგდო. კეფიდან სისხლი მოწვეთავდა. პაოლოს თოფის ლულა პირში ჰქონდა გაჩხერილი... გასასვლელი კარი დაეკეტათ. ქუჩაში მხოლოდ დემეტრაძე გავიდა. ტელეფონით გაიგო დემეტრაძემ, რომ პირველი მდივანი — ბერია პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე ბაღში კონცერტზე იყო. როგორც შემდეგ გავიგეთ, დემეტრაძე წასულა ბერიას სანახავად. შესულა მასთან ლოჟაში და მოუხსენებია პაოლოს თვითმკვლელობის ამბავი. ბერიას გულცივად უთქვამს, — შენ რას ღელავ მასზე, მოიკლა და მოიკლა. რა მოხდა ასეთი, წადითო.

გვიან ღამით გააღეს კარი და გაგვიშვეს. ბერიასგან მოსულმა დემეტრაძემ გვითხრა, — არსად გვეთქვა პაოლოს თვითმკვლელობის ამბავი...“

**მელიტა კლდიაშვილი:** „ამის მერე ტიციანს იბარებდა ბერია. მისი ოჯახი უკვე შემზადებული იყო. იცოდნენ, რომ ტიციანს წაიყვანდნენ. მიუხედავად ამისა, მამა მაინც დადიოდა ტიციანთან. მეგობრების დაკარგვის შემდეგ მამა ფრთეზმოტეხილი ფრინველივით იყო. ორივე ერთნაირად უყვარდა... ხატზე დავიფიცებ, რომ არც ის და არც სიმონ ჩიქოვანი არავითარ შემთხვევაში არ ეტყოდნენ ტიციანს იმაზე მოეწერა ხელი, რასაც ბერია ითხოვდა მისგან.

**— შეიძლება მეგობრის გადარჩენის მიზნით გააკეთა ეს, ანუ ურჩია ტიციანს, რომ ხელი მოეწერა ყალბ ჩვენებაზე... პაოლო ხომ მაინც მკვდარი იყო...**

— არა. თვითონ ტიციანმაც იცოდა, რომ განწირული იყო. ბერიას ასეთი ჩაციება უკვე დაღუპვას ნიშნავდა. ისიც დიდი გმირობა იყო, რომ მეგობრები მასთან მიდიოდნენ. მაშინ ძმა ძმას ერიდებოდა. მეორე ქუჩაზე გადადიოდნენ, ოღონდაც შერისხულთან არ დაენახა ვინმეს. მამისთვის საშიში იყო ტიციანთან მისვლა, მაგრამ ის მეგობრის დაპატიმრების შემდეგაც მიდიოდა ნინასთან და გვერდით ედგა. ნიტა და მედეა (პაოლო იაშვილის ქალიშვილი) თავის შვილებად მიაჩნდა. მამა პატარა ტანის კაცი იყო, მაგრამ მამაცი, ვერაფერი გატეხდა. 1937 წელს ის შემთხვევით გადაურჩა.

1938 წელს ქვიშხეთში ვისვენებდით. ჩვენ გვერდით შალვა ნუცუბიძემ იქირავა ბინა. ბ-ნი შალვას ქალიშვილი კიტი მამას მეგობრის, ილია ფანცხავას ცოლი იყო. ისინი ყოველდღე მოდიოდნენ ჩვენთან, ხან ჭადრაკს თამაშობდნენ, ხანაც ფრენბურთს. ერთხელ, ღამის 2 საათზე მოვიდა კიტი ჩვენთან, — მამა დააპატიმრეს, სასწრაფოდ თბილისში უნდა წავიდე და მამას თარგმანები გადავარჩინოო. მამა მაშინვე გაჰყვა კიტის და შალვა ნუცუბიძის არქივი ჩვენთან გადმოიტანეს სახლში. ეს ხელნაწერები („ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები) წლების განმავლობაში ჩვენთან ინახებოდა. მამამ მაშინ თავი გაწირა.

**— ბ-ნი სერგო არ დაუბარებიათ ჩეკაში?**

— არა. მოგვიანებით, როცა სუკის არქივი გაიხსნა, მითხრეს, რომ მამა იყო მათ შორის, ვინც სავსებით სუფთები არიან, არც ერთი „დანოსი“ და წერილი არ დაუწერიათო. მაგრამ ჩვენ ყოველდღე ველოდით, რომ მამას წაიყვანდნენ — მაშინ უდანაშაულობა არ ნიშნავდა იმას, რომ გადარჩებოდი. რომელი იყო დამნაშავე იმათგან, რომლებიც დახვრიტეს? ჩვენამდე მოდიოდა ხმები, რომ დაპატიმრებულებს სასტიკად ექცეოდნენ, ასახიჩრებდნენ. გავიგეთ, რომ ძალიან უწამებიათ ევგენი მიქელაძე და ტიციანი.

მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ მამა რაღაც სასწაულმა გადაარჩინა. ის დასახვრეტთა სიაში ჰყოლოდათ შეყვანილი (რაჟდენ გვეტაძესთან ერთად), მაგრამ განაჩენი რატომღაც არ აღსრულდა. 1956 წელს, როდესაც რეპრესირებულების რეაბილიტაცია დაიწყო, მოსკოვიდან კომისია ჩამოვიდა. კომისიის ერთ წევრს უკითხავს ბესო ჟღენტისთვის, როგორ არის სერგო კლდიაშვილის ოჯახიო. მას უპასუხია, — კარგად, თვითონ სერგოც ჯანმრთელად არისო. როგორო, — გაოცებულა ის კაცი და ბესო ჟღენტისთვის უთხოვია, — სერგო კლდიაშვილი ჩემთან მოვიდესო. როცა მამა მისულა, მას უთქვამს, — თქვენ დახვრეტილების სიაში ხართ, წესით ცოცხალი არ უნდა იყოთო და უჩვენებია გაზეთ „მუშის“ რედაქციის თანამშრომლის ჩვენებები (სადაც მამა მუშაობდა). პირველი ჩვენება თურმე მტკიცე, გარკვეული ხელით იყო ნაწერი. თანამშრომელი უარყოფდა ფაშისტური ორგანიზაციის წევრობას, ხელისუფლების დამხობის მცდელობასა და ტერორისტული აქტების მოწყობის ბრალდებებს. მეორე ჩვენების გარკვევა თურმე ჭირდა, ასოები არ იკითხებოდა. „მუშის“ რედაქციის თანამშრომელი ამ ჩვენებაში უკვე „აღიარებდა“, რომ შექმნა ფაშისტური ორგანიზაცია, რომლის წევრად ასახელებდა მწერალთა კავშირის წევრების თითქმის ნახევარს.

მამა ყოველთვის სიბრალულით იხსენებდა მას, — საწყალი რა დღეში უნდა ჩაეგდოთ, რომ ჩემზე „დანოსი“ დაწერაო...

***იზო რჩკაძე***

# „პოლიციისთვის სენსაციური იქნებოდა ცოლი რომ ყოფილიყო გატაცების ორგანიზატორი“

*(დასაწყისი იხ. გვ. 8)*

**— ზურას ვინ ესაუბრებოდა ტელეფონით?**

— პირველად თვითონ ისლამმა დაურეკა, მერე მიკის არეკვინებდა, მესამე დღეს მთხოვა, მე დაველაპარაკებოდი და თან დამპირდა, გაგიშვებო, რადგან წინა დღეს ზურა დათანხმდა 1.500 დოლარის მოტანას. ჩემს ქმართან ლაპარაკი ცოტათი გამიჭირდა, ვტიროდი — ასეთი რამის გაგება ნებისმიერი ადამიანისთვის ძნელია და მომავალი ცხოვრება ვეღარ წარმომედგინა — ვფიქრობდი, ზურა ვერ გამიგებდა და უარმყოფდა.

**— როდის და სად უნდა მომხდარიყო ფულის გადაცემა?**

— 17 აპრილს, საღამოს 9 საათზე, ორთაჭალაში, ერთ-ერთ (ზუსტად არ ვიცი, რომელ) სკოლაში. ზურას მოტანილი ფული მიკისთვის უნდა გადამეცა, ის კი ისლამს მიუტანდა. შეხვედრის ადგილზე ქმარს და მამაჩემს ველოდი, მაგრამ ნახევარი საათით ადრე პოლიცია მოვიდა და მე და მიკი დაგვაპატიმრეს. ამ დროს ისლამი გასული იყო სადღაც. მერე მოვიდა ჩემი ქმარიც და სახეში გამარტყა.

ზურას თქმით, ეს თეას სასიკეთოდ გააკეთა — იმდენად გამოფიტული, გათიშული სახე ჰქონდა, რომ მინდოდა გამომეფხიზლებინაო.

**— როგორ გეპყრობოდნენ პოლიციელები?**

— ძალიან ცუდად, უშვერად მომიხსენიებდნენ. დამაჯერეს, რომ არავის ვჭირდებოდი და ისე მექცეოდნენ, როგორც ქუჩის ქალს. მერე სადღაც ფაცხებში წამიყვანეს და თან „ოხუნჯობდნენ“, იქნებ სადმე ლოგინიც „გავჩითოთო“. ამიტომ ავუხსენი, რომ ისლამს ჟინის მოსაკლავად კი არა, ცოლად ვუნდოდიმეთქი. მერე მაიძულეს მეღიარებინა, რომ თავს დამნაშავედ ვცნობდი, ასე უკეთესიაო — დამარწმუნეს. რაში სჭირდებოდათ ამის თქმა, არ ვიცი, მაგრამ მერე, როგორც თვითონ უნდოდათ, ისე გამოიყენეს ყველაფერი. ცხოვრებაზე ჩაქნეული მქონდა ხელი და რას ვპასუხობდი, არ ვიცი. მინდოდა რაც შეიძლება, მალე გავეშვი, მათ კი სამი დღე „კპზეში“ მაყურყუტეს და არ დაუკლიათ „ლამაზ-ლამაზი“ სიტყვები.

**— რა როლს ასრულებდა თქვენს გატაცებაში და მთელ ამ ამბებში მიკი?**

— მიკი იყო „ხელზე მოსამსახურე ბიჭი“ — რასაც ისლამი დაავალებდა, იმას აკეთებდა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენ მიკის ოჯახში ვიყავით, მაგრამ მისმა დედ-მამამ არ იცოდნენ, რომ საქმეში ფული იყო გარეული და როგორც სარძლოს, ისე მეპყრობოდნენ. ამჟამად ისლამ დერბოევი გაქცეულია. ის ამ საქმემდეც ძებნილი იყო და ალბათ ამიტომ სჭირდებოდა ეს თანხა. მიკი (მერაბ) რაშოიანმა კი გამოძიებას ჩვენება მისცა, რომელიც თანხვდება თეას ჩვენებას. როგორც გატაცების, უფრო სწორად, გამოძალვის თანამონაწილე, ის დამნაშავეა, მაგრამ გამომძიებლის, ზურა მატკავას განცხადებით, ის დანაშაულის სუბიექტი, დღევანდელი მოქმედი კანონით, არ არის. იგი 15 წლისაა და ასაკის გამო პასუხისგებაში არ მიეცემა, არც სისხლის სამართლის დანაშაული დაეკისრება. თეა კვარაცხელიას მონაწილეობა ამ საქმეში სასამართლომ უნდა გაარკვიოს. მის ადვოკატ მერაბ ბალათურიას სჯერა თეას უდანაშაულობა.

**მერაბ ბალათურია** — ამ საქმეს რუსთავის პროკურატურა გამოიძიებს, რესპუბლიკური თუ სხვა. კვარაცხელიას უდანაშაულობა დადასტურდება, რადგან ის, რაც მას გადახდა 14-17 აპრილს, არის კლასიკური შანტაჟი ისლამ დერბოევის მხრიდან, რათა ამ გზით მიეღო თანხა. მან კარგად იცოდა, რომ ოჯახის ქალი თავის პატიოსნებას და ღირსებას ეჭვქვეშ არ დააყენებდა. თუ როგორ მოსთხოვდა პასუხს ისლამს შემდეგ კვარაცხელიას ოჯახი, სხვა საკითხია, მაგრამ თეამ ღირსეული გზა აირჩია დროულად ოჯახში დასაბრუნებლად.

**— პოლიციის თეასთან დამოკიდებულებაზე რას იტყვით?**

— ეს, რა თქმა უნდა, არაეთიკური საქციელი



იყო პოლიციის მხრიდან. მათ თეას ყველა გზა მოუჭრეს თავდასაცავად. თანაც, პოლიციისთვის სენსაციური იქნებოდა თუ დაადგენდნენ, რომ მეუღლე თვითონ იქნებოდა ორგანიზატორი. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია ამგვარია: შეიძლება, ადამიანმა სამართლებრივად რაიმე დაარღვიოს, დააშავოს და შემდეგ გამოასწოროს, მაგრამ ეთიკური, მორალური დარღვევა მიუღებელი და გამოუსწორებელია. კინაღამ დაინგრა კიდევ ერთი ქართული ოჯახი და ვისი ბრალი იქნებოდა, — გამტაცებლის თუ პოლიციელის? უნდა ითქვას, რომ დერბოევს არც უცდია ოჯახის დანგრევა — მას ფული სჭირდებოდა, პოლიციელთა უხეში და უხამსი მოპყრობის გამო კი თეამ რამდენჯერმე სცადა თავის მოკვლა, მაგრამ ოჯახის და ახლობლების თანადგომამ გადააწყვეტინა, თავისი სიმართლის დასამტკიცებლად ებრძოლა.

*„კვირის პალიტრა“ შეეცადა, კომენტარისთვის დაჰკავშირებოდა რუსთავის პოლიციის შეფს თემურ ანჯაფარიძეს, მაგრამ ის არა მარტო კომენტარისგან, ჩვენთან შეხვედრისგანაც კი იკავებს თავს და ამისათვის უამრავ მიზეზსაც იგონებს. არადა, საინტერესო იქნებოდა პოლიციის შეფის დამოკიდებულება და აზრი თანამშრომლების უგვან საქციელზე.*

***მანოლი ლილუაშვილი***

# რას გვეტყვი, მამაო?

**— რატომ შეიცვალა ძველი აღთქმის შაბათის უქმე ახალ აღთქმაში კვირით?**

საეკლესიო ისტორიიდან ჩვენ ვიცით, რომ უკვე საუკუნეში ქრისტიანები ლოცვისათვის იკრიბებოდნენ არა შაბათს, არამედ კვირას, ანუ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის დღეს, იმიტომ, რომ ეს მოვლენა გახდა უმთავრესი ქრისტესმოსავი ყველა ჭეშმარიტი აღმსარებლისათვის: როგორც პავლე მოციქული აღნიშნავს თავის ეპისტოლეში: „უკუეთუ ქრისტე არ აღდგომილ არს, ცუდად რამე არს ქადაგებაი ესე ჩუენი და ცუდად არს სარწმუნოებაი ეგე თქუენი“ (1 კორ. 15,14). ამიტომაც შეიცვალა შაბათი კვირით.

**— ხშირად ეკლესიაში წირვის დროს ჩემ წინ ოქროსფრად ნათდებიან ხოლმე ხატები, სამეუფო კარი. რისი ნიშანი შეიძლება იყოს ეს?**

ნებისმიერი ხილვები ეკლესიასა თუ მის გარეთ, ჩვენთვის, ქრისტიანთათვის, არ არის სარგო. ღმერთს უნდა ვთხოვოთ, რათა გაგვათავისუფლოს მათგან, რადგან მათ შეუძლიათ მიგვიყვანონ თვითცდუნებამდე და „ხიბლამდე“, ანუ, იმ მდგომარეობამდე, როდესაც ადამიანი აღმატებულად მიიჩნევს თავს და ასეთი ხილვების ღირსად. ეს კი ბარაქიანი ნიადაგია ბოროტი ძალების ზემოქმედებისათვის.

**— შეიძლება თუ არა ვიყო მოუნათლავი ქრისტიანი?**

„სული თავისი ბუნებით ქრისტიანია“ — ამბობს ერთ-ერთი წმიდა მამა. მაგრამ ქრისტიანად ყოფნის უფლება აქვს მხოლოდ მონათლულს, რომელიც ასრულებს ქრისტეს მცნებებს და ცხოვრობს ეკლესიის კანონებით, იმ ეკლესიისა, რომელსაც მოციქულმა პავლემ უწოდა: „სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაი“.

**— მართალია თუ არა, რომ ჯერ უნდა წავიკითხოთ ლოცვა და მერე გადავიწეროთ პირჯვარი. თუ შეიძლება ლოცვის კითხვის დროსაც?**

საეკლესიო კანონებით, პირჯვრის წერა ხდება ლოცვის დასაწყისსა და დასასრულს.

**— შეიძლება თუ არა სახლში, სალოცავ კუთხეში, ნაკურთხ ხატებთან ერთად მქონდეს უკურთხებელი ხატებიც?**

შეიძლება, ოღონდ კი მართლმადიდებლური იყვნენ ისინი.

**— როგორ მივმართოთ ეპისკოპოსს: მხოლოდ „მეუფეო“ თუ მისი სახელიც წარმოვთქვათ, როგორც მღვდელთან: „მამაო ესა და ეს“?**

ტრადიციული მიმართვა ეპისკოპოსისადმი ასეთია: „წმიდაო მეუფეო“ ან უბრალოდ „მეუფეო“, მისი სახელის წარმოუთქმელად.

**— დედამ მიყიდა ღვთისმშობლის ხატი. მე წარმოვთქვი ლოცვა და სამჯერ ვაპკურე ნაკურთხი წყალი. გახდა თუ არა ნაკურთხი ჩემი ხატი?**

არა, თქვენი ხატი არ გახდა ნაკურთხი. ხატები იკურთხება მღვდელმსახურების მიერ.

**— როდის შეიძლება დავარღვიოთ მარხვა?**

თუ ვინმე გირჩევთ, რომ არ იმარხულოთ, რათა არ დასუსტდეთ, ნუ ერწმუნებით და ნუ დაუჯერებთ. ნუ დაარღვევთ მარხვას, თვინიერ მეტისმეტად სერიოზული ავადმყოფობისა (ასეთ შემთხვევაში მიმართეთ მოძღვარს კურთხევისათვის).

**— მე დაინტერესებული ვარ ასტროლოგიით. ვკითხულობ წიგნებსა და ჟურნალებს ამ თემაზე. ხომ არ ჩამეთვლება მათი კითხვა ცოდვად?**

ასტროლოგიით, იოგათი თუ ოკულტური მეცნიერებებით დაინტერესება დიდი ცოდვაა. თუ არ მოინანიებთ და არ დაანებებთ ამ საქმიანობას თავს, უფლის სასჯელი არ აგცდებათ.

**— საღამოს, სტუმრებთან ერთად სუფრაზე მცირეოდენი სასმლის დალევა მომიწია. მაქვს თუ არა ძილის წინ ლოცვის წაკითხვის უფლება — ხომ არ განვარისხებ უფალს?**

დაე, თქვენმა გულმა და სინდისმა გიკარნახოთ, როგორ მოიქცეთ მართებულად!

**მყავს ძაღლი, რომელიც, ღრმად ვარ დარწმუნებული, ბევრ ადამიანზე ჭკვიანია. არადა გამიგონია, რომ ცხოველები არ აზროვნებენ?..**

ცხოველებს გააჩნიათ ჩანასახოვანი აზროვნება, ისინი ადამიანებისგან განსხვავებით აზროვნებენ არა სიტყვიერად, არამედ საგნობრივად. აბსტრაქტული აზროვნება მათ არ გააჩნიათ. მათი აზროვნება დამოკიდებულია ინსტინქტზე, გამოცდილებასა და წვრთნაზე. ცხოველებს ადამიანისგან განსხვავებით არ მოეპოვებათ სული, ხოლო საერთო აქვთ — სამშვინველი.

**— რამდენად არის პირჯვრის წერა აუცილებელი?**

— ქრისტიანი პირჯვრის წერის გარეშე, იგივე მეომარია იარაღის გარეშე. მტერი მას იოლად დაჩაგრავს. ვინც პირჯვარს იწერს, ის უსიტყვოდ არის იესო მაცხოვრის აღმსარებელი, ვინც ჩვენ გამო დაითმინა ჯვარცმა და სიკვდილი და მით გამოგვიხსნა ჩვენ. ჯვარის გადასახვით მიმდინარეობს ყველა საღვთო საიდუმლოება, მითივე იკურთხება სასიცოცხლოდ აუცილებელი ყოველი საგანი.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 28*

***თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები***

# ფრაგმენტებიანი კროსვორდი



## თარაზულად:

5

ქალაქი, რომელსაც თავისად მიიჩნევს იუდეველი, ქრისტიანი და მუსლიმი

7

ციური სხეული, რომლის მეშვეობითაც მოგვებმა შეიტყვეს მესიის დაბადება

9

შუაკაცი მოდავე მხარეთა შორის, მედიატორი

11
მიხვედრის, გარემო ვითარებაში გარკვევის უნარი

12

ცუდი, საძრახისი ქმედება

16

რომის იმპერატორი, რომლის ედიქტით ქრისტიანობა გამოცხადდა უფლებამოსილ რელიგიად

18

წმინდა ბორცვი იერუსალიმში

19

მამათა დიდი მონასტერი

20
აზრის გამოხატვა იგავურად, არაპირდაპირი ხერხებით

21

მეორმოცე დღის სასწაული

23

ურწმუნო თომას სარწმუნო ნაკვთი

25

ქალაქი გალილეაში, სადაც უფლის სასწაულთ მიეცა დასაბამი

27
ღვთისმეტყველების დარგი, რომელიც მიზნად ისახავს ქრისტიანული რელიგიის დაცვას

30

ნახევრად ძვირფასი ქვა

33

მეტყველების უმცირესი ერთეული

34

ქალაქი, სადაც იშვა უფალი

35
მიმართულება ფილოსოფიაში, რომლის მიხედვით სული არის პირველადი, ხოლო ყოფიერება — მეორადი

36

ერთ-ერთი მსოფლიო რელიგიის მიმდევარი

## შვეულად:

1

იესოს საყვარელი ბაღი ზეთისხილის მთაზე

2

სითხე, რომლითაც იყო გაჟღენთილი ღრუბელი იესოს ბაგეებთან უკანასკნელად შეხებისას

3
ეროვნული, საქვეყნო, სახალხო

4

ქართული ეკლესიების ფორმა

6

ნადიმი

8

დარდი, მწუხარება, ნაღველი

10

მდინარე, რომელშიც მოინათლა მაცხოვარი

13

სხვისი დარდის, მწუხარების, ტკივილის გაზიარება

14

იოსები აბრაამის მიმართ

15
ტკივილის მგრძნობელობის დაკარგვა

17

მცენარე

22
უხეში, ველური ბუჩქი

24

ქალაქი, სადაც იერუსალიმისკენ მიმავალი იესო შეჩერდა და უკვდავყო ზაქე და მისი ლეღვის ხე

26

ქალაქი, სადაც ქალწულ მარიამს ხარების დღე გაუთენდა

28

სამება (ბერძნულად)

29

მთა, სადაც ფერისცვალება უფლისა ჩვენისა აღსრულდა

31

ხალხმრავალი დღესასწაული (ზოგადად)

32
სურნელოვანი ნივთიერება

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №17 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 7. სამთავრო; 8. კონცერტი; 9. ელიტა; 10. მძლოლი; 11. ათლეტი; 16. ბანკეტი; 18. ბინდი; 19. თუთია; 20. რქა; 21. რკო; 22. მუხლი; 25. სმენა; 27. არომატი; 30. ხავიწი; 33. ნადული; 34. ღვინო; 35. მბეჭდავი; 36. ვნებიანი.

**შვეულად:** 1. ნაკრძალი; 2. ბაყალი; 3. ბოთლი; 4. სკოტი; 5. მცხეთა; 6. სტარტერი; 12. ლანქერი; 13. ჭკა; 14. ეტიკეტი; 15. მდელო; 17. ლუკმა; 23. უქნარობა; 24. სმა; 26. ნაჯღაბნი; 28. მწვადი; 29. გალობა; 31. შვრია; 32. წნევა.

ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი




სისწრაფე
წარმადობა
საიმედობა
კომპიუტერები
ორგტექნიკა
სახარჯი მასალები
დაბალი ფასები
გარანტია 1 წელი
მცხეთის ქუჩა №2
92-02-14
Fax 22-59-06


22.05 **„ძსელი“ — აშშ**

ლოს-ანჯელესელი პროგრამისტი ენჯელა ბენეტი შემთხვევით გებულობს კომპიუტერულ დამნაშავეთა ორგანიზაციის საგანგებო ოპერაციის შესახებ. ზემოთხსენებულ ორგანიზაციას ხელეწიფება კრიზისები ბირჟაზე, ავიაკატასტროფები, მკვლელობები და ა.შ. ახერხებს რა შესაბამის ქსელში შესვლას, ენჯელაზე ნადირობს კომპიუტერული „გენიოსი“ ჯეკ დელვინი. რეჟისორი ი. უინკლერი. როლებში: ს. ბალოკი, ჯ. ნორტემი.



22.50 **„ტომას კრაუნის საქმე“ — აშშ**

მძაფრი შეგრძნებების მოყვარული მულტიმილიონერი გადაწყვეტს მანჰეტენის მუზეუმიდან დღისით, გაძლიერებული დაცვის მიუხედავად უნიკალური სურათი მოიპაროს. იგი ვერც ამჩნევს, როგორ უახლოვდება საბედისწერო გზაჯვარედინს თავის ცხოვრებაში. რეჟ. ჯ. მაკტირნანი. მთავარ როლებში იხილავთ: რ. რუსოს, პ. ბროსნანს.



23.50 **„4 ივლისს დაბადებული“ — აშშ**

დაკარგული უმანკოებისა და შეძენილი ვაჟკაცობის ისტორია... გულუბრყვილო მოსწავლე მოხალისედ მიდის ვიეტნამის ომში და იქედან ხეიბრის სავარძელს მიჯაჭვული ბრუნდება შინ. ფილმის გმირი მთელ თავის ცხოვრებას ომის წინააღმდეგ ბრძოლას უძღვნის. ბრწყინვალე ფილმი ორი „ოსკარით“ დაჯილდოვდა. რეჟისორი: ოლივერ სტოუნი. მთავარ როლში ტომ კრუზი.




ს/ს „მაცნე“-მ (ყოფილი სოიუზპეჩატი), მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილებით, დაიწყო
**ხელმოწერა 2000 წლის II ნახევრისათვის**
ჟურნალ-გაზეთებზე ადგილობრივ, რუსეთის და უცხოეთის გამოცემებზე. პრესის მიწოდებას ხელმომწერლის მისამართზე ს/ს „მაცნე“ ანარმოებს უფასოდ. კატალოგები შეგიძლიათ მიიღოთ ხელმოწერის რაიონულ უბნებში

| | |
|---|---|
| — ცენტრალური ოფისი. კ. გამსახურდიას გამზ. 42 | ☎37-47-49 |
| — რუსთაველის გამზ. 31 | |
| — ი. ჭავჭავაძის გამზ. 46 | ☎22-64-58 |
| — რ. თაბუკაშვილის ქ. 12 | |
| — აკ. წერეთლის გამზ. 12 | ☎34-75-51 |
| — ივ. ჯავახიშვილის (კალინინის) ქ. 14 | ☎95-87-36 |
| — ქეთევან წამებულის გამზ. 61 | ☎74-14-47 |
| — მოსკოვის გამზ. 18 | ☎71-32-87 |
| — დ. გურამიშვილის გამზ. 30 | ☎60-80-22 |

ნებისმიერ კითხვებზე დარეკეთ 25-33-88
ჩვენ გაძლევთ გარანტიას უმაღლეს დონის მომსახურებაზე და დაბალ ფასებზე

**გამოიწერეთ „კვირის პალიტრა“**


ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი

## ორშაბათი, 1 მაისი

10.00 "იესოს 7 სიტყვა" 10.15, 20.50 სერიალი "შავი მარგალიტი" 10.55 დოკ. ფილმი "ათონი ქართველთა სავანე" 11.45 "საკვირაო გამოფენა" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00 მოამბე 12.15 "ერთი მსახიობის თეატრი" 12.35 მუსიკა ეთერში 13.05 ქართული კინოს ვარსკვლავები - გოგა კობახიძე 13.40 ქართ. მხ.ფ. "რაც გინახავს ვეღარ ნახავ" 15.10 ჰაიდნი - "იესოს 7 სიტყვა" ...

... 20.45 მუსიკა თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 20.55 ფილმი თქვენი თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 21.00 თქვენი საყვარელი ჟანრი-მხ.ფ."ჩრდილების მძარცველი" მისტიკა და ფანტასტიკა... 22.20 ფილმი თქვენი თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 22.35 ტელეგაზეთი 22.45 სპორტული ინფორმაცია 22.50 ფილმი თქვენი თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 22.55 კინოკლუბი და "ლოიდი" წარმოგიდგენთ მხ.ფ."საბრძოლო პლანეტა" 00.15 ფილმი თქვენი თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 00.25 მუსიკა თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა.

ОРТ 09.00, 11.00, 16.00 Новости. 11.10 Телеканал "Доброе утро". 11.10 "Ералаш". 11.25 "Играй, гармонь любимая". 11.55 Сериал "УСКОРЕННАЯ ПОМОЩЬ". 12.25 Сериал "АЛЬФ". 13.00 Х/Ф "ПАРМСКАЯ ОБИТЕЛЬ". Франция-Италия, 1964. 14.35 Седьмое чувство. 15.15 "Останкино". 16.10 Время футбола. 16.40 Песня года. 17.00 Звездный час. 19.55 Сериал "ПРОГУЛКИ С ДИНОЗАВРАМИ". 20.55 "Евгений Петросян приглашает...". 22.45 Х/Ф "ОДИН ДОМА". США, 1990. 00.35 Стинг, Паваротти, Иглесиас в гала-концерте 50-го фестиваля песни в Сан-Ремо.

РТР 09.00 Мультфильм. 09.20 Х/Ф "ДЕЖА-ВЮ". 11.05 Доброе утро, Россия. 11. 45 "Аншлаг и Ко". 14.00, 21.00 ВЕСТИ 14.20 Х/Ф "НЕПОДАЮЩИЕСЯ". 15.40 Сольный концерт Наташи Королевой. 18.00 Х/Ф "УЛЬТИМАТУМ". 19.30, 21.40 Михаил Задорнов и "Задорная компания". 22.20 Хоккей. Чемп. мира. 00.30 Х/Ф "МАМА, НЕ ГОРЮЙ". 02.00 Х/Ф "РОМАНС".

НТВ 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 09.15 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 11.25 Вчера в "Итогах". 12.40 Куклы. 13.30 Х/Ф "САВОЙИ". 15.00 Х/Ф "РЕВИЗОР". 17.30, 02.30 Футбольный клуб. 18.25 Х/Ф "ФРОНТ БЕЗ ФЛАНГОВ". 20.40 Х/Ф "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ". 21.50 Геннадий Хазанов. "Жил-был я...". 22.35 Профессия-репортер. 23.45 Х/Ф "ДЬЯВОЛИЦЫ". 01.45 Антропология.

*იბეჭდება ინფოზავრის ნებართვით

## სამშაბათი, 2 მაისი

08.00 ალიონი 18.00, 20.00, 00.00 მოამბე 18.10 "ეთნოგრაფიული ჩანახატი" 18.25 "ჯანმრთელობა" 18.45 "ვიდეოპატრული-02" 19.30 მაესტროს შ-ბ 18.55 ფეხბურთი. "დინამო" (თბილისი) - "ტორპედო" (ქუთაისი) მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი 19.50 "მაესტროს შ-ბ" 20.50 სერიალი "შავი მარგალიტი" 21.40 "რა ხდება?" 22.10 "ვესტნიკი" 22.35 "რეტროპერსპექტივა" 23.15 "მოსკოვი- ...

... ინტერაქტიური გამოკითხვა 22.45 ფილმების რეკლამა 22.50 საფრანგეთის საფეხბურთო მიმოხილვა. 23.45 ტელეგაზეთი 23.55 სპორტული ინფორმაცია. 00.00 ფილმი თქვენი თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 00.05 კინოკლუბი და "ლოიდი" წარმოგიდგენთ მხ.ფ. "ბრძნობით დამწვრები" 01.50 ფილმი თქვენი თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 02.00 მუსიკა თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა.

ОРТ 09.00, 11.00, 16.00 Новости. 09.10 Армейский магазин. 09.40, 16.10 Дисней-клуб. 10.10 Утренняя звезда. 11.10, 14.35 Ералаш. 11.30 Здоровье. 12.00 Сериал "УСКОРЕННАЯ ПОМОЩЬ". 12.30 Сериал "АЛЬФ". 13.00 Х/Ф "ПАРМСКАЯ ОБИТЕЛЬ". 17.05 Умницы и умники. 17.30 "Эх, Семеновна". 18.10 Хоккей. Чемп. мира. 20.10 Михаил Евдокимов и его друзья. 22.00 Время. 22.45 Х/Ф "ОДИН ДОМА-2". США, 1992. 00.55 "Юрий Визбор - разрешите Вам напомнить о себе...". Концерт.

РТР 09.00 Х/Ф "ПОКА БЕЗУМСТВУЕТ МЕЧТА". 10.20 Первая церемония вручения национальной премии "Цирк". 11.35 ДОБРОЕ УТРО, СТРАНА 12.15 "Золотой Остап". 14.00, 21.00 ВЕСТИ 14.20 Х/Ф "ЗИТА И ГИТА". 17.10 "Устами младенца". 18.10 Х/Ф "БЛИЗНЕЦЫ-ДРАКОНЫ". 20.05 "Два рояля". 21.40 Х/Ф "ПРО БИЗНЕСМЕНА ФОМУ". Россия, 1993. 23.20 Плесните колдовства. 01.05 Х/Ф "СЕРДЦЕ КЛАРЫ".

НТВ 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 09.15 "ЗАКОН-ДЖУНГЛЕЙ". 09.40 Мультфильм. 09.55, 20.40 Х/Ф "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ". 11.25 Х/Ф "ЗАПАСНОЙ ИГРОК". 13.30 "Чистосердечное признание". 14.00 "Итого". 14.20 "В нашу гавань заходили корабли". 15.10 Х/Ф "ПРИКЛЮЧЕНИЯ ПИНОККИО". 17.30 Сериал "ЛОИС И КЛАРК. НОВЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ СУПЕРМЕНА". 18.25 Х/Ф "ФРОНТ БЕЗ ФЛАНГОВ". 21.50 Геннадий Хазанов. "Жил-был я...". 22.35 Профессия - репортер. 23.35 Футбол. Лига чемпионов. "ВАЛЕНСИЯ - БАРСЕЛОНА" 01.35 "Антропология".

## ოთხშაბათი, 3 მაისი

08.00, 13.00 ალიონი 09.30 აერობიკა 09.50 "ტელემალაზია" 10.00, 20.50 სერიალი "შავი მარგალიტი" 11.30 "ვიდეოპატრული-02" 11.40 "არა მხოლოდ შოუ ბიზნესი" 12.00, 18.00, 20.00, 00.00 მოამბე 12.15 "ჯანმრთელობა" 12.35 "მოსკოვი-თბილისი" 12.55 "ჩვენი ენა ქართული" 14.30 "შეხვედრები მაჩაბლის ქუჩაზე" 15.10 "რეტროპერსპექტივა" 15.50 "მაესტროს შ-ბ" 16.00 ...

... ფილმი თქვენი თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 23.05 კინოკლუბი და "ლოიდი" წარმოგიდგენთ მხ.ფ. "ამერიკელი პრინცესა" 00.55 ფილმი თქვენი თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 01.05 მუსიკა თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა

ОРТ 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.50 Новости. 10.15, 18.00 Сериал "НЕЖНЫЙ ЯД". 11.15 Поле чудес. 12.15 Итоги чемпионата Европы по тяжелой атлетике. 13.15 Телеканал "Добрый день". 14.20 "СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР". 15.30 "Вместе". 16.20 Мультфильм. 16.40 Классная компания. 17.00 "Зов джунглей". 17.25 "... До 16 и старше". 19.30 Маски-шоу. 20.05 Х/Ф "ОНИ СРАЖАЛИСЬ ЗА РОДИНУ". 21.45 "Спокойной ночи, малыши!". 22.00 Время. 22.50 Хоккей. Чемп. мира. 01.05 Х/Ф "ИЗУМРУДНЫЙ СОЛДАТ".

РТР 07.00 Доброе утро, Россия. 07.35, 09.35 Семейные новости. 09.20, 13.00, 02.30 Дежурная часть. 10. 40 "Арена-спорт". 11.20 Сериал "ЦЫГАНКА". 12.05 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.25 Мой XX век. 14.00, 18.00, 21.00, 00.00 ВЕСТИ 14.30 "Город женщин". 15.05 "ЧЕРНАЯ ЖЕМЧУЖИНА". Сериал 15.50 Сериал "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 16.45 Моя семья. 17.40 Мультфильм. 18.30 БАШНЯ. 18.55 Круглая дата. 19.25 "Театр + ТВ". 20.25 "Сам себе режиссер". 21.45 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ".

НТВ 07.00 Сегодня утром. 07.20, 08.15 Криминал. 07.35, 08.20 Карданный вал. 07.50, 09.15 Впрок. 08.35 Мультфильм. 09.50, 20.40 "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.25 "Свидетель века". 11.40 Без рецепта. 12.10 Герой дня без галстука. 12.40 Среда. 13.30 Док. фильм. 15.25 "ЖИЛ-БЫЛ ДОКТОР...". 17.30 Сериал "ЛОИС И КЛАРК. НОВЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ СУПЕРМЕНА". 18.25 Х/Ф "ФРОНТ ЗА ЛИНИЕЙ ФРОНТА". 21.50 Геннадий Хазанов. "Жил-был я...". 22.35 Профессия-репортер. 23.35 Футбол. Лига чемпионов. 01.35 "Антропология".

## ხუთშაბათი, 4 მაისი

08.00, 13.00 ალიონი 09.30 აერობიკა 09.45 "ტელემალაზია" 09.55, 20.50 სერიალი "შავი მარგალიტი" 10.35 "ვიდეოპატრული-02" 10.45 "ტელე-სინე-ვიდეო" 11.15 "გვაქვს უთვალავი ფერითა" 11.35 "დიდების ზღაპარი" 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 12.15 "საქმე" 12.35 "ვიზიტი" 14.30 მუსიკა ეთერში 14.50 მაესტროს შ-ბ 15.15 ...

09.00 ინფორმაცია "დილას" 09.15 მულტფილმი "ლედი და მატროსი" 09.40 მხ.ფ. "ბადე" 11.30 "თავისუფალი მიკროფონი" 12.25 დოკ. ფილმი "წარსული და აწმყო" 13.15, 23.45, 00.15 მუსიკა 13.25 მხ. ფილმი "შიშის ძალაუფლება" 15.15, 18.45 შემეცნებითი პროგრამა "დისკავერი" 18.00 საინფორმაციო პროგრამა "საღამოს ექვს საათზე" 18.15 მულტფილმი "კურდღელი პიტერის თავგადასავალი" 19.40 "საუბრები სტუდიაში" 20.30 საინფორმაციო პროგრამა "ცხრის ნახევარზე" 21.00 ქართული ხმები 21.30 მხ. ფილმი "მატრიცა" 00.00 საინფორმაციო პროგრამა "შუაღამისას" 00.30 მხ. ფილმი "ჰომბრა".

VII არხი 09.00 ანონსი 09.05 ტელეგაზეთი 09.20 ინფორმაცია დილისთვის 09.25 სპორტული ინფორმაცია 09.30 ვალუტის კურსი 09.35 "ახიკუდა" 09.45 მუსიკა თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 10.00 ფილმი თქვენი თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 10.05 მხ.ფილმი "ურინარის ასპარეზი". 11.30 ფილმი თქვენი თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 18.05 ტელეგაზეთი 18.20 ფილმი თქვენი თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 18.25 ფილმი თხოვნით 18.30 ფილმი თქვენი თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 19.55 მუსიკა თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 20.05 ტელეგაზეთი 20.10 სპორტული ინფორმაცია 20.25 მოკლედ- 20.30 "ახიკუდა" 20.45 მუსიკა თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 21.55 ფილმი თქვენი თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 21.00 "თქვენი საყვარელი ჟანრი" მხ.ფ."მიცვალებულთა ნავთსაყუდელი" 22.30 ფილმი თქვენი თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 22.45 ტელეგაზეთი 22.55 სპორტული ინფორმაცია 23.00 ფილმი თქვენი თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 23.05 კინოკლუბი და "ლოიდი" წარმოგიდგენთ მხ.ფ. "ზოგი ცხელი გარგალია" 00.40 ფილმი თქვენი თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 00.50 მუსიკა თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა

ОРТ 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00. 19.00 Новости. 10.15, 18.00 Сериал "НЕЖНЫЙ ЯД". 11.15 Маски-шоу. 11.45 Ищу тебя. 12.30 Сериал "НОВЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ СИНДБАДА". 13.15 Телеканал "Добрый день". 14.20 "СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР". 15.30 "Вместе". 16.20 Мультфильм. 16.40 Семь бед - один ответ. 17.00 Программа "100%". 17.25 "... До 16 и старше". 19.30 Планета КВН. 20.00 Человек и закон. 20.45 Х/Ф "ОНИ СРАЖАЛИСЬ ЗА РОДИНУ". 21.45 "Спокойной ночи, малыши!". 22.00 Время. 22.50 Х/Ф "ТУННЕЛЬ". 00.40 Хоккей. Чемп. мира.

## პარასკევი, 5 მაისი

08.00, 13.00 "ალიონი" 09.30 აერობიკა 09.50 ტელემალაზია 10.00, 20.50 სერიალი "შავი მარგალიტი" 10.45 "ვიდეოპატრული 02" 10.55 "ბელკანტო" 11.15 "გლობუსი" 11.45 "საკვირაო გამოფენა" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00 მოამბე 12.15 "მრავალსახეობა" 12.45 "ბავშვები უპირველეს ყოვლისა" 14.30 "ჩემი მშვენიერი ლედი" 14.40 "რეიტინგი" 15.10 "ეკო დაიჯესტი" 15.30 მაესტრო შ-ბ 15.40 მხ.ფ. "პირველი არ ავნებს" 18.15 "50-50" 18.45 ...

... ვალუტის კურსი 00.20 სპორტული ინფორმაცია. 00.25 ფილმი თქვენი თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 00.30 კინოკლუბი და "ლოიდი" წარმოგიდგენთ მხ.ფ. "უხეო ყვირილი" 02.00 ფილმი თქვენი თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 02.10 მუსიკა თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა.

ОРТ 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости. 10.15 Сериал "НЕЖНЫЙ ЯД". 11.15 "Каламбур". 11.45 Человек и закон. 12.30 Сериал "НОВЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ СИНДБАДА". 13.15 Телеканал "Добрый день". 14.15 "СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР". 15.30 "Вместе". 16.20 Мультазбука. 16.40 Что да как. 17.00 "Царь горы". 17.25 "... До 16 и старше". 19.30 "Джентльмен-шоу". 20.00 Док. фильм. 20.30 Вкусные истории. 20.45 Поле чудес. 21.45 "Спокойной ночи, малыши!". 22.00 Время. 22.50 Х/Ф "ЗАЗУБРЕННОЕ ЛЕЗВИЕ". 00.50 Хоккей. Чемп. мира.

РТР 07.00 Доброе утро, Россия. 07.35, 09.35 Семейные новости. 09.20, 13.00, 03.10 Дежурная часть. 10.30 "Тысяча и один день". 10. 50 "Арена-спорт". 11.20 "ЦЫГАНКА". Сериал 12.05 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.30 Мой XX век. 14.00, 18.00, 21.00, 00.00 ВЕСТИ 14.30 "Город женщин". 15.05 "ЧЕРНАЯ ЖЕМЧУЖИНА". 15.50 Сериал "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 16.45 На здоровье. 17.25 Мультфильм. 18.30 "Акуна матата". 18.55 Сиреневый туман. 19.25 "Фрак народа". 20.25 Клуб "Белый попугай". 21.45 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ". 22.45, 00.30 Хоккей. Чемп. мира. 01.30 Х/Ф "МЕЧТА КАЖДОЙ ЖЕНЩИНЫ".

НТВ 07.00 Сегодня утром. 07.20, 08.15 Криминал. 07.35, 08.20 Карданный вал. 07.50, 09.15 Впрок. 08.35 Мультфильм. 09.50, 20.40 "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.25 "Экстремальные ситуации". 12.25 Служба спасения. 13.30 Док. фильм. 15.25 "ЛЕТНЯЯ ПОЕЗДКА К МОРЮ". 17.30 Сериал "ЛОИС И КЛАРК. НОВЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ СУПЕРМЕНА". 18.25 Х/Ф "ФРОНТ В ТЫЛУ ВРАГА". 21.50 Геннадий Хазанов. "Жил-был я...". 22.35 Профессия-репортер. 23.45 Х/Ф "ЭЙС ВЕНТУРА. РОЗЫСК ДОМАШНИХ ЖИВОТНЫХ". 01.25 Песни с Фоменко.

## შაბათი, 6 მაისი

10.00 დილის პაემანი 11.30 მულტსერიალი "ჩუპი" 11.40 ცეკვავს - "სამგორი" 12.00 საინფორმაციო - ანალიტიკური პროგრამა ინგლისურ ენაზე 12.25 მხ.ფ. "სიყვარული ყველას უნდა" 13.45 დოკუმენტური პროგრამა 14.30 "მუსიკა ეთერში" 15.00 "ვესტნიკი" 15.15 საბავშვო კონცერტი 15.30 "ახალი ქართული პროექტი" 15.50 "საქართველო და გარე სამყარო" 16.10 "მომავლის ...

... თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 22.35 კინოკლუბი და "ლოიდი" წარმოგიდგენთ ნახ.ფ."სცენარი მკვლელობისათვის" 23.50 ფილმი თქვენი თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა 00.00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. 01.05 ტელეგაზეთი შესვენებისას 01.10 სპორტული ინფორმაცია შესვენებისას 01.55 მუსიკა თხოვნით -ინტერაქტიური გამოკითხვა.

ОРТ 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости. 10.15 Сериал "НЕЖНЫЙ ЯД". 11.15 "Джентльмен-шоу". 11.45 Док. фильм. 12.10 Смак. 12.30 Сериал "НОВЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ СИНДБАДА". 13.15 Телеканал "Добрый день". 14.15 "СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР". 15.30 "Вместе". 16.15 Мультазбука. 16.40 Х/Ф "И ЕЩЕ ОДНА НОЧЬ ШАХЕРЕЗАДЫ". 19.30 Песня года. 20.25 Х/Ф "КРЕПКИЙ ОРЕШЕК". 21.45 "Спокойной ночи, малыши!". 22.00 Время. 22.50 Х/Ф "ВОЕННО-ПОЛЕВОЙ РОМАН". 00.35 Хоккей. Чемп. мира.

РТР 07.00 Доброе утро, Россия. 07.35, 09.35 Семейные новости. 09.20, 13.00, 19.15, 03.55 Дежурная часть. 10. 40 "Арена-спорт". 11.20 "ЦЫГАНКА". Сериал 12.05 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.25 Мой XX век. 14.00, 18.00, 21.00, 00.00 ВЕСТИ 14.30 "Город женщин". 15.05 "ЧЕРНАЯ ЖЕМЧУЖИНА". 15.50 Сериал "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 16.45 "Формула-1". 18.35 Акуна матата. 19.45 Гараж. 20.25 "Городок". 21.45 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ". 22.45, 00.30 Х/Ф "УБИЙСТВО НА ПОЛЕ ДЛЯ ГОЛЬФА". 01.20 "Панорама". 02.15 Х/Ф "ОТКРЫТЫЙ СЕЗОН".

НТВ 09.00 Сегодня утром. 09.15 Впрок. 09.50 "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.25 Х/Ф "МАЙСКИЕ ЗВЕЗДЫ". 13.30 Док. фильм. 15.25 "ВДОВЫ". 17.30 Сериал "ЛОИС И КЛАРК. НОВЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ СУПЕРМЕНА". 18.25 Х/Ф "ФРОНТ В ТЫЛУ ВРАГА". 20.35 "Одинь день". 21.05 Х/Ф "ВОРОШИЛОВСКИЙ СТРЕЛОК". 23.45 Х/Ф "ДЖЕЙМС БОНД - АГЕНТ 007". "ЛИЦЕНЗИЯ НА УБИЙСТВО". 02.05 Ток-шоу "Прое это".

## კვირა, 7 მაისი

10.00 "დილის პაემანი" 11.25 მულტფილმი "ჩუპი" 11.35 "საკვირაო გამოფენა" 11.50 "ნამდვილი ამბები" 12.00 "მსოფლიოს ახალი ამბები" 12.10 ვარსკვლავთა ბილიკი 12.50 დოკ. ფილმი 13.35 "იქ, სადაც ჩვენ ვართ" 13.55 ჭრონა 14.15 "ფან-კლუბი" 14.35 "ახალი ქართული პროექტი" 15.00 "ვესტნიკი" 15.10 მულტსერიალი 15.40 "ბავშვები უპირველეს ყოვლისა" 15.50 რეგიონი 16.10 ენერგია 16.30 ირმა ...

... საკალათბურთო ასოციაციის საპლეიოფო შეხვედრა ჩვენს არხზე. 00.00 ესპანეთის პრიმერა დივიზიონის ცენტრალური მატჩი მე-7 არხის ეთერით. 16.55 ფორმულა 1. ესპანეთის მე-5 ეტაპის ძირითადი რბოლა პირდაპირი ეთერით. 20.00 პირდაპირი რეპორტაჟი კვლავ პრემიერ ლიგიდან. 23.30 იტალიის ჩემპიონატის ცენტრალური მატჩი მე-7არხის ეთერით.

ОРТ 09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости. 09.10 Служу России. 09.40 Дисней-клуб. 10.10 Утренняя звезда. 11.10 Х/Ф "ВЕРНОСТЬ". 12.45 Торжественная церемония вступления в должность Президента Российской Федерации В.В.Путина. 14.05 Х/Ф "ЕДИНСТВЕННАЯ ДОРОГА". 16.15, 16.40 Мультфильм. 17.10 Умницы и умники. 17.35 "Эх, Семеновна". 18.15 "Северный конвой PQ-OO" 19.15 П.И.Чайковский. Торжественная увертюра "1812". 19.35 Х/Ф "ВЕЛИКИЙ ПОЛКОВОДЕЦ ГЕОРГИЙ ЖУКОВ". 22.00 Время. 23.00 К 55-летию Великой Победы. Трансляция праздничного концерта.

РТР 09.00 "Папа, мама, я - спортивная семья". 09.55 "Служу Отечеству". 10.20 Устами младенца. 10.55 ДОБРОЕ УТРО, СТРАНА 11.30 "АНШЛАГ" ПРЕДСТАВЛЯЕТ 12.15 "Городок". 12.45, 21.00 Торжественная церемония вступления в должность Президента Российской Федерации В.В.Путина. 14.00 Вести. 14.20 Парламентский час. 15.10 Старая квартира. 15.55 Диалоги о животных. 16.55 "Формула-1". 19.00 Х/Ф "САБРИНА". 22.55 Концерт. 00.45 Хоккей. Чемп. мира. 02.55 Док. фильм.

НТВ 09.00, 11.00, 13.00, 17.00 Сегодня. 09.15 "ЗАКОН-ДЖУНГЛЕЙ". 09.40 Х/Ф "ТИМУР И ЕГО КОМАНДА". 11.20 "Ключи от форта Байяр". 12.10 "Полундра". 12.40 Профессия-репортер. 13.30 "Служба спасения". 14.00 "Путешествия натуралиста". 14.30 Х/Ф "ХРОНИКА ПИКИРУЮЩЕГО БОМБАРДИРОВЩИКА". 15.55 "Свидетель века". 16.20 "Женский взгляд". 17.30 "Большие родители". 18.05 Док. сериал "ХОЛОДНАџ ВОЙНА". 19.00 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 20.40 Х/Ф "ОФИЦЕРЫ". 22.25 "Новейшая история". 23.00 Х/Ф "УМИРАТЬ ЛЕГКО". 01.10 Тина Тернер. Поет королева рока".


MEDI MEDI მედი



❑ სახის კანის გაახალგაზრდავება ოქროს ძაფების ჩანერგვით
❑ ტუჩების, მკერდის, ყურების ფორმის კორექცია
❑ ხალების, მეჭეჭების, ნაწიბურების მოშორება უახლესი ამერიკული აპარატით

ი. ჭავჭავაძის გამზ. №70 25-02-02 22-42-73


# თეატრალური აფიშა

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
3 მაისი — ლ. თაბუკაშვილი „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი...“
4 მაისი — უ. შექსპირი **მაკბეტი**
5 მაისი — კ. გოცი **ძალი — გველი**
6 მაისი — გრ. რობაქიძე **ლამარა**
7 მაისი — (ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხ.) **იაკობის სახარება**
წარმოდგენების დასაწყისი 18 სთ.

მცირე დარბაზი
5 მაისი — დ. კლდიაშვილი **დარისპანის გასაჭირი**
6 მაისი — ვ. ნაბოკოვი **ორი ნოველა**
7 მაისი — ალ. სუმბათაშვილი **ღალატი**
წარმოდგენის დასაწყისი 19სთ.

**კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი**
4 მაისი — ა. გარნეი **სასიყვარულო ბარათები** (სარეპეტიციო დარბაზი)
5 მაისი — ა. სტრინბერგი **მამა**
6 მაისი — ო.უაილდი **სალომეა**
7 მაისი — უ. მარნასი **მაყურებლისთვის ამის ნახვა აკრძალულია**
სპექტაკლების დასაწყისი 18სთ.

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
2 მაისი — **დიდი თეატრის ვარსკვლავები გალა კონცერტი** დასაწყისი 19სთ.
5 მაისი — **ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიური ორკესტრი** დასაწყისი 19სთ.
7 მაისი — ზ. ფალიაშვილი **აბესალომ და ეთერი** დასაწყისი 18სთ.

**თეატრალური სარდაფი**
2 მაისი — ბესო ბარათაშვილი **აკუსტიკა**
3 მაისი — გოეთე **ფაუსტი**
4 მაისი — ნ. გოგოლი **ცხვირი**
5 მაისი — ეჟენ იონესკო **ორთა გოდვა**
6 მაისი — ლაშა ბუღაძე **ოთარი**
7 მაისი — ირ. სოლომანაშვილი **რა ოდიო?!**
დასაწყისი 20სთ.

**ალ. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი**
5 მაისი — ა. ჩეხოვი **ალუბლის ბაღი** დასაწყისი 17 სთ.
6-7 მაისი — ე. ზოლა **ტერეზა რაკენი** დასაწყისი 19სთ.

ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი

## იყიდება ბინები

დიდუბეში 2 ოთახიანი ბინა 30 კვმ მიშენებით (I სართულზე), სარდაფებით, გისოსებით, ორმაგი კარებით, აივნებით, ა/მანქანის სადგომი ადგილით, ბუნებრივი აირით, ცხელი წყლით. ფასი 14.000$. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. ტელ: 34-52-34

კანდელაკის დასაწყისში ჩეხური, კარგად გარემონტებული. 5 ოთახიანი ბინა (ს.ფ 140 კვმ), 6(9), გადიდებული სამზარეულოთი და აივნებით, სარდაფით, ცხელი წყლით, ა/მანქანის სადგომით ან შესაძლებელია გარაჟით. ფასი 54.000$. ტელ: 37-67-33

ან იცვლება თბილისის ნებისმიერ უბანში ბინაზე აგარაკი საგურამოსთან ახლოს, სოფელ ბურიანში, დაწყებული სახლის მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800 კვმ. ფასი 700$. ტელ: 23-07-65; 877 43-32-33

## ქირავდება

ჩეხური 2 ოთახიანი ბინა ლოჯიით, ტელეფონით, ავტოფარეხით, მე-3 მასივში. ტელ: 76-47-73

## გირავდება

ერთი წლით 8.000$-ად ჰექტარ-ნახევარი მსხმოიარე ვენახი საგურამოსთან ახლოს – ბიწმენდში. არის წყალი და დენი, ტელ: 877 40-53-98. მამუკა

## მილოცვა

**თამუნა ლეკიაშვილს!**

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას მეუღლესთან ერთად.

*დედა, მამა, ბებია*

**ჯაოშვილებო!**

ყველას გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

*რეჟისორი ირაკლი ჯაოშვილი*

P.S. აუცილებლად დამიკავშირდით: 877 42-59-39; 36-88-69

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ჟესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 899 58-75-89. ნინო ჭელიძე

სწრაფად და ხარისხიანად მოგემსახურებით წიგნების, ბუკლეტების, გაზეთების აკრეფა-დაკაბადონებაში. ტ: 61-51-17; 95-46-79. ქეთი

სწრაფად აგიკრეფთ ნებისმიერი მოცულობის ტექსტს ქართულად, ინგლისურად. 1 გვერდის ფასი: 80 თეთრი – 1 ლარი. ტელ: 34-32-79

Computer Company „pulsar" – კომპიუტერები და ორგტექნიკა, ახალი და ნახმარი; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კარტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაციები. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16. ტელ: 33-08-71

გერმანულ-ქართული ფირმა **DAWIT**-ი გთავაზობთ მრავალფეროვან მომსახურებას: ელექტრომონტაჟი; მხატვრული განათება; ავტომატური სისტემების, ბეწვინგასამართი სადგურის მონტაჟი; გენერატორებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთება. თქვენი საიმედო პარტნიორი **DAWIT**. ტელ: 98-78-26

ს/ს „მშვილდოსანი" აწარმოებს სახლების მშენებლობას, მიწისა და მიწისქვეშა სამუშაოებს, კეთილმოწყობას. ამზადებს საკედლე ქვებს. ზეძარკვლისა და სხვა კონსტრუქციებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასად. მის: წერეთლის გამზ. №57. ტ: 34-82-30; 34-14-81. „მშვილდოსანი"

შპს „ხვეული კიბე"! – მუხის კარ-ფანჯრები და ევროპული დიზაინით შესრულებული ნებისმიერი სახის შიდა კიბეების დაპროექტება, დამზადება, დამონტაჟება. ხის ყველანაირი ნაწარმი იდეალურად მშრალი მასალისაგან. ტელ: 22-02-44; 69-19-52; 65-86-62

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, აბმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ექიმი-კოსმეტოლოგი ქეთევან ბიჭიაშვილი გთავაზობთ: ეპილაციას ვოლფრამის ნემსით, მორჩენის სრული გარანტიით (შედეგით აღფრთოვანდებით!); სახის გაწმენდას, მასაჟს, ნიღბებს, ნელსაცხებლებს. მსურველებს შევასწავლი კოსმეტიკას. მის: მეტრო „ახმეტელის თეატრის" თავზე, მაღაზია „მარიამის" სილამაზის სალონი. სამუშაო დღეები – ლუწი რიცხვები. ტელ: 67-48-44

დაიმახსოვრეთ! ნებისმიერ გართულებულ ჭარბთმიანობას სამუდამოდ, უმოკლეს დროში და უკვალოდ განკურნავს მხოლოდ პროფესიონალი და არა აპარატი ან მალამო. იცოდეთ, არ არსებობს მოურჩენელი თმა. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით), დაზოგეთ ბიუჯეტი და სილამაზეც გარანტირებული გექნებათ. ტელ: 57-50-49. მარიკა

სილამაზის სალონი „სტილი 1"! თმის მოდელური შეჭრა – კატალოგების მიხედვით – 5-8 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 8 ლარი; თმის შეღებვა (WELLA-KOLESTON-2000) – 15-20 ლარი; დეკორატიული მელირება, ტონირება, მზის ლაქები – 20-30 ლარი; საბანკეტო ვარცხნილობა – 25-30 ლარი; მაკიაჟი, ეპილაცია ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით, კაპილარების გაქრობა, ნაოჭების გასწორება, სახის გაწმენდა, პილინგი. მის: რუსთაველის გამზ. №14 (ბესიკის ქ. №2). ტელ: 98-78-11. მიღება წინასწარი ჩაწერით.

სილამაზის სალონი „სტილი 2"! თმის მოცილება მცენარეული დეპილატორით სახესა და ტანზე, ეპილაცია ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (გაღიზიანების გარეშე); სახის გაწმენდა, პილინგი, ლაქების მოცილება, კაპილარების გაქრობა, ჩირქოვანი გამონაყრის მკურნალობა, ნაოჭების გასწორება, მასაჟი, მაკიაჟი. ასევე წარმოებს კოსმეტიკისა და მაკიაჟის კურსები. გაიცემა სერტიფიკატი. საერთაშორისო კატეგორიის კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია. მის: აღმაშენებლის გამზ. №115. კაბ. №20 (ეზოში). სილამაზის სალონი „სტილი-2". ტელ: 94-01-82 (სამს); 96-22-89 (ბინა)

გახდომა ეფექტურად, კომფორტით, შიმშილისა და დიეტის გარეშე, სწრაფად, გემრიელად! ტელ: 61-77-74; 925-31-90; 899 58-25-44. მარი

საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, მრავალწლიანი გარანტიით ვამზადებთ სხვადასხვა სიმძლავრისა და დიზაინის საუნის ღუმლებს, უნივერსალურ, უჟანგავ წყალგამაცხელებლებს. აგრეთვე ვამონტაჟებთ და ვარემონტებთ ყველანაირ წყალგამაცხელებელს, სხვა ელექტრომოწყობილობებს და გაყვანილობებს. ტელ: 899 56-27-26; 95-09-44

## მკურნალობა

ვმკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, გლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ვმკურნალობ უფასოდ. მის: ამბროლაურის ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა 46. (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

წინაპართა მეთოდებით, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსაგან მედიცინის მუშაკი მ. ცინცაძე ამზადებს მალამოებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, სახსრებს, საშწვერა ნერვის ანთებას, რადიკულიტს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, ნაღვლის ბუშტის ანთებას და ჩირქოვანას, ჰაიმორიტს (იკურნება 5-8 დღეში) გარანტიით. მის: გორის ქ. №3, I სად, 1 სართ. (მ. „წერეთელთან"). ტელ: 34-05-69. მიღება ყოველდღე, გარდა შაბათისა, 13-16 სთ

ბრონქული ასთმის, ალერგიის, სასუნთქი გზების ქრონიკულ დაავადებათა მკურნალობა ტრადიციული და ჰომეოპათიური მეთოდებით. მის: რკინიგზის საავადმყოფო, V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება. ექიმი ზურაბ გიორგაძე. ტელ: 97-66-78

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა ოპერაციული ჩარევისა და მასაჟების გარეშე, ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. ტელ: 96-62-58

საგვარეულო მცენარეული ნაყენებით, ფუტკრის პროდუქტებით მკურნალობს ფანასკერტელ-ციციშვილის შთამომავალი ფიტოთერაპევტი ეთერ შავაძე. განიკურნება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, კოლიტი, პროსტატიტი, ბუასილი, ბრონქიტი, კეროვანი თმისცვენა, მუნი. მის: ქავთარაძის ქ. №16, №412, შპს „სამკურნალო კომბინატი", სამშაბათობით, 12-15 სთ. ტელ: 96-25-82 (ყოველდღე)

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

ფირმა **DAWIT**-ი გთავაზობთ კომპიუტერზე მუშაობის სწრაფად და ხარისხიან შესწავლას. გამოცდილი პედაგოგები შეგასწავლიან საოფისე პროგრამებს შემდგომი დასაქმების პერსპექტივით, მაღალი ანაზღაურებით. ფირმა **DAWIT**-ი – რეალური შანსი თქვენს ცხოვრებაში! ტელ: 98-78-26

სწრაფი, დაჩქარებული კურსით შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას ინდივიდუალურად, ხარისხიანად (MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGE MAKER). ფასი 1 გაკვეთილი – 4 ლარი. ტელ: 34-32-79

გერმანულ-ქართული ფირმა **DAWIT**-ი გთავაზობთ უცხო ენების (ინგლისური, გერმანული ფრანგული) შესწავლას ჯგუფური და ინდივიდუალური მეთოდით, აუდიო, ვიდეო და კომპიუტერული უახლესი პროგრამებით., შემდგომი დასაქმების პესპექტივით. ფირმა **DAWIT**-ი – სწორი არჩევანი თქვენს ცხოვრებაში! ტელ: 98-78-26

კომპიუტერული კურსები: ოფისი (WINDOWS-98, OFFICE-2000); კომპიუტერული გრაფიკა და ანიმაცია (ADOBE PHOTOSHOP; ADOBE PREMIERE; 3D STUDIO MAX); საგამომცემლო საქმე (PAGEMAKER; COREL DRAW 9). მის: წერეთლის გამზ. №142, „ინტელექტუალური სისტემები") („სამთო ქიმიის" შენობა, მ. „დიდუბე"). ტელ: 34-08-46; 94-10-74

ვამეცადინებთ მოსწავლეებს მათემატიკასა და ფიზიკაში. ვამზადებთ მათემატიკური სკოლების მისაღები გამოცდებისათვის. შეგვიძლია ბინაზე მისვლა. ტელ: 75-94-24. გიორგი, გელა

კვალიფიციური პედაგოგები მოამზადებენ ნებისმიერი ასაკის მსურველს ინგლისურ და გერმანულ ენაში (20 ლარი); შეგასწავლით კომპიუტერს (60 ლარი), კვირაში სამჯერ, სამსახურში მოწყობის პერსპექტივით, გაიცემა სერტიფიკატი. მის: შრომის სასახლე, მე-17 სართ, ოთახი 1708. ტელ: 38-99-32

ვასწავლი გიტარაზე დაკვრას საფუძვლიანად, ინდივიდუალურად: ესტრადას (ქალაქურ-სუფრული, ტრიოს სიმღერები, „ბითლზები", საცეკვაო მელოდიები: კინტაური, სიმდი, ლეკური, მთიულური); კლასიკას; ესპანურებს. სწავლის მაღალი დონე გარანტირებულია. ტელ: 96-22-33

## იყიდება

1. მე-19 საუკუნის ფერწერული ტილო, რუსული სკოლა. ფასი 150$; 2. ბალზაკის 15 ტომი. ფასი 50 ლარი; 3. ა. დიუმას 20 წიგნი. ფასი 50 ლარი. ტელ: 23-07-65; 877 43-32-33

## შევიძენ

1) ჩაის და თამბაქოს ტენიანობის სწრაფად მზომ ხელსაწყოს; 2) გოფრირებული ყუთების შესაკრავ დანადგარს („სკრეპით"). ტელ: 899 53-41-54

შევისყიდით ადამიანის გრძელ თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა.

შევისყიდით სიგარეტის ცარიელ დიდ ყუთებს. მის: ქავთარაძის ბაზრობა, მინის საჭრელი საამქრო.

## მადლობა

**გაზეთ „ალიას", მის მთავარ რედაქტორს გიორგი ბრეგვაძეს**: მადლობელი ვართ გაზეთების უსასყიდლოდ მოწოდებისათვის. გთხოვთ გააგრძელოთ ქველმოქმედება.

*ვარკეთილის მცხოვრებლების სახელით ვალერიან მარიანაშვილი*

## სხვადასხვა

მჭირდება 35.000$. ტელ: 877 44-98-03. იოსები

გვესაჭიროება ქალი, რომელიც თანხის საფასურად თანახმა იქნება დაბადოს მის საშვილოსნოში გადატანილი სხვა ქალისა და მამაკაცის ნაყოფი. ნაყოფის გადატანა ხდება ქირურგიული ჩარევის გარეშე. თქვენს შესახებ ინფორმაცია გამოაგზავნეთ: რუსთაველის 31. მოკითხვამდე. პასპ. №0426968

**„კათარზისი"** – სათნოების სახლში გაიხსნა მოუსაფარ მამაკაცთა უფასო თავშესაფარი. ტელ: 95-17-67

## ხსოვნა

**გიორგი ფოცხვერაშვილის მოგონება**



პირველად შევხვდით გაზაფხულს უშენოდ. ყველა და ყველაფერი ხარობს, ჩვენს გულებში კი დარდის, მწუხარების ცრემლებია.

შენც ხომ გაზაფხულზე, ვარდობის თვეს დაიბადე და ალბათ ამიტომაც თუ იყავი გაზაფხულივით გამორჩეული და ლამაზი.

გიორგი, უშენობით გამოწვეულ ტკივილს ოდნავ გვიმსუბუქებს შენი ოთხი თვის ძმა ლაშა, რომელსაც ცრემლითა და ღიმილით შევცქერით.

ორ მაისს ხომ ორი წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ არ დაგცალდა, შენი თავი წაგვართვა სიკვდილმა.

ყველას ძალიან, ძალიან გვენატრები.

ნათელი და მშვიდი სასუფეველი დაგემკვიდრებინოს მაგ ქვეყანაში.

*შენი საყვარელი მშობლები ზაზა და ნაზი*

**ალმასხან ისიდორეს ძე მიქაიას გახსენება**

სამი წელიწადია თვალცრემლიანები ვდგავართ შენს საფლავთან და უფალს შენს ლამაზ, მდიდარ სულს ვავედრებთ.



ჩვენო საყვარელო ალმას, უშენობა დიდი ტკივილია! ყველას ძალიან გვენატრები – შენს ოჯახს, საფიცარ დებს, დისშვილებს, საამაყო სამეგობროს.

შენ ხომ ძლიან გიყვარდა სიცოცხლე! შენს სახელს დავიწყება არ უწერია, შენს საფლავს კი – ნათელი სხივი, რომელსაც სათუთად უფრთხილდებიან შენი შვილები. 3 მაისი შენი ახლობლებისთვის გახსენების, სინანულის დღედ დარჩება მუდამ...

**ზალიკო მოცრაძეს**



არ არსებობს ნუგეში შვილდაკარგული მშობლისა. დრო-ჟამი ვერ კურნავს გულის იმ ნაწილს, რომელიც შენ გეკუთვნის, შვილო ზალიკო. პირველ მაისს შენი დაბადების დღეა, 35 წლის შესრულდები. გლოვის ანშლაგს აუხდია შავი ფარდა შენს ოჯახში. მოვალთ შენს საფლავზე ანთებული სანთლებით და ცრემლიანი ყვავილებით მოგილოცავთ დაბადების დღეს.

ღმერთს ვთხოვთ ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული. იძინე მშვიდად მარადიულ სასუფეველში.

*დედა მართა, მამა ბუდუ და იზაბელა, დისშვილები ქეთი და გოგი*

**იპოლიტე (გვაჯა) უბილავას**



ოთხი წელიწადი გავიდა, რაც მარადიულ სასუფეველში განისვენებ. გულიდან დარდი და სევდა არ გადაგვდის, გვიჭირს შენთან განშორება, გვენატრები, მარად ცოცხალი ხარ შენი საყვარელი ოჯახისათვის. ჩვენ გვჯერა, როგორი კეთილი და სამართლიანიც იყავი ცხოვრებაში, ასეთივე ადგილი გაქვს სასუფეველში დამკვიდრებული. შენი ლოცვა-კურთხევით განაგრძობს შენი ოჯახი ცხოვრებას.

*შვილი მზია უბილავა, სიძე ზური ჭითანავა, შვილიშვილი მალხაზი და ზავრიკა*

**ვენერა კიკვაძე-ხურციძე**



ლამაზი აპრილი, საოცარი მონატრება, ცრემლი და სევდა, აყვავებული ხეები, თითქოსდა ამღერებული ვენახი, პატარძლებივით გამოწყობილი ატმის ხეები...

პირველ გაზაფხულს შევხვდით უშენოდ, დედა! არადა, როგორ ელოდებოდი ამ გაზაფხულს, რომ გეფუსფუსა შენს კარ-მიდამოში... გეტკივა უშენობა... სიცოცხლე გწყუროდა...

ქართველი ქალის ეტალონი იყავი და ასე ღირსეულად ზრდიდი შენს შვილებს და საყვარელ შვილიშვილებს. მუდამ ღირსეულად მხარში ედექი. ახლა სევდით გათანგულ მამას და ჭირსა და ლხინს თანასწორად უზიარებდი. სიკეთის ქმნა შენი ცხოვრების მიზანი იყო და მართლაც ქრისტესმიერი სიყვარულით იცხოვრე და ჩვენც ამ სათნოებით გვასაზრდოებდი.

რა მწირი ყოფილა სააქაო ცხოვრება და რა მარადიული ის ქვეყანა... შენი აჩრდილი, ზმანება და ეზოში აყვავებული ატმის ხეები გვანუგეშებს და გვაიმედებს.

სასუფევლის კარი გაგეღოს, ჩვენო ლამაზო დედა!

*შენი შვილები*

**მერაბ გელაძის ხსოვნას**



მერაბ, გილოცავთ დაბადების დღეს. 1 მაისს 56 წლის შესრულდებოდი, ჩვენო ჭკვიანო, კეთილო, უსაყვარლესო ძმაო. ყველას ძალიან გვენატრები. რაც დრო გადის, უფრო გვიმწვავდება ტკივილი – დედას, დებს და შენს ცოლ-შვილს. ძალიან ძნელია უშენობა. უხალისო გახდა ცხოვრება. გვენატრება შენი ლამაზი, კეთილი თვალები, შენი დინჯი ბაასი.

ნათელში იყოს შენი კეთილი, ლამაზი სული, დაუვიწყარო მერაბ.

*შენი დამწუხრებული, მონატრებული მზია და ნათელა, შენი ოჯახი*

**ვოვა მუგასაშვილის გახსენება**



ვაგლახ, რომ 2000 წლის 26 აპრილს არ შედგა შენი და ზიზი ვარაზაშვილის ვერცხლის ქორწილი. ისლა დაგვრჩენია, 26 მაისს შენს საფლავთან მოსულებმა გამძლეობა ვუსურვოთ ზიზის და შენ კი ნათელში ყოფნა.

*თქვენი მეგობრები*



# თბილისის ბაზრობები თვეში დაახლოებით 60 თეთრს „სწირავენ“ ბიუჯეტს(!)

სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც ლამის „განხეთქილების ვაშლად“ იქცა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებისთვის, პარლამენტმა ამ გაზაფხულზე მაინც დაამტკიცა. კანონმდებლებმა ქვეყნის უბიუჯეტოდ დატოვებას ცუდი, თუნდაც უვარგისი პროექტის მხარდაჭერა ამჯობინეს. მით უმეტეს, რომ



მთავრობამ პასუხისმგებლობა ქვეყნის მთავარი ეკონომიკური კანონის შესრულებაზე თავად აიღო. თუმცა, ბევრი, მათ შორის საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებიც, იმთავითვე სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი აღმასრულებელთა დაპირების მიმართ და არცთუ უსაფუძვლოდ. 300 მილიონიან გარღვევას, რომელიც ბიუჯეტს წინა წლიდან გადმოჰყვა, წლევანდელი დავალიანებაც (50 მილიონიანი) დაემატა. საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული მმართველი პარტია, რომელიც ყველაზე მეტს საუბრობს მთავრობის შეცვლაზე, აფასებს 1999 წლის ბიუჯეტს: „უპრინციპო, მოჩვენებითი ციფრებით აჭრელებული, „გოსპლანის“ სტილით დაგეგმილი, უფუნქციო. — ასეთი ბიუჯეტის პირობებში გამოდის, რომ საქართველოს მთავრობა არ ჰყავს“, — აცხადებს მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს წევრი ირაკლი ჩუბინიშვილი. მის ამ განცხადებას პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძეც ეთანხმება, რომლის აზრითაც, 2000 წლის ბიუჯეტი ისევე არარეალურია, როგორც გასული წლებისა. სამწუხაროდ, გარღვევა, რომელიც არა მარტო საპენსიო და სახელფასო დავალიანებაზე მოდის, კიდევ უფრო მატულობს და 10-20 წლის შემდეგ თუ გასწორდება.

ბიუჯეტის შემოსავლების დიდი ნაწილი საგადასახადო და საბაჟო შემოსავლებს ეფუძნებოდა. ამ შემთხვევაში ქართული მხარისათვის თავის მართლების შესანიშნავ საშუალებად იქცა ბრიტანული კომპანია ITS-ი, რომელსაც ხშირად საბაჟო გადასახადების ამოუღებლობა ბრალდება. რეალობა ასეთია: ბრიტანული კომპანია ITS-ს 1999 წლის მანძილზე 175 მილიონი ლარის ნაცვლად სახელმწიფო ბიუჯეტში 70 მილიონი აქვს შეტანილი. უცხოელმა პარტნიორმა ვერ შეასრულა კონტრაქტი, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ 5000 ლარის ღირებულების ქვემოთ (ანუ ის ტვირთები, რომელსაც ITS-ი არ ამოწმებს) შემოსული ტვირთებიდან ამოღებული გადასახადები თითქმის ნულის ტოლია. ესე იგი, იქ, სადაც ქართველები დგანან, შემოსავლებს არ უნდა ველოდოთ. „ყველაფრის ITS-ზე გადაბრალება სწორი არ იქნებოდა“. — აცხადებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა სიორიძე.

კონტროლის პალატის დასკვნაში, რომელიც უკვე წარედგინა პარლამენტს, საბიუჯეტო შემოსავლების დახშობის არაერთი წყაროა დასახელებული. სასაცილოა იმ თანხის რაოდენობა, რომელიც საბურთალოს ბაზარმა მოგების გადასახადის სახით, ერთი თვის მანძილზე (60 თეთრი), გლდანის ბაზრობამ (50 თეთრი), დიდუბის ბაზრობამ (60 თეთრი) შესწირეს ბიუჯეტს. კომენტარი ზედმეტია... ნუთუ საგადასახადო სამსახური ასე გულუბრყვილოა? ამაზე მეტი ცინიზმი უბრალოდ წარმოუდგენელია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მხოლოდ დედაქალაქის რამდენიმე ობიექტის მაჩვენებელია, ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ დიდ თანხას კარგავს ბიუჯეტი საქართველოს სხვა რაიონებიდანაც.

— ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ქვეყნის ბიუჯეტი თამბაქოსა და ბენზინის იმპორტიდან ამოღებულ შემოსავლებს ემყარება (თუმცა აქაც უზარმაზარია აღურიცხავი, „მარცხენა“ პროდუქციის წილი). სამარცხვინოა, როცა იმაზე ხარ დამოკიდებული, რამდენ ღერ სიგარეტს მოწევს და რამდენ ლიტრ ბენზინს დახარჯავს შენი მოქალაქე. რეალური ეკონომიკური ერთეულები თუ ობიექტები დაბეგვრის ზონიდან გამოსულები არიან, ე.ი. რეალური საგადასახადო ბაზა ჩრდილშია. დღეს მხოლოდ იმპორტის 30% იბეგრება, დანარჩენი 70% კი რატომღაც გათავისუფლებულია გადასახადებისაგან (ზოგი ინვესტიციების, ზოგი კი დამატებითი ღირებულების გადასახადში შეღავათების კანონით), — აცხადებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრი დემურ გიორხელიძე.

— ჩემი აზრით, საბიუჯეტო ოფისის დასკვნა ბიუჯეტის არარეალურობის შესახებ, მცდარია. ექსპერტული მონაცემებით შემიძლია გითხრათ, რომ დღეს საქართველოს ბიუჯეტში სულ მცირე, მილიარდიან შემოსავალსაც არაფერი უდგას წინ, თუკი ჩვენ გადასახადების აკრეფას შევძლებთ.

**— გამოდის, რომ კვლავ გადასახადების აღრიცხვიანობისა და ადმინისტრირების მოწესრიგებამდე და „ყბადაღებულ კორუფციამდე“ მივდივართ?**

— კორუფციის თემა დღევანდელ მასმედიაში პროფანირებულია. თუმცა, ეს ჟურნალისტების ბრალი არ არის, მათი ბრალია, ვინც არასწორ აქცენტებს აკეთებს ამ მიმართულებით. კორუფციის ერთადერთი სათავე ტრანსაქციური დანახარჯებია. ანუ ის დანახარჯები, რომელსაც საკუთრების უფლების მოპოვებისათვის აწესებს კანონი, რაც საკმაოდ დიდია. ჩვენს კანონში საკმაოდ ნათლადაა დაფიქსირებული საკუთრების უფლების მოსაპოვებელი 11 კომპონენტი. ამ პროცესს სახელმწიფო ინსტიტუტები უფრო ართულებენ (უფრო მეტ თანხას მოითხოვენ. ამიტომ არის, რომ ლეგალური საქმიანობიდან ფიზიკური თუ იურიდიული პირები, მეწარმეები ჩრდილში გადიან, სადაც „ჩრდილოვანი გადასახადები“ გაცილებით ნაკლებია. ეს პრობლემა სახელმწიფო დონეზეა მოსაგვარებელი. თუკი ეს პრობლემები (ინსტიტუციონალური და ტრანსაქციური) მოგვარდება, მაშინ კორუფცია მხოლოდ ცდუნების დონეზე დარჩება, ხოლო ცდუნება ისეთივე მარადიულია, როგორიც ადამიანური ყოფა.

აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ბიუჯეტმა შეღავათები არ უნდა დაუწესოს რომელიმე დარგს ან კონკრეტულ საწარმოს, რადგან ნებისმიერი შეღავათი ასამარებს იმავე დარგის მომავალ განვითარებას, ანგრევს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს... არაფერი ისე არ რყვნის ეკონომიკას, როგორიც პროტექციონიზმი და შეღავათები...

აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ამჟამად ვადაგადაცილებული საბიუჯეტო ნარჩენების სახით 400 ათასი ლარია დაგროვილი, ანუ მთელ რიგ ორგანიზაციებს სახელმწიფოს სოლიდური ვალი აქვთ. ეს წლევანდელ ბიუჯეტში არსად არ არის გაწერილი, ესე იგი ამ ხალხს ვალის დაბრუნებას არავინ სთხოვს. გამოდის, რომ საქმე ფარულ სუბსიდიასთან გვაქვს, არ მუშაობს კონტროლის მექანიზმი. რატომ გადაიხდის ადამიანი ფულს, თუკი იცის, რომ ხვალზეგ ეს ვალი ჩამოეწერება?

ჩვენ თუ არ გვინდა გადასახადების აკრეფა, არ გვინდა შემოსავლების ამოღება, გადასახადები ბიუჯეტში თავისით არ შევა, თავისით არავინ გადაიხდის.“

2000 წელი მე-4 თვეა, რაც დაიწყო, მაგრამ სავარაუდოა, რომ წლევანდელი ბიუჯეტიც იმავე ბედს გაიზიარებს, რაც გასული წლისას ჰქონდა შარშანდელ ბიუჯეტს, პარლამენტარ მიხეილ ჯიბუტის სიტყვებით რომ ვთქვათ, მიცვალებულის პროცესიასავით მიაცილებდა მოქალაქეთა კავშირი. შესაძლებელია წლევანდელი ბიუჯეტის „გასვენებას“ აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებიც გაჰყვნენ. საკადრო ცვლილებები, რომელიც პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ მოხდება, არსებითად ვერ შეცვლის სიტუაციას, თუ, რა თქმა უნდა, გაზაფხულის მოსაყვანად მიხეილ მაჭავარიანს კვლავ სოლო პარტიის შესრულება მოუხდა.

***ნათია გოგსაძე***

# ბილ, შენ პირველი აღარ ხარ!





ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის შედეგად კორპორაცია „მაიკროსოფტის“ აქციები, მისი არსებობის მანძილზე, პირველად დაეცა 15,5%-ით. ინვესტორები შიშობენ, რომ ბილ გეიტსის იმპერია რამდენიმე იმპერიად დაიშლება. ერთი შეხედვით, ეს ყველაფერი ინვესტორების პანიკას ჩამოჰგავს. სინამდვილეში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. კომპიუტერული გიგანტის ძალადობრივი დანაწევრება დიდი ხანია განიხილება, როგორც ერთ-ერთი მეთოდი „მაიკროსოფტის“ აშშ-ის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ნორმებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. აქციების დაცემის მეორე მიზეზი გახლავთ „მაიკროსოფტის“ 2000 წლის პირველი კვარტალის ფინანსური შედეგები. მართალია, რეალური მაჩვენებლები მოსალოდნელს დაემთხვა, მაგრამ კორპორაციის წარმომადგენლები ძალზე თავშეკავებულ პროგნოზირებას აკეთებენ და ვარაუდობენ, რომ კომპიუტერულ ბაზარზე მოსალოდნელია მათ პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირება.

აღსანიშნავია, რომ პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი მეორე დიდი კომპანიის „ორაკლის“ ფასიანი ქაღალდები 2,2%-ით გაიზარდა. „მაიკროსოფტის“ თავკაცს ბილ გეიტსს დარტყმა მისმა დაუძინებელმა მტერმა, „ორაკლის“ მეთაურმა რალი ერისონმა მიაყენა.

საბაჟო ციებ-ცხელების შემდეგ „ორაკლში“ ელისონის აქციების ღირებულებამ (49,96 მლრდ დოლარი) პირველად გადააჭარბა გეიტსის საკუთრებაში მყოფ „მაიკროსოფტის“ აქციათა პაკეტის ღირებულებას (49,37 მლრდ დოლარი). თუმცა შესაძლოა (ვირტუალური ქონების) გადანაწილება დროებითი მოვლენა იყოს.

სადღეისოდ კი ბილ გეიტსი აღარ არის მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანი. მისი ადგილი ელისონმა დაიკავა.

***სეგოდნია №98***

# კითხვა-პასუხი



***ცნობილია, რომ კბილის კარიესს იწვევს ტკბილი საკვები, მაშინ რატომ გვირჩევენ შოკოლადის მიღებას, ისიც ხომ სიტკბოს შეიცავს?***

***ტ. მელქაძე, თბილისი***

რამდენადაც პარადოქსულად უნდა მოგეჩვენოთ, შოკოლადი ანტიკარიესულ პროდუქტად ითვლება, რადგან მის შემადგენლობაში არის კაკაო, ეს უკანასკნელი კი მდიდარია ტანინით, რომელიც ხელს უშლის კბილის ბაქტერიების მავნე მოქმედებას კბილის ემალზე. გარდა შოკოლადისა, კარიესსაწინააღმდეგო ქმედება გააჩნია შავ ღვინოს, მუხის ქერქს, ბროწეულის წვენს, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ ტანინს.

***სტომატოლოგთა დახელოვნების ინსტიტუტი***

***19 წელია უფროს მეცნიერ თანამშრომლად ვმუშაობ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მეკუთვნის თუ არა 45 სამუშაო კალენდარული დღე ფასიანი შვებულება და, ამასთან ერთად, — 1 წელი უფასო შვებულება?***

***როზა ნიქაბაძე, ხაშური***

მოქმედი კანონმდებლობით, იმ მოსამსახურეებს, ვინც 10 წელზე მეტი იმუშავა საჯარო სამსახურში, ეკუთვნით შვებულება წელიწადში 45 კალენდარული დღის ოდენობით. 1 წელი უფასო შვებულება კი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

***ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი***

***ხშირად მაწუხებს ალერგიული გამონაყარი სახესა და ხელებზე, ვერ დავადგინე რისგან. ხომ არ არსებობს იმუნიტეტის გასაძლიერებელი რაიმე საშუალება?***

***მუდმივი მკითხველი, თ.მ.***

ალერგიულ გამონაყარს შესაძლოა იწვევდეს ალერგენი, რადგან ალერგია არის ორგანიზმის საპასუხო რეაქცია ამა თუ იმ გაღიზიანებაზე. სახესა და ხელებზე გამონაყრის არსებობა შესაძლებელია გამოწვეული იყოს სახის კრემის, შამპუნის ან თუნდაც თმის შესაღები საშუალებების გამოყენებითაც, რადგან ნებისმიერ ინდივიდს თავისებური რეაქცია აქვს სხვადასხვა პრეპარატზე და რაც მასისთვის მისაღებია, მან შეიძლება ცალკეულ ადამიანზე უარყოფითად იმოქმედოს. ამიტომ შამპუნის ნაცვლად შესაძლოა, თქვენთვის უკეთესი იქნეს სარეცხის საპონი, 70%-იანი, რომელიც უკვე წლების მანძილზე აპრობირებულია და უვნებელიც აღმოჩნდა. საერთოდ კი, უნდა დადგინდეს, რა იწვევს გამონაყარს სხეულზე და მხოლოდ შემდეგ დაინიშნება იმუნიტეტის გასაძლიერებელი საშუალება.

***ლ. ქუშაშვილი, კანისა და ვენერიულ დაავადებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი***

***მარტოხელა პენსიონერმა კერძო სახლში ჩაიწერა ბიძაშვილის შვილი, რომელმაც აიშენა ცალკე სახლი ამავე ეზოში და დაოჯახდა. მოხუცის გარდაცვალების შემთხვევაში რა უფლებით სარგებლობს იგი, თუ მოხუცს ანდერძი არ დაუწერია?***

***ნათელა წიკლაური, თბილისი***

თუ მოხუცს სხვა მემკვიდრე არ ჰყავს, მაშინ ანდერძის დაწერის მიუხედავად, ბიძაშვილის შვილი მიიღებს მის მემკვიდრეობას. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ და რიგის მემკვიდრეებს შეუძლიათ პრეტენზია განაცხადონ მემკვიდრეობაზე და მოითხოვონ სავალდებულო წილი.

***ადვოკატთა კოლეგია***

***ჩემი ფანჯრების წინ (ნახევრად სარდაფი) ახალდანგრეული სახლის ადგილას, მეზობელი აშენებს ავტოფარეხს. მაინტერესებს, კრძალავს თუ არა კანონი საერთო ეზოებში ავტოფარეხის მშენებლობას?***

***ვიკა***

თბილისის საკრებულოს 1999 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში შეჩერებულია ინდივიდუალური სარგებლობის ავტოფარეხის მშენებლობა, თუმცა ორგანიზებული ავტოსადგომების მშენებლობა დასაშვებია. ეს კანონი დღესაც უცვლელია და ორგანიზებულ კაპიტალურ ავტოფარეხთა აშენებას ძალაში ტოვებს, რასაც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, გამგეობის გადაწყვეტილება და ნებართვა სჭირდება. ამასთან, ავტოფარეხის აშენებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კორპუსსა და ავტოფარეხს შორის სანიტარული ნორმით დაშვებული დისტანცია.

***თბილისის მერია***

***სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული სარგებლობს თუ არა უპირატესობით სამსახურში მიღებისას საერო (კერძო) უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთან შედარებით?***

***ნ. შენგელია, ზუგდიდი***

კანონით არ არის დეკლარირებული, თუ რომელ დიპლომს მიენიჭოს უპირატესობა — სახელმწიფო თუ კერძო სასწავლებლის, რადგან დღესდღეობით ორივე მათგანს თანაბარი უფლება აქვს. შესაბამისად, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული სამსახურში მიღებისას უპირატესობით ვერ ისარგებლებს კერძო სასწავლებლის კურსდამთავრებულთან შედარებით. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ კერძო უმაღლეს სასწავლებელს განათლების სამინისტროში უნდა ჰქონდეს ლიცენზია აღებული. გარდა ამისა, კადრის შერჩევა დირექციის ნებაზეა დამოკიდებული და მისი პრეროგატივაა, თუ რომელ კანდიდატს მიანიჭებს უპირატესობას.

***მაია უკლება, განათლების სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი***

# მილიონით ბურგერი რომში

იტალიაში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს ამერიკული სწრაფკვების (FAST FOOD) ქსელი. როგორც „მაკდონალდსმა“ განაცხადა, მიმდინარე წელს 250 მლნ დოლარზე მეტს დახარჯავს, რათა თავისი რესტორნების ქსელი იტალიაში 200 ახალი რესტორნით გაზარდოს. ამით მათი რიცხვი 443-ს მიაღწევს. „მაკდონალდს“ არც მეორე სწრაფკვების გიგანტი „ბურგერ კინგი“ ჩამორჩა. იგი იტალიურ სპიციოსთან ერთად, 2003 წლამდე 100 ახალი რესტორნის გახსნას აპირებს. მაგრამ ეს არ გახლავთ ბურგერების გამომშვებთა შეჯიბრი — ეს არის კონკურენცია ტრადიციულ სამზარეულოებთან. სწრაფი კვების რესტორნები იტალიურ რესტორანთა ქსელში, ჯერჯერობით, მხოლოდ 5%-ს შეადგეს, ევროპაში კი — 25%-ს. მაგრამ იტალიაში, ქვეყანაში, სადაც ნაციონალური რესტორნები ნაციონალური სამზარეულოთი ქვეყნის სიმბოლოდაა მიჩნეული, შიშობენ, რომ სწრაფკვების რესტორანთა ქსელის გაფართოება ტრადიციული რესტორნების შემცირების საბაბად იქცევა და სპაგეტისა თუ პიცის მომზადების მთელი სიმძიმე იტალიელ დიასახლისებს დააწვებათ ტვირთად.

***ნიუ ზუიქი***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 29 აპრილიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| **აშშ დოლარი** | | 1,970 |
| **გერმანული მარკა** | | 0,917 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | | 3,097 |
| **ევრო** | | 1,793 |
| **რუსული რუბლი** | | 0,060 |
| **თურქული ლირა** | **(10.000)** | 0,033 |

# რომანტიკოსებს პრაგმატიკოსები ცვლიან

დღეს ვლადიმირ პუტინს აღტაცებით შეჰყურებენ, მისგან სასწაულს ელიან. გულწრფელად სჯერათ, რომ ქვეყნის უმძიმეს პრობლემებს — სიღარიბით დაწყებული და ჩეჩნეთით დამთავრებული — ერთი ხელის გაქნევით მოაგვარებს.

რუსეთი ყოველთვის იყო მეოცნებეთა ქვეყანა. იგი აიდეალებდა მომავალს, წყევლა-კრულვას უთვლიდა წარსულს და სჯეროდა ყოველი ახალი მმართველისა.




1991-ში რუსეთი ელცინისაგან ელოდა სასწაულს, იმიტომ რომ დაიღალა გორბაჩოვის ენაწყლიანობით. ელცინი კი მოვიდა და ჯადოსნური სიტყვები წარმოთქვა: „ყველაფერში დამნაშავეა კავშირი, ის ძარცვავს რუსეთს“. მერე ლიბერალიზაცია და პრივატიზაცია შესთავაზა ხალხს, ბრწყინვალე კაპიტალისტურ ხვალინდელ დღეში შესასვლელად. დაუჯერეს და უკან გაჰყვნენ. უფრო ადრე, 1985-ში, ხალხი ზუსტად ასე ენდო გორბაჩოვსაც, იმიტომ რომ დაღალეს პოლიტბიუროელმა მარაზმატებმა, რომლებიც დაწერილსაც კი ძლივს კითხულობდნენ. გორბაჩოვმა ჯადოსნური სიტყვა — „პერესტროიკა“ იხმარა...

მასზე ადრე ხალხს კომუნისტების უტოპიური იდეებისა სჯეროდა — „დავეწევით და გავუსწრებთ ამერიკას“, ახლანდელი თაობა კომუნიზმში იცხოვრებსო.

ერთი სიტყვით, რაც უფრო მეტად გვჯეროდა ახალი მმართველის, მით უფრო გვიცრუვდებოდა იმედები...

როგორ მოიქცევა ახალი პრეზიდენტი, რომელიც ხელისუფლების სათავეში საზოგადოების მორიგი რომანტიკული განწყობის შედეგად მოვიდა?

პუტინს უნიკალური შანსი გაუჩნდა, ბორის ელცინმა თავის მემკვიდრეს ნოყიერი ნიადაგი დაუტოვა. უფრო ხელსაყრელი სიტუაცია ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად არასდროს ყოფილა და მაინც, რუსეთის ახალი ლიდერი ტრადიციული არჩევანის წინაშე დგას — ეცადოს, რომ ყველას თავი მოაწონოს, თუ გააგრძელოს რეფორმები, რომლებიც აუცილებლად ვიღაცის ინტერესს შელახავს. როგორც ჩანს, პუტინმა ყველაზე პრაგმატული გზა აირჩია. ერთი მხრივ, თავისი რომანტიკული იმიჯის შელახვა არ სურს, ამიტომ ხან ზღვის ფსკერზეა და ხან რუსეთის ქალაქებს უვლის ელვის უსწრაფესად. მეორე მხრივ, თითქმის, შეუმჩნევლად ქმნის ფედერალური ხელისუფლების ვერტიკალს — გუბერნატორებს აიძულებს, სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანონ გადასახადი, იცხოვრონ რუსეთის კანონებისა და კონსტიტუციის მიხედვით.

ბელორუსიასა და უკრაინაში ვიზიტებმა ცხადი გახადა, რომ რუსეთის დამოკიდებულება უახლოესი მეზობლების მიმართაც პრაგმატული ხდება. მეგობრობა — მეგობრობად, მაგრამ საფულე ყველას თავისი უნდა ჰქონდეს. ლუკაშენკოსთან სტუმრობისას პუტინმა რუსეთისა და ბელორუსიის კავშირის იდეას დაუჭირა მხარი, მაგრამ მასპინძელს ისიც აგრძნობინა, რომ რუსეთის საზიანოდ ნაბიჯსაც არ გადავდგამო. ვერც ლ. კუჩმამ მოახერხა ნაცადი გზით — არყით დამშვენებულ სუფრასთან, უკრაინის ვალების პრობლემის გადაწყვეტა. უკრაინას დაემუქრნენ — თუ გაზის ვალს არ გადაიხდი, ჩვენი გაზსადენი თქვენს მიწაზე აღარ გაივლისო.

რუს მწერალ ალ. ამირხანოვს მიაჩნია, რომ „პუტინი ის კოსმოსური ხომალდი არაა, რომელიც ვარსკვლავებისკენ ელვასავით გაფრინდება, პუტინი უფრო რაკეტაა — „დედამიწა — დედამიწა“.

***კომსომოლსკაია პრავდა №78***

# მოსკოვმა ჩეჩნებს ბელადი დაუნიშნა

მას შემდეგ, რაც ჩეჩნეთის მილიციის შეფმა ბისლან განტამიროვმა გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა, საჩუქრებითა და ჩინებით აავსეს. პრომოსკოვური ორიენტაციის სხვა რომელიმე ჩეჩენი ავტორიტეტი, თუნდაც მუფთი კადიროვი რომ ასე მოქცეულიყო, მოსკოვს ალბათ მსგავსი რეაქცია არ ექნებოდა. განტამიროვს პოდპოლკოვნიკობა გენერალური შტაბის უფროსმა კვაშნინმა უბოძა, ხოლო პუტინის სახელით — სამახსოვრო საათი და წერილი გადასცა. ეს კაცი, უპირველეს ყოვლისა, ჩეჩნეთის მიმართ მკაცრი პოზიციის მომხრეებს სჭირდებათ. ციხიდან გამოსულმა განტამიროვმა მიუსია თავისი მომხრეები მასხადოველებს. მისი თქმით, სწორედ გენშტაბის უფროსის ანატოლი კვაშნინის მეცადინეობითა და პრეზიდენტის ბრძანებით გამოუშვეს ციხიდან სახელმწიფო ფულის დიდი რაოდენობით მიტაცებაში დადანაშაულებული განტამიროვი. მოვლენები, რომლებიც ამ დღეებში გროზნოსა და გუდერმესში ხდება, ლოგიკური გაგრძელებაა პუტინის განცხადებისა, რომელშიც კონსტატირებულია იჩქერიის მეორე პრეზიდენტის პოლიტიკური სიკვდილი. მასხადოვის „მემკვიდრედ“ კი ჩეჩენთა მილიციის მეთაური ბისლან განტამიროვი მოიაზრება. მისი აშკარა მხარდაჭერა კრემლის პასუხია ასლან მასხადოვის მოწოდებაზე მოლაპარაკების დაწყების შესახებ. მოლაპარაკებებს კი, როგორც ჩანს, წერტილი დაესვა. შემთხვევითი არ არის, რომ ჩეჩნეთში ფედერალური დაჯგუფების



ახალმა მეთაურმა გენერალმა გ. ტროშევმა უკვე გამოაცხადა „ბანდფორმირებების ლიკვიდაციის ფართომასშტაბიანი სპეცოპერაციების დაწყება“.

განტამიროვს მხარდაჭერა უკვე გამოუცხადა „ჩეჩენმა ხალხმაც“, მილიციის რაიგანყოფილებების უფროსების სახით. ის კი არა, შეიკრიბნენ და დაადგინეს, რომ გროზნოში პირველი მაისის ქუჩას განტამიროვის სახელი უწოდონ.

## მედესანტეები კვლავ იღუპებიან...

სერჟენ-იურტის რაიონში (არღუნის ხეობის შესასვლელში) ჩეჩენი მეომრები თავს დაესხნენ 51-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკის კოლონას. თავდაცვის მინისტრმა იგორ სერგეევმა განაცხადა, რომ დაიღუპა 15 მედესანტე, განადგურდა ტექნიკა.

ალმაშფოთებელია, რომ რუსი სამხედროები არა მარტო იმეორებენ ტაქტიკურ შეცდომებს, (ადგილმდებარეობის უხეირო დაზვერვა) არამედ ცრუ ინფორმციასაც ავრცელებენ. მინისტრ სერგეევის განცხადებამდე, მათი თქმით, 5 მედესანტე იყო დაღუპული და 10 დაჭრილი. იმასაც აცხადებენ, თავდასხმაში 80 ექსტრემისტი მონაწილეობდა, 12 მათგანი მოკლულია, 2 ტყვედ ავიყვანეთო.

***რუსული პრესის მიხედვით***

# ჰეიდარ ალიევი — ნობელის პრემიის მაძიებელი



ნორვეგიის ნობელის პრემიათა შესარჩევი კომისიის კომიტეტი შეუდგა 2000 წლის ნობელის პრემიის კანდიდატთა განხილვას. კანდიდატთა შორისაა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი.

დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, კომიტეტის წევრები განიხილავენ ყველა შესაბამის მიმართვას, რის შემდეგაც განისაზღვრება ძირითად კანდიდატთა წრე. ბაქოელმა მუზამილ აბდულაევმა, მეცნიერებათა დოქტორმა, ისარგებლა თავისი უფლებით და ნომინანტის ხარისხით კომიტეტს წარუდგინა აზერბაიჯანის პრეზიდენტი. თავის დროზე აბდულაევი აზერბაიჯანული მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერი იყო. შემდეგ მას ბრალად დასდეს პოლკოვნიკ სურეთ ჰუსეინოვის აჯანყებაში მონაწილეობა, დააპატიმრეს და უმაღლესი ზომა — სიკვდილი მიუსაჯეს. 4 წელზე მეტი დაჰყო მან სიკვდილმისჯილთა საკანში, შემდეგ კი აზერბაიჯანის მეთაურმა იგი შეიწყალა.

როგორც თავის მიმართვაში წერს აბდულაევი, 1993-99 წლებში პრეზიდენტის ბრძანებულებით 50 ათასზე მეტი პატიმარი შეიწყალეს და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მუსულმანურ ქვეყნებს შორის აზერბაიჯანი ერთადერთია, სადაც გაუქმდა სიკვდილით დასჯა.

ყოფილი პოლიტპატიმარი, ჰეიდარ ალიევს დამსახურებად უთვლის აგრეთვე მთიან ყარაბაღში ომის შეწყვეტას. პრობლემა, ცხადია, ბოლომდე არ არის რეგულირებული, მაგრამ მისი მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის მცდელობა სახეზეა. მუზამილ აბდულაევი მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტი აქტიურად აშენებს „ევროკავშირის სტანდარტებზე ღია დემოკრატიულ საზოგადოებას“.

***იბეჭდება შემოკლებით.***
***იზვესტია №77***

# ამერიკა შეცირმსობაში აღმოჩნდა

ნიუ-იორკში, გაეროს ეგიდით ჩატარდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმების მე-6 საერთაშორისო კონფერენცია. (1970წ) ამ შეთანხმების თანახმად, აშშ-ს, რუსეთს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და ჩინეთს შეუძლიათ იქონიონ ბირთვული იარაღი და გამოიყენონ იგი სამშვიდობო მიზნით, ოღონდ ეკრძალებათ მისი გავრცელება. ფორუმზე გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ აშშ-მა და რუსეთმა დიდი რაოდენობით ბირთვული იარაღი დააგროვეს და განიარაღება ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. უფრო მეტიც, სენსაცია გამოიწვია ვაშინგტონის გადაწყვეტილებამ თავდაცვის რაკეტსაწინააღმდეგო ეროვნული სისტემის გაშლის შესახებ. როგორც გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა აღნიშნა, ბირთვულ სახელმწიფოთა არსენალში დაახლოებით 35 ათასი ქობინი ინახება, ათასობით რაკეტა მზადყოფნის რეჟიმში იმყოფება და განიარაღების პროცესი შესაძლოა უკუღმა შემოტრიალდეს და დაიწყოს ახალი შეიარაღება.

კონფერენციაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაითი კვლავ შეეცადა ვაშინგტონის პოზიცია აეხსნა ეს თავისი ქვეყნის მისწრაფებით, დაიცვას თავი ისეთი ქვეყნებისაგან, როგორიცაა ერაყი და ჩრდილოეთი კორეა. მაგრამ ოლბრაითს არ უხსენებია, რომ ვაშინგტონი კატეგორიულად აყენებს საკითხს, ან რუსეთი მიდის „ადაპტაციაზე“ (საბჭოურ-ამერიკული ხელშეკრულება, რომელიც უარყოფს მსგავსი სისტემების შექმნას) ან აშშ გადის ამ ხელშეკრულებიდან. რუსეთი არ აპირებს შეთანხმების თავიდან გადახედვას და მიაჩნია, რომ ამერიკელების გასვლა ათავისუფლებს ბირთვული შეიარაღების თაობაზე ყოველგვარი დაპირებებისგან. ასეთი პერსპექტივა, რასაკვირველია, აშინებს მსოფლიო საზოგადოებრიობას. კოფი ანანი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა: მას არ სურს აკრიტიკოს მსოფლიოში ერთადერთი ზესახელმწიფო, რომლის საწევრო მთელი გაეროს ბიუჯეტის საფუძველს წარმოადგენს და მეორე მხრივ, გაეროს წევრ-სახელმწიფოთა უმრავლესობის აზრის იგნორირებაც არ შეუძლია. როგორც კენჭისყრის შემდეგ გაირკვა, აშშ-ს მხარი დაუჭირეს მხოლოდ ისრაელმა, ლატვიამ და მიკრონეზიამ. კონფერენციაზე ნათლად გამოვლინდა, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შეთანხმებიდან აშშ-ის გასვლა აღქმული იქნება, როგორც სილის გაწვნა მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის.

***კომერსანტი №72-73***

# ინგლისის დედოფალს მაორის ქვეყნიდან დაითხოვენ?



როგორც ჩანს, ახალმა ზელანდიამ გადაწყვიტა, საბოლოოდ გაწყვიტოს ფორმალური კავშირი დიდ ბრიტანეთთან. უკანასკნელ ხანს ელენ კლარკის მემარცხენე ცენტრისტულმა მთავრობამ ამ მიმართულებით გადადგა ნაბიჯი, რომლის ლოგიკურ დასასრულადაც შესაძლოა იქცეს ახალი ზელანდიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა. მას თავისი პრეზიდენტი ეყოლება. ამის შესახებ განაცხადა ლონდონში მყოფმა პრემიერ-მინისტრმა ელენ კლარკმა, „ჩვენ ძალიან დიდ პატივს ვცემთ ელისაბედ -ს, ის ძლიან წესიერი და პატიოსანი ადამიანია, მაგრამ სრულიად დაუშვებელია ის, რომ XX საუკუნეში ახალი ზელანდიის სახელმწიფოს მეთაური 20 ათასი კილომეტრის დაშორებით იმყოფება და ჩვენს ქვეყანაში ნახევარსაუკუნეში ერთხელ ჩამოდის. უახლოეს ხანში გარდუვალია ახალი ზელანდიის რესპუბლიკად ქცევა.

ინგლისელები ახალ ზელანდიაში პირველად 1769 წელს ჩავიდნენ და 1840 წელს კუნძული ფორმალურად ბრიტანეთის კოლონიად გამოაცხადეს. მაგრამ საპარლამენტო დემოკრატიის სამშობლო თავის კოლონიას შესაბამისად ექცეოდა — უკვე 1856 წელს ველინგტონს საკუთარი პარლამენტი ჰქონდა, რომელსაც ოთხ წელიწადში ერთხელ ირჩევდნენ. 1893 წელს ახალი ზელანდია მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდა, რომელმაც ქალს არჩევნებში ხმის უფლება მიანიჭა. 1931 წელს დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა ახალზელანდიელებს ბრიტანეთის სამეფოს შემადგენლობაში თვითმმართველი დომინიონის სტატუსი მიანიჭა. დღემდე ახალი ზელანდიის სახელმწიფოს მეთაურია ინგლისის დედოფალი, ბრიტანეთის მონარქის ნაცვალი კი — ლონდონის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორი. თავად ახალზელანდიელები (მოსახლეობის 82% ანგლოსაქსები არიან მათი დიდი ნაწილი ანგლიკანურ ეკლესიას ეკუთვნის) დიდი პატივისცემით ექცევიან საკუთარ ისტორიას და დიდად აფასებენ კავშირს ინგლისთან.

შარშან, შემოდგომაზე გამართული საყოველთაო არჩევნების შედეგად, ველინგტონში ხელისუფლების სათავეში მოვიდა ლეიბორისტებისა და „მწვანეთა“ კოალიცია. პრემიერ-მინისტრმა ელენ კლარკმა მაშინვე ახალი ზელანდიის დებრიტანიზება დაიწყო: ქალაქების და ქუჩების ინგლისური სახელები მაორის ენაზე შეიცვალა, ლონდონის საიდუმლო საბჭო ახალზელანდიელებისათვის აღარ არის უმაღლესი სასამართლო ინსტანცია. ერთი თვის წინ მთავრობის მეთაურმა გააუქმა 160 წლის განმავლობაში არსებული სახელმწიფო ჯილდოს სისტემა — აქ ახლა აღარ იქნებიან „ბრიტანეთის იმპერიის რაინდები“. როგორც ჩანს, ახალი ზელანდია დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდება.

***ნეზავისიმაია გაზეტა №75***

# სომხეთში კვლავ ახეულობაა

სომხეთის პრეზიდენტისა და პარლამენტის კონფლიქტი გადამწყვეტ ფაზაში შედის. საქმე ის არის, რომ პარლამენტის სხდომათა დარბაზში მომხდარი ტერაქტის გამო საპარლამენტო მოსმენა უნდა ჩატარებულიყო, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყნის პრეზიდენტის ქოჩარიანის გადაყენების პროცედურაში გადაიზრდებოდა. მოსალოდნელი სკანდალი არ შედგა. პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, სომხეთის გენერალურ პროკურორს და მის დაქვემდებარებულ პირებს ეკრძალებათ იმ საპარლამენტო მოსმენაში მონაწილეობა, რომელიც სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავს. ეს არ შედის პარლამენტის კომპეტენციაში, რადგან შესაძლოა, ამან ზეწოლა მოახდინოს საგამომძიებლო ორგანოებზე. ამ გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა გენერალურმა პროკურორმა გაგიკ ჯანგირიანმა გადადგომა მოითხოვა იმ მოტივით, რომ, არ სურს „პოლიტიკურ სპეკულაციებში მონაწილეობა“. იგი დაემუქრა კიდეც პრეზიდენტს, „სხვანაირად მოგელაპარაკებიო“. პრეზიდენტმა არ მიიღო მისი მოთხოვნა გადადგომის შესხებ.

დეპუტატების აზრით, ქოჩარიანი განზრახ ამუხრუჭებს ტერაქტის განხილვას პარლამენტში და დამნაშავეებს მფარველობს. მაგრამ ამისთვის არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არა აქვთ. დეპუტატები გრძნობენ, რომ პრეზიდენტი 8 ივნისის შემდეგ (პარლამენტის ამჟამინდელი შემადგენლობის მუშაობის ერთი წლისთავი) არ მოითმენს ამ სადეპუტატო კორპუსს, ამიტომ სურთ ნებისმიერი გზით მოიშორონ პრეზიდენტი. ბოლო ორი წლის მანძილზე დეპუტატები ჩასაფრებულნი არიან, მოძებნონ საბაბი იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებისათვის.

მეთვალყურეების აზრით, სომხეთის პრემიერი არამ სარქისიანი (საპარლამენტო ტერაქტში დაღუპული ვაზგენ სარქისიანის ძმა), რომელიც მოსკოვში იმყოფება, შეეცდება, დაუმტკიცოს რუსეთის ხელისუფლებას, რომ პარლამენტის მიღმა მყოფ ძალებს უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება სურთ მოსკოვთან, ვიდრე სომხეთის პრეზიდენტის გუნდს (ცნობილია, რომ ქოჩარიანი ძალზე თავშეკავებულად უყურებს რუსეთ-ბელორუსიის კავშირთან სომხეთის შეერთების იდეას).

***სეგოდნია №94***

# მოკლედ

**აშშ**-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყველაზე გასაიდუმლოებული განყოფილებიდან — დაზვერვისა და კვლევის სამმართველოდან დაიკარგა კომპიუტერი, რომელშიც ინახებოდა „განსაკუთრებული მნიშვნელობის“ გრიფი. მიმდინარეობს გამოძიება.

**თურქეთში** პრეზიდენტის პოსტზე წარდგენის ვადა დასრულდა. დღესდღეობით სამთავრობო კოალიციის სამივე პარტიამ ფავორიტად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე — ახმედ ნეჯეტ სუზერი დაასახელა.

**სომხეთში** აღინიშნა ოსმანთა იმპერიაში სომხების გენოციდის 85 წლისთავი. თურქეთი დღემდე თავს დამნაშავედ არ აღიარებს.

**ჩინეთი** მზად არის მიიღოს იაპონიის დახმარება — დამცველი კოსტიუმები, კონტეინერები, ტექნიკა მეორე მსოფლიო ომის დროს ჩინეთის ტერიტორიაზე იაპონიის საიმპერატორო არმიის მიერ დატოვებული ქიმიური იარაღის გასაუვნებლად.

**რუსეთის** სახელმწიფოს მეთაურის თანაშემწე ს. იასტრჟემბსკიმ განაცხადა: ჩეჩენ ბოევიკთა მედესანტეებზე ამასწინანდელი თავდასხმა იმის მაჩვენებელია, რომ მასხადოვი ვერ აკონტროლებს საველე მეთაურებს. შამილ ბასაევი და ხატაბი მასხადოვს ემუქრებიან, რომ გაუსწორდებიან მის ოჯახს, თუ იგი რუსეთთან მოლაპარაკებას დაიწყებს.

**ინგუშეთის** პრეზიდენტმა რ. აუშევმა უარყო ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს მასხადოვი იქ იმიტომ ჩავიდა, რომ ჩაბარდეს რუსეთის მთავრობას, მაგრამ ის კი განაცხადა, რომ მისი საშუალებით ფედერალურ მხარეს გადაეცა მასხადოვის წინადადება საბრძოლო მოქმედების შეწყვეტისა და მოლაპარაკების დაწყების თაობაზე.

**სიცილიაზე** კვლავ აბობოქრდა ვულკანი ეტნა. იმ მომენტში, როდესაც ვულკანი ამოქმედდა, მის თავზე იმყოფებოდა კატანიიდან (ქალაქი სიცილიაზე) აფრენილი თვითმფრინავი 141 მგზავრით. ამოფრქვეულმა მასამ მსუბუქად დააზიანა თვითმფრინავი, მაგრამ საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

# დიქტატორის ვაჟი



„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელს ალექს ფერგიუსონსა და ნახევარმცველ დევიდ ბეკჰემს შორის მომხდარმა უსიამოვნო ინციდენტმა ცხადყო, რომ მოთამაშემ საკუთარი ინტერესები გუნდზე მაღლა არ უნდა დააყენოს. სხვა საქმეა, თუ მოთამაშე პოლკოვნიკ მუამარ კადაფის ვაჟია, რომელიც ლიბიის ნაკრებში თამაშობს.

თავად ალ საადი კადაფი, ჯერჯერობით, არ ქედმაღლობს გუნდში, მაგრამ მეტი საიმედოობისათვის ფეხბურთის ადგილობრივ ფედერაციასაც ჩაუდგა სათავეში. ბეკჰემივით ისიც მაღალ საზოგადოებაში ტრიალებს. მისი ვერცხლისფერი ლიმუზინი მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულად ითვლება. მაგრამ საჭიროებისდა მიხედვით „ინჟინერს“ შეუძლია ათეულობით ისეთი ავტო იყიდოს („ინჟინრის“ მეტსახელი ინჟინრის დიპლომის გამო შეარქვეს), რომელიც არც კი დასიზმრებია „მანჩესტერის“ ნახევარმცველს.

ალ საადი პრეზიდენტის პოსტზე მამამისის სავარაუდო მემკვიდრეა, ამიტომაც უამრავი პრობლემა აქვს. უმთავრესი — პირადი უსაფრთხოებაა. ზოგჯერ, პოტენციური ქილერები რომ დააშინონ, ფორვარდი თავის ლიმუზინს მძღოლითურთ გაისტუმრებს, თავად კი კონსპირაციის მიზნით, გუნდთან ერთად მგზავრობს ავტობუსით. რასაკვირველია, იგი ვერასოდეს იქნება სხვებივით ჩვეულებრივი და ეს მისმა თანაგუნდელებმაც იციან. მაგრამ კადაფი-უმცროსს არ სურს მას განსაკუთრებულად, გამორჩეულად ექცეოდნენ და ოცნებობს, მინდორზე ოჯახიშვილობით კი არა, ოსტატობით ისახელოს თავი.

მალე 26 წლის ფორვარდი ტრიპოლის კლუბ „ალ-აჰლის“ სახელით პირველ ნაბიჯს გადადგამს საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად. ლიბია, 7 წლიანი საერთაშორისო დისკვალიფიკაციის შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ეტაპის შესარჩევ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. მისი მეტოქე მალის გუნდი იქნება. ამ შეხვედრაში გამარჯვებული ორი წლის შემდეგ იბრძოლებს მსოფლიო პირველობაზე საგზურის მოსაპოვებლად, რომელიც კორეასა და იაპონიაში გაიმართება. ტურნირისათვის მოსამზადებლად პოლკოვნიკი კადაფი და მისი ვაჟი მილიონობით დოლარს ხარჯავენ, რადგან მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვების მოპოვება ოცნებად აქვთ გადაქცეული. ეს ოცნება ფეხბურთის დიდი სიყვარულითა და ლიბიისათვის „ბოროტების იმპერიის“ სახელის ჩამოშორებითაც არის განპირობებული.

კადაფი-უმცროსის კერპი დიეგო მარადონაა. სურს დიდი არგენტინელის ოსტატობის საიდუმლოებას ეზიაროს და მწვრთნელად სკანდალურად ცნობილი კანადელი მორბენალი ბენ ჯონსონი მოიწვია. იგი თავის დროზე სირბილში დიეგო მარადონას ავარჯიშებდა.

— მინდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გავხდე და ამისათვის ყველა ღონეს ვიხმარ, — უთხრა ჟურნალისტებს კადაფი-უმცროსმა, — თავდაუზოგავად ვშრომობთ, რომ ლიბიის ფეხბურთი გავაუმჯობესოთ, ყველაზე მეტად მამაჩემია მონდომებული. იგი ჩემი უპირველესი თაყვანისმცემელია.

მართლაც, მუამარი დროს ყოველთვის პოულობს, რომ სტადიონზე მივიდეს და შვილის თამაში ნახოს. საფეხბურთო საქმეებში ქვეყნის მაღალჩინოსნების ჩარევა არაბულ სამყაროში პირველი შემთხვევა არ არის. ბევრ აღმოსავლელ ლიდერს თავდავიწყებით უყვარს ფეხბურთი.

ბრუნეის სულთანმა, მსოფლიოში უმდიდრესმა კაცმა, თავისი ვაჟიშვილის საწვრთნელად ინგლისის ნაკრების ახლანდელი ხელმძღვანელი ქევინ კიგანი და იან ბოტომი (აფრიკელი კრიკეტის მოთამაშე) დაიქირავა.

ერაყის დიქტატორმა სადამ ჰუსეინმა ეროვნული ნაკრების მეურვეობა საკუთარ ვაჟს, უდაის მიანდო, ხოლო როცა ერაყელები მსოფლიო პირველობის ფინალში ვერ გავიდნენ, უდაი, სხვა ფეხბურთელებთან ერთად... გაწკეპლეს.

ალ საადის და მის თანაგუნდელებს ალბათ ასეთი მკაცრი სასჯელი არ ელით. მიუხედავად ამისა, მწვრთნელები ლიბიის პრეზიდენტთან ფრთხილობენ და ცდილობენ, მისი გეგმები, ლიბიის საფეხბურთო იმპერიად გადაქცევის შესახებ, არ გააკრიტიკონ.

ქვეყნის ნაკრებს ლეგენდარული კარლოს ბილარდო ავარჯიშებს. სწორედ მისი დამსახურებაა არგენტინელების 1986 წელს მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვება.

— ალ საადი კარგი ფეხბურთელია, რაღაცით მარადონასაც მაგონებს — მასავით უყვარს ბურთის ტარება და პარტნიორებს სულ პასის მიწოდებას სთხოვს. მაგრამ ქანცის გაწყვეტამდე ვარჯიში არ უყვარს და იძულებული ვარ, რაიმე განსაკუთრებული მოვიგონო, რომ დავაინტერესო, — ამბობს კარლოს ბილარდო.

ჯონსონი იხსენებს, — ერთხელ ალ საადს უთხოვია, 100 მ-იანი დისტანციის 9,85 წამში დაფარვა მასწავლეო.

— ავუხსენი, სწრაფი სირბილი და საუკეთესო ფეხბურთელობა — ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული რამ არის-მეთქი. კადაფი ალბათ კარგი ფეხბურთელი კი არის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მე არც ისე კარგად მესმის ეს თამაში, — ღიმილით ამბობს კანადელი.

ვერაფერს იტყვი, დიპლომატიური პასუხია.

*კალეიდოსკოპი №15*

# ადმირალ ნელსონის სიმულაცია

დიდი ბრიტანეთის სამედიცინო საზოგადოების ჟურნალმა გამოაქვეყნა სტატია, რომელსაც დიდი სკანდალი მოჰყვა. სტატიაში 73 წლის კემბრიჯელი ქირურგი მილო კეინსი ამტკიცებს, რომ დიდი ბრიტანეთის ეროვნული გმირი, ადმირალი ნელსონი, რომელმაც ბრიტანეთის კუნძულები ნაპოლეონის დაპყრობისაგან იხსნა, შესანიშნავად ხედავდა მარჯვენა თვალით და არასოდეს ჰქონია ახვეული, როგორც მას სურათებზე გამოსახავენ. ამ გამაოგნებელ დასკვნამდე კეინსი მივიდა იმ დროის სამედიცინო არქივებისა და ადმირალის წერილების გულდასმით შესწავლის შემდეგ.



თურმე, ლორდი ჰორაციო ნელსონი ინვალიდობის პენსიის მიღების გამო სიმულანტობდა. სამსახურებრივი ტრავმისათვის ერთი წლის პენსია 200 გირვანქა სტერლინგი იყო, რაც საკმაოდ დიდი თანხა გახლდათ XV საუკუნის ბოლოს.

ნელსონი 1794 წელს დაიჭრა კორსიკის ციხესიმაგრე კალვის დაცვისას. შეტევის დროს იმ ადგილას, სადაც ადმირალი იდგა, აფეთქდა ფრანგების ყუმბარა. ყუმბარის ნამსხვრევები ნელსონს მარჯვენა თვალის არეში მოხვდა. რამდენიმე დღის შემდეგ მან თავის უფროსს, ადმირალ ჰუდს აცნობა, რომ თვალი უკეთ ჰქონდა. თავდაპირველად, მომავალი ადმირალი მარჯვენა თვალის დაზიანებას ჩვეულებრივად შეხვდა. მაგრამ სულ რამდენიმე თვის შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. უკვე მომდევნო, 1795 წელს, ნელსონმა განაცხადა, — მარჯვენა თვალით დავბრმავდიო და სთხოვა ადმირალ ჰუდს, შეეტყობინებინა მეფე გეორგ -სთვის, რომ „თვალი მისი ბრწყინვალების სამსახურში ყოფნისას დაკარგა“ და დახმარებოდა პენსიის მიღებაში.

სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურების მიუხედავად, მისთვის პენსიის დანიშვნას დიდი აღფრთოვანებით არ მოეკიდებიან. მხოლოდ სამი წლის შემდეგ მიიღო მან ის, რასაც ითხოვდა, მაგრამ არა თვალის, არამედ მარჯვენა ხელის დაკარგვის გამო. ნელსონმა ხელი 1797 წელს დაკარგა ესპანეთის კუნძულ ტენერიფესთან ბრძოლაში.

ადმირალ ნელსონს თითქმის 200 წლის მანძილზე ხატავენ, როგორც დაბალ, გამხდარ, ლოყებჩავარდნილ, ჭაღარა, მკაცრსახიან, გაუღიმარ მამაკაცს, მაგრამ პორტსმუტის სამეფო საზღვაო მუზეუმის მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ნელსონი სულ ცოტა, 20 სმ-ით მაღალი იყო ტრაფალგარის სკვერზე მდგარ ქანდაკებასთან შედარებით, გრუზა ქოჩორიც ამშვენებდა და თანაც საკმაოდ ხშირად იღიმებოდა კიდეც.

შესაძლოა, ამიტომაც, პორტსმუტში გახსნილი ცვილის ფიგურების გამოფენაზე აღდგა ისტორიული სამართლიანობა და ნელსონი წარმოადგინეს თავისი ნამდვილი სიმაღლითა და ღიმილით სახეგაცისკროვნებული.

*მირ ნოვოსტეი №16*

# თეთრი შროშანები დაღუპული სატრფოსთვის...



ცოტა ხნის წინ დაიბეჭდა ცნობილი ბერძენი მილიარდერის, არისტოტელე ონასისის ვაჟის, ალექსანდრეს ბიოგრაფია. ალექსანდრეს თურმე მამა ყოველთვის მკაცრად და უსამართლოდ ექცეოდა. ეშინოდა, გზაზე არ გადამელობოსო. შვილის უდროო სიკვდილმა (ალექსანდრე თვითმფრინავის კატასტროფაში დაიღუპა) ბერძენ მილიარდერს თავზარი დასცა და მთელი დარჩენილი სიცოცხლე სინდისის ქენჯნით იტანჯებოდა.

ბავშვობაში ალექსანდრე წყნარი და უკარება ბიჭი იყო. მშობლები ძვირფას სათამაშოებს კი ყიდულობდნენ, მაგრამ ყურადღებით არასოდეს გაუნებივრებიათ. ბავშვს მეგობრები არ ჰყავდა. მას მხოლოდ თავის დასთან, ქრისტინასა და ძიძებთან ჰქონდა ურთიერთობა. 10 წლის ალექსანდრეს მამამ ავტომობილი აჩუქა. ბიჭმა მანქანის მართვა ძალიან მალე ისწავლა.

მილიარდერის მემკვიდრე 12 წლისა იყო, როცა პირველად მოჰკრა თვალი მას, ვის გამოც მოგვიანებით პირველი კონფლიქტი მოუვიდა ოჯახთან. ბიჭი შვეიცარიის მთებში, თხილამურებით სრიალისას, შემთხვევით შეხვდა უმშვენიერეს ფიონა ტისენს.

6 წლის შემდეგ ალექსანდრე კვლავ აღმოჩნდა შვეიცარიაში, სადაც მამამისს ფეშენებელური ვილა ჰქონდა.

იმ ხანებში დედას წვეულება უნდა გაემართა და ალექსანდრემ სთხოვა, მოეწვია ბარონესა ფიონა ტისენი.

დედას უკვე ჰქონდა შემჩნეული, რომ მის ვაჟს უფროსი ქალები მოსწონდა — ბარონესა ტისენი ალექსანდრეზე 16 წლით უფროსი გახლდათ.

ასე რომ, 18 წლის ალექსანდრემ იმ საღამოზე გაიცნო 34 წლის ფიონა.

თავიდან ქალს ართობდა ძველბერძნულ ღვთაებასავით მშვენიერი ყმაწვილის თაყვანისცემა, მაგრამ შემდეგ მიხვდა, უმცროს ონასისს მასთან სერიოზული ურთიერთობა სურდა და არა მსუბუქი ფლირტი. ისინი საყვარლები გახდნენ.

არისტოტელე ონასისი თმას იგლეჯდა — რად მინდა 16 წლით უფროსი რძალი!... ჩემი შვილი თავს ჭრის ოჯახსო...

იმ საბედისწერო დღეს ალექსანდრე მამის ერთ-ერთ ძველ სატვირთო თვითმფრინავს მართავდა. თვითმფრინავი აფრინდა, მაგრამ რამდენიმე წუთში ძრავა გამოირთო და...

როცა ფიონამ საყვარელი საავადმყოფოში ნახა, გაოცდა — ალექსანდრეს ლამაზ, მშვიდ სახეზე ერთი ნაკაწრიც არ ჰქონდა. მხოლოდ ხელოვნური სუნთქვის ჩართული აპარატი მეტყველებდა იმაზე, რომ ჭაბუკი კვდებოდა — შიდა ქალის მძიმე ტრავმა გადარჩენის არანაირ იმედს არ ტოვებდა.

არისტოტელე ტირილით იხრჩობოდა. იგი ელოდა ამერიკიდან თავისი ქალიშვილის, ქრისტინას ჩამოსვლას, რომ ძმას გამომშვიდობებოდა.

...ქრისტინამ ძმის ფერწასულ სახეს დახედა...

განადგურებულმა მამამ აკანკალებული ხელით გამორთო აპარატი...

ალექსანდრე დაკრძალეს საბერძნეთის ერთ-ერთ კუნძულზე, რომელიც მამამისს ეკუთვნოდა (იქ ამჟამად ონასისების საგვარეულო ძვალთშესალაგია).

არისტოტელე ონასისი ღამეებს ათევდა შვილის საფლავზე.

...ბარონესა ფიონა ტისენს დღემდე მიაქვს მის სამარეზე თეთრი შროშანები, რომელიც მილიარდერის უბედურ ვაჟს უზომოდ უყვარდა...

*პოსლედნიე ნოვოსტი №16*

# ისტორიის იდუმალი ფურცელი...

სანქტ-პეტერბურგის რუსული ხელოვნების მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში, მსოფლიოს ფერწერის უკვდავი ტილოების გვერდით, მოთავსებულია ცნობილი რუსი მხატვრის კ. ფლავიცკის მონუმენტური ტილო „თავადის ქალი ტარაკანოვა პეტრე-პავლეს ციხეში წყალდიდობის დროს“. ამ შთამბეჭდავ სურათზე გამოსახულია ადიდებული ნევის ტალღებით ნახევრად სავსე საკანი, ზეწარს თაგვები ჩაბღაუჭებიან თავის გადასარჩენად, კედელს აკვრია საწოლზე მდგარი ულამაზესი ახალგაზრდა ქალი. მისი სასოწარკვეთილი მზერა გულს უფლეთს მნახველს... მხატვარმა მშვენიერი ქალის სიკვდილი წყალდიდობას მიაწერა. არადა, ავანტიურისტი ქალი, როგორც მას მაშინ უწოდებდნენ, წყალდიდობამდე 2 წლით ადრე ჭლექით გარდაიცვალა.



თავადმა ა. გოლიცინმა თავადის ქალს „თვითმარქვია“ უწოდა, თუმცა ის იდუმალი არსება, ე.წ. „თვითმარქვია“, სინამდვილეში პეტრე დიდის შვილიშვილი, ელისაბედის ასული იყო.

მკვლევარი ს. სნეგირევი თავისი თხზულების, „მოსკოვის ნოვოსპასკის მონასტერი“, დაწერისას ეყრდნობოდა ისტორიულ დოკუმენტებს. მან მკითხველს ამგვარად მოუთხრო თავადის ასულ ტარაკანოვას ამბავი:

შემოდგომის ერთ ღამეს წმ. იოანეს სახელობის დედათა მონასტერში დახურული ეტლით მიიყვანეს უცნობი ქალი. ფანჯრებჩაგმანულ ეტლს ცხენოსანი ესკორტი ახლდა. უცნობი მოათავსეს აგურის სახლში, იღუმენის სადგომის მახლობლად. მალე იგი მონაზვნად აღკვეცეს დოსითეას სახელით.

ამ ქალის ვინაობა იდუმალებითაა მოცული. ასევე არავინ იცის, როგორ ცხოვრობდა და რას საქმიანობდა იგი მონასტერში.

კუთხე-კუთხე ჩურჩულებდნენ, — ეს ქალბატონი ბავშვობიდან საზღვარგარეთ იზრდებოდა, ეკატერინე -ის ბრძანებით ჩამოიყვანეს რუსეთში და მონასტერში ჩაკეტესო...

სწორედ ამ იდუმალ არსებას მიიჩნევს ზოგიერთი მკვლევარი ელისაბედის ქალიშვილად. ამის საფუძველს იძლევა მონასტრის წინამძღვრის სენაკში შენახული ამ ქალის სურათი წარწერით: „პრინცესა ავგუსტა ტარაკანოვა, მონაზონი დოსითეა, წმ. იოანეს სახელობის დედათა მონასტერში აღკვეცილი“. მის მცველებს ასი თვალი და ასი ყური ჰქონდათ გამობმული. დედა დოსითეას სენაკის ფანჯრებზე მუდამ სქელი ფარდები იყო ჩამოფარებული. ეკლესიაში ამალის თანხლებით დადიოდა, ისიც ღამღამობით და მაშინ, როცა იქ სულიერის ჭაჭანება არ იყო. მისი სამყოფელი ნატიფად და ფუფუნებით იყო მორთული, საკვები ძვირფასი და განსაკუთრებული ჰქონდა. მის შესანახად ხაზინიდან ძალიან დიდი თანხა გაიცემოდა, ასევე შემოდიოდა სახსრები „უცნობი პირებისგან“. ფაქტობრივად, ეს ქალი მონასტრის ტყვე იყო თითქმის 25 წელიწადი.

თავადის ასული ტარაკანოვა — დედა დოსითეა გარეგნობით ძალიან ჰგავდა ელისაბედ პეტრეს ასულს.

მის დაკრძალვას დაესწრო მოსკოვის ყველა დიდგვაროვანი, წესი აუგო მოსკოვის მთავარეპისკოპოსმა. იგი დაკრძალეს ნოვოსპასკის მონასტერში, რომანოვების საგვარეულო საძვალის მახლობლად.

ამ ქალის ცხოვრებას მიუძღვნა რომანი „თავადის ქალი ტარაკანოვა“ უკრაინელმა მწერალმა გრიგორი დანილევსკიმ. მან გამოიყენა უამრავი საბუთი, რომლებიც საიმპერატორო კანცელარიის საიდუმლო არქივებში ინახებოდა.

...პეტრე -ის ასულს, ელისაბედს, თავდავიწყებით შეუყვარდა უკრაინელი კაზაკი, ნამწყემსარი როზუმი, რომელზეც ამბობდნენ, ყელში იადონი უზისო. დედოფალს ხიბლავდა მისი ტკბილი ხმა და უზადო, ვაჟკაცური გარეგნობა. ყმაწვილი კაზაკი სამეფო კარის კაპელის მომღერალი გახდა.

მალე როზუმს დედოფალმა უბოძა გრაფ ა. გ. რაზუმოვსკის ტიტული, აუარება სიმდიდრე და გენერალ-ფელდმარშლის ჩინი.

სწორედ ელისაბედისა და როზუმყოფილი რაზუმოვსკის სიყვარულის ნაყოფი გახლდათ თავადის ასული ტარაკანოვა (ერთ-ერთი ვერსიით, პეტრე დიდის ქალიშვილმა და ნამწყემსარმა საიდუმლოდ დაიწეს ჯვარი). ტარაკანოვკა ერქვა იმ უკრაინულ სოფელს, საიდანაც იყო დედოფლის მიჯნური.

ეკატერინე -ს ძალიან ეშინოდა ტარაკანოვასი. იგი ხომ რუსეთის ტახტის კანონიერ მემკვიდრედ შეიძლებოდა ეცნოთ განაწყენებულ თავად-აზნაურებს! ამიტომ ცდილობდა, სახელი გაეტეხა მისთვის, უწოდა თვითმარქვია... ტარაკანოვაზე არსებული ცნობები საიდუმლო საცავებში საგულდაგულოდ ინახებოდა და მას კაცის თვალი ვერ იხილავდა.

...თავადის ასულმა ტარაკანოვამ მოინდომა ტახტის ხელში ჩაგდება, — მოგვითხრობს გრიგორი დანილევსკი, — მომხრეებიც მრავალი გაუჩნდა. ეკატერინესგან შერისხულმა ყოფილმა ფავორიტმა, 37 წლის ულამაზესმა და უძლიერესმა გრაფმა ორლოვმა თურქებთან ომის დროს შეიტყო ტარაკანოვას მარშის ამბავი და სასწრაფოდ გაეშურა მისკენ (სხვა ვერსიით — ეს ეკატერინე -ის მითითებით მოხდა). მას სურდა, დაკარგული საყვარლის გული მოებრუნებინა. გრაფმა წინასწარ გამოიკვლია თავადის ასულის ამბები. გაეცნო, მანკიერი ხრიკებით, თავი გამიჯნურებულად მოაჩვენა, ტახტზე ასვლაში დახმარებასაც შეჰპირდა. შემდეგ შეიტყუა თავის ხომალდზე, გაითამაშა ჯვრისწერის მასკარადი და... სანქტ-პეტერბურგში დიდებით შებრძანების მაგიერ შეიყვანა, როგორც ტყვე და ეკატერინეს მიჰგვარა...

უმწეო ქალი საპყრობილეში ჩააგდეს...

ერთ-ერთი ვერსიით, დედოფალ ელისაბედის უბედური ასული ციხეში მოკლეს...

*გულნარა არველაძე*

# გივი ბერიკაშვილი: „თავს კარგად იქ ვგრძნობ, სადაც ვხვდები, რომ საჭირო ვარ“...

ბატონ გივი ბერიკაშვილს უცნაურ ამპლუაში შევხვდი. ის არც სცენაზე იყო, არც კულისებში, არც სავარძელში მჯდარა. ორ ლოდზე სახელდახელოდ გადებულ ფიცარზე იყო მუხლჩახრილი და თავის ნაშრომ-ნაოფლარ ნაკვეთს უყურებდა. მანამდე კი მოუსვენრად უვლიდა გარშემო ახალდარგულ შეფოთლილ და უფოთლო ნერგებს, ყლორტებს უთვალიერებდა, — ზოგიერთი თხებმა გაკორტნესო და ამას ისე უშუალოდ, ისე ალალად განიცდიდა, სევდა მეც გადამედო. იმ წუთში კაცი იფიქრებდა, ბატონი გივის მთავარი საქმე მიწასთან ურთიერთობა, ბაღის მოვლა-პატრონობააო. უნებურად ვკითხე, — ალბათ კახეთში დაიბადეთ და გაიზარდეთ-მეთქი. გაეღიმა:

— დავიბადე თბილისში. ჩემს მშობლებს, მართალია, ადგილ-მამული არ ჰქონდათ მიტოვებული კახეთში, მაგრამ აქ სწავლობდნენ, აქ შეუღლდნენ და დასახლდნენ კიდეც. ახლა რომ დიდი საკონცერტო დარბაზის უკან სამშობიაროა, იქ დავბადებულვარ. ვიზრდებოდი ვერაზე. ჩვენს უბანს სატივის უბანი ერქვა, რადგან მტკვრიდან დაცურებული ტივები მანდ მოდიოდა. მთელი ქალაქი შეშას იქიდან ყიდულობდა. ახლა ცირკი რომ არის, მის უკან იყო სპორტული კომპლექსი, „კუპალნიას“ ვეძახდით. მერე იქ რესტორანი „არაგვი“ ააშენეს, თითქოს სხვაგან ადგილი არ იყო... მთელი უბნის ახალგაზრდობა იქ დადიოდა სავარჯიშოდ... რომ მეკითხებიან: სად გაიზარდეო, ვპასუხობ, — სოფელში, სადაც ყოველ არდადეგებზე, დღესასწაულებზე დავდიოდი, რისთვისაც სულ ხვეწნა მქონდა მასწავლებელთან, დემონსტრაციიდან გავეთავისუფლებინე, და — ქალაქში, ეზოში, ქუჩაში, კარგი გაგებით! ჩემთვის უცხო არ იყო არც შავი სამყარო, არც თეთრი. ვარდისფერი და ცისფერი კი თითზე ჩამოსათვლელი გახლდათ. უბანში ერთი მორფინისტი გვყავდა და ამაზე იყო განგაში ატეხილი... ასე რომ, საშიში არ იყო მაშინ „ქუჩაში“ ყოფნა. მეზობლები მყავდა საოცარი... თუ რომელიმე სადილს მოამზადებდა, აუცილებლად იკითხავდა: ბიჭმა თუ ჭამა რამეო... კარს მხოლოდ გამოჯახუნებით ვკეტავდით, რომ ქარს არ შემოეღო...

მახსოვს, სტუდენტობისას ავად გავხდი. თვით დიდი აკაკი ხორავა, რომელიც ჩემი ჯგუფის ხელმძღვანელი იყო, მოვიდა ჩემს სანახავად და გაოცდა, — ეს რა ხალხში გიცხოვრიაო. ჩემი სახლი ახლანდელი კოსტავას ქუჩიდან პირველი სართული იყო, ჩასახვევიდან, ეზოს მხრიდან — მეორე. ეზოში რომ ჩამოდიოდა ბატონი აკაკი, სუფრა დაახვედრეს, — ამხელა კაცი მობრძანდით და ისე ვერ გაგიშვებთო. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მოილხინა, როგორ იქეიფა... ყველას ეფერებოდა...

ჩემს გარშემო ყველანაირი ხალხი ტრიალებდა... ჩემი უბანი თავდალმართი იყო და ვერის ბაზარში თუ ვინმეს დაიჭერდნენ, იქ დაუსხლტებოდა ხოლმე მილიციას ხელიდან და გარბოდა. მისდევდნენ თავდალმართზე და ეძახდნენ, — გესვრით, გესვრითო... რა უნდა ესროლათ, „კაბურაში“ მზესუმზირა ეყარათ... ერთხელ, ტრამვაიდან ჩამოვხტი... უბნის ინსპექტორმა დამინახა, დამიძახა და დამტუქსა: რატომ გადმოხტიო. ნელა მოდიოდა-მეთქი... მეორედ არ გააკეთოო. არც გამიკეთებია. ეს ჩემთვის კანონი იყო. აბა, კიდევ რომ დავენახე, სირცხვილით თავი სად უნდა გამომეყო!

**— მშობლების შესახებ რას იტყვით?**

— მამა 1937 წელს გარდამეცვალა, 3 წლისა ვიყავი. დედა მარჯანიშვილის თეატრში მსახურობდა ბუღალტერიაში... მას გული მარჯვენა მხარეს ჰქონდა, თან თანდაყოლილი მანკი აწუხებდა, ავადმყოფობდა ხოლმე. როცა ჩემი დამტოვებელი არავინ ჰყავდა, თეატრში წამიყვანდა. იქ ვიზრდებოდი. ერთი სურათი მქონდა: ასე 7-8 წლის ვიქნებოდი, მარჯანიშვილის თეატრის წინ ერთი ხელი ვერიკო ანჯაფარიძისთვის მაქვს ჩაკიდებული, მეორე — სესილია თაყაიშვილისთვის. უკან კი აფიშაზე ჩანდა: უკანასკნელი მასკარადი, ურიელ აკოსტა, მეფე ერეკლე.

დედა რომ ცუდად გახდა, პირველად დედის



დედამ წამიყვანა სოფელ ზემო ხოდაშენში თავისთან. მერე მიყვებოდა, — ჩემს ძუძუს ჩაგიდებდი პირში და იმით გაჩუმებდი პატარასო. ვღეჭავდი, ვღეჭავდი ცარიელ ძუძუს და მეძინებოდა თურმე. დედას სცენაზე არ ვუნახივარ, ისე გარდაიცვალა. ახლობლები რომ ნახავენ ჩემს წარმატებას, მეუბნებიან, — ამას რომ შენი მშობლები მოსწრებოდნენ, რაღა მოკლავდათო.

**— თქვით, სოფელშიც ვიზრდებოდიო...**

— პაპა-ბებიასთან ვიზრდებოდი სოფელ კოლაგში. პაპაჩემი, პანწკალა, დიდებული გლეხი იყო. ასე იმიტომ შეარქვეს, რომ სულ დაფანცქალებდა, იმისი გაჩერება არ შეიძლებოდა. პირველად რომ დამინახა სიგარეტს ვეწეოდი, კი არ მითხრა: რატომ ეწევიო, მხოლოდ საღამოს, ვახშმობისას მომიყვა: ჩემს ახალგაზრდობაში თუთუნს ვღეჭავდიო. ერთი ნასწავლი კაცი იყო ჩვენს სოფელში და იმას ვკითხე: დღეში ამდენს ვღეჭავ და წელიწადში რა საფასურის გამომდის „დაღეჭილიო“. ერთი უღელი ხარ-კამეჩი გამომივიდა. ვიფიქრე: ამის დედა ვატირე, ერთი უღელი ხარ-კამეჩიც დავღეჭო და ორგანიზმიც მოვიწამლო-მეთქი! დავანებე თავიო.

ძალიან შრომისმოყვარე კაცი იყო. ერთხელ მეზობელი მოვიდა, ვაზის შესაწამლი აპარატი სთხოვა. პაპამ უარით გაისტუმრა. ნახევარ საათში სხვა მოვიდა იმავე თხოვნით. ორი ცალი მაქვს, რომელიც გინდა აირჩიეო, — უთხრა. ვკითხე: „ივან ანდრეევიჩ, იმას რატომ უთხარი უარი-მეთქი? — იმან შრომა არ იცის, ჩემს აპარატსაც გააფუჭებდა და თავის ვენახსაცო.

სულ ერთად დავდიოდით მე და პანწკალა ვენახში. თუ მოხდებოდა, რომ მე შინ დავრჩებოდი, დაბრუნებული უჩემოდ ლუკმას არ შეჭამდა, ვიცოდი ეს და ყოველთვის შინ ვხვდებოდი. ყოველთვის მოჰქონდა ჯიბით რაიმე ახალი ხილი ჩემთვის, თავისი სხეულით გამთბარი მსხალი ან ვაშლი... უფროსი შვილიშვილი ვიყავი, ერთადერთი ბავშვი, ვიდრე მამიდაშვილები მეყოლებოდნენ. მერე უკვე მეუღლესთან ერთად რომ ჩავდიოდი, ახლა იმასთან მოჰქონდა ის ნაფერები ნაყოფი. მე ვეკითხებოდი: ჯერ მე ვარ შენი ღვიძლი, მე რათ არ მაძლევ-მეთქი. არაო, ეგ სხვისი შვილია ამ ოჯახში და მაგას მეტი პატივისცემა უნდაო. თუ ამ სიმზე ააწყობ შენს ცხოვრებას, თუ მეტს გაიღებ, ამას აუცილებლად ექნება ნაყოფიო.

**— ბებოს სულ არ ახსენებთ?**

— როგორ არ ვახსენებ, ოღონდ ბებოს ვაწვალებდი. თოხით დადგებოდა კართან, არ წახვიდე საბანაოდო... მე კი მაინც გავრბოდი... დიდი ხის კასრები გვქონდა. მასში ვინახავდით ლობიოს, კარტოფილს, ფქვილს. ავიღებდი ერთ მუჭა ლობიოს და დავაბნევდი, სახლის უკანა კარიდან მომიჯნავე ღობეში გავატარებდი. შეიცხადებდა ბებია, უი, ქა, ლობიო მოიპარესო... პაპა ამშვიდებდა, — ხო ხედავ, კასრი სავსეა, ბიჭი იზამდა მაგასო...

**— თქვენს პროფესიაზე რას იტყვით?**

— ლოგიკურია, რომ მსახიობი გავხდი, მე ხომ თეატრში ვიზრდებოდი! ინსტიტუტი რომ დავამთავრე, თითქმის ორი სეზონი მთელი ჩვენი კურსი, საკურსო სპექტაკლიანად, წავედით სოხუმში. თბილისში 1958 წელს დავბრუნდი. მარჯანიშვილის თეატრში და ხან დასაქმებული, ხან უსაქმურად ვარ დღემდე იქ. სატრაბახოდ მინდა ვთქვა, რომ იმ საშინელ პერიოდში თეატრი არც გაჩერებულა, არც გამოცვლილა. იყო შემთხვევა, რომ სპექტაკლები იხსნებოდა, მაგრამ თეატრი მაინც აგრძელებდა არსებობას... კინო გაჩერდა... გული მტკივა, ამაზე როცა ვფიქრობ. აბა შეიძლება გოდერძი ჩოხელის გაჩერება? საცოდაობა არ არის უსაქმოდ დადიოდეს? მაგის მოთხრობებს რომ ვკითხულობ, ცუდად ვხდები, ხორცშესხმა რაღა იქნება! მაგრამ რა გინდა... წლები გადის... რაღაც იკარგება. ბედნიერება ის არის, დროულად რომ დაიდგმება რამე... „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“ მაშინ რომ არ შექმნილიყო, ახლა ვერ ვითამაშებდი, „დათა თუთაშხიას“ გადაღება ბედნიერი შემთხვევით დაემთხვა ოთარ მეღვინეთუხუცესის ახალგაზრდობას, თორემ ახლა თვითონაც აღარ მოჰკიდებდა ხელს ამ როლს, — რაღა დროს ჩემი თუთაშხიას თამაშიაო, — იტყოდა. აი ეს დრო იკარგება გაჩერებული რეჟისორებისთვის, მსახიობებისთვის. ყველა ჩემი როლი მიყვარს განურჩევლად. ისინიც, რომლებიც ხალხს მოსწონს და სხვებიც, რაკი დიდი შრომისა და ოფლის ფასად მაქვს განსახიერებული.

**— თქვენზე ამბობენ, ძალიან უყვარს ადამიანები, ძალიან უფრთხილდება მათთან ურთიერთობებსო...**

— რატომ, მე ცხოველებიც მიყვარს. ერთი კავკასიური ნაგაზი მყავს, როგორც ადამიანს, ისე ველაპარაკები. ჩემთან ერთად მისულ სტუმარს არ ერჩის, ეფერება. თუ ვეტყვი, — აბა გაიხედე, ბომბორ, იმას ბოსტანში რა უნდა-მეთქი, ეს თვინიერი არსება მხეცად იქცევა... ხე უნდა გიყვარდეს ადამიანს, მიწა... არ არსებობს არაფერი, ღმერთის შექმნილი, რისი სიყვარულიც არ შეიძლება. ჰოდა, ადამიანები თუ არ გიყვარს, აბა რისთვის არსებობ?

**— მკაცრი მამა ხართ?**

— არა ვარ მკაცრი შვილებისა და მით უმეტეს, შვილიშვილებისათვის. ჩვენი მამა-შვილობა მეგობრობაა. გოგო, მაგალითად, ჩემი მესაიდუმლეა, ბიჭი, შეიძლება დედასთან უფრო იყოს ახლოს.

**— ვიცი, იმას, რასაც ახლა მე ვხედავ, ბევრი ვერც კი წარმოიდგენს: ასეთი ნაჯაფი, დაკოჟრილი ხელების პატრონი ბრძანდებით...**

— მიწა მიყვარს ძალიან. ეს შენი შვილივით არის, იმიტომ, რომ შენი შრომაა და ოფლი. ერთი კვირა რომ იაროს ჩემთან ერთად კაცმა ნაკვეთში, ისიც ველარ მოშორდება აქაურობას.

**— ეს ალბათ პაპისგან გაქვთ...**

— ალბათ... შუადღისას იტყოდა: ახლა შრომა არ შეიძლება, დავისვენოთო. ვეტყოდი: არა მცხელა-მეთქი. შვილო, ვაზის შეწუხება აღარ შეიძლებაო, — მიპასუხებდა.

ალალი შრომით, გარჯით, ჭკუით ნაშოვნი ფული ყოველთვის ალალია. ისე, ვისაც აქვს და ვისაც არ აქვს, მაინც ყველა ერთნაირი საწუხარით არის დამძიმებული. ერთს ეშინია, — არ დავკარგო, არ მომპარონო, მეორე ფიქრობს, — სად ვიშოვო, რა ვქნაო...

პაპაჩემმა იცოდა: ზამთარში გასვენებაში ყოფილხარო? ვყოფილვარ-მეთქი. პალტოიანი მკვდარი გინახავსო? არა-მეთქი. შვილო, 10 პალტო რომ გქონდეს, არ ჩაგატანენ, თან ვერ წაიღებო...

დღესაც არ გამიწყვეტია მიწასთან კავშირი. შვილიშვილები გიჟდებიან: დილომში როდის წაგვიყვანო... ასეა, კვიცი გვარზე ხტის. მეც მათთვის ვშრომობ, თორემ მე მინდა ორი მეტრი მეტრნახევარზე, მეტი აღარ მჭირდება... მინდა შრომა ისწავლონ. თუ შრომა ისწავლეს, არაფერი შეეშლებათ ცხოვრებაში. ისე კი არ არის, კახური ანეგდოტი რომაა: წამო, შვილო, თოხნაში მომეხმარეო. აბა, რას ამბობ, მამი! მე ქართულ მიწაი თოხ დავარტყამო?

**— თქვენი თავისთვის თუ გრჩებათ დრო და ენერგია...**

— დავუშვათ, გადაღებებზე რომ ვიყავი ან საქმეზე სადმე წასული, ჩემთვის წინდაც არ ჩამომიტანია... ხანდახან ღვინოს თუ ვიყიდი ჩემთვის, ისიც თუკი არ გამომიგზავნეს. ხან მეუღლე მეუბნება, — არაფერს ყიდულობ საჭმლის მეტსო. აბა რა! მთავარია ბავშვი მაძღარი იყოს! ტანსაცმლის დაკერება შეიძლება. მე არასოდეს მაკასინები არა მქონია, როცა მოდაში იყო... რა, ვერ გავიზარდე?

**— ყველაზე კარგად მაინც სად გრძნობთ თავს: სცენაზე, შინ თუ მიწაზე მუშაობისას?**

— თავს კარგად იქ ვგრძნობ, სადაც ვხვდები, რომ საჭირო ვარ. თუ სცენაზე უჩემობა შეიძლება, შინ ვარ საჭირო, თუ იქ არ ვარ აუცილებელი, ნაკვეთს ვჭირდები... თუ აქაც დავამთავრებ მუშაობას, ისევ სადღაც გავხდები საჭირო და ასე...

***ლელა ჯიყაშვილი***

# ვინ „მუშაობს“ პოლიტიკოსთა თავებზე?

ნებისმიერი ადამიანისთვის (მით უფრო, პოპულარულისთვის), გარეგნული იერ-სახე ერთგვარ სავიზიტო ბარათსაც წარმოადგენს. ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ნიუანსსაც კი შეუძლია პიროვნების გარეგნობაში საკმაოდ დიდი კორექტივი შეიტანოს. ამიტომ ყველა მაქსიმალურად ცდილობს, კარგად გამოიყურებოდეს, შეძლებისდაგვარად განსხვავებულად ჩაიცვას, დაიხუროს და შესაფერისად დაივარცხნოს თმა. ამ უკანასკნელ-



ისთვის კი, მით უფრო თბილისში, თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზეა გახსნილი სილამაზის სალონები, რომლებიც მომხმარებელს „ხელმისაწვდომ ფასად“ მომსახურების მრავალგვარ მეთოდს სთავაზობენ.

სანამ ჩვენი პოლიტიკური ელიტის ვარცხნილობას შევეხებოდეთ, მანამდე სილამაზის სალონების „საშუალო“ პრეისკურანტს გაგაცნობთ: თმის შეჭრის ფასი 7-დან 16 ლარამდე მერყეობს. დაახლოებით ამდენივე ღირს ფენით დავარცხნა. თმის ქიმიური, ექვსთვიანი გასწორება — 30 ლარიდან ზემოთ (სიგრძის მიხედვით), თმის მელირება (ანუ ალაგ-ალაგ შეღებვა) 20 ლარად შეგიძლიათ; ერთჯერადი კი (დაბანამდე) — თითო ზოლი 2-3 ლარი. აი, დაახლოებით მომსახურების ის ფორმები და ფასები, რასაც ჩვენი სილამაზის სალონები გვთავაზობენ (რა თქმა უნდა, „სვეტსკი“ სალონები იგულისხმება, თორემ ზოგან 2 ლარადაც კი ჭრიან თმას).

თუმცა, პოლიტიკური ფიგურების უმეტესობას შინ მისდის პარიკმახერი. ასეთი, პრეზიდენტის გარდა, პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიაა, რომელსაც სტილისტი (ცნობისათვის: იგი სალონ „ოცნებაში“ მუშაობს), თვეში ერთხელ წყნეთის აგარაკზე ესტუმრება ხოლმე.

რაოდენ უჩვეულოდაც უნდა მოგეჩვენოთ, ადამიანის უფლებათა დამცველი ელენე თევდორაძე თმას თვითონ იჭრის. ბოლო 15 წლის განმავლობაში ერთხელაც არ ყოფილა სილამაზის სალონში. როგორც თავად რესპონდენტმა გვითხრა, ამას ის ადვილად ახერხებს, რადგან საკმაოდ მორჩილი თმა აქვს. სამაგიეროდ, სკოლის დამთავრებამდე ქალბატონ ელენეს ორი უზარმაზარი ნაწნავი ამშვენებდა, თვითონ დაწვნა ვერა და ვერ ისწავლა — ერთს დედა უწნავდა, მეორეს კი — ბებია.

— ცხოვრებაში ერთხელ შევიღებე თმა და ძალიან ვინანე, რადგან არ მომიხდა. თუმცა, მერე, სანამ გამითეთრდებოდა, ხელოვნურად ვიჭაღარავებდი, — გვითხრა ქალბატონმა ელენემ.

ირინა სარიშვილი-ჭანტურია თმას სტილისტ ლუდასთან იჭრის.

— ლუდა ცოტა ხნის წინ გავიცანი და კმაყოფილი ვარ, — გვითხრა ქალბატონმა ირინამ. რაც შეეხება ვარცხნილობის სახელწოდებას, ქვეყნის პირველი „ედეპეშნიკისთვის“ უცნობია — ვარცხნილობის რამდენიმე ვარიანტი შევაჯერეთ და ისე ვიჭრიო.

დაახლოებით ხუთი წლის წინ ირინა სარიშვილი თმას ქერად იღებავდა, თუმცა ამჟამად წაბლისფერი ამჯობინა, — შესაძლოა, ქერა უფრო მიხდებოდა, მაგრამ მაინც ბუნებრივი ფერი ვამჯობინე, — ამბობს ის. ირინა სარიშვილი-ჭანტურია თმას დაახლოებით ორ თვეში ერთხელ იჭრის, რაც 20-30 ლარი უჯდება.

„კახეთის დედოფლად“ წოდებული თელავის გამგებელი მედეა მეზვრიშვილი, ახალგაზრდობიდან მოყოლებული, თმას ოჯახში იჭრის, ხან საკუთარი და ალამაზებს, ხან ახლობლები. იგი არასოდეს ყოფილა პარიკმახერთან. რაც შეეხება თმის საღებავს, ქალბატონი მედეა, „რაც ხელში მოხვდება“, იმით იღებავს. ამჟამად 7 ლარიან საღებავს ხმარობს. თმას კი მაშინ იჭრის, როცა ამის საჭიროება დადგება.

პრეზიდენტის ქალიშვილი, მანანა შევარდნაძე, თმას ყაზბეგის გამზირზე იჭრის. აქვე ისწორებს და ეს სიამოვნება დაახლოებით 30 ლარი უჯდება.

პარლამენტარი ხათუნა ხოფერია სილამაზის სალონ „კვანტრეს“ კლიენტია გახსნის დღიდან. მის დალაქს ემა ჰქვია და, როგორც ქალბატონი ხათუნა ამბობს, დიდად კმაყოფილიცაა. „კვანტრეში“ სიარული ხათუნა ხოფერიას ფინანსებზეა დამოკიდებული. თუ ფული აქვს, კვირაში ერთხელ მიდის ხოლმე. იქვე იღებავს, ისწორებს და ყველაფერ ამაში ხან 20, ხან კი 60 ლარს იხდის თვეში.

ირაკლი ბათიაშვილის საპარიკმახერო ბარნოვის ქუჩაზეა, მის დალაქს კი მარინა ჰქვია. ბატონი ირაკლი უკვე ორი წელია, მხოლოდ მარინასთან იჭრის თმას, დაახლოებით 40 დღეში ერთხელ. საკუთარი თმის ვარცხნილობას „ჩვეულებრივს“ ეძახის. ყოველ შეჭრაზე დალაქს 10 ლარს უხდის. ამაში შედის შეჭრა, თავის დაბანა და ფენით დავარცხნა. ვარცხნილობის შეცვლას ირაკლი ბათიაშვილი არ აპირებს, რადგან ყველა მის ახლობელს ამჟამინდელი „სტრიჩკა“ მოსწონს.

ქართული პოლიტიკის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა, ლუიზა „კარდენახელი“, თითქმის ათეული წლებია, სალონში არ ყოფილა. ქალბატონ ლუიზას თმას მისი მეგობარი ჭრის, რომელიც მოყვარული დალაქია. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ლუიზა შაკიაშვილი სალონში არ დადის, იქ არსებული ხალხმრავლობაა. მეორე კი, ფინანსები.

— გავიგე, ამ ბოლო დროს ძაან გაძვირებულა თმის შეჭრა, სად მაქვს იქ დასახარჯი ფული, — გვითხრა ქალბატონმა , — მე საკმაოდ კარგი თმა მაქვს. არანაირი ფენით გასწორება არ სჭირდება. დავიბან, სავარცხლით გადავივარცხნი და მორჩა.

საკმაოდ საინტერესო ვარცხნილობა აქვს გენპროკურორის პირველ მოადგილე ანზორ ბალუაშვილს. თუმცა, მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა, ვერ დავაზუსტეთ, ვინ არის ბატონი ანზორის სტილისტი. — რა დროს „პრიჩოსკებია“, თავზე მაყრია ყველაფერიო, შემოგვითვალა გენპროკურორის მოადგილემ.

სპეცრაზმის შეფი, თემურ მღებრიშვილი, პოლიციის სამმართველოსთან არსებულ საპარიკმახეროში, დალაქ ვიქტორასთან იჭრის თმას. ვიქტორა უკვე 6 წელია, ამ საპარიკმახეროში მუშაობს და პოლიციის თანამშრომლებს 2 ლარად ემსახურება (თუ თავსაც დაბანს, 1 ლარის დამატება მოუწევს კლიენტს).



ამასთან ვიქტორას ერთი დიდი რვეული აქვს, სადაც „ნისიებს“ იწერს ხოლმე. ხელფასის აღების შემდეგ კი ერთიანად უხდიან ფულს.

სპეცრაზმის ბიჭებს თავად ბატონმა თემურმა ასწავლა შეჭრა.

— ახლა ერთმანეთს კრიჭავენ ხოლმე. მეც მეხერხება შეჭრა, მაგრამ ჩემზე ვერ ვიჭრი, უკან ვერ ვხედავ, — განაცხადა თემურ მღებრიშვილმა.

ექს-პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას თმას მეგობარი სჭრის, რომელიც პროფესიით ალპინისტია. ასე რომ, ბატონი თენგიზი საპარიკმახეროს ხარჯებისგან თავისუფალია.

ზურაბ ჟვანიას მსგავსად, დალაქი შინ მისდის კოკა ყანდიაშვილსაც. თმას შინ იჭრიან პანტელეიმონ გიორგაძე და ბორის კაკუბავაც (თუმცა, ამ უკანასკნელის ამჟამინდელი სალონის ადგილსამყოფელი უცნობია).

როგორც ხედავთ, განსხვავებული აზრის მქონე პოლიტიკოსები არც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გვანან ერთმანეთს.

„კვირის პალიტრა“ მომავალშიც შემოგთავაზებთ ინფორმაციებს, თუ სად იძენენ ტანსაცმელს ჩვენი სახელოვანი პოლიტიკოსები, სად ისვენებენ და ა.შ. ვფიქრობთ, ჩვენს პოლიტიზებულ ცხოვრებაში მსგავსი წერილები წუთით მაინც დაგვავიწყებს „საკაცობრიო“ პრობლემებს. ისინიც (პოლიტიკოსები) ჩვეულებრივი ხალხია, თავისი დადებითი და უარყოფითი ცხოვრებისეული ჩვევებით.

***ზურა ქაჩლიშვილი***

# ბავშვები და სიზმარი



ბავშვის საოცრად რთული რეალური სამყარო — ინტუიცია, გრძნობები, მკაფიო გამოხატულებას ძილში პოულობს. ზომაზე მეტად ემოციური ბავშვები ძალიან ხშირად ხედავენ მკაფიო სიზმრებს, რომელიც შესაძლოა კოშმარად იქცეს. ე.ი. ბავშვის ქვეცნობიერებაში დაგროვილ შეგრძნებებს ვერ უმკლავდება სიზმრების სამყარო. ღამის კოშმარები აშინებენ ბავშვს.

ბევრი დედა ცდილობს, შეშინებულ შვილს ჩაუნერგოს, რომ მას საშიში არაფერი უნახავს. არ შეიძლება ამის გაკეთება, ვინაიდან ასე შიშს ბავშვის სულში მოამწყვდევთ. მიეცით პატარას საშუალება, დაწვრილებით გიამბოთ ყველაფერი, რაც სიზმარში მოხდა, თანაც სჯობს მრავალჯერ მოყვეს. არც ერთი დეტალი არ გამორჩეს, ვინაიდან სიზმრის დეტალური გახსენება შიშს გაუქარწყლებს. გახსოვდეთ, თუ თქვენი პირმშო ამტკიცებს, რომ სიზმარში ცა წითელი იყო და ბალახი იკბინებოდა, არ გაუწიოთ წინააღმდეგობა.

ბავშვის შველა ყველაზე მარტივი საშუალებით შეგიძლიათ. როცა ის თავის ნაამბობს დაასრულებს, მოეხმარეთ, მოიფიქროს სიზმრის სხვა დასასრული: ფანტასტიკური, სასაცილო და აუცილებლად ბედნიერი. ცნობილი ფსიქოლოგი კარლ იუნგი დარწმუნებულია, რომ კოშმარის გადაქცევა ზღაპრად ბავშვს შიშს გაუქარწყლებს. თვალყური ადევნეთ თქვენი შვილის თამაშს. თუ პაწიას რაიმე აწუხებს, თამაშის თემა და მოტივი განუწყვეტლივ გამეორდება. ეს არის მისი ინტუიციური მცდელობა, გაერკვეს თავის ემოციებში.

არ შეიძლება ძილის წინ ხმაურიანი თამაშებით ბავშვის გართობა, ტელევიზორის ყურება, კომპიუტერით თავის შექცევა, გვიანობამდე სტუმრად დატოვება. ძილის წინ სასურველია, ცოტა ხნით გაასეირნოთ სუფთა ჰაერზე, გაუკეთოთ დამაწყნარებელი ბალახების აბაზანა, დაალევინოთ თბილი რძე, ლოგინში ჩააწვინოთ მის საყვარელ სათამაშოსთან ერთად. ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს ჯანმრთელ, უშიშარ ძილს.

*ლიზა №12*

# არ დატოვოთ უყურადღებოდ ცისტიტი

ცისტიტით დაავადების შემთხვევაში, ზოგჯერ შეგვიძლია არ მივმართოთ ექიმს, რადგან ხანდახან მისი სიმპტომები თავადაც ქრება ხოლმე, მაგრამ არსებობს რისკი, რომ დაავადება მწვავე ფორმიდან ქრონიკულში გადავიდეს.

ცისტიტის დროს აუცილებელია ანტიბიოტიკების მიღება და შარდში ბაქტერიების მოსპობა. მკურნალობის კურსში შედის საერთო ჰიგიენური ღონისძიებებიც. პირველ რიგში, რაციონიდან გამორიცხეთ მარილიანი, მწარე, ცხარე საკვები, სუნელები, ალკოჰოლი. დიეტა აუცილებელია. დღის მანძილზე უნდა მიიღოთ სულ ცოტა 1,5 ლ წყალი. მკურნალობის დროს აუცილებლად სიმშრალესა და სითბოში უნდა იყოთ, ვინაიდან სიცივის შეგრძნება რადიკალურად უშლის ხელს მკურნალობას და, მეტიც, შესაძლოა, შარდის შეუკავებლობა გამოიწვიოს. ძალიან ეფექტურია გვირილისა და ევკალიპტის თბილი აბაზანები (37-38$^{0}$) დღეში ორჯერ 10-10 წუთით. დადებით ზემოქმედებას ახდენს აგრეთვე ადგილობრივი თბილი მკურნალობა. აუცილებელია გაესინჯოთ უროლოგს. გამოიკვლიეთ, ხომ არ ხართ დაავადებული ავადმყოფობით, რომელიც ხელს უწყობს ცისტიტს. ხშირად ეს არის სქესობრივი გზით გადასული ინფექციები. უნდა გამოირიცხოს სერიოზული დაავადებები, რომელიც ცისტიტით ინიღბება — პაპილომები, შარდის ბუშტის სიმსივნე, ტუბერკულოზი. სასურველია, შარდგამომყოფი ორგანოების სისტემის სრული ულტრაბგერითი გამოკვლევა.

*ოტდოხნი №15*


**ხალხური მედიცინა**

მაქსიმალური გარანტია!!!

* „ნერვის ანთება“;
* რადიკულიტი;
* ოსტეოქონდროზი;
* „დისკის ამოვარდნა“
* სახსრების დაავადებები.

მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდან!!!

მის: რკინიგზის პოლიკლინიკა, ცოტნე დადიანის 87, კაბ. №11

☎ 69-91-92 (კაბ.); 61-02-97





ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი დავით ქურთუბაძე

თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9

ტელ: 96-95-69; 877-43-31-26



SGS – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

SGS – თანამედროვე ტექნიკური ბაზა

SGS – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

SGS – განკურნების მაქსიმალური გარანტია

SGS – აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


# ინფექცია, რომლის შესახებ უნდა იცოდეთ...

დღეს საქართველოში სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა რიცხვის ზრდა მართლაც რომ შემაშფოთებელია. ძლიერ გავრცელებულ პათოლოგიათა შორისაა - ქლამიდიოზიც. დაავადება ინფექციური წარმოშობისაა და მისი გამომწვევი ბაქტერია ე.წ. ქლამიდიაა. ინფექცია საშიში იმიტომაცაა, რომ ის სქესობრივის გარდა საყოფაცხოვრებო (წყალი, საერთო მოხმარების თეთრეული და ა.შ....) გზითაც „მშვენივრად“ გადაეცემა. აქედან გამომდინარე, მისთვის ასაკობრივი შეზღუდვები არ არსებობს და ის ყოველ ჩვენთაგანს ერთნაირად ემუქრება!

## ცნობები...

მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ ყოველი მეათე პნევმონია (ფილტვების ანთება) ქლამიდიით არის განპირობებული, მაგრამ სირთულის გამო ექიმებს ძლიერ „უჭირთ“ ამ დიაგნოზის დასმა.

იმასაც ამბობენ, რომ ქალთა უშვილობის ყოველი მეორე შემთხვევა სწორედ ქლამიდიური ინფექციის დამსახურებაა.

ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია, ინფექციური პროცესის არსებობა ორგანიზმში სერიოზული პრობლემის საფუძველია და მის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის ფლობა აუცილებელია.

ქლამიდია უჯრედებში პარაზიტობს. მას განსაკუთრებით თვალის ლორწოვანი გარსის, სასუნთქი სისტემის, ფილტვებისა და შარდსასქესო გზების ამომფენი ეპითელიური ქსოვილი „იზიდავს“. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ლორწოვანი გარსის ფართი კანისას ბევრად აღემატება, დარწმუნდებით, რომ ქლამიდიის „ფუნქციონირებისათვის“ ორგანიზმში საუკეთესო პირობებია „შექმნილი“.

ქლამიდიას ეპითელურ უჯრედში მოხვედრის შემდეგ, ძალების მოსაკრებად და გასამრავლებლად 2 დღე-ღამე სჭირდება. შემდეგ ის უმოწყალოდ არღვევს „მასპინძელს“, სისხლის ნაკადით მთელს ორგანიზმში გადაადგილდება, ორგანოებში ვრცელდება და ბოლოს დიდი ხნით ლიმფურ ჯირკვლებში „იბუდებს“.

აქედან ქლამიდიები განმეორებით „სვლებს“ აკეთებენ, რითაც თითქოს უკვე განკურნებული დაავადების რეციდივებს (განმეორებას) იწვევენ.

## ჩივილები, სიმპტომები...

— დამახასიათებელია თვალების წვა, ქავილი, სიწითლე, ცრემლდენა (უნდა გამოირიცხოს მისი ალერგიული ხასიათი). დილაობით მოთეთრო-მოყვითალო ფერის გამონადენი, ქუთუთოების შეშუპება.

— ხანგრძლივად მიმდინარე, ხშირად განმეორებადი პნევმონია, ბრონქიტი და ა.შ.

— წვის შეგრძნება შარდვის დროს.

— წვისა და ქავილის შეგრძნება გენიტალიის (სასქესო) არეში, მომწვანო-მოყვითალო ფერის გამონადენი.

— ხშირად განმეორებადი ცისტიტის (შარდის ბუშტის ანთება), ურეთრიტის (შარდსადენების ანთება) მოვლენები.

— უშვილობა;

— პერიოდულად ლიმფური ჯირკვლების გადიდება და მტკივნეულობა — კისრის, იღლიის, საზარდულის არეში;

— სახსრების ტკივილი (უნდა გამოირიცხოს რევმატიული „წარმოშობა“ — ამ დროს სახსრის ტკივილი ძირითადად წვიმიან ამინდთან არის დაკავშირებული). ეს განსაკუთრებით მსხვილ სახსრებს ეხება — მუხლი, ბარძაყი, მხარი და ა.შ.

## ქლამიდია და ბავშვები...

პატარები შეიძლება ინფიცირებული დედიდან დასნებოვდნენ...

— დაბადებამდე — მუცლადყოფნის დროს;

— მშობიარობის დროს — ქლამიდიით „მოთესილი“ სამშობიარო გზების გავლისას;

— დაბადების შემდეგ — თუკი ბავშვის მოვლის წესები არ არის დაცული — საერთო მოხმარების თეთრეული და ა.შ.

— ბავშვის დაინფიცირებისათვის ყველაზე სახიფათოდ სპეციალისტები ქლამიდიოზის უსიმპტომო ფორმას მიიჩნევენ. როდესაც ადამიანი დაავადების არსებობის შესახებაც არც კი ეჭვობს.

ინფიცირებულთაგან მკურნალობას ყველა არ საიროებს, მაგრამ ექიმის მეთვალყურეობა მაინც აუცილებელია. საქმე იმაში გახლავთ, რომ ორგანიზმში „ჩაბუდებული“ ქლამიდიას ზოგჯერ მოულოდნელ დარტყმას დაინფიცირებიდან რამოდენიმე თვესა და წელში „იძლევა“. სწორედ ამაშია ინფექციის ვერაგობა

## დიაგნოსტიკა...

ინფექციის არსებობაზე ეჭვი ზემოთ ჩამოთვლილი ჩივილების დროს უნდა აღიძრას. რაც შეეხება ზუსტ



დიაგნოსტიკას — ეს სისხლის სეროლოგიური ანალიზით უნდა განისაზღვროს.

მწვავე პროცესის დროს — ე.წ. იმუნოგლობულინი M, ქრონიკულისას კი — იმუნოგლობულინი G.

ეს იმუნოგლობულინები ქლამიდიის წინააღმდეგ ორგანიზმის მიერ გამომუშავებული „ბრძოლის იარაღი“ — ე.წ. ანტისხეულებია.

## მკურნალობა...

ქლამიდიოზი სერიოზულ მკურნალობას მოითხოვს. ქლამიდიოზით გამოწვეული ფილტვების ანთებისას ანტიბიოტიკების დიდი დოზებით ხანგრძლივი მკურნალობაა აუცილებელი.

ანტიბიოტიკები და სხვა სამკურნალო ქიმიური პრეპარატები კვალიფიციური ექიმის მიერ უნდა იქნეს შერჩეული.

*მაია მუხიგული*

# რვა რჩევა მანდილოსანთათვის



ამერიკელმა ექიმმა ბობ არნომ გამოსცა წიგნი, რომელშიც ამტკიცებს, რომ დიეტის საშუალებით შესაძლებელია კიბოს თავიდან აცილება. აუცილებელია რამდენიმე წესის დაცვა:

1. ყოველდღიურ რაციონში სოიას პროდუქტების ჩართვა.

2. უნდა გამოირიცხოს ჩიპსები, კარტოფილი — ფრი და მარგარინი, ხოლო მათ ნაცვლად ყოველ დღე მიიღოთ თევზი ან თევზის ქონი კაფსულების სახით, აგრეთვე 2 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი.

3. აუცილებელია ყველა სახის კომბოსტოს, სტაფილოს, თალგამისა და ბოლოკის მიღება.

4. უნდა მოერიდოთ ცხიმიან ყველსა და რძეს, ხორცსა და ძეხვს. მათ მაგიერ უფრო სასარგებლოა უცხიმო, ალუბლიანი იოგურტი. ეცადეთ დასწიოთ ინსულინის რაოდენობა ორგანიზმში.

5. ყოველ დღე მიირთვით 25-30გ ლეღვი, გამხმარი ქოქოსის კაკალი.

6. აუცილებლად შეიტანეთ რაციონში მწვანე ჩაი, ხილი და ბოსტნეული: მაწყვი, ფორთოხალი, კივი, წითელი ყურძენი, გრეიპფრუტი, ბანანი, სალათის ფურცლები, წითელი წიწაკა და განსაკუთრებით ნიორი.

7. მოერიდეთ ზედმეტ წონას, განსაკუთრებით ცხიმების დაგროვებას მუცლის არეში. ცხიმები და კიბოს უჯრედები დიდი მეგობრები არიან.

8. უარი თქვით ალკოჰოლზე. თუ მაინცდამაინც, მიირთვით მშრალი ღვინო ან ლუდი.

კიდევ ერთი დაკვირვება: მანდილოსნებისათვის აუცილებელია ვიტამინი D, რომელიც გამოიყოფა მზის სხივების შედეგად ქოლესტერინისაგან და გადაიქცევა ჰორმონად. ასე რომ, იმ ქალბატონებს, რომლებიც მზესთან მეგობრობენ, ნაკლებად ემუქრებათ კიბოს დაავადება. 50 წელს მიტანებული მანდილოსნებისათვის აუცილებელია 1 საათი სეირნობა სუფთა ჰაერზე, თანაც ყოველდღე უნდა მიიღონ 2ჩაის კოვზი თევზის ქონი.

ქალბატონებო! ამერიკელი ექიმების რჩევების გათვალისწინება ახალგაზრდობას შეგინარჩუნებთ.

*პოსლედნიე ნოვოსტი №13*

# ჯადო-ექიმის რჩევანი

— ავიტამინოზის თავიდან ასაცილებლად დეკემბრიდან დავიწყოთ პოლივიტამინების რეგულარულად მიღება.

— ჭორფლს ადვილად მოვიშორებთ, თუ გაჩენისთანავე (ორი კვირის განმავლობაში) დღეში ერთხელ წავისვამთ გახეხილ ხახვს.

— გაზაფხულზე უმჯობესია ქუჩაში გამოვიდეთ ხელთათმანებით და სახეზე წავისვათ მზისგან დამცავი კრემი. ქუჩის მტვერი აღიზიანებს და ქერცლავს სახის კანს და ხელებს, იწვევს ალერგიას.

— ავიღოთ თანაბარი რაოდენობის (ორ-ორი ჩ.კ.) ასკილი, ჭინჭარი, კრაზანა და მელიკუდა. დავასხათ 3 ჩ/ჭ ადუღებული წყალი, დავდგათ ნელ ცეცხლზე. 1სთ-ის შემდეგ გადავწუროთ. მივიღოთ დღეში 3-ჯერ, ყავის ფინჯნით ჭამამდე. შველის ფიბრომას.

— ჭორფლისა და ლაქების მოსაცილებლად და სახის კანის გასასუფთავებლად კარგია ხაჭოს ნიღაბი, რომელსაც უნდა გავურიოთ ცოტაოდენი კვერცხის გული და 2-3 წვეთი წყალბადის ზეჟანგი.

— ხველის შესაჩერებლად ენაზე გავიჩეროთ თაფლი, დავამატოთ ძალიან ცოტა კარაქი.

— მომატებული არტერიული წნევისას ენაზე რაიმე ტკბილი დავიდოთ, მოვწუწნოთ კანფეტი ან შაქრის ნატეხი (წინასწარ ამოვავლოთ თაფლში ან შედედებულ რძეში), ხენდროსა და ჟოლოს მურაბა, ჰალვა. ასეთი „ტკბილი თერაპიისთვის“ საკმარისია 5-7 წუთი. დაბალი არტერიული წნევის დროს კი, პირიქით, ენაზე დავიდოთ რაიმე მჟავე, მაგ. ლიმონის ნაჭერი.

— დაღლილობის და გაღიზიანების მოსახსნელად პირში რამდენიმე წუთით დავიგუბოთ პიტნის ჩაი.

— ჟოლოსა და მარწყვის იოგურტის აბაზანა, რომელშიც ქალი 1 საათი უნდა იწვეს, უკეთეს ეფექტს იძლევა, ვიდრე რძისა. იოგურტის მასაჟის შემდეგ ქალის სხეული ისეთი აღმგზნები სურნელით იჟღინთება, რომ ვერც ერთი მამაკაცი ვერ უძლებს ცდუნებას.

— თუ ავადმყოფს ე.წ. ნაწოლები გაუჩნდა, ძილის წინ დაუზილეთ ზურგი და საჯდომი ქაფურის სპირტით. მერე თანაბარი წილი ქაფურის ზეთისა და თუთიის მალამოს ნარევით. შედეგი ნამდვილად გაგაოცებთ.

— თუ რძის დალევის შემდეგ ადამიანი იგრძნობს კუჭის ტკივილს ან დიარეის (ფაღარათის) საშიშროებას — ეს შესაძლოა სულაც არ იყოს მოწამვლის ნიშანი. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის აშლილობას იწვევს ლაქტოზა (რძის შაქარი), რომელსაც მოზრდილი ადამიანის ორგანიზმი პრაქტიკულად ვერ ითვისებს. დანაყეთ თითო ჩ/კ შაქარი და ჩაი, პუდრად ქცეული ფხვნილი გაყავით სამ ნაწილად და უწყლოდ მიიღეთ დღის მანძილზე.

# უჩვეულო მძღოლი



როცა ქ. კლირვოტერის (ფლორიდა) საპოლიციო პოსტს რუხი ფერის „ბიუიკი“ მიუახლოვდა, კანონის დამცავთა ყურადღება მანქანის უჩვეულო სვლამ მიიპყრო. იგი ძალიან ნელა მოდიოდა და წამდაუწუმ გადადიოდა შემხვედრ ზოლზე. პოლიციელებმა იფიქრეს, ალბათ მძღოლი მთვრალიაო და გაჩერების ნიშანი მისცეს. მძღოლმა არ გააჩერა და მშვიდად ჩაუარა პოლიციელებს, რომლებმაც გაოცებისგან პირი დააღეს — მძღოლის ადგილას უზარმაზარი, მწვანე ხვლიკი იჯდა, მოკლე თათებით საჭე ჩაებღუჯა და მანქანა მიჰყავდა! პოლიციელები რამდენიმე წამში მოეგნენ გონს და მოძრაობის წესების დამრღვევს ათი მილის მანძილზე სდიეს. ბოლოს, გზის პირას მიიმწყვდიეს და გააჩერეს. მანქანასთან მისულ კანონის დამცველებს უზარმაზარი იგუანა გულგრილად მისჩერებოდა. გვერდით უდარდელად ხვრინავდა მანქანისა და იგუანას პატრონი. როგორც საპოლიციო განყოფილებაში გაირკვა, ჯონ რუპელი ლხინიდან ბრუნდებოდა. „ბუნებრივია, საჭის მართვის თავი არ მქონდა, სემმა, ჩემმა იგუანამ, მშვენივრად იცის შინისკენ მიმავალი გზა, თანაც მანქანის მართვაც შეუძლია“, — თავს იმართლებდა ჯონი. მიუხედავად დამაჯერებელი არგუმენტებისა, რუპელი მაინც გვარიანი თანხით დააჯარიმეს.

*პრიროდა №4*

# დელფინები – კოსმოსიდან?



ჩინელმა ბიოლოგმა ჰსუ სენსუნგმა ერთობ გააოგნა მეცნიერთა წრე, როცა განაცხადა — დელფინები კოსმოსიდან 100 ათასი წლის წინ ჩამოსულ არსებათა შთამომავლები არიანო. ეს განცხადება მეცნიერებმა და ჟურნალისტებმა, რბილად რომ ვთქვათ, სკეპტიკურად მიიღეს. მაგრამ დოქტორმა ჰსუ სენსუნგმა დაასაბუთა თავისი თეორია. კერძოდ, დაამტკიცა, რომ ზოგიერთ დელფინს ადამიანზე უფრო მაღალი ინტელექტის კოეფიციენტი აქვს. პროფესორი აგრეთვე ირწმუნებოდა, — ზოგჯერ ტელეპათიური კავშირი მაქვს რამდენიმე საცდელ დელფინთანო. „ახალგაზრდა დელფინის კვლევისას ვიგრძენი, — ტვინით უცნაურ სიგნალს ვღებულობდი, — თქვა მან, — მალე მივხვდი, მას დელფინი მაძლევდა. ამ სიგნალებს აღვიქვამდი, როგორც აზრებს და სახეებს...“

პროფესორის ჰიპოთეზის თანახმად, დელფინები დედამიწაზე 100 ათასი წლის წინ მოხვდნენ. თავისი პლანეტიდან, რომელიც მოწამლული აღმოჩნდა, ვარსკვლავთშორისი ხომალდებით ჩამოვიდნენ. დედამიწაზე მათი ტექნოლოგიები უვარგისი აღმოჩნდა და ამიტომ ასწლეულების მანძილზე სრულიად გადაგვარდნენ. ბედის ირონიით „ვარსკვლავეთის სტუმრები“ მეორედ ხდებიან გარემოს დაბინძურების მსხვერპლნი. ჩვენი ოკეანის შხამიან წყლებში ისინი მასობრივად იღუპებიან, მაგრამ ახლა მათ ადამიანთა დახმარების იმედი აქვთ. პროფესორმა თქვა, რომ ჩინეთის ხელისუფლება მის მოსაზრებას სერიოზულად მოეკიდა და ახლა განიხილება საკითხი, თუ რა დახმარება გაუწიონ მეცნიერს მომავალი კვლევებისთვის. „დელფინებთან ჩემი კონტაქტი მხოლოდ საწყის ეტაპზეა, — ამტკიცებს მეცნიერი, მაგრამ იმედი მაქვს, მალე საგრძნობ პროგრესს მივაღწევ. მჯერა, მათ მრავალი რამ აქვთ სათქმელი ჩვენთვის და მათ ცოდნას, რომელიც სრულიად სხვა ცივილიზაციაში ჩაისახა, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ადამიანებისთვის“.

*ტაინაია ვლასტ №2*

# ტრასაზე იწვა ღრუტუნა...



ამერიკაში აგერ უკვე მერამდენე წელია ტარდება ცერემონია, რომლის მსგავსი ჩვენ ჯერ არ გვიხილავს. სანახავად მართლაც ღირს — იგი ხომ ძირეულად განსხვავდება ყველა სილამაზის კონკურსისა თუ ტელეფესტივალისაგან. ლაპარაკია ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის თავიდან ასაცილებლად ამერიკული საზოგადოების უმაღლესი ჯილდოების ოთხფეხა მოძმეებისათვის გადაცემის ყოველწლიურ ცერემონიაზე. სულ ცოტა ხნის წინ ნიუ-იორკში ჩატარდა მორიგი დეფილე. სასტუმრო „ესექსის“ დიდებულ დარბაზში ჯილდოზე წარადგინეს სამი ნომინანტი — ოთხფეხა არსებები, რომელთაც გადაარჩინეს თავიანთი ორფეხა მოძმეები.

წლეულს მეორე ადგილი დაიკავა უჯიშო ძაღლმა, სახელად აბნერმა. მან ხანძრისგან იხსნა პატრონის ოჯახი — იმის ნაცვლად, ფანჯრიდან გადამხტარიყო და ხანძრისაგან თავი დაეღწია, აბნერმა პატრონები გააღვიძა, მერე კი ქუჩაში გავარდა, გამვლელთა ყურადღება რომ მიექცია მომხდარი ტრაგედიისადმი.

მესამე ადგილზე აღმოჩნდა რეტრივერი, სახელად ასპენი. სხვათა შორის, იგი პირველად როდი დაჯილდოვდა — ამ ცერემონიის მოყვარულები კარგად იცნობენ გამოცდილ მაშველს. პირველი ჯილდო ასპენმა 1995 წელს დაიმსახურა, როცა ოკლაჰომა-სიტიში აფეთქებული შენობის ნანგრევებში ხალხს ეძებდა. ამჯერად იგი კოლუმბიის მიწისძვრის შედეგად გაწეული სამაშველო სამუშაოებისათვის დაჯილდოვდა.

დაბოლოს, მთავარი პრიზი გადაეცა შინაურ ცხოველს, რომელმაც თავისი გმირობით გააოგნა ყველა, უფრო სწორად, არა იმდენად გმირობით, რამდენადაც მისი ჯიშისათვის შეუფერებელი ერთგულებითა და გამჭრიახობით. პირველი პრემია გადაეცა... ღორს. ამ მომხიბლავმა ღრუტუნამ, სახელად ლულუმ, გულის შეტევისაგან იხსნა საკუთარი პატრონი. თურმე ლულუ მაშინვე მიუხვდა პატრონს, ცუდად რომ იყო და საჩქაროდ ქუჩაში გავარდნილა. შუა ტრასაზე გაწოლილა და როცა მანქანების ნაკადი შეჩერებულა, ლულუს მისთვის შესაძლო თუ შეუძლებელი მოძრაობებით უნიშნებია მძღოლებისათვის გამომყევითო. დახმარება დროული აღმოჩნდა. ლულუმ კი სახელისა და ჯილდოს გარდა, სიცოცხლის ხანგრძლივი „საგზურიც“ მიიღო. ახლა იგი აღარასოდეს შეხვდება ნაჯახმოღერებულ ყასაბს, ვისთვისაც, სიმართლე უნდა ითქვას, ასუქებდნენ კიდეც.

*მირ ნოვოსტეი №39*

# ცხოველები ჩვენზე ჭკვიანები ყოფილან

ოდითგანვე იყო ცნობილი: გეოპათოგენური ზონების, „დამღუპველი ადგილების“ გავლენა ადამიანზე, მაგრამ წინაპართა ცოდნა თანდათან დავივიწყეთ. ცხოველები კი ჩვენზე გონიერები აღმოჩნდნენ. ძაღლს, მაგალითად, ვერაფრით შეაგდებ სადგომში, რომელიც გეოპათოგენურ ზონაშია აგებული; ქათმები კვერცხს აღარ დებენ და ბუმბული სცვივათ, თუ საქათმე „დამღუპველ ადგილზე“ დგას. ასეთი ზონების კვლევა დასავლეთში ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაიწყეს და შედეგები მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მაგალითად, შტუტგარდში ხუთ ძირითად გზაგასაყარზე აგებულ ონკოლოგიურ საავადმყოფოებში სიმსივნით დაავადებულ ავადმყოფთა სიკვდილიანობა ყველაზე მეტი აღმოჩნდა, სხვა საავადმყოფოებთან შედარებით. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა მანფრედ კურკიმ აღმოაჩინა, რომ სხვაზე ადრე გარდაცვლილი 58 ავადმყოფის საწოლი იდგა მიწისქვეშა ქერქის გარღვეულ ადგილებზე. ექიმმა ე. ჰარტმანმა უჩვეულო ექსპერიმენტი ჩაატარა: მოიწვია ადამიანები, რომელნიც მზად იყვნენ, გაეწირათ თავი მეცნიერებისთვის, დააბინავა ისინი გეოპათოგენურ ზონებში მდებარე ბინებში. ცოტა ხნის შემდეგ პირებმა თავი ცუდად იგრძნეს — გაუხშირდათ პულსი, მოემატათ არტერიული წნევა, შეეცვალათ სისხლის შემადგენლობა. ახლახან პეტერბურგელმა მეცნიერებმა დაიწყეს მავნე კერების კვლევა. მათ შეადგინეს უნიკალური რუკა სანქტ-პეტერბურგისა, სადაც აღნიშნულია მიწისქვეშა ქერქის ნარღვევები, ამასთან შეამოწმეს მილიონობით ადამიანის ჯანმრთელობა. შედეგები გამაოგნებელი აღმოჩნდა. სიმსივნით, ლეიკემიით, გულის იშემიით, გაფანტული სკლეროზით დაავადებულ ადამიანთა უმეტესობა ცხოვრობს ამჟამად გაუქმებული მიწისქვეშა მდინარის კალაპოტების, გვირაბების, მაღაროების ადგილზე. რა თქმა უნდა, მიზეზი მხოლოდ ეს არ არის. ქალაქის ცენტრში მეცნიერებმა აღმოაჩინეს შენობა, სადაც ზემოხსენებული დაავადებანი ლამის პროფესიულია. ეს რადიაციის შედეგი ეგონათ, მაგრამ, არა! სახლი, თურმე, აგებული იყო დიდი ხნის წინ გაუქმებულ მიწისქვეშა მდინარის კალაპოტზე. მეზობლად მდგარ სახლში ასეთი დაავადებულნი 20-ჯერ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მეორეში. უარყოფითად მოქმედებს გვირაბები, წყალსაწრეტები (მიწისქვეშა), ძველი, გაუქმებულ მდინარეთა კალაპოტები, ნამაღაროალი ადგილები. ცხოველებისათვის კი სწორედ ასეთი ადგილები შეიძლება იყოს კომფორტული — კატებს, მაგალითად, ძალიან უყვართ ბინაში ეკოლოგიურად დაბინძურებული ადგილი, ასევე წითელ ჭიანჭველებს, ისინი სიამოვნებით დებენ იქ კვერცხებს და მრავლდებიან.



*ვოკრუგ სვეტ №2*

# კატის წინასწარმეტყველება



— თუ კატა გაზაფხულზე ხშირად დაგორგლილი წევს, ზაფხული ცივი იქნება. თუ ეს შემოდგომაზე ხდება — ზამთარში ძლიერი ყინვებია მოსალოდნელი. იგივე მოხდება, თუ ზაფხულში ღუმელისკენ ან საკვამლე მილებისკენ გაიწევს.

— თუ კატას გემრიელად სძინავს დღისით, კარგი ნიშანია, სითბოს დაიჭერს, მზიანი დღეები დადგება.

— თუ იატაკს ფხაჭნის, ქარი ამოვარდება.

— თუ, მიუხედავად დატატანებისა, კედელს მიადგა, გაავდრდება, თუ მაგიდის ფეხს — ამინდი შეიცვლება.

— თუ თათს ილოკავს, სითბოს დაიჭერს.

— თუ კუდს ილოკავს და თავს მალავს, გაავდრდება.

— თუ აცემინებს, იწვიმებს.

— თუ სამჯერ ზედიზედ დააცემინა, ვიღაცა გაცივდება.

— თუ კატა რომელიმე ოჯახის წევრის თავთან მოკალათდა, ავად გახდომა ელის.

— თუ ოჯახში ვინმე მართლა მძიმედ არის ავად, ასეთი რიტუალი უნდა შესრულდეს: ოთახში, სადაც ავადმყოფი წევს, მორეცხეთ იატაკი. ჭუჭყიანი წყალი კატას შეასხით და მაშინვე გარეთ გააგდეთ. ამბობენ, ეს იდუმალი ცხოველი ჭუჭყთან ერთად სახლიდან ავადმყოფობასაც გაიტანსო.

— თუ კატას მაგიდაზე წოლა და ძილი უნდა, დაუშალეთ, გააგდეთ. თუ მაინც არ დაიშლის თავისას, იცოდეთ, ვიღაცის სიკვდილს მოასწავებს.

— თუ კატები „პირს იბანენ“ და ყურის ძირს „ისუფთავებენ“, მოულოდნელი სტუმარი გეწვევათ.

— თუ კატა იზმორება და უკანა ფეხებზე იწევა, თანაც ვინმესკენ მიიწევს, ძვირფასი საჩუქარი ან რაიმე ახალი გელის.

— ჯერ ერთი, არასოდეს იჩუქოთ კნუტი, მაგრამ ნურც დიდ თანხას გადაიხდით. ჩვეულებრივ, კნუტში აძლევენ მაგრად მოხარშულ კვერცხს და რამდენიმე კაპიკს.

— ახალ სახლში ჯერ კატა შედის, შემდეგ — პატრონი.

— ყურადღება მიაქციეთ, რომელ ადგილს ამოიღებს თვალში კატა. იმის მიხედვით განალაგეთ ავეჯი. კატის მოწონებულ ადგილებზე ავეჯს ნუ დადგამთ, განსაკუთრებით საწოლებს, სამუშაო მაგიდებს, სავარძლებს, რომლებშიც გიყვართ მოკალათება. დაიმახსოვრეთ: რაც კარგია კატისთვის, ის ადამიანისთვის მავნეა.

კატის საყვარელ ადგილებში ბინის უარყოფითი მუხტია თავმოყრილი. კატა მას დადებით მუხტად გარდაქმნის, ეს ცხოველი ისე ასუფთავებს ბინას უარყოფითი მუხტისგან, როგორც კარგი მტვერსასრუტი.

— მომაკვდავი კატა არამც და არამც არ დატოვოთ სახლში. ისინი, მადლობა ღმერთს, თვითონ მიდიან. თუ არ წავლენ, თქვენ გაიყვანეთ, საჭმელიც დაუტოვეთ, თუ არა და, ოჯახში შეიძლება დიდი უბედურება დატრიალდეს. ღმერთმა ნუ ქნას!

*პოსლედნიე ნოვოსტი №29*

# ცივილიზაციის ნაყოფი

ჩვენ მესამე ათასწლეულის ზღურბლზე ვდგავართ. დადგა დრო, ცივილიზაციას ეზიარონ ჩვენი უფროსი (დარვინის მიხედვით) ნათესავი-პრიმატები.

მაგალითად, სენეგალელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს შიმპანზეთა და ბაბუინების მთელი კოლონიები, რომელთაც სანიტარიისა და ჰიგიენის საფუძვლები შეუსწავლიათ. ახლა ისინი გაურბიან წყლის დალევას დაბინძურებული გუბეებიდან. უფრო მეტიც, ფილტრავენ მას: ქვიშაში ორმოს ამოთხრიან და ელიან, როდის აივსება. გამოკვლევებმა ცხადყო, თუ გებეებში უხვადაა მავნე ორგანიზმები, ქვიშით წყლის გაფილტვრის შემდეგ იგი სრულიად უვნებელი ხდება. მეცნიერთა აზრით, პრიმატები თვითონ „ცხოვრებისეული პრაქტიკით“ მიხვდნენ ქვიშის მადეზინფიცირებელ თვისებას.

პრიმატებს ფილმების ყურებაც უყვართ და თურმე მათგან სასარგებლო ჩვევებსაც იძენენ. პეკინის ზოოპარკის სამმა მკვიდრმა, ძუ შიმპანზეებმა — ჟასმინმა, ანიტამ და ანაკერმა კატეგორიულად თქვეს უარი შვილების გამოკვებაზე. აღმოჩნდა, რომ ასეთი რამ მარტო ადამიანებს შორის როდი ხდება, დიდხანს იწვალეს ზოოპარკის თანამშრომლებმა, მაგრამ დედებს შვილებზე გული ვერ მოუბრუნეს. მაშინ ვოლიერში ტელევიზორი დადგეს და სამ შიმპანზეს უჩვენეს ფილმები მზრუნველ დედებზე. ჩანს, ამან მათი გულები მოალბო, რადგან დედობრივი ინსტინქტი გაეღვიძათ.



თურმე შიმპანზეს შესძლებია დედებისა და შვილების ამოცნობა გარეგნული მსგავსების მიხედვით. შიმპანზეს უჩვენებდნენ სხვა შიმპანზეებისა და მათი შთამომავლების სურათებს. მცირე ხნის დაკვირვების შემდეგ, ისინი თითქმის უშეცდომოდ ცნობდნენ დედებსა და მათ მამრობითი სქესის შთამომავლებს. ძუები ცნობენ თავიანთ ხვად ნათესავებს. ამით თავიდან ირიდებენ მათთან ახლო ურთიერთობას. ხვადი შიმპანზეები ცნობენ თავიანთ ბიძაშვილებს და ეს ეხმარება მათ შეკავშირებაში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მაიმუნების ცხოვრებისთვის.

*ორაკული №2*

# თეთრი მარტორქების დაბრუნება



მათი გამოსახულება რამდენიმე ათასი წლის წინ კლდეებზე გამოჩნდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კაცობრიობა თეთრ მარტორქას ჯერ კიდევ უძველეს დროს შეხვდა, მაგრამ ეს შეხვედრა ამ ცხოველებისთვის, რომლებიც სიდიდით მხოლოდ სპილოებს ჩამორჩებიან, საბედისწერო აღმოჩნდა.

XV საუკუნეში, ევროპელების პირველივე გამოჩენიდან სამხრეთ აფრიკაში და შემდგომ სამ ასწლეულში, თეთრი მარტორქები მონადირეთა ნადავლს შეადგენდნენ. მიუხედავად მათი გიგანტური ზომა-წონისა (2 200 კგ) ისინი უსუსურნი აღმოჩნდნენ ცეცხლსასროლი იარაღის წინააღმდეგ. თავიდან მათ ხორცის გამო ხოცავდნენ, XX-XX საუკუნეებში კი მათ უზარმაზარ თავებს მონადირეები ფიტულებად იყენებდნენ და თავიანთ საცხოვრებლებს ალამაზებდნენ. გიგანტების რიცხვი კატასტროფულად იკლებდა, ბუნებას კი არ ძალუძდა მათი შევსება: ამ ძუძუმწოვრების პოპულაციის ბუნებრივი ზრდა ძალიან ნელა მიმდინარეობდა — მდედრი თეთრი მარტორქა მხოლოდ ერთ პატარას ბადებს და ამ პროცესს 16-17 თვე სჭირდება.

ჯერ კიდევ XX საუკ. სამხრეთ აფრიკაში შეხვდებოდით წყალთან ღამით მისული მარტორქების ჯოგს, მათი რქების სიგრძე მეტრს აღემატებოდა. მაგრამ 70-იან წლებში ყველანი დახოცეს, სასტიკად და უაზროდ. იყო შემთხვევა, როცა მონადირე გაედევნა დაჭრილ ანტილოპას და გზად შემოხვედრილი ოთხი მარტორქა უბრალოდ მოკლა და მათი მძორი მგლების საძიძგნად დატოვა. ბევრი ამაყობდა კიდეც, რომ ერთ დღეში 8-9 მარტორქა მოკლა.

ძველთაგანვე მარტორქის რქით ვაჭრობდნენ, მისგან თასს აკეთებდნენ. ამბობდნენ, რომ ასეთ თასებს მაგიური ძალა ჰქონდათ და სითხეში ჩასხმულ ნებისმიერ საწამლავს აღმოაჩენდნენ. სწამთ, რომ რქისგან დამზადებული ფხვნილი პოტენციას ამაღლებს, ამიტომაც ბრაკონიერები დღესაც კი უმოწყალოდ ხოცავენ მარტორქებს და რქებს ზღაპრულ ფასად ყიდიან „შავ ბაზარზე“.

საბედნიეროდ, თეთრი მარტორქა სასწაულებრივად გადაურჩა სრულ განადგურებას. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ბუზმა ცე-ცემ გადაარჩინა. იმ ადგილებს, სადაც ცე-ცე იყო და შინაურ პირუტყვს ანადგურებდა, ადამიანები უფრთხოდნენ. სწორედ ამან იხსნა მარტორქები.

სამხრეთ აფრიკაში, XX ს.-ის დასასრულს გადაიდგა პირველი ნაბიჯები თეთრი მარტორქების გადასარჩენად. ნაციონალური პარკების ტერიტორიაზე აიკრძალა მათზე ნადირობა. მიუხედავად ამისა, ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ჯერ კიდევ არსებობდა მათი გაწყვეტის საშიშროება. სამხრეთ აფრიკაში სულ 50-100 თეთრი მარტორქა ცხოვრობდა, თანაც მხოლოდ ერთი ნაკრძალის ტერიტორიაზე.

1960 წლიდან მეტი მონდომებით შეუდგნენ ამ ძუძუმწოვრების შენარჩუნებას. მათ აძინებდნენ, იჭერდნენ და გადაჰყავდათ სპეციალურ ნაკრძალებში. დღესდღეობით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ველებზე დანავარდობს 8.000-მდე თეთრი მარტორქა. ნაკრძალის თანამშრომლები იმედოვნებენ, რომ ახალ ათასწლეულში საგრძნობი მატება იქნება.

*ეხო პლანეტი №5*

# პინგვინებს საკუთარი ტელეფონი ჰქონიათ

ფრანგმა ბიოლოგებმა, რომლებიც საიმპერატორო პინგვინებს აკვირდებოდნენ, აღმოაჩინეს, რომ მათ მათემატიკის ნიჭი აქვთ. ეს განსაკუთრებით მაშინ ვლინდება, როცა პინგვინის წყვილს ერთმანეთთან შეხმიანება სურს. ამისათვის კოლონიაში, სადაც ათასობით მოზუზუნე პინგვინია, ანტარქტიკული ქარი ქრის და ზვირთცემის გუგუნი ისმის, პინგვინები იძულებულნი არიან, სხვადასხვა ხერხს მიმართონ. ახლობლის ადგილმდებარეობის მოსაძებნად, პინგვინი გამყინავად ყვირის. პასუხის გაგონებისთანავე იგი აგრძელებს „სიტყვით გამოსვლას“. იბმება დიალოგი და ორი პინგვინი ერთმანეთს პოულობს ათასობით მოსაუბრეთა შორის.

როგორც კი კოლონიაში ქარი გაძლიერდება ან თანამოძმენი ხმას აუწევენ, პინგვინები ხმაურის პირდაპირპროპორციულად გაზრდიან ხმოვანი სიგნალების სიხშირეს. როგორც ბიოაკუსტიკოსი ტერი ობინი ადასტურებს, პინგვინები თითქოს თანამედროვე კომუნიკაციის თეორიით სარგებლობენ.

*ნლო №40*

# უინულის ადამიანები

რამდენიმე თვის წინ ტუპანგატოს (ანდები) მთების ძირში მდებარე არგენტინის სოფლის მცხოვრებლებმა ხელისუფლებას აცნობეს უჩვეულო არსებების გამოჩენის შესახებ. ადგილობრივი მონადირეები ადრეც ნახულობდნენ ყინულის გამოქვაბულების მახლობლად ხელკეტებით შეიარაღებულ, ნადირის ტყავებით შემოსილ უცნაურ ველურებს. მათ ხან ყინულის ადამიანებად მიიჩნევდნენ, ხანაც მთებში მოხეტიალე მიცვალებულთა სულებად. ბოლო დროს უცნაურმა არსებებმა მოუხშირეს დასახლების მახლობლად გამოჩენას.



სამეცნიერო ექსპედიციის წევრები მათთან კონტაქტში შევიდნენ, თუმცა ეს ადვილი არ იყო. პირველყოფილი ადამიანები უკიდურესად აგრესიულნი გამოდგნენ, თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ მიმიკებითა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბგერებით. ცოტანი იყვნენ — ოციოდ კაცი, ქალი და ბავშვი. ისინი გამოქვაბულში ცხოვრობდნენ, კეტებით ნადირობდნენ დათვებსა და გარეულ თხებზე.

მეცნიერებმა ვერ დაადგინეს, საიდან მოხვდნენ ეს თეთრი ადამიანები მიუვალ მთებში, როგორ ახერხებდნენ ცხოვრებას ასეთ დაბალ ტემპერატურაზე. პროფესორმა ხოსე არიენდემ მოიძია ალპური ექსპედიციის მასალები — მთამსვლელები შემთხვევით წასწყდომიან თვითმფრინავის ფიუზელაჟის ნარჩენებს, რომელშიც ოთხი ცხედარი უნახავთ. ამ ფაქტზე დაყრდნობით, მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ფიუზელაჟი ეკუთვნოდა ლაინერს, რომელიც ლონდონიდან სანტიაგოში მიფრინავდა და ტუპანგატოს მთებში დაიღუპა 1947 წლის 2 აგვისტოს.

დოკუმენტების მიხედვით, ეკიპაჟის წევრების გარდა, თვითმფრინავში იჯდა 11 მგზავრი. „ჩვენი აზრით, გამოქვაბულის ადამიანები დაღუპული ევროპელების შთამომავალნი არიან“, — თქვა დოქტორმა არიენდემ.

მეცნიერებს განზრახული აქვთ ველურებზე მუდმივი დაკვირვება და მათი ნელ-ნელა ცივილიზებულ საზოგადოებაში დაბრუნება, მანამდე კი აპირებენ დნმ-ის საშუალებით დაადგინონ მათი წარმომავლობა — თუკი ისინი მართლა დაღუპული ლაინერის მგზავრების შთამომავალნი არიან, უთუოდ ეყოლებათ ნათესავები ინგლისში ან ევროპის სხვა ქვეყანაში, რომლებმაც არც კი იციან, რომ მათი ძმები, დები, ნათესავები ან შვილიშვილები პირველყოფილ ცხოვრებას ეწევიან.

**სანი №8**



1947 წელს ბათუმის სავაჭრო ტექნიკუმში ვსწავლობდი, მაშინ 18 წლისა ვიყავი. თუ კარგი ამინდი იდგა, პარასკევ საღამოს მე და ჩემი თანასოფლელები თბილისი-ბათუმის მატარებლით შინისკენ გავწევდით ხოლმე.

მატარებელი ჩვენს ბაქანზე ღამის პირველ საათზე მიაკივლებდა. ჩვენ ჩამოვხორხოცდებოდით გაჩერებაზე და სახლამდე ფეხით დავადგებოდით გზას. კარგა დიდი მანძილი მარტო უნდა გამევლო. წინ მედო 3 კმ აღმართი და ტყით დაბურული საურმე გზა.

იმ ღამითაც, დავცილდი თუ არა ამხანაგებს, მარტოდმარტო შევუყევი შარას. ღამე იყო მთვარიანი და დღესავით ნათელი. ნახევარი გზა მექნებოდა გავლილი. მარცხენა მხარეს, კბოდეს, ტყრუშული ღობე იყო, რომელსაც მაღალი აკაციის ხეები მიუყვებოდა. უცებ დავინახე მარჯვენა მხრიდან ამ კბოდეს უახლოვდება კარგა მოზრდილი გალაზლაზებული ცეცხლის ბურთი, რომელიც მოძრაობდა მარჯვნიდან მარცხნივ, ნელი, თანაბარი ბრუნვითა და თან ნაპერწკლებს აფრქვევდა. მაგრამ ეს ნაპერწკლები ბურთის ზედაპირს არ სცილდებოდა. გასაკვირი ის იყო, რომ იგი არც ერთ ბუჩქს არ ეხებოდა, დაახლოებით 10 სმ სიმაღლეზე გადაუვლიდა. თმა ყალყზე დამიდგა. ადგილს მივეყინე. ორი მეტრის სიშორიდან, სუნთქვაშეკრული მივჩერებოდი ამ სასწაულს. ბურთი გადაევლო შემხვედრ ბუჩქს, მოაღწია გზის მარჯვენა ნაპირს, გადმოსცილდა კიდეს, დაეშვა მიწიდან ორ მტკაველზე, მიცურდა ღობემდე. მერე ნელ-ნელა იწყო მაღლა სვლა. ასცდა ღობეს, აკაციის ხესაც, ზემოდან გადაუარა, შემდეგ დაეშვა ისევ დაბლა და ქვემოთ, ფერდობისაკენ გააგრძელა გზა. მე კი ვიდექი და მოჯადოებული ვუცქერდი მანამ, სანამ თვალს მიეფარებოდა. შეშინებული სირბილით გავქანდი შინისკენ.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაშინ ეს ამბავი მხოლოდ ჩემიანებს მოვუყევი. ბებიაჩემმა მითხრა: — ეს, შვილო, მკვდრის სული იქნებოდაო. ზოგმა მითხრა, — მოგელანდებოდაო, მაგრამ მე ხომ მჯერა, რომ ამ იშვიათ მოვლენას ჩემი თვალით, ორი მეტრის მანძილზე თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში ვუცქერდი.

# თვალით ნანახი საოცრება

**ბიჭიკო ჩაჩუა, ბათუმი**

*პატივცემულო მკითხველო, გთხოვთ მოგვწეროთ იმ უცნაური, აუხსნელი მოვლენების შესახებ, რომელიც თქვენ განგიცდიათ, თქვენს ახლობელს გადახდენია თავს ან ვინმესგან გაგიგონიათ.*

*მასალები მოგვაწოდეთ ჩვენი საფოსტო ყუთების საშუალებით*

**რედაქცია**

# დეპუტატ სკოჩის აფრიკული საიდუმლო

**ერთხელ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა სპირიტიზმის მორიგი სეანსი ჩაატარეს. კომპანია მეგობრული იყო — ტყუპი ძმები კურნოსოვები, სათვალიანი, მოლუშული ყმაწვილი ვენია და მუდამ იდუმალი ანდრეი სკოჩი.**

ვენიას მამამ — ცნობილმა ეთნოგრაფმა, აფრიკის სპეციალისტმა, ზაირიდან ძალზე საშიში შამანური ნიღაბი ჩამოიტანა. იგი ეკუთვნოდა ხურის ტომელ ბებერ შამან ქალს, რომელიც თანატომელებმა ცოცხლად დაწვეს. სიკვდილის წინ ცეცხლის ალში გახვეულმა ქალმა დასწყევლა თვისტომნი. წყევლის წარმოთქმის შემდეგ აალებული თმის ბღუჯა მოიგლიჯა და მხარზე ესროლა „შავ მარტორქას“ — ტომის ბელადს. „ამ ნიშნით ყველგან მოგაგნებ, ქვეყნის დასალიერშიც კი“, — იწივლა ჯადოქარმა და სული განუტევა.



...ღამით, 12 საათზე, სპირიტული ძმობის წევრები ნიღბის ირგვლივ განლაგდნენ. ჯერ ფიცით გამოიხმეს ნიღბის სული. თავიდან ყველაფერი მშვიდად მიდიოდა. შემდეგ ბნელ ოთახში მსუბუქმა ნიავმა დაუბერა, რომელიც მალე ქარბუქად იქცა ნამდვილი საშინელება დატრიალდა. თაროებიდან ჩამოცვენილი წიგნები უზარმაზარ მორიელებად გადაიქცა, ფანჯრის ჩამსხვრეული მინებიდან ჩონჩხადქცეული ხელები მოჩანდა.

ამ ჯოჯოხეთიდან გაქცევა შეუძლებელი იყო — კარის ნაცვლად მესერი აღმართულიყო, რომლის წვეტიან მარგილებზე ადამიანთა თავები ჩამოეცვათ. უცებ ნიღბის ადგილას გაჩნდა საშინელი არსება — ნახევარქალი, რომელსაც ხელ-ფეხზე კვამლი ასდიოდა, თვალების ნაცვლად ავად უვარვარებდა ნაკვერჩხლები. ბიჭები საზარელმა შიშმა მოიცვა. ალქაჯი ჯერ ტყუპებს გაუსწორდა — ძმებს ფეხებში ჩაავლო ხელი და ერთმანეთს ისეთი ძალით შეანარცხა, ძვლები აქეთ-იქით ცვიოდა, შემდეგ ვენია ისე მსუბუქად ასწია, თითქოს ჩალის ღერო უჭირავსო. ძირს დაახეთქა და მერე ჭაღის კაუჭზე დაკიდა.

ის იყო, შამანმა ხელი გაიწოდა მორიგი მსხვერპლისაკენ, რომ მოულოდნელად შეჩერდა, გავარვარებულ თვალთა მზერა სკოჩის გაშიშვლებულ მხარს მიებჯინა. მხარზე კარგად მოჩანდა ნახევრად შეხორცებული დამწვრობის კვალი.

— შენ „შავი კამეჩის“ სული ხარ, — ჩაიჩიფჩიფა და სკოჩის წინაშე დაემხო, — მხოლოდ შენ ერთმა არ მესროლე მუგუზალი. ამიტომაც ახლა მთელ ჩემ ძალმოსილებას მოგცემ, რომ შური ვიძიო ადამიანებზე, — თქვა და ნახშირადქცეული თითით ოდნავ შეეხო სკოჩს ხელზე. ჩანავლულ ნაკვერჩხლებზე ალმა იფეთქა.

ამ ამბის შემდეგ ანდრეი სკოჩმა იგრძნო, რომ სხვა ადამიანად იქცა. მას იოლად შეეძლო სხვათა ქვეცნობიერებაში შეღწევა, მათი აზრების წაკითხვა და საკუთარის ჩანერგვა.

ერთხელ მეგობრებს დაენაძლევა, — ყოველგვარი რეკომენდაციის გარეშე სახელმწიფო უშიშროებაში მოვეწყობი სამუშაოდო. ცხადია, დასცინეს. და როგორ გაოცდნენ, როცა გაიგეს, რომ სკოჩი ხელმძღვანელობდა საიდუმლო ლაბორატორიას, რომელიც აქტიურად მუშაობს ჩაგონების პრობლემებსა და ნეიროლინგვისტურ პროგრამირებაზე!

ხურის ტომელი შამანი ქალისაგან მიღებული ძალმოსილება თანდათან იზრდება. თუკი ადრე სკოჩს შეეძლო დაეძინებინა ხუთი კილომეტრით მისგან დაშორებული სპილო, ახლა ადვილად ემორჩილება მთელი ქალაქი. მიღებული ძალის ხარისხის შესამოწმებლად სკოჩმა მოაწყო გამაოგნებელი შოუ, რომელსაც თავად უწოდა „გოსდუმის დეპუტატთა არჩევნები 63-ე ოლქში“. მან თავის უძლიერეს ჰიპნოზურ ექსპანსიას დაუმორჩილა ყველა — მოწინააღმდეგე, საარჩევნო კომისია და ელექტორატიც.

სკოჩის საარჩევნო კამპანიის თვითმხილველნი ადასტურებენ, რომ მისი დამაჯერებელი გამარჯვების მიზეზი ამომრჩეველთა მასობრივი ზომბირება და შეუბრალებელი, გულგრილი ჰიპნოზი იყო.

იგივე ხალხი ყვება, რომ საარჩევნო უბანზე მოხვედრისთანავე თითქოს ცეცხლის ალში ეხვეოდნენ, ეწვოდათ კანი, თმა, სახსრები მანამ, სანამ საჭირო ადგილას — სკოჩის გვარის გასწვრივ არ დასვამდნენ დადებით ნიშანს. შეძრწუნებული ამომრჩეველი ამტკიცებდა, რომ ეს-ეს არის, პირისპირ შეეჩეხნენ ქალის საშინელ აჩრდილს, პირიდან ფერფლს და ნაცარს რომ აფრქვევდა.

სკოჩმა ყველას მოუგო. სულ ბოლოს დამარცხდა ადგილობრივი კომისიის თავმჯდომარე, რომელმაც დილით აღმოაჩინა, რომ ხელებზე საშინელი დამწვრობა მიიღო. შიშისაგან კინაღამ გაგიჟდა და მაშინვე დაამტკიცა არჩევნების შედეგები. არჩევნების მეორე დღეს, ღამით, სკოჩს შამანი გამოეცხადა. „შური უკვე ვიძიე, — კმაყოფილებით წარმოთქვა მან, — „შავი კამეჩის“ სულმა დაამარცხა ადამიანები. აწი მას ველარაფერი შეაჩერებს“. ამჟამად სკოჩი გოსდუმაშია. ამბობენ, როცა სხდომებზე გამოჩნდება ხოლმე, დეპუტატებს ეჩვენებათ, რომ ირგვლივ ისე ხურს ყველაფერი, საცაა ხანძარი გაჩნდება. ფრაქციები სასწრაფოდ ტოვებენ დარბაზს, გაოგნებული მეხანძრეები კი მხრებს იჩეჩავენ. ისინი აზრზეც კი არ არიან, რომ „ხანძრის“ ნამდვილი წყარო გოსდუმიდან ათას კილომეტრზე, ზაირის ერთ ველზეა, სადაც ოდესღაც ხურის ტომელი შამანი ქალი დაწვეს...

P.S. ეს, ერთი შეხედვით დაუჯერებელი ამბავი სასწაულებრივად გადარჩენილმა ვენიამ მიამბო. სეანსის შემდეგ იგი დიდხანს მკურნალობდა, მაგრამ უნივერსიტეტის დამთავრება მაინც ვერ შეძლო. ვენია იმ კოშმარულ ღამეს მომხდარი ამბების შესახებ 10 წელი დუმდა, სანამ დეპუტატთა სიაში შემთხვევით სკოჩის გვარი არ აღმოაჩინა. ამის შემდეგ რედაქციაში დამირეკა.

მეორე დღეს ვენია გაქრა...

სამწუხაროდ, ჯერ ვერ მოვახერხეთ, მიგვეღო კომენტარი იდუმალი დეპუტატისაგან.

**ტაინაია ვლასტ №4**

# ტესტი — შემეცნებითი პროცესების გასავითარებლად

***ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში შემეცნებითი პროცესების გამოსაკვლევად მრავალი მეთოდი თუ ტესტია შემუშავებული, რომლის საშუალებითაც ხდება ფსიქიკური ფუნქციების (აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება) კვლევა.***

***გთავაზობთ მეხსიერების, კერძოდ, ცნობის მეხსიერების საკვლევ ტესტს.***

***ცდის აღწერა: 20 წამის განმავლობაში, ყურადღებით დააკვირდით №1 ცხრილში ჩასმულ 9 ფიგურას. ცდის მეორე ეტაპზე გეძლევათ №2 ცხრილი, რომელშიც 25 ფიგურაა. თქვენი ამოცანაა, ამ ფიგურებში ამოიცნოთ თქვენ მიერ №1 ცხრილში დამახსოვრებული ფიგურები. მაქსიმალური დრო — 20 წამია.***

**ცხრილი №1**



**ცხრილი №2**



**ცდის შედეგები:**

**ა) თუ თქვენ 9 ფიგურიდან ზუსტად ამოიცანით 7 ფიგურა, ბრწყინვალე (სანიმუშო), ე.წ. ფოტოგრაფიული ცნობის მეხსიერება გქონიათ. წარმატებით იმუშავებდით იურისპრუდენციაში. უშიშროების სამინისტროსთვის კი შეუცვლელი მუშაკი იქნებოდით.**

**ბ) 5–6 ფიგურის სწორად ამოცნობის შემთხვევაში, ცნობის მეხსიერება „კარგი“ ნიშნით ფასდება. თქვენ მშვენიერი არქიტექტორი, დიზაინერი, ისტორიკოსი, პოლიტიკოსი, ეკონომისტი იქნებოდით.**

**გ) 3–4 სწორად ამოცნობილი ფიგურა „დამაკმაყოფილებლად“ ფასდება. ორგანიზატორული უნარი ნაკლებად გაგაჩნიათ. თქვენი უნარით საშუალო ტექნიკური მუშაკი გახდებოდით, ანდა საშუალო დონის პედაგოგი.**

**დ) 3 ფიგურაზე ნაკლების ამოცნობა „არადამაკმაყოფილებლად“ ფასდება — და, შესაბამისად, ნაკლებია პრეტენზიის დონეც. საპასუხისმგებლო „პოსტი“ თქვენთვის ძვირი სიამოვნებაა. ინტელექტუალური საქმიანობისგანაც შეძლებისდაგვარად თავი შეიკავეთ. ფიზიკური შრომა ნაკლებ პრობლემებს მოგიტანთ.**

**მნიშვნელობა ენიჭება დროის ფაქტორს და შეცდომათა რაოდენობასაც. რაც მეტია შეცდომით გამოცნობილ ფიგურათა რიცხვი, მეტია ყურადღების გაფანტულობის ხარისხი.**

**ასეთ შემთხვევაში საპასუხისმგებლო საქმიანობისთვის ვერ გამოდგებით. არც ფინანსებთან მჭიდროდ დაკავშირებულ პროფესიას გირჩევთ, რადგან მეტ დაბნეულობას მეტი გაუგებრობა და ზარალი მოსდევს.**

*თუ დაწესებულ რეგლამენტს (20 წმ) მნიშვნელოვნად გადააჭარბებთ, ეს მიუთითებს რეაქციის სისწრაფის სისუსტესა და ასთენიზაციაზე (ფსიქო-ფიზიკური სისუსტე). ასეთ შემთხვევაში მოერიდეთ პროფესიებს, რომელიც სისწრაფესა და ოპერატიულობას მოითხოვს.*


## ფირმა «გარანტი»

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი



ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.

სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.

მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78

სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები

☎ 34-05-52; 63-05-26; 877-43-85-69

ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;

— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;

— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.**

# ქართულ ფეხბურთს „ჯადოსნური ჯოხი“ სჭირდება

26 აპრილს საფეხბურთო ევროპამ ამხანაგური მატჩებისათვის „მოიცალა“.

მორიგი შეხვედრა გამართა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, რომელიც ერევნის „რაზდანის“ სტადიონზე სომხეთის გუნდს დაუპირისპირდა. სხვადასხვა მიზეზთა გამო ყიფიანმა და ძოძუაშვილმა ლეგიონერთა ძირითად ბირთვს თავი ვერ მოუყარეს და ფაქტობრივად, გუნდმა მეორე შემადგენლობით ითამაშა. ამდენად, სტუმრად დასრულებული ფრე, თუნდაც სომხეთის ნაკრებთან, ცუდი შედეგი არ უნდა იყოს, თუმცა კარგიც არ ეთქმის. უნდა აღინიშნოს, რომ სომხები მთელი სერიოზულობით ემზადებოდნენ ამ შეხვედრისათვის. მასპინძელთა მწვრთნელმა ვარუჟან სუკიასიანმა ქვეყნის ყველა უძლიერესი მოთამაშე იხმო, „რაზდანზე“ მისული 23.000 მაყურებელი თავისი გუნდისაგან რევანშს ითხოვდა. ალბათ გახსოვთ, სამი წლის წინ ყიფიანის სადებიუტო მატჩში ჩვენებმა სომხებს 7:0 რომ მოუგეს. რევანში არ შედგა. უფრო მეტიც, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა სომეხ თანატოლებს კობა წიტაიშვილის გოლის წყალობით 1:0 მოუგო. ასე რომ, საერთო ჯამში ჩვენები გამარჯვებულნი დაბრუნდნენ. ძირითადი გუნდების მატჩს დავუბრუნდეთ. თამაში არცთუ საინტერესო და სანახაობრივი გახლდათ. ჩვენებმა 3-4 მეტ-ნაკლებად საგოლე მომენტი შექმნეს და გამარჯვებაც შეეძლოთ. „7:0-ის შემდეგ ნულოვანი ფრე ურიგო შედეგი არ არის, თუმცა გამარჯვება ძლიერ გვინდოდაო“ — აღიარა სუკიასიანმა.



ნაკრებმა ერევანში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *გრიშიკაშვილი, ნემსაძე, თოდუა, მიქაძე (რეხვიაშვილი 35), სილაგაძე, ხიზანიშვილი (დიდავა 72), სიჭინავა, ალექსიძე (მენთეშაშვილი 55), ყაველაშვილი, ჩალაძე (იონანიძე 46), დემეტრაძე.*

სომხეთის ნაკრებთან გამართული მატჩის კომენტარი თბილისში დაბრუნებულ რევაზ ძოძუაშვილს ვთხოვეთ:

**— რას გვეტყოდით კონკრეტულად ამ მატჩზე?**

— მთლიანობაში დადებითად ვაფასებ ჩვენი ნაკრების თამაშს. ჯერ ერთი, საშუალება მოგვეცა ბევრი ახალბედა ფეხბურთელის გამოცდისა, რომლებმაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. მეორეც ის, რომ მიუხედავად მეტოქის არცთუ გამორჩეულობისა, გასვლითი თამაში მაინც გასვლითი თამაშია და ფრე წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს, მით უმეტეს, ამ შემადგენლობით და ასეთ რთულ პირობებში — ძალიან ცუდ სათამაშო მინდორს რომ თავი დავანებოთ, პირველ რიგში მგზავრობის პირობებსა და დასვენებისათვის დროის უქონლობას ვგულისხმობ. თავად განსაჯეთ: წინა დღეს ჩავედით, თანაც ავტობუსით. მეორეს მხრივ, ასეთი დისკომფორტი შეიძლება ტრენინგად გამოგვადგეს იტალიასთან შესარჩევი მატჩისთვის, იქაც ხომ ლიტვასთან თამაშიდან ორიოდე დღის შემდეგ გვიწევს ჩასვლა.

**— შემადგენლობა ახსენეთ. ძალიან ბევრი ლეგიონერი არ ჩამოვიდა. რა იყო ამის მიზეზი?**

— რამდენიმე მიზეზი იყო: ჯერ ერთი, რომ უეფას მიერ დადგენილი ლიმიტის „გახარჯვა“ ასეთი დონის მატჩებზე გამართლებულად არ მიმაჩნია; მეორე მიზეზი ტრავმებია, მესამე — თვით იმ კლუბების ხელმძღვანელებთან ჩვენი ურთიერთობა, სადაც ქართველი ლეგიონერები გამოდიან — ყველას პრინციპული მატჩები ჰქონდა და ძალიან გვთხოვეს მათი გათავისუფლება. იმედი გვაქვს, შემდეგში თვითონაც ასეთი ჟესტით გვიპასუხებენ. დაბოლოს, მეოთხე მიზეზი: ყველა პარამეტრით (გუნდის დონე, მანძილის სიახლოვე) სომხეთის ნაკრები ის გუნდია, ვის წინააღმდეგაც ყველაზე უპრიანი იქნებოდა ახალბედების გამოცდა.

**— ამხანაგური თამაშების პროგრამაში შეტანილია მატჩები ბელორუსიასთან და აზერბაიჯანთან. მოგვცემს ამ დონის გუნდების სპარინგპარტნიორობა რამეს?**

— ბელორუსიის ვარიანტი გამოირიცხა. დაგვრჩა აზერბაიჯანი და მექსიკა, ამ უკანასკნელთან იტალიაში ვითამაშებთ. ამ თამაშში საუკეთესო შემადგენლობით გამოვალთ. აზერბაიჯანს რაც შეეხება, — რა ვქნათ, ვიცით, რომ საფრანგეთთან ან ჰოლანდიასთან სჯობს თამაში, მაგრამ ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ევროპის წამყვან გუნდებს რამდენიმე წლით ადრე აქვთ კალენდარი დაგეგმილი. სამაგიეროდ, კიდევ ერთხელ გამოვცდით ახალბედებს. ისე, პარტნიორების ძებნას განვაგრძობთ.

**— ხშირად იწერება, რომ ჩვენი ნაკრების მთავარი პრობლემა დაცვა და მეკარეა. თქვენ რას იტყოდით?**

— ვიცი, რომ იწერება და ძალიან ცუდია, ყველა სპეციალისტობას რომ იჩემებს, მათ შორის — პრესის მუშაკები. ამ „ბრალდების“ პასუხი მარტივია: გადახედეთ, რამდენი თამაში ვითამაშეთ და რამდენი გოლი გავუშვით. მე მგონი, საკმაოდ ცოტა. ასე რომ, ყველაფერი ნათელია — მე მათი თამაშით კმაყოფილი ვარ.

**— ის ახალბედები, რომელთა თამაშითაც თქვენ კმაყოფილი დარჩით, ეროვნულ ჩემპიონატში გამოდიან. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენი პირველობის დონე ამაღლდა?**

— ამას მაინც ვერ ვიტყვი, რადგან ვხედავ, რომ ამ ახალგაზრდების კარგი თამაში მხოლოდ ენთუზიაზმისა და იმ სტიმულის ხარჯზე ხდება, რასაც ევროპულ გუნდებში თამაშის პერსპექტივა ჰქვია. აქ სხვა სტიმულიც უნდა იყოს — თუნდაც ფინანსური დაინტერესება; გინდ პრემია დაარქვი, გინდ — სტიპენდია, მაგრამ ამ ბიჭებს რაღაცა უნდა მოუხერხონ. მით უმეტეს, რომ ეროვნულ ჩემპიონატში თითქმის მუქთად თამაშობენ. ვიცი, რომ გუნდებსაც უჭირთ, მაგრამ იქნებ გარკვეული თანხით თავიანთი კლუბების პრეზიდენტებმა მაინც წაახალისონ — ეს ხომ მათთვისაც სასარგებლო იქნება: უფრო მოინდომებს, რომ ნაკრებში კვლავ და კვლავ გამოიძახონ და ე.ი. კლუბში ეცდება თავის გამოჩენას.

ეს, ცხადია, არ ეხება ნაკრების „ვეტერანებს“, რომლებიც მხოლოდ პატრიოტული მოსაზრებით უნდა ემსახურონ ეროვნულ ნაკრებს და ამას აკეთებენ კიდეც.

**— და ბოლო შეკითხვა: ვიქონიოთ, ბოლოს და ბოლოს, სერიოზული წარმატების იმედი?**

— ჩვენ მადლობელნი ვართ პრესისა და გულშემატკივრების, მაგრამ სამწუხაროდ ეს არ კმარა. ფინანსური მხარდაჭერაა საჭირო და არა მხოლოდ ფედერაციის, არამედ სახელმწიფოს მხრიდან. დღეს ათი პროცენტითაც კი არ არის ჩვენი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული. ის „ჯადოსნური ჯოხი“, რომლის ერთი დაქნევითაც ითხოვენ მწვრთნელებისაგან შედეგებს, დღეს, სამწუხაროდ, დიდი ფული ღირს.

ასე რომ, მხარში ამოდგომის შემთხვევაში, შედეგებზე ჩვენ ვაგებთ პასუხს.

***ესაუბრა ზვიად გურული***

**26** აპრილს გამართული სხვა ამხანაგური მატჩები ასეთი შედეგებით დასრულდა:

**იტალია-პორტუგალია 2:0; რუმინეთი-კვიპროსი 2:0; ჩრდ. ირლანდია-უნგრეთი 0:1; ჰოლანდია-შოტლანდია 0:0; საფრანგეთი-სლოვენია 3:2; გერმანია-შვეიცარია 1:1; ჩეხეთი-ისრაელი 4:1; ავსტრია-ხორვატია 1:2; რუსეთი-აშშ 2:0; ბულგარეთი-უკრაინა 0:1; დანია-შვედეთი 0:1; პოლონეთი-ფინეთი 0:0; ნორვეგია-ბელგია 0:2; ირლანდია-საბერძნეთი 0:1; კორეა-იაპონია 1:0; ანდორა-ბელარუსი 2:0.**

ოთხაშაბათსვე გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩები სამხრეთ ამერიკაში.

**ბრაზილია-ეკვადორი 3:2; ვენესუელა-არგენტინა 0:4; ჩილე-პერუ 1:1; პარაგვაი-ურუგვაი 1:0; ბოლივია-კოლუმბია 1:1.**

სარაევოში დევიზით — „ფეხბურთი მშვიდობის განმტკიცებისათვის“ გაიმართა შეხვედრა, სადაც ბოსნიის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ვარსკვლავთა გუნდს დაუპირისპირდა. მატჩი ვარსკვლავების გამარჯვებით დასრულდა, ერთადერთი გოლი რობერტო ბაჯომ გაიტანა პენალტით, რომელიც განელი აბედი პელეს წაქცევისათვის დაინიშნა.

# ბეკენბაუერი სპორტის საპატიო დოქტორია



სოფიის ნაციონალურმა სპორტულმა აკადემიამ მსოფლიო სპორტის განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა გერმანული ფეხბურთის ლეგენდას, ამჟამად მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტს ფრანც ბეკენბაუერს. ბეკენბაუერმა, რომელიც გერმანიის ნაკრებისათვის, შვეიცარიასთან დამამცირებელი ყაიმის შემდეგ ეწვია ბულგარეთის დედაქალაქს, მადლობა მოუხადა დამფასებლებს და განაცხადა, რომ მისი უპირველესი მიზანი ამჟამად გერმანიის მიერ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის მოპოვების უფლებაა. კაიზერი საფეხბურთო ხულიგნების თემასაც შეეხო და დასძინა, რომ მათ წინააღმდეგ უმკაცრესი ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა გულშემატკივარმაც და მინდორზე მყოფებმაც თავი უსაფრთხოდ იგრძნონ. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას ბოლივიისა და კოლუმბიის ნაკრებთა შეხვედრისას, ერთ-ერთი გულშემატკივრის ნასროლმა ბოთლმა კინაღამ შეხვედრის არბიტრი შეიწირა.

# ყველაზე მდიდარი ფეხბურთელები



ფრანგულმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ ჩაატარა გამოკვლევა და დაადგინა, რომ მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ფეხბურთელები იტალიის ჩემპიონატში თამაშობენ. საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ იტალიურ კლუბებს ყველაზე დიდი შემოსავალი აქვთ. აქედან გამომდინარე, ისინი ზღაპრულ ხელფასებს უხდიან თავიანთ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებს. პლანეტის უმდიდრესი ფეხბურთელი „იუვენტუსის“ ფორვარდი ალესანდრო დელ პიერო ყოფილა. მისი ყოველწლიური შემოსავალი, პრემიალურებისა და სარეკლამო კონტრაქტების გათვალისწინებით, 11 მილიონი დოლარია. კონტრაქტის მიხედვით „ბებერი ქალბატონი“ ვალდებულია ვარსკვლავს ხელფასის სახით ყოველწლიურად 5,6 მლნ გადაუხადოს.

მიუხედავად იმისა, რომ „ინტერის“ ბრაზილიელი ვარსკვლავი რონალდო ტრავმირებულია, ვერ თამაშობს და კიდევ კარგა ხანს ვერ ითამაშებს, იგი მეორე ადგილზეა უმდიდრეს ფეხბურთელთა შორის. მისი წლიური შემოსავალი 9,2 მილიონი დოლარია. მესამე ადგილზეა „ინტერის“ კიდევ ერთი ვარსკვლავი, ასევე ტრავმირებული კრისტიან ვიერი, მისი შემოსავალი რონალდოსაზე 3 მილიონით ნაკლებია. შემდეგ მოდიან ინგლისელი დევიდ ბექჰემი — 6 მლნ დოლარი, გაბრიელ ბატისტუტა (5,9) და ინგლისელი ალან შირერი (5,8). შირერზე მეათედი მილიონით ნაკლებს გამოიმუშავებს ფრანგი ნიკოლა ანელკა, მის შემდეგ მოდის მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის გმირი ზინედინ ზიდანი, „იუვენტუსი“ მას წელიწადში 5,2 მლნ დოლარს უხდის. ე.წ. „დიდი ხუთეულის“ ქვეყნებიდან ყველაზე დაბალი ხელფასები საფრანგეთის ლიგაში მოასპარეზე ფეხბურთელებს აქვთ. საშუალო ხელფასის მიხედვით ინგლისის პრემიერლიგა პირველ ადგილზეა. იქ მოთამაშე თითოეული ფეხბურთელი წელიწადში საშუალოდ 670.000 დოლარს იღებს. ექსპერტების ვარაუდით, იტალიის, ინგლისის, ესპანეთის და გერმანიის უმაღლეს დივიზიონებში მოასპარეზე ვარსკვლავთა შემოსავალი სულ მალე გაუტოლდება NBA-ს და NHL-ის მოწინავე მოთამაშეთა შემოსავლებს.

# „ბარსელონას“ ვერ გაუშვეს

მომავალ სეზონში „ბარსელონა“ საერთოდ ვერ მიიღებს მონაწილეობას ესპანეთის თასის გათამაშებაში — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ იმის გამო, რომ კატალონიურმა კლუბმა უარი განაცხადა ქვეყნის თასის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში თამაშზე მადრიდის „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ. მიზეზად კი ის დასახელდა, რომ კლუბის 12(!) ფეხბურთელი მიწვეული იყო სხვადასხვა ეროვნულ ნაკრებში და გუნდის მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა უბრალოდ შემადგენლობის თავმოყრა ვერ შეძლო. მატჩის გადადებაზე სასტიკი უარი განაცხადა ფეხბურთის ფედერაციამ. „ბარსელონას“ საქციელი გამანადგურებელი დარტყმაა ჩვენი ფეხბურთისათვის, არ შეიძლება ასე მოექცე ტურნირს, რომელსაც საუკუნოვანი ისტორია აქვს“ — წერს წამყვანი ესპანური სპორტული გაზეთი „ელ პაისი“. „ბარსელონა“ სასამართლოში აპელაციის შეტანას აპირებს, თუმცა საეჭვოა, საქმე კატალონიელთა სასარგებლოდ დასრულდეს.

# სარეკორდო ტრანსფერების მოლოდინში



იტალიის „ფიორენტინას“ კაპიტანი და სიმბოლო არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა მომავალ სეზონს ალბათ მილანის „ინტერში“ დაიწყებს. ასეთი ინფორმაცია გაავრცელა გასულ კვირას იტალიურმა პრესამ. „ინტერის“ თავკაცებს „ბატი-გოლი“ ტრავმირებული რონალდოს შემცვლელად ჰყავთ შეგულებული, ბრაზილიელი კი წლის ბოლომდე ვერ ჩადგება მწყობრში. ჯერჯერობით უცნობია, რა პირობები შესთავაზა მილანურმა კლუბმა „ფიორენტინას“, თუმცა როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, თუკი ეს ტრანსფერი შედგა, სატრანსფერო თანხა ბევრად არ ჩამოუვარდება „ლაციოს“ მიერ რივალდოში შეთავაზებულ 50 მილიონს. შეგახსენებთ, რომ ბატისტუტა 31 წლისაა და 9 წელიწადია „ფიორენტინას“ ღირსებას იცავს.

სარეკორდო ტრანსფერის მოლოდინშია ინგლისური საფეხბურთო სამყაროც. თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ 28 მილიონად უნდა შეეძინა ჰოლანდიის „ეინდჰოვენის“ ფორვარდი რუუდ ვან ნისტელროოი, თუმცა ფეხბურთელს სამედიცინო ტესტირების გავლისას, მუხლის ტრავმა აღმოაჩნდა და მისი „მანჩესტერში“ გადასვლა სათუო გახდა. ალექს ფერგიუსონმა, რომელიც ნისტელროოის შესაძენად სოლსკიაერის და შერინგემის გაყიდვას აპირებდა, განაცხადა, რომ სულაც არ არის დაინტერესებული ტრავმირებული ფეხბურთელის შეძენით და კონტრაქტზე ხელის მოწერა დროებით გადაიფიქრა. ჰოლანდიელი სამშობლოში დაბრუნდა, „ეინდჰოვენში“ ჩატარებულ პირველივე ვარჯიშზე გაურთულდა ტრავმა და ჰოსპიტალში აღმოჩნდა, რამაც მისი „მანჩესტერში“ გადასვლა კიდევ უფრო სათუო გახადა.

# ჰოლანდიელებს ფული ეცოტავათ

ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებმა საჯაროდ გამოთქვეს უკმაყოფილება იმის გამო, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ევრო-2000-ის მოგების შემთხვევაში, ნაკრების თითოეულ ფეხბურთელს „სულ რაღაც“ 190.000 დოლარს შეჰპირდა. ფეხბურთელთა აზრით, ეს თანხა ორჯერ მაინც უნდა გაიზარდოს. ფედერაციის შეფები მოთამაშეთა პრეტენზიების გათვალისწინებას არ აპირებენ, რამაც შეიძლება სერიოზული უთანხმოება გამოიწვიოს „ნარინჯისფერთა“ რიგებში. ცნობისათვის: გერმანიის საფეხბურთო კავშირი ნაკრების გაჩემპიონების შემთხვევაში, 75.000 დოლარს ჰპირდება თითოეულ მოთამაშეს.

# ნავრატილოვა ბრუნდება



43 წლის მარტინა ნავრატილოვა კორტებზე დაბრუნებას აპირებს — თანაც ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე — უიმბლდონზე ითამაშებს. მიმდინარე წლის ივნისში, არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატად წოდებულ ტურნირში, მარტინა ნავრატილოვა ბალახის საფარიან კორტზე ითამაშებს წყვილთა თანრიგში, სამხრეთ აფრიკელ მარიან დე სვარდტთან ერთად. შეგახსენებთ, რომ ეროვნებით ჩეხი და შემდეგ ამერიკის მოქალაქეობამიღებული ნავრატილოვა ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ჩოგბურთელი ქალია დედამიწაზე — 19-ჯერ აქვს მოგებული უიმბლდონის ტურნირი. რეკორდი ამერიკელ ჯინა კინგს ეკუთვნის, რომელმაც ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო შეჯიბრება 20-ჯერ მოიგო. ნავრატილოვა უკანასკნელად 6 წლის წინ, 1994 წელს გამოჩნდა კორტებზე, როცა ესპანელ კონჩიტა მარტინესთან დამარცხდა. მას შემდეგ ყოფილი №1 ჩოგანი პირადი საქმეებით იყო დაკავებული და ვარჯიშითაც კი საკმაოდ იშვიათად ვარჯიშობდა. ნავრატილოვამ განაცხადა, რომ მას უბრალოდ მოენატრა ჩოგბურთის თამაში და უიმბლდონზე პირადი სიამოვნებისათვის სურს გამოსვლა.

***მოამზადა მათე კბილაძემ***

# საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. O-O!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს ორ სვლაში.

ა. კუდრია, 1985




ქალაქი
დღეს სისწრაფით
ელვის
თქვენ
გთავაზობთ მრავალ
სერვისს
SIM-ბარათი 18 ლარი + ავანსი 50 ლარი = ჩართვა 68 ლარი
მოკლე შეტყობინებები
ხმოვანი ფოსტა
საერთაშორისო როუმინგი
მონაცემთა გადაცემა ფაქსი
INTERNATIONAL ROAMING
FAX\DATA
SHORT MESSAGE SERVICE
VOICE MAIL
SMS
საერთაშორისო როუმინგი
international roaming
fax\data
მონაცემთა გადაცემა
voice mail
ხმოვანი ფოსტა
მოკლე შეტყობინებები
928 ან 928 111
საინფორმაციო სამსახური
თქვენი ქალაქი ჯეოსელი
GSM

# მფლანგველი პრინცი ჯეფრი



ხანდახან პრინცესებსაც უთენდებათ ღრუბლიანი დღეები. კუნძულ ბოსნეოზე მდებარე პატარა სასულთნოს ბრუნეის პრინც ჯეფრიზე სწორედ ეს ითქმის. სასამართლომ მას ჩამოართვა პასპორტი, აეროდრომზე თვითმფრინავები დაუპატიმრა და საბანკო ანგარიშები გაუყინა. ამასთან დაუდგინა, რომ სახარჯოდ თვეში 300.000 დოლარზე მეტი არ მიეცეს. მისი ძმის, ბრუნეის სულთნის ჰასანალ ბოლკიაჰის განკარგულებით ჩატარებულმა გამოძიებამ დაადგინა, რომ ჯეფრიმ ბოლო ათი წლის განმავლობაში — თვითმფრინავების, მანქანებისა და ძვირფასეულობის საყიდლად 2,7 მილიარდი დოლარი დახარჯა. რა თქმა უნდა, როდესაც 4 ცოლი, 17 შვილი და 18 ნაშვილები ბავშვი ჰყავს, ბევრი ფული უნდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჯეფრი სახელმწიფო ხაზინასაც ხშირად სტუმრობდა თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ჯეფრი ფინანსთა მინისტრი და დიდი კომპანია „ამედეოს“ მეპატრონეც გახლავთ. როგორც გაირკვა, მას და მის 71 თანამოსაქმეს 15 მილიარდი დოლარი აქვთ დატაცებული. ნებისმიერმა ბრუნეის მოქალაქემ, რომელთა რიცხვი სულ 300.000-ია, იცის, რომ სამეფო ოჯახი მდიდრულად ცხოვრობს. სულთანს, რომელიც აბსოლუტური მონარქიის პრინციპით მართავს ქვეყანას, 350 როლს-როისი ჰყავს თავის სასახლის მსგავს ავტოფარეხში. მაგრამ ბრუნეელები სულთნის მადლიერები არიან, რადგანაც ბევრი რამ, მათ შორის სახლებიც, სახელმწიფოსგან უფასოდ დაურიგა.

პრინცი ჯეფრი პირველად არ დაპირისპირებია კანონს. 1998 წელს, ყოფილმა მის ამერიკამ, შენონ მერქეთიკმა მას სასამართლოში უჩივლა და განაცხადა, რომ პრინცს ის ბრუნეიში ჰყავდა დატყვევებული და იქ სექსუალური მონის როლს ასრულებდა. ამ სკანდალით „დამწუხრებულმა“ ჯეფრიმ გული ახალი შენაძენით „დაიმშვიდა“ — ინგლისის სამეფო საიუველირო ფირმა „ასპრეისის“ აქციები შეიძინა „სულ“ 390 მილიონ დოლარად — მისმა პარტნიორებმა ლონდონის სასამართლოში სარჩელი შეიტანეს — პრინცმა მოგვატყუა და ფული არ გადაგვიხადაო და საკომპენსაციოდ 55 მილიონი დოლარი მოითხოვეს. პრინცის მფლანგველობა სულთნის ოჯახისთვის უცხო ხილი არ გახლავთ. მართალია, ფაქტებს და თანხებს არ ასახელებენ, მაგრამ ბრუნეიში ლაპარაკობენ, რომ ფულის ფლანგვაში არ ჩამორჩება ურჩი ძმაც, პრინცი მოჰამედი. თვითონ ჯეფრის იმედი აქვს, რომ აპრილის ბოლოს დაგეგმილ სასამართლო პროცესზე ჩამორთმეულ პრივილეგიებს დაუბრუნებენ. სულთანი სერიოზულად აპირებს ქვეყანაში კორუფციასთან ბრძოლას და ყველას, ვინც ამაში იმხილება, მიუხედავად წარმომავლობისა, ციხეში ჩასმით ემუქრება. ჯეფრი სასამართლოს მოლოდინშია. მანამდე კი არხეინად თამაშობს პოლოს და ბრუნეიში „მცირე საყიდლებზე“ დადის. ბოლო ნავაჭრი — ათასდოლარიანი საწოლის თეთრეული გახლავთ.

*ნიუზუიქ, 10 აპრილი*

# რასა იქმს ელცინი?



თუ „ნიუ-იორკ თაიმსს“ ვერწმუნებით, ბორის ელცინს განზრახული აქვს მემუარების გამოქვეყნება. 69 წლის ელცინი ამის შესახებ ესაუბრა ამერიკელ გამომცემელს თავის აგარაკზე, მოსკოვის მახლობლად. წიგნის სავარაუდო სათაურია „შუაღამის მემუარები“. როგორც ფიქრობენ, თანაავტორი ვალენტინ იუმაშევი იქნება (მისი ორი წინა წიგნის თანაავტორი) და მაღაზიებში ოქტომბერში უნდა გამოჩნდეს. ეს შეთანხმება დიდი მიღწევაა ორი წლის წინ შექმნილი გამომცემლობისთვის („პაბლიკ აფერსი“). ამ ამერიკულ კომპანიასთან ურთიერთობა შესაძლებლად მიიჩნია ელცინის ლონდონელმა ლიტერატურულმა აგენტმა ანდრეი ნიურნბერგმა. „პაბლიკ აფერსის“ ხელმძღვანელი ნიტერ ოსნოსი „ვაშინგტონ პოსტის“ კორესპონდენტი იყო საბჭოთა მოსკოვში და მშვენივრად იცის რუსული ენა. ელცინის განზრახვით გახარებული ოსნოსი უმალ ჩაფრინდა მოსკოვში კონტრაქტის გასაფორმებლად. ვარაუდობენ, რომ ეს მემუარები უფრო პირადული ხასიათისა იქნება, ვიდრე წინა წიგნები.

„შუაღამის დღიურები“ მართლაც ელცინისა და იუმაშევის ღამის საუბრებს ეყრდნობა. ელცინს სურს, შეეხოს ყველა პრობლემას ბრალდებებისა და კორუფციის ჩათვლით. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი გვერდს ვერ აუვლის თავისი კარიერის დრამატულ მომენტებს — ჩეჩნეთის ომის და თავისი ჯანმრთელობის საკითხებს. შესაძლოა, აჩქარება სწორედ ამ მომენტთან არის დაკავშირებული.

*ფავორიტი №6*

# ვიქორაოთ ჰოლივუდის ვარსკვლავებზე?



„მითხარი, როგორ გიჭირავს ფუჟერი და გეტყვი, ვინ ხარ,“ — ამტკიცებენ ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგები ენტონი კლარკი და მეთიუ დონოვანი.

— სინამდვილეში, — ამბობენ ისინი, — არასოდეს დავფიქრებულვართ იმაზე, როგორ გვიჭირავს ფუჟერი და სხვათა შორის, ადამიანის ბუნება და ხასიათი მჟღავნდება ზუსტად მექანიკური მოძრაობების დროს, რომელიც ქვეცნობიერებაზეა დაფუძნებული.

კლარკს და დონოვანს შესაძლებლობა ჰქონდათ, თავიანთი კლიენტების ქცევები შეესწავლათ სხვადასხვა პრეზენტაციასა და წვეულებაზე. დაკვირვებების შედეგები გააანალიზეს ნაშრომში „მსახიობები, სადღეგრძელოები და ხასიათი“.

შარონ სთოუნს ჩაბღუჯული აქვს ფუჟერი, ხოლო ქეთრინ ზეტა ჯონსი ისეა ჩაფრენილი, თითქოს ეშინია, არავინ წამართვასო, რაც მათ ფეთქებად ხასიათზე მეტყველებს.

კამერონ დიასი და გვინეთ პელთროუ ფუჟერს დელიკატურად სწევენ ორი თითით, რაც დახვეწილი შინაგანი ბუნების ნიშანია.

თავკერძა და პატივმოყვარე ადამიანები ფუჟერს დაბლა სწევენ და სხეულთან ახლოს უკავიათ. ზუსტად ასე იქცევიან ჯეკ ნიკოლსონი და კევინ კოსტნერი.

ვინც სადღეგრძელოს დროს იწევა, ფუჟერს მკერდამდე სწევს — გულჩათხრობილია და მეგობრებთან ურთიერთობაში დისტანციურია. ამ კატეგორიას ეკუთვნიან მერილ სტრიპი, დასთინ ჰოფმანი და სილვესტერ სტალონე. მეტად ტემპერამენტიანია, ვინც ფუჟერს სახის სიმაღლეზე სწევს. ასეთები არიან დენი დე ვიტო, ლეონარდო დი კაპრიო და ელიზაბეტ ტეილორი.

ფუჟერის აწევა თავის სიმაღლეზე, როგორც ამას აკეთებენ სიუზენ სარანდონი, ჯულია რობერთსი და პოლ ნიუმენი, სჩვევიათ მიმნდობ ადამიანებსა და ალტრუისტებს.

ნიქოლ კიდმანს, ჯემი ლი კერტისს და შერილინ ფენს ფუჟერი ფეხის კიდით უკავიათ, რაც მათ ჭირვეულ ხასიათზე მეტყველებს.

ტომი ლი ჯონსი, ბრიუს უილისი, დენზელ ვაშინგტონი და დონალდ საზერლენდი ფუჟერს ისე უჭერენ თითებს, თითქოს უნდა ჩაამტვრიონო. ისინი ძლიერი, მკაცრი და საკმაოდ აგრესიული ადამიანები არიან.

მადონა, სანდრა ბალოკი და ტომ კრუზი „კოლექტიურად“ აჭახუნებენ ფუჟერებს, ხელებს აჯვარედინებენ. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ასე სვამენ რომანტიკული, ექსპანსიური და კომუნიკაბელური ადამიანები.

ვინც სადღეგრძელოს შემდეგ ფუჟერს სხვას არ მიუჭახუნებს, ძუნწად ითვლება. ასეთები არიან ბარბრა სტრაიზანდი, ჯენიფერ ლოპესი და როჯერ მური.

იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება, როცა რომელიმე სტუმარს მთელი საღამოს მანძილზე ხელში უჭირავს სავსე ფუჟერი და წასვლისას მაგიდაზე პირდაუკარებლად დგამს. ასეთი ქცევა მეტყველებს ადამიანის გულჩათხრობილობასა და სიმორცხვეზე. ფსიქოლოგების მტკიცებით, ზუსტად ასე იქცევა მაიკლ ჯექსონი.

*ლაიფი №24*

# ჩინგის-ხანის იდუმალება



X საუკუნე... მონღოლეთი...

ღარიბულ კარავში დაიბადა ეუსებეი-ბაღათურის პირმშო თემუჯინი, მომავალი ჩინგის-ხანი. მარჯვენა ხელზე სისხლის კოლტი შეხმობოდა, ხოლო თავის ქალაზე, იმდროინდელი ისტორიკოსის, რაშიდ ალ-დინის ცნობით, აჩნდა ციური ნიშანი ქვეყნიერების დამპყრობლისა.

12 წლისა მამით დაობლდა და დაქვრივებულმა დედამ აღზარდა, აღზარდა ჭეშმარიტ არისტოკრატად. დაგლეჯილ, ღარიბულ სამოსში გამოხვეული ყმაწვილი უკიდეგანო ტრამალების ბატონ-პატრონად გრძნობდა თავს. გარს შემოიკრიბა თავისნაირი უშიშარი ახალგაზრდები და ძალაუფლების ხელში ჩაგდება განიზრახა. 30 წელი გაგრძელდა ეს ბრძოლა და ბოლოს, 51 წლის თემუჯინმა მდინარე ონონის ნაპირზე შეკრიბა ტომთა ბელადები და გამოუცხადა, — მე თქვენი მბრძანებელი ვარო. ბელადები საგონებელში ჩავარდნენ, — უბრალო მოკვდავის სახელი არ შეეფერებოდა სტეპების ქვეყნის ბატონ-პატრონს. რა ეწოდებინათ? უცებ ბუჩქებში პატარა ჩიტმა ჩაიჭიკჭიკა: „ჩინ-გის“. რა თქმა უნდა, ჩიტმაც კი იცოდა თემუჯინ-ხანის სიდიადე — ჩინგისი — ოკეანე იყო მისი ჭეშმარიტი სახელი.

ზეცამ წყალობა ჰყო, როცა შექმნა უძლიერესი მხედართმთავარი ჩინგის-ხანი — მოთმინებით, შორსმჭვრეტელობით, გენიალური ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული მსოფლიო იმპერატორი.

ველური სტეპებიდან გამოსულმა უბრალო მწყემსებმა მისი მეცადინეობით მიიღეს ბრწყინვალე სამეთაურო ცოდნა, დაეუფლნენ ჩინურ სააღყო იარაღს, ლეწავდნენ და იპყრობდნენ აუღებელ ციხესიმაგრეებს, ამარცხებდნენ ავღანელებს, არაბებს, რკინაში ჩამჯდარ ევროპელებს...

ჩინგის-ხანს ალექსანდრე მაკედონელს ან ნაპოლეონს ადარებენ; მაგრამ მხოლოდ ჯებეს და სუბუდაის ლაშქრობა ცენტრალური აზიიდან ვოლგის ნაპირებამდე, უფრო მასშტაბურია, ვიდრე მაკედონელის ყველა ბრძოლა.

ალექსანდრესა და ნაპოლეონის იმპერიებისაგან განსხვავებით, ჩინგის-ხანის იმპერიამ მისი გარდაცვალების შემდეგ კიდევ დიდხანს იარსება და კონტინენტის ოთხი მეხუთედიც დაიპყრო. მეცნიერებმა გამოთვალეს: ხუთმა მილიონმა შვიდასი მილიონი წამოაჩოქა.

მაგრამ რისთვის იყო საჭირო ყველაფერი ეს? რა სურდა ჩინგის-ხანს? იგი არც ახალი სარწმუნოების გავრცელებას ცდილობდა, არც ღმერთად ქცევა უნდოდა, არც სახელსა და დიდებას ესწრაფოდა.

ამბობენ, თითქოს მსოფლიო სახელმწიფოს შექმნა სურდა, რომ ბოლო მოეღო დამანგრეველი ომებისთვის. იმასაც ამბობენ, ძლიერი მმართველი აღმაშენებელიც იყო — სისხლითა და მახვილით ხელახლა კვალავდა მომავალი ცივილიზაციის გზას.

ჩინგის-ხანის მიზნები გამოცანად დარჩა.

1227 წელს გარდაიცვალა სწორუპოვარი მბრძანებელი.

მისი სიკვდილის რამდენიმე ვერსია არსებობს:

— დაიჭრა მუხლში ისრით...

— გადმოვარდა ცხენიდან...

და ყველაზე ღირსეული სიკვდილი მბრძანებლისა:

— ელვამ დანაცრა.

იგი 72 წლისა გარდაიცვალა. საფლავის ადგილსამყოფელი, წესისამებრ, საიდუმლოდ შეინახეს.

*ორაკული №3*

## ტესტი

# გაქვთ იუმორის გრძნობა

***თითოეულ შეკითხვას უპასუხეთ „კი“ ან „არა“ და შორიდან შეხედეთ საკუთარ თავს.***



**1. იცინით, როდესაც მარტო ხართ და რაიმე სასაცილო ამბავს კითხულობთ ან ტელევიზორით უყურებთ?**

**2. შეგიძლიათ ხუმრობით გამოხვიდეთ უხერხული სიტუაციიდან, რომელიც არ ეხება სამსახურსა და სწავლას?**

**3. თუ ამჩნევთ, რომ გატყუებენ, შეგიძლიათ არ მიაქციოთ ამ ფაქტს ყურადღება?**

**4. ხშირად გეცინებათ მეგობრების ხუმრობებზე?**

**5. თქვენი თანამშრომლები, თანაკურსელები თუ გიყვებიან სასაცილო ამბებსა და ანეკდოტებს?**

**6. ახლობლების ან მეგობრების წრეში გიჩნდებათ სურვილი, რომ ყურადღების ცენტრში იყოთ?**

**7. როდესაც უგუნებოდ ხართ, გაღიზიანებთ სხვისი სიცილი?**

**8. ყველა ჟანრიდან თქვენ უპირატესობას ანიჭებთ... კომედიას?**

თუ უპასუხეთ „კი“ — **5 და უფრო მეტ შეკითხვას,** მაშინ მშვენიერი იუმორის გრძნობა გქონიათ.

თუ მიიღეთ **4-ზე ნაკლები** „კი“, მაშინ ეცადეთ, საქმე გამოასწოროთ. უახლესი მეთოდებით ჩატარებულმა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ სიცილის დროს სახის კუნთები ქმნიან განსაკუთრებულ იმპულსებს, რომლებიც დადებითად მოქმედებენ ნერვულ სისტემასა და ტვინის მუშაობაზე და ხსნიან დაძაბულობას. მაშინაც კი, როდესაც არ გილხინთ, მაგრამ თავს ძალას ატანთ და ისე იღიმებით, მექანიზმი მუშაობას იწყებს.

დასკვნა: მიუხედავად ყველაფრისა — გაიღიმეთ!

# ასოციაცია



**თარაზულად:** 4. ღერო, საძირკველი; 6. სარბიელი, ცირკი; 9. ხარი, ჯიქანი; 10. თეთრი სახლი, წითელი მოედანი; 14. სოფი მარსო, „დედოფალი მარგო“; 15. ტყვია, მასრა; 17. ფალანგი, ხერხემალი; 19. ქუხილი, დენი; 21. ბიძგი, ხალისი; 23. საგანი, სიმბოლო; 24. ამბავი, მითი; 28. თეატრი, ლოჟა; 30. თურქეთი, მემამულე; 33. ოხრახუში, ცერეცო; 34. ქობულეთი, აფხაზეთი; 35. ცოტნე დადიანი, მაია წყნეთელი; 36. სპრაიტი, ფორთოხალი; 39. მწყემსი, მალბორო; 40. ბამბა, მარლა; 41. პედაგოგი, მერი პოპინსი.

**შვეულად:** 1. ტაშკენტი, ბალტიისპირეთი; 2. ბოსტანი, ყვავილი; 3. სოსისი, ცერი; 5. ლომი, სულგუნი; 7. მეფე, ულუ; 8. ვარდი, იადონი; 11. ციყვი, ნუტრია; 12. ჭიაყელა, ვაშლი; 13. გამსახურდია, „დათა თუთაშხია“; 16. სხვენი, ოთახი; 18. საქონელი, საზღვარი; 20. ნიანგი, კობრა; 22. ლავა, ქანი; 25. ანკარა, ეგვიპტე; 26. მაკიაჟი, მსახიობი; 27. წყნეთი, ვილა; 29. წარმოება, ოფისი; 31. დედალი, მამაკაცი; 32. ინდიელი, ესპანელი; 37. მონოლოგი, ოპერა; 38. ლეგენდა, ფორსაიტი.

**წინა ასოციაციის პასუხები:**

**თარაზულად:** 7. რიაზანოვი; 8. ვალერიანი; 10 ახალუხი; 11. პარტია; 12. ლივრეა; 17. ოლიფა; 18. კარმენი; 19. ათოსი; 20. ტრაპეზი; 21. ბატკანი; 25. ქლიბი; 26. სკიპტრა; 27. გინეა; 30. აპრილი; 33. პრემია; 34. მასტიტი; 35. ედელვაისი; 36. ტრიბუნალი.

**შვეულად:** 1. რიკტაფელა; 2. აზარტი; 3. კვახი; 4. კათხა; 5. ბირთვი; 6. ანოფელესი; 9. პლენუმი; 13. მალარია; 14. ბალზაკი; 15. ონდატრა; 16. ხაფანგი; 22. ოლიმპიადა; 23. აპარატი; 24. ტერმინალი; 28. გიდელი; 29. სევანი; 31. ფაქსი; 32. შტერი.

## №17 (186) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 500 რესპონდენტი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 177-მა ქალმა და 318-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„პრეზიდენტის გარდა, ყველაზე მეტად ვინ ახდენს გავლენას დღეს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, საქართველოში დღეს ყველაზე გავლენიანი ადამიანი (რა თქმა უნდა, პრეზიდენტის შემდეგ) პარლამენტის თავმჯდომარეა — ასე ფიქრობს რესპონდენტთა უმრავლესობა — დაახლოებით 54. **8,22** საშუალო ქულით ზურაბ ჟვანია პირველ ადგილზეა. შემდეგ ადგილზე ასლან აბაშიძეა, საშუალო ქულაა 7,03. მკითხველთა 30 მიიჩნევს მას საქართველოში ყველაზე გავლენიან პიროვნებად. სახელმწიფო მინისტრი 6,53 საშუალო ქულით მესამე ადგილზეა, თუმცა მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით მეოთხეზეა და წინ ნანული შევარდნაძე უსწრებს. რაც შეეხება თავად პირველ ლედის, იგი საერთო ქულების რაოდენობით მეშვიდე ადგილზეა და მისთვის მიკუთვნებულ მაქსიმალურ ქულებს (7,91) მინიმალური ქულები (27,7) სჭარბობს.

ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (47,67) №1-მა ლეიბორისტმა დაიმსახურა და 2,06 საშუალო ქულით ბოლო ადგილზე აღმოჩნდა. რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მკითხველების აზრით, აქ ჩამოთვლილთა შორის შალვა ნათელაშვილი ყველაზე „ნაკლებგავლენიანია“.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან: 31 წლის **ლევან ნუცუბიძე** და წინა რეიტინგში გამარჯვებული, 63 წლის **რეზო სვანიძე** (ორივე თბილისიდან).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 2 მაისს, 17 საათზე.

## №18 (187) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

**№18 (187) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 3 მაისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 4 მაისის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

თემა №18 (187) —

**ცხოვრებისეული ფასეულობები**

**რა არის დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენს ცხოვრებაში** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს 8 — და ა.შ. 1-მდე.

**№18(187) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ფასეულობა | ქულა |
|---|---|---|
| 1 | სამუშაო | |
| 2 | განათლება | |
| 3 | რელიგია | |
| 4 | ეკონომიკური კეთილდღეობა | |
| 5 | მშვიდობა | |
| 6 | ბედნიერი ოჯახური ცხოვრება | |
| 7 | თავისუფლება | |
| 8 | ჯანმრთელობა | |
| 9 | დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება | |

**დამატებითი კითხვა**

**თქვენი აზრით, მიზანშეწონილია თუ არა პრეზიდენტის ინაუგურაცია აღდგომის დღეს?**

| დიახ | არა | არ ვიცი |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

მკითხველის რეიტინგში 403-მა რესპონდენტმა დაასახელა **საქართველოს ომბუდსმენის მათეული კანდიდატი.** მკითხველთა დაახლოებით 1-მა განაცხადა, რომ არავინ იმსახურებს სახალხო დამცველის სახელს; 4-ს გაუჭირდა კანდიდატის დასახელება.

მკითხველებმა ომბუდსმენობის კანდიდატებად დაასახელეს:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ელენე თევდორაძე | 22,0% | 6-7. | ირინა სარიშვილი-ჭანტურია | 4,9% |
| 2. | ნანა დევდარიანი | 13,1% | 8. | ჯაბა იოსელიანი | 2,9% |
| 3. | მიხეილ სააკაშვილი | 7,5% | 9-12. | ვახტანგ ბოჭორიშვილი | 1% |
| 4. | შალვა ნათელაშვილი | 7,0% | 9-12. | ვახტანგ ძაბირაძე | 1% |
| 5. | დათო ტურაშვილი | 6,1% | 9-12. | ქართლოს ღარიბაშვილი | 1% |
| 6-7. | რუსუდან ბერიძე | 4,9% | 9-12. | გურამ შარაძე | 1% |

სახალხო დამცველის კანდიდატებად დასახელდნენ აგრეთვე ძალოვნები — კახა თარგამაძე, სოსო ალავიძე და თემურ მღებრიშვილი...

საგულისხმოა, რომ პირველ ადგილზე პატიმართა „დედა ტერეზად“ წოდებული ელენე თევდორაძეა, რომელიც ოფიციალურად არავის წარუდგენია ომბუდსმენობის კანდიდატად.

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

რას დაარქმევდით?

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



ნანული შევარდნაძე და ნინო ჟვანია

**ჯ.ი.** — ალო, ამბროსიჩ, ეხლა არ დამიწყო კენჭი-მენჭი. მეორე კაცი ვიყავი — ისევ მეორე უნდა გავხდე, თორემ ისევ დაჯაბული სიგუაცია შეიქმნება.

***ნონა ცაკაშვილი, მაჩხაანი***

**ჯ.ი.** (სიზმარში):

— თეთრი ბაბუა ჩემს ყოფილ საკანში მოათავსეთ, მეზობელ საკნებში მისი ამფსონები განათავსეთ და 5 წუთში მეც მანდა ვარ!

***ნანა ახალკაციშვილი, თბილისი***

**ე.შ.** — ჩემო ჯაბა, „სვობოდას“ გილოცავ და დიდი მადლობა!

**ჯ.ი.** — რისი მადლობა, ჩემო ძმაო, შენს საქმეს თუ დასჭირდა, ერთ „სროკს“ კიდევ მოვხევ.

***„ვინჩენცო“, ქუთაისი***

**ჯ.ი.** — ალო, ამბროსიჩ? ნუ, ამბროსიჩ! ნუ, პაგადი!

***არსენ იაშვილი, ქუთაისი***

**ჯ.ი.** — გამარჯობათ, ბატონო ედვარდ!

— ედვარდი არ გახლავართ მე.

**ჯ.ი.** — მა რას მაასკდი ყურმილსა?

(ანეკდოტის მიხედვით)

***ლელა, გოგიტა, თბილისი***

**ჯ.ი.** — ალოო, მხედრიონია? „პაპა კარლო“ დაბრუნდა, „მორები“ მოამზადეთ!..

***„ზორო“, ქობულეთი***



ჯაბა იოსელიანი

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 136 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**ჯ.ი.** — ჩემი ახალი მერსედესი ხვალ ჩამოდის, მერე 2 მილიონიან ფურცელს მივიღებ სტრასბურგიდან და კანარის კუნძულებზე მივფრინავ ბაბუს თვითმფრინავით.

(სპრაიტის რეკლამა)

***ზ. გვიშიანი, თბილისი***

**ე.შ.** (ტელეფონით) — ჯაბა, ჩემო ტკბილო კაცო, ა, ყანწით ვლოცავ შენს გამოსვლას, რაფერ გაწვალეს კაცო ა, ისე, მეც შენთან ერთად ვწვალობდი.

**ჯ.ი.** — რომელი ხარ, კაცო, შენ?

**ე.შ.** — ედუარდი ვარ, კაცო, შენი ედუარდი!

***მ.მ.***

„რამკიანო“ ჯაბა, დაფრინავდი მაღლა, ვერ ხედავდი დაბლა, გრიალებდი მაგრა. მოგერია დაღლა, დაგასვენეს კარგა, ბაბუს გადაგდება, რა გგონია, ვარგა?! იქნებ მოისვენო და იფიქრო წაღმა, თუ არა და ისევ ჩაგიშვებენ დაღმა.

***მარკშეიდერი გურამ რეხვიაშვილი, თბილისი***

**ჯ.ი.** — ბატონო ედუარდ, თქვენი ყანწი დანაღმულია, გიხაროდენ!

**ე.შ.** — ბატონო ჯაბა, ყურმილი დანაღმულია, მაგრად გეჭიროს, დადებ თუ არა, აფეთქდები!

***„ნიკიტა“, რუსთავი***

**ჯ.ი.** — ალო! ყანწებით რომ ქეიფობ მანდ! შენ და შენმა „პადძელნიკებმა“ ორი მილიონი დოლარი დადეთ „ბოჩკაზე“, დემოკრატია ლობიოობა ნუ გგონიათ.

***თამაზ დუნდუა, თბილისი***

ყვარელაშვილს ესაუბრება:

**ჯ.ი.** — ჰო, გივი! ჯაბა ვარ, ჯაბა!

...ფანჯარასთან არავინ დააწვინო... მალე მოვალ... ჰო!

ნიკოსავით მეორე კარიდან შემოვალ...

მალე მენახე, კარგად.

***რუისელი ა. კ.***

**ჯ.ი.** — ალო, კახას სთხოვეთ, თუ შეიძლება თარგამაძეს.

... — თქვენ სად რეკავთ, ბატონო?

**ჯ.ი.** — შენ დაუძახე და სად ვრეკავ, შენი საქმე არ არის, გაიგე!!!

***მამუკა იაშვილი, თბილისი***

## ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲐᲦᲡᲓᲒᲐ!



მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულის შემდგომ მორწმუნეები ერთმანეთს სიხარულით ესალმებიან: „ქრისტე აღსდგა!“. ეს სიტყვები იმ მოქმედებას გვაგონებს, როდესაც ქრისტეს აღდგომის გაგების შემდგომ მოციქულები ერთმანეთს გაკვირვებითა და აღტაცებით მიმართავდნენ: „ქრისტე აღსდგა!“ და ერთმანეთსვე პასუხობდნენ — „ჭეშმარიტად აღსდგა!“ თავის მხრივ, ეს მისალმება გამომხატველია ქრისტიანი ადამიანის რწმენის, სასოებისა და მარადიული სიცოცხლის იმედისა, რომელიც ტანჯული და აღმდგარი იესოსაგან გვებოძა. ამ სიტყვების წარმოთქმისას ადამიანს დავიწყებული უნდა ჰქონდეს ვინმესთან მტრობა, სიძულვილი და ყველას მიმართ კეთილი გრძნობით იყოს განმსჭვალული.





ᲠᲐᲝ, ᲠᲐᲡ ᲬᲔᲠᲗ ᲩᲕᲔᲜᲖᲔ 22-Ე ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ?

***

აღდგომის დღესასწაულს მომავალ (2001) წელს ორი კვირით ადრე, 15 აპრილს ვიზეიმებთ...

აღდგომა „მოძრავი“ დღესასწაულია და იგი გაზაფხულის ბუნიობის შემდგომი მთვარის ავსებიდან პირველ კვირა დღეს აღინიშნება, ე.ი. არა უადრეს 4 აპრილისა და არა უგვიანეს 8 მაისისა.

**ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ:**

თუ სააღდგომო კვერცხი კეთილი გულით არის მიძღვნილი, იგი არ ფუჭდება და თანაც ოჯახს უბედურებისაგან იცავს...

**ჯანმრთელობისთვის არახელსაყრელი გეომაგნიტური პერიოდი**

**4/V 21.⁰⁰-24.⁰⁰სთ-მდე**

**6/V 15.⁰⁰-17.⁰⁰სთ-მდე**

## ᲬᲐᲛᲐᲚᲘ „ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝ“ — ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲚᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲐ

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲐ: ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ 115, ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲔᲖᲝᲨᲘ, ᲤᲘᲠᲛᲐ „ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝ“

**„კვირის პალიტრის“ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲠᲘᲗ** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

**„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐᲨᲘ“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲠᲘᲗ** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები იცლება ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

***ქალაქებში და რაიონებში:*** *ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ, ᲛᲪᲮᲔᲗᲐ, ᲓᲣᲨᲔᲗᲘ, ᲟᲘᲜᲕᲐᲚᲘ, ᲙᲐᲡᲞᲘ, ᲒᲝᲠᲘ, ᲥᲐᲠᲔᲚᲘ; ᲮᲐᲨᲣᲠᲘ; ᲡᲣᲠᲐᲛᲘ; ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ; ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ, ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ, ᲮᲝᲜᲘ, ᲐᲑᲐᲨᲐ, ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ, ᲡᲔᲜᲐᲙᲘ, ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ, ᲤᲝᲗᲘ, ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ, ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ, ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ, ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ, ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ, ᲗᲔᲚᲐᲕᲘ, ᲬᲜᲝᲠᲘ, ᲐᲮᲛᲔᲢᲐ,* ***- არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.***

**ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ: „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ (ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ) ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ (ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ) ᲧᲣᲗᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ.©**

### 18 ᲣᲤᲐᲡᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ

განცხადების ტექსტი ________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№18 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 5 მაისს (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.



***

სტიუარდესა ჰაერში:

— თვითმფრინავი გადატვირთულია, ერთმა მგზავრმა უნდა დაგვტოვოს...

ვიღაც ოხრავს სალონში:

— სულ ასეა... ეს ჩემი სიდედრი, როცა არ არის საჭირო, თვალებში მეჩხირება; როცა მჭირდება, თვალსაც ვერ მოვკრავ...



***

— დედიკო, როგორ გავიგო, კარგი ქმარი ავირჩიე თუ ცუდი?

— თუ ცუდი აირჩიე, მაშინვე მიხვდები, თუ კარგი — ვერასოდეს.



## ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ



რას აღარ აზღვევენ ადამიანები — ფეხებს, ხელებს, ყურებს, საყვარელ ზაზუნებს... კალიფორნიის ზოგიერთ ქალაქში კი ამ ბოლო დროს მეტად პოპულარული შეიქნა... ნაყინის დაზღვევა.

ვინ იცის, რა მოუვა ისედაც ამ ნაზ და ყინულოვან ნუგბარს — ხომ შეიძლება დადნეს ან ვაფლის ჭიქიდან ამოვარდეს. სადაზღვევო პოლისის მფლობელი ასეთ შემთხვევაში ნაყინის მეორე ულუფას მიიღებს უფასოდ.

დაზღვეულ ნაყინს, ჩვეულებრივთან შედარებით, უკვე მყიდველების 40% ამჯობინებს, იგი ხომ სულ 15 ცენტით ძვირი ღირს.

***



სამი ყმაწვილი რესტორანში სადილობს: ამერიკელი ცოლით, ფრანგი ცოლით და მიხო მაროთი.

ამერიკელი ცოლს:

— მომაწოდე თაფლი, ჩემო თაფლისკვერო!

ფრანგი — ცოლს:

— მომაწოდე შაქარი, ჩემო შაქარლამავ!

მიხო — მაროს:

— მომაწოდე ხორცი, — დაფიქრდა, — ...ჩემო ძროხავ!!!

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲚᲐᲚᲘ ᲒᲣᲜᲗᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

**ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲔᲑᲘ: ᲜᲣᲪᲐ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ.**

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ **რედაქცია:** 33-39-54 **რეკლამა:** 98-74-44

palitra@access.sanet.ge

palitra@geo.net.ge

**ᲡᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 1518**

**„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.